ქართული ენის სწავლების მეთოდიკის პრაქტიკუმი

4 Г (077)
74. 261. 4
499. 962. 1—8(077)
ბ 124

წიგნში განხილულია ქართული ენის სწავლების თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირების საკითხები — ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, დავალებებისა და სავარჯიშოების შერჩევა, სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოვლენა, პედაგოგიური პრაქტიკის მომზადება.

წიგნი გამოადგება უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებს.

რეცენზენტები: დოც. ტ. სულაბერიძე
დოც. ნ. მაღლაკელიძე

4309010000 — 100
Г ——————— 264 — 87 © გამომცემლობა „განათლება“, 1987
М — 602 (08) — 87

შესავალი

სასწავლო გეგმით პრაქტიკული მუშაობისათვის განკუთვნილი საათები ეთმობა როგორც ლექციებზე მოსმენილი თეორიული საკითხების გამეორება-გაღრმავებას, ისე პრაქტიკული ჩვევებით სტუდენტთა შეიარაღებას. გვახსოვდეს, რომ ახსნა-განმარტება რა რიგ მაღალ მეცნიერულ-პედაგოგიურ დონეზე არ უნდა ჩატარდეს, ვერ უზრუნველყოფს მყარი ცოდნის შეძენას, თუ ამას არ მოჰყვება აზრიანი, გაცნობიერებული, სტუდენტთა აქტივობაზე დამყარებული ვარჯიშობანი, დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობა. პრაქტიკა არა მარტო ცოდნის ჭეშმარიტების შემოწმების, მისი სისწორის დადგენისა და გაღრმავება-სრულყოფის საშუალებაა, არამედ ცოდნის განმტკიცების, ჩვევის შეძენის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.

სავარჯიშოთა ერთი ნაწილი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს იგი არსებითად გრამატიკის ცოდნის განმტკიცებას ემსახურება. ეს ასე როდია. მათი ძირითადი მიზანია, გაარკვიოს სტუდენტები ენის სწავლების პრაქტიკულ საკითხებში, შეიარაღოს ისინი ისეთი უნარ-ჩვევებით, რომელნიც გაუადვილებენ მათ მოსწავლეებთან სავარჯიშოებზე მუშაობის სწორად ორგანიზაციასა და ჩატარებას. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ბუნებრივად ასეთი ვარჯიშობანი ხელს უწყობენ გრამატიკის ცოდნის შემდგომ განმტკიცებას, მის სრულყოფა-გაფართოებასაც. ეს გარდუვალია. ენასა და ენის სწავლების მეთოდიკას შორის ხომ მჭიდრო კავშირი არსებობს. ბევრი რამ მათ საერთო აქვთ.

მაგალითები თვით სტუდენტმა უნდა შეარჩიოს, შეადგინოს. სავარჯიშო ტექსტის შედგენის ჩვევა მან უმაღლეს სასწავლებელში ყოფნის დროს უნდა შეიძინოს. გრამატიკის გაკვეთილზე სწორად შერჩეულ დიდაქტიკურ მასალას (სიტყვა, წინადადება, გაბმული ტექსტის ნაწყვეტი) მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

სავარჯიშო მასალებში უხვადაა წარმოდგენილი ანდაზები. ეს იმან განაპირობა, რომ, ჯერ ერთი, ანდაზა ენობრივად, სტილისტიკურად მეტად დახვეწილი და გამართულია; მეორე, ანდაზაში ჩაქ-

სოვილია ხალხის გაუხუნარი სიბრძნე, ფილოსოფია, ისიც ძალიან მარტივად, მისაწვდომად, გასაგებად; მესამე, ანდაზა დამოუკიდებელი ერთეულია, მასში მოცემულია დამოუკიდებელი აზრი, შინაარსი, რომლის გაგება-გააზრება სხვა წინადადებებზე არაა დამოკიდებული; მეოთხე, ანდაზა ძვირფასი მასალაა როგორც მოსწავლეთა აზროვნებისა და მეტყველების, გონებრივი ჰორიზონტის გაფართოების, ისე მათი ზნეობრივი, მორალური აღზრდისათვის.

მეცადინეობის პროცესში თეორიული და პრაქტიკული საკითხების გაშუქებისას შეიძლება წარმოიშვას აზრთა სხვადასხვაობა. აქ სტუდენტებს უნდა მივცეთ თავისუფალი გასაქანი, რათა თავიანთი აზრი, შეხედულება, თვალსაზრისი გამოთქვან შეუზღუდავად, თამამად, დასაბუთებულად. საბოლოო სიტყვა ლექტორს ეკუთვნის. იგი ანალიზს უკეთებს კამათში მონაწილე სტუდენტთა აზრებს და გამოიტანს სათანადო დასკვნას. საერთოდ, პრაქტიკუმებზე მათ მიერ გამოვლინებული ცოდნა საჭიროა გავითვალისწინოთ გამოცდების დროს, ე. ი. ცოდნის საბოლოო შეფასებისას.

ზოგიერთი დავალება პროგრამის ამა თუ იმ თემის მეთოდურ დამუშავებას მოითხოვს. სტუდენტი ვალდებულია გაითვალისწინოს შემდეგი: თემის ახსნის გზები, მეთოდები და ხერხები, თვალსაჩინო საშუალებანი, მოსწავლეთა აქტივიზაცია, ვარჯიშობანი (ზეპირი, წერითი) და მისთვის აუცილებელი მასალები, დამუშავებისათვის საჭირო დრო (ზოგს შეიძლება რამდენიმე ან ერთი გაკვეთილი დასჭირდეს, ზოგს კი — მხოლოდ წუთები) და სხვ.

ზოგი დავალება თეორიული საკითხების განმეორებას, მის შემდგომ სრულყოფა-განმტკიცებას ემსახურება, ზოგი კი (რაოდენობით მეტი ნაწილი) მიზნად ისახავს მასწავლებლისათვის საჭირო გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების შეძენას.

დავალების მიცემისას საჭიროა ჯგუფური კონსულტაციის ჩატარება. ლექტორი (პრაქტიკუმის ხელმძღვანელი) ვალდებულია მისცეს სტუნდენტებს მითითებანი, ახსნა-განმარტებანი თითოეულ თემასთან, დავალებასთან დაკავშირებით. სიძნელის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია მიმართოს ხელმძღვანელს და მიიღოს მისგან ინდივიდუალური კონსულტაცია. საჭირო რჩევა-დარიგება. რაკი ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის შესახებ ამ ნაშრომში დავალებები არაა წარმოდგენილი, პრაქტიკის ხელმძღვანელი ვალდებულია მიუთითოს სტუდენტებს, სავარჯიშოს შესრულებისას რა თეორიული მასალა გაიხსენონ და გამოიყენონ. ცხადია, სავარჯიშოს შესრულების შემოწმების დროს მითითებული თეორიული მასალის ცოდნაც იქნება შემოწმებული.

ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საფუძვლებისა და წყაროების გამეორება-განმტკიცება

ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენის სწავლების მეთოდიკის კურსი ზოგადი პრობლემების განხილვითა და გაშუქებით იწყება. ამ პრობლემებში გარკვევა. მათ არსში ჩაწვდომა და მტკიცედ შეთვისება სტუდენტს მნიშვნელოვანწილად დაეხმარება მეთოდიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ადვილად გააზრებასა და გარჩევაში.

უპასუხეთ კითხვებზე:

1. რა არის ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საგანი?
2. რა წყაროებს ემყარება ქართული ენის სწავლების მეთოდიკა?
3. რა შეხედულებისაა მარქსიზმისა და პედაგოგიკის კლასიკოსები სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხზე?
4. რა პრინციპების მიხედვითაა დალაგებული გრამატიკული მასალა დაწყებითი და მაღალი კლასების პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში?
5. რა პრინციპებით ხდება ენის სწავლებისათვის საჭირო საილუსტრაციო, სავარჯიშო და საკონტროლო მასალათა შერჩევა თუ შედგენა?
6. რა ტიპის გაკვეთილები გამოიყენება ქართული ენის სწავლებაში?

ქართული ენის სწავლების გზები, მეთოდები, ხერხები და დიდაქტიკური საშუალებათა გარკვევა-დამუშავება

სკოლაში დედაენა მოსწავლეთა აზროვნებისა და მეტყველების განვითარების, მათი განათლების, მსოფლმხედველობის ფორმირების, მორალური და ესთეტიკური აღზრდის საფუძველია. მშობლიური ენის მაღალ კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სხვა საგნების სწავლების მოწოდების სიმაღლეზე დაყენებაში, მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებაში. საშუალო სკოლის მშობ-

ლიური ენის პროგრამა საკითხთა ფართო წრეს მოიცავს (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სემასიოლოგია, ორთოგრაფია, ორთოპედია, პუნქტუაცია, სტილისტიკა და სხვ.). მისი სწავლება ადვილი როდია. იგი მეთოდიკის კურსის, კერძოდ, სწავლების გზების, მეთოდების, ხერხებისა და თვალსაჩინო მასალების საფუძვლიან ცოდნას, მათს სწორად შერჩევას, ერთმანეთთან გონივრულ შეხამებასა და შემოქმედებითად გამოყენებას მოითხოვს.

დაახასიათეთ სწავლების ინდუქციური და დედუქციური გზები!

აღნიშნეთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა და გამოყენების ფარგლები გრამატიკის სწავლებაში!

რა სახეები აქვს საუბრის მეთოდს?

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს საუბრის პროცესში გამოყენებული — ახალი მასალის ახსნის, ცოდნის განმტკიცების, ცოდნის შემოწმების — კითხვები?

როგორი უნდა იყოს მოსწავლეთა პასუხები?

დადებითთან ერთად რა უარყოფითი მხარე აქვს საუბრის მეთოდს?

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს თხრობის მეთოდი?

რა უარყოფითი მხარე აქვს თხრობის მეთოდს?

როგორ უნდა ავიცილოთ მოსწავლეთა პასიურობის, ყურადღების შესუსტების მომენტები სასწავლო მასალის თხრობის მეთოდით გადაცემის პროცესში?

რას იტყვით ე. წ. „კითხვების ხერხის“ შესახებ? (ლაპარაკია ენობრივ ერთეულთა ამოსაცნობ კითხვებზე).

დაახასიათეთ შეპირისპირების ხერხი!

რას იტყვით ჩანაცვლების ხერხის შესახებ?

რა შემთხვევაში გამოიყენება ჩასმის ხერხი?

დაახასიათეთ გრამატიკული გარჩევის (ცნობრივი ანალიზის) ხერხი!

ცალ-ცალკე დაახასიათეთ ფონეტიკური გარჩევის ხერხი, მორფოლოგიური გარჩევის ხერხი, სინტაქსური გარჩევის ხერხი, ორთოგრაფიული გარჩევის ხერხი, სტილისტური გარჩევის ხერხი, სინტაქსური გარჩევის ხერხი, სინტაქსურ-მორფოლოგიური გარჩევის ხერხი, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური გარჩევის ხერხი, სინტაქსურ-პუნქტუაციური გარჩევის ხერხი!

რა თვალსაჩინო-ტექნიკური საშუალებანი გამოიყენება გრამატიკის სწავლებაში?

ვარჯიშობანი ფონეტიკის სწავლებაში

1. მოიფიქრეთ ხმოვან ბგერა-ასოზე დაწყებულ (ათი, ირემი...), დამთავრებული (დედა, დრო...), სიტყვები.

2. მოიფიქრეთ მხოლოდ მყღერ ბგერათაგან შემდგარი სიტყვები (ლომი; გემი, ია)...

3. „მყღერი და ყრუ ბგერები“ მეთოდურად დაამუშავეთ (საშუალო სკოლის ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებული ამა თუ იმ თემის მეთოდური დამუშავებისას სტუდენტმა უნდა განიხილოს) შემდეგი ძირითადი საკითხები: ა) თემის ადგილი და მნიშვნელობა ქართულის ენის კურსში; ბ) ცოდნა, ჩვევა და უნარი, რაც უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა ამ თემის შესწავლის შედეგად; გ) ძირითადი მეთოდური რეკომენდაციები თემის შესასწავლად; დ) მოსალოდნელი სიძნელეები თემის დამუშავებისას; ე) თემის დამუშავებისათვის საჭირო დროის მიახლოებით განსაზღვრა.

4. დაალაგეთ მოცემული სიტყვები (აგრონომი... ექიმი... ორმო...) ლექსიკონის წესის მიხედვით.

5. თანაკურსელ სტუდენტთა გვარები დაალაგეთ ანბანის მიხედვით.

6. შეადგინეთ სიტყვები ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი — ბგერა-ასოთა კომბინაციით (ბადე, ვაზი, ია...).

7. ხმოვნის შეცვლით შეადგინეთ სხვადასხვა სიტყვა (ჯარი, ჯერი, ჯორი... ბერი, ბარი, ბური...).

8. თანხმოვნის შეცვლით შეადგინეთ სხვადასხვა სიტყვა (ბარი, დარი, კარი, ხარი, სარი...).

9. მოცემული სიტყვები (ჭა, ხე, თითი, ირემი...) დაალაგეთ მარცვალთა რაოდენობის მიხედვით.

10. ნაკარნახევი სიტყვებიდან ჩაიწერეთ (ძმა, ბიძა, კაცს, კაცი...) მხოლოდ ერთმარცვლიანი სიტყვები (ასევე შეიძლება კარნახით წერა ჩატარდეს ორ და მეტმარცვლიან სიტყვებზეც).

11. მოცემულ წინადადებაში შემავალი სიტყვები გაარჩიეთ (ნუში აყვავილდა) ფონეტიკურ-ორთოგრაფიულად.

12. გაასწორეთ გადატანის წესის მიხედვით უმართებულოდ დაყოფილი სიტყვები (ა-ალაგა, აა-ლა-გა...).

13. დაამზადეთ თვალსაჩინოება თემებზე: „ბგერები“, „თანხმოვანთა ჯგუფები“, „ძირითადი ფონეტიკური წესები“.

ვარჯიშობანი არსებით სახელთა სწავლებაში

1. დაალაგეთ მოცემული არსებითი სახელები (ვარდი, ჯიხვი, ტყე, ქალი, დილა...) ვინ და რა ჯგუფის მიხედვით (ასეთივე დავალება შეიძლება შესრულდეს სულიერთა და უსულოთა, საზოგადო და საკუთარ, აბსტრაქტულ და კონკრეტულ არსებით სახელთა მიხედვითაც).

2. ნაკარნახევიდან ჩაიწერეთ (დათვი, მონადირე, ნაძვი...) მხოლოდ ვინ ჯგუფის არსებითი სახელები (ასევე შეიძლება კარნახით წერა ჩატარდეს სხვა ჯგუფების მიხედვითაც).

3. „საკუთარი და საზოგადო სახელები“ დაამუშავეთ მეთოდურად.

4. დააჯგუფეთ მოცემული არსებითი სახელები სინონიმების, მიხედვით: ვარამი, ვედრება, ვერხვი, ზარალი, ქარიშხალი, თქმა, ოერიში, დავა, დარდი, თხოვნა, ყოფი. ლაპარაკი, მშობლიური ენა, თავდასხმა, მწუხარება, ხვეწნა, ზიანი, თხრობა, შეტევა, ხელადა, ნაღელი, დისკუსია, მუდარა, ვნება, ქარი, კრეფა, ჩარექი, მოყოლა, ჩაფი, იმედი, ხელფასი, დოქი, რწმენა, წამება, კერძი, კოქინი, წვალება, ქარბუქი, ულუფა, შეძახილი, კამათი, შეგროვება, პოლემიკა, დალაგება, მხიარულება, დისპუტი, ნადიმი, მამაცობა, მოწესრიგება, სიამოვნება, ქეიფი, ვაჟკაცობა, ლხინი, დროსტარება, ლომკაცობა, გმირობა.

5. დააწყვილეთ მოცემული არსებითი სახელები ანტონიმების მიხედვით: სითბო, ომი, მტერი, ტირილი, მწუხარება, დანთება, სოფელი, სიყვარული, სიცილი, ჩაცმა, უარი, ხმაური, ქება-დიდება, დამარცხება, ნებართვა, დასაწყისი, წარსული, სიბრძნე, მოგება, შექება, გახდა, სიცივე, ყვირილი, დანგრევა, სიკვდილი, მეგობარი, მშვიდობა, ჩაქრობა, სარგებლობა, აკრძალვა, დასასრული, მომავალი, სირეგვენე, წაგება, სიხარული, ლანძღვა-გინება, სირცხვილი, ჭირი, სიჩუმე, ქალაქი, ავდარი, ლხინი, სიძულვილი, გაკიცხვა, სიცხე, სახელი, სიცოცხლე, დუმილი, აშენება, თანხმობა...

6. შეადგინეთ თხზულება სხვადასხვა თემაზე (თევზაობა, ექსკურსია, ტყეში, თოვლის პაპა, პიონერთა ბანაკში, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, თევზი წყალში არ დაფასდებაო...).

7. გაასწორეთ შეცდომები: დილით ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლათ იქცევი, თუ ხანი დაგაგვიანდა — სპილენძად გადაიქცევი. წყალწაღებული ხავს ეკიდებაო. ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს დაიჭერსო. ჭინჭარის ძირში ჭინჭარი ამოვაო. მგელის შიშით ცხვარი ვის გაუჟლეტიაო. მეზობელი მეზობლის სარკეაო.

ბაღშვი ალერსს მოითხოვს. საკერავი კი ნემსსაო. გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გაგდოო. ჩვენს დროში ურემმა ადგილი მანქანას დაუთმო. ისტორიის გაკვეთილზე ომის ვეტერანმა საუბარი ჩაგვიტარა. ეთერიმ, ალექსმა, თამარიმ და მარიამმა ოქროს მედალი მიიღეს...

8. დაამზადეთ თვალსაჩინოება თემებზე: არსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფები, არსებითი სახელი ფუძეთა მიხედვით, არსებითი სახელის მართლწერა.

9. დაამუშავეთ მეთოდურად „ფუძეუკვეცელ სახელთა ბრუნება".

10. საქმის ქაღალდებზე (განცხადება, მოწმობა, ხელწერილი...) ეარჯიშობა.

როგორც წესი, მართლწერა განვითარებას განიცდის. ამ გარდაუვალი პროცესის გამო ჩვენი მშობლიური ენის მართლწერა დროთა ვითარებაში იცვლებოდა და ვითარდებოდა, თანდათანობით აუმჯობესებდა თავის წესებს, თავისუფლდებოდა ზედმეტი, მოძველებული ნორმებისაგან, დრომოჭმული ფორმებისაგან, რომლებსაც ცოცხალ მეტყველებაში საფუძელი უკვე გამოცლილი ჰქონდათ. ცვლილება ქართულ ანბანსაც შეეხო. თუ ძველად 40-მდე ასო იყო, თანამედროვე ქართულში მხოლოდ 33 ასო მოგვეპოვება. იცვლებოდა ასოთა გრაფიკული სახეც, მოხაზულობაც. ისინი იცვლიდნენ ფორმას, მიმართულებასა და მდებარეობას. მე-9 საუკუნემდე გამოყენებული იყო ე. წ. მრგვლოვანი, ანუ ასომთავრული დაწერილობა, მე-10 და მე-11 საუკუნეებში ძირითადად ხმარობდნენ კუთხური მოხაზულობის, ე. წ. ნუსხურ დაწერილობას, ხოლო ამ უკანასკნელმა ადგილი დაუთმო მხდერულ დაწერილობას, რომლითაც დღესაც ვსარგებლობთ.

ყველაზე სერიოზული რეფორმა ქართულმა მართლწერამ XIX საუკუნის 60-იან წლებში განიცადა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. დიდმა ილიამ მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით გათავისუფლა ქართული ორთოგრაფია ხელოვნურად დანერგილი ტვირთისაგან, არქაული ფორმებისა და ზედმეტი ასოებისაგან, კერძოდ, მან 7 ასო, რომელთა ბგერითი ეკვივალენტი მისი დროის ქართული მეტყველებისათვის ცოცხალი არ იყო, განდევნა ხმარებიდან. ფონეტიკურ პრინციპზე დაყრდნობით დაასაბუთა მათი გამოყენების უსაფუძვლობა, უნიადაგობა. ქართულმა ენამ ეს რეფორმა შეიწყნარა და გაატარა, ილიას შეხედულების სისწორე საზოგადოებრივმა პრაქტიკამ, ქართული ენის შემდგომმა განვითარებამ გაამართლა, დაამტკიცა.

უნდა დავსძინოთ, რომ ენაში ცვლილებები თავისთავად, ავტომატურად როდი წარმოებს. მას ადამიანები ახდენენ. ადამიანთა საზოგადოების გარეშე, კოლექტივის გარეშე ენა, მეტყველების პროცესი, ენის კანონები, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური წესები არ არსებობს. მაგრამ ენას, მის კანონებს, გრამატიკულ ფორმებს ადამიანები ქმნიან, იმუშავებენ არა თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით, არამედ მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად, საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონებისა და პირობების შესაბამისად. ამრიგად, ენის კანონები და წესები ადამიანის ნებისაგან, მისი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ, და ამ კანონებისა და წესების შექმნა, მოსპობა, „ძირითადად გარდაქმნა" ან გაუქმება სუბიექტურ ფაქტორებს არ შეუძლია. რა თქმა უნდა, კომპეტენტურ პირებს შეუძლიათ სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანონ, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ ენის კანონებსა და წესებს საფუძვლიანად შევისწავლით, სწორად დავადგენთ ამ ენის განვლილ ისტორიულ საფეხურებს და გავარკვევთ მისი შემდგომი განვითარების ტენდენციას. ასეთი შეგნებული ჩარევა დადებით შედეგს იძლევა.

სალიტერატურო ენის საკითხში ილია ჭავჭავაძეს სწორედ მეცნიერული პოზიცია ეჭირა. იგი ალღოთი ამჩნევდა იმას, თუ როგორ მიმართებოდა ქართული ენის განვითარების პროცესი, მან ისიც კარგად იცოდა, რომ ინდივიდს არ ძალუძს ენის არც შექმნა და არც გარდაქმნა, მხოლოდ „ხალხია ენის კანონის დამდები... მწერალს აქვს უფლება თქვას ისე, როგორც მოსწონს, როგორც ეხერხება, კრიტიკოსს — შენიშნოს, და ხალხსა — მიიღოს მწერლის ნათქვამი, ეს უფლება მხოლოდ ხალხს ეკუთვნის".[1]

ილია საფუძვლიანად იცნობდა ქართული ენის ისტორიას, შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის მიერ დანერგილ ტრადიციებს, თავისი დროის ცხოვრებას, ხალხის მოთხოვნებსა და ინტერესებს, ქართული ენის განვითარების ტენდენციას. ამიტომ იყო, რომ ორთოგრაფიის გაუმჯობესების, დაზუსტების, სრულყოფისა და გამარტივების მიმართულებით მის მიერ გადადგმული ნაბიჯები, გატარებული ღონისძიებანი მართებული აღმოჩნდა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში სხვადა-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, გვ. 54.

სხვა ავტორის მრავალი ქართული ენის გრამატიკა გამოიცა, ამ პერიოდში გაბატონებული იყო ე. წ. ლოგიცისტური მიმართულება, როგორც ცნობილია, ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები ასე მსჯელობდნენ: ენა აზროვნების იარაღია, მაშასადამე, ენაც იმავე კანონებს ექვემდებარება, რაც აზროვნების კანონებს ახასიათებს. ამრიგად, ისინი აიგივებდნენ ენისა (გრამატიკის) და აზროვნების (ლოგიკის) კანონებს. გარდა ამისა, ერთი საზომით უდგებოდნენ მშობლიური და უცხოური ენის გრამატიკის საკითხებს, უგულებელყოფდნენ ეროვნული ენის სპეციფიკურ კანონებსა და თავისებურებებს. ეს კი, ცხადია, ხელს უშლიდა როგორც ენის გრამატიკული წყობის, ისე მართლწერის საკითხების მეცნიერულად შესწავლასა და გადაწყვეტას. ჩვენი გრამატიკოსებიც ვერ ასცდნენ ლოგიცისტური მიმართულების გავლენას და ისინიც გრამატიკულ ცნებებს, კანონებსა და მართლწერის წესებს განიხილავდნენ ლოგიკის კანონების საფუძველზე. მიუხედავად ასეთი არასწორი მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობისა, ზოგიერთი მათგანი იჩენდა დიდ ენობრივ ალღოს და ქართული ენის ბუნების გათვალისწინებით საგულისხმო თეორიულ, მეთოდიკურ და პრაქტიკულ მოსაზრებებს აყენებდა. ორთოგრაფიული საკითხების წინა პლანზე წამოწევით სხვებისაგან გამოირჩეოდა გამოჩენილი პედაგოგი სილოვან ხუნდაძე. მისმა წიგნმა „ქართული მართლწერა და სწორების საფუძვლები“ თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულა ქართული მართლწერის რამდენადმე მოწესრიგების და, საერთოდ, ორთოგრაფიის საკითხების აქტუალურ პრობლემად გადაქცევის საქმეში.

ქართული ენის ორთოგრაფიის დადგენისა და დაზუსტების საქმეში სერიოზული კვალი დატოვა ს. გორგაძემ. მისი ნაშრომი „ქართული მართლწერა“ (ქუთაისი, 1916 წ.) მეტად მნიშვნელოვანი წიგნია. იგი მართლწერის საკითხების მოგვარებისას მორფოლოგიის პრინციპს ემყარებოდა.

საყურადღებოა, რომ ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების გზიდან გადახვევა სცადეს დეკადენტური მწერლობის წარმომადგენლებმა — „ცისფერყანწელებმა“ და ფუტურისტებმა. „ცისფერყანწელები“ წინაალმდეგი იყვნენ ილია ჭავჭავაძის ტრადიციებისა. მისი შემოღებული „გაადვილებული“ ორთოგრაფიისა და ცდილობდნენ ქართული ენის მობრუნებას ანტონ კათალიკოსის პრინციპებისაკენ. ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

ამჟამად ქართული სალიტერატურო ენა საქართველოს სსრ სახელმწიფო ენაა. დღეს მისი სიწმინდის, სისადავის, შემდგომში გამდიდრებისა და გაფართოების, მთელ ქართველ ხალხში მისი და-

მკვლევრების. მისი ორთოგრაფიული საკითხების დაზუსტებისა და მოწესრიგებისათვის სახელმწიფო ზრუნავს. ეს ამოცანა ეკისრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, კერძოდ, ენათმეცნიერების ინსტიტუტს.

საბჭოთა პერიოდში ქართული ენის ორთოგრაფიის ნორმების დადგენის მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, დაზუსტდა, დაიბეჭდა მართლწერის საკითხებისადმი მიძღვნილი წიგნები, ბროშურები, ლექსიკონები, წერილები. მაგრამ დასადგენი კიდევ ბევრია.

როგორც ცნობილია, ორთოგრაფიას თავისი პრინციპები აქვს. მათ შორის მთავარია ფონეტიკური, მორფოლოგიური და ისტორიული (ტრადიციული) პრინციპები.

ქართულში ძირითადია ფონეტიკური პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, წერისათვის ამოსავალია წარმოთქმა, ამიტომ, თუ მოსწავლეებში დავნერგავთ სწორი წარმოთქმის ჩვევას, ორთოეპიაზე (მართლმეტყველებაზე) მუშაობას მოწოდების სიმაღლეზე დავაყენებთ. მაშ-ნ მართლწერას მტკიცე საფუძველს ჩავუყრით. სამწუხაროდ, შემჩნეულია, რომ მშობლიური ენის სწავლებაში ზოგიერთი მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას უთმობს სწორი წარმოთქმის დაუფლების საქმეს. ბავშვი რომ დაეუფლოს სწორ წარმოთქმას, მთავარია, მან სწორად გაიგოს სიტყვა, აღიქვას მისი ბგერითი შედგენილობა და გარკვეულად აღბეჭდოს თავის გონებაში. სიტყვაში შემავალი ბგერების გაცნობიერებულად, გააზრებულად აღქმის გარეშე სწორი წარმოთქმის ჩვევა არ შეიძინება. სწორად გაგონებასა და სწორად წარმოთქმას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

დადასტურებულია, რომ დამწერს პირდაპირ ქაღალდზე როდი გადაქვს გადმოსაცემი, არამედ გარკვეულ მომენტამდე გონებაში ატარებს მას. გონებაშივე უბგერეოდ „წარმოთქვამს“ სიტყვებს წარმოდგენით. ე. ი. საქმე გვაქვს ე. წ. შინაგან მეტყველებასთან. სიტყვის. თუ შეიძლება ასე ითქვას, აკუსტიკური სახის გახსენებასთან, აღდგენასთან. ამრიგად, წერა არა მარტო მხედველობითი და მოტორული აქტია, არამედ სმენითიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზეპირი მეტყველების (საუბრის, თხრობის) პროცესში ადამიანს ნაკლებად ესაჭიროება სიტყვის მორფოლოგიურად (ძირი, ფუძე, აფიქსები) და ფონეტიკურად (მარცვალი, ბგერა) დაშლა. წერის პროცესში კი. პირიქით, სიტყვების დაშლას გონების. წარმოდგენის საშუალებით სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება.

მართალია, ქართულში ორთოგრაფიასა და ორთოეპიას შორის

მჭიდრო ურთიერთობაა, მაგრამ მეტყველების აკუსტიკურ მხარეს მაინც ვერ დავემყარებით. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისეთი სიტყვები, რომელნიც შერწყმულად წარმოითქმიან. მაგრამ ზოგი შერწყმულად იწერება, ზოგი კი ერთმანეთისაგან გათიშულად, ცალ-ცალკე. მაგალითად, შუადღე, შუა წელი, შუაღამე, შუაკაცი, შუა ხაზი, ფეხისგული და მისთ.

მართლწერის შეთვისებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მხედველობითი აღქმა და წარმოდგენა. სიტყვის გრაფიკული სახის სწორად დამახსოვრების შემთხვევაში შესაძლებელია ადამიანმა ის ყოველთვის სწორად დაწეროს, თვალი დაეხმაროს შეცდომის თავიდან აცილებაში. სწორი მხედველობითი წარმოდგენის შემუშავებაში, ბუნებრივია, დიდი წვლილი შეაქვს დიდაქტიკურ მასალებს (ტაბულებს, პლაკატებს) და ნაკითხობას.

როგორც ცნობილია, ხელის თითების მოძრაობის მრავალგზის განმეორების, ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად ადამიანი იძენს ჩვევას, ე. წ. მოტორულ ჩვევას, რის შემდეგ ნაცნობ სიტყვას იგი მართებულად დაწერს გონების აქტიური ჩარევის გარეშეც.

სუფთა წერაც რამდენადმე ხელს უწყობს მართლწერის დაუფლებას. რადგანაც „კალიგრაფიულად წერა დამწერისაგან მოითხოვს სიტყვის დაშლას ცალკე ელემენტებად, რაც მეტად მნიშვნელოვანია ორთოგრაფიულადაც“.[1]

მართალია, მართლწერის შეძენის საქმეში სმენით-არტიკულაციური, მხედველობითი და მოტორული შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა გარკვეულ როლს ასრულებენ, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც გრამატიკას ენიჭება. სწორედ გრამატიკის, განსაკუთრებით კი მორფოლოგიის საშუალებით ეცნობა მოსწავლე სიტყვის აგებულებას, მის ფორმას, ცვალებადობის წესებს, რაც მართლწერისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ამრიგად, ორთოგრაფიის შეთვისების ფაქტორებიდან ყველაზე მთავარია გრამატიკა. მისი შესწავლა ხელს უწყობს მოსწავლის საერთო კულტურის დონის ამაღლებას, აბსტრაქტული აზროვნების, ენობრივი ფაქტებისა და მოვლენებისადმი შეგნებული დამოკიდებულების უნარის განვითარებას, კითხვის ჩვევის გაუმჯობესებას. ძირითადად გრამატიკა აძლევს მოსწავლის წერით და ზეპირ მეტყველებას შეგნებულ და გააზრებულ ხასიათს (ორთოგრაფიული ჩვევა ვარჯიშობათა საფუძველზეც შეიძლება აღმოცენდეს. მაგრამ ასეთი გზით შეძენილი ჩვე-

[1] ა. ტ ე კ უ ჩ ე ვ ი, რუსული ენის სწავლების მეთოდიკა საშუალო სკოლაში. 1958, გვ. 297.

ვა. გამოცდილება არ იქნება მტკიცე, მყარი და საყოველთაო ხასიათისა. ამ შემთხვევაში გვაქვს ემპირიული ცოდნა, რომელიც თეორიულ საფუძველს მოკლებულია. ნამდვილი ცოდნა გაგებას გულისხმობს, გაგება კი კანონების, წესების, განსაზღვრებების ცოდნაზეა დამოკიდებული). ენის გრამატიკული წყობის ცოდნა აჩქარებს და აადვილებს ორთოგრაფიის შეთვისების საქმეს. მართალია, ორთოგრაფია გრამატიკის ნაწილი არაა, მაგრამ რამდენადაც იგი მის ბაზაზე ისწავლება, ამდენად ორთოგრაფიის მჭიდრო კავშირი გრამატიკასთან ნათელი და გასაგები ხდება. სწორედ ამიტომაა, რომ გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში ორთოგრაფიული წესები და სავარჯიშოებიცაა წარმოდგენილი.

თუ ზოგადად ვიტყვით, ორთოგრაფიის სწავლება ისე უნდა წარიმართოს, რომ მასში მონაწილეობდნენ სმენაც, მხედველობაც, ხელის მოძრაობაც და გრამატიკის (ორთოგრაფიული წესების) ცოდნაც.

მართლწერის სწავლებაში გამოიყენება თხრობა, საუბარი, გრამატიკული გარჩევა (წმინდა ორთოგრაფიული, ორთოგრაფიულ-ფონეტიკური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური გარჩევა), სხვადასხვა სახის გადაწერა, კარნახით წერა, შემოქმედებითი ხასიათის წერითი მუშაობა, თვალსაჩინოება, წერით ნაშრომთა გასწორება.

მართლწერაში მუშაობის საბოლოო მიზანია ჩვევის გამომუშავება. ჯერ წარმოებს წესის გაცნობა, გააზრება, მას მოსდევს უნარის შეძენა, ე. ი. მოსწავლის ამაღლება იმ დონემდე, რომ მან შეძლოს თავის დროზე გაიხსენოს წესი და უნაკლოდ გამოიყენოს იგი ვარჯიშის პროცესში. უნარის შეძენა გულისხმობს ნიადაგის მომზადებას ჩვევის დასაუფლებლად, რომელიც ისევ და ისევ სხვადასხვა ვარჯიშობის (ე. წ. საფიქსაციო ვარჯიშობათა) საშუალებით, მოქმედების მრავალჯერ განმეორების შედეგად შემუშავდება ხოლმე. „ჩვევის წარმოქმნის საფუძველს სასინჯი ცდა და შერჩევა წარმოადგენს. ადამიანი გარკვეულ ორიენტირებზე დაყრდნობით ცდილობს გარკვეული მოქმედების შესრულებას, ამოწმებს შედეგებს. წარმატებული მოძრაობა, გამართლებული ორიენტირების და რეგულაციის გზები თანდათან შეირჩევა და განმტკიცდება, წარუმატებელი და გაუმართლებელი — ჩაიხშობა და გაიცხრილება. ასეთი განმეორებითი პრაქტიკული ცდების გარეშე შეუძლებელია რაიმე ჩვევის ჩამოყალიბება“. [1]

---

[1] ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია, პროფ. ა. პეტროვსკის რედაქციით, 1977, გვ. 245.

წესის, კანონებისა და, საერთოდ, თეორიული მასალის ცოდნა, მთავარია, მაგრამ ჩვევისათვის ეს მაინც საკმარისი არ არის. ჩვევა ანუ, როგორც იტყვიან, ავტომატიზებული მოქმედება მაშინ გვეხმარება, როცა სიტყვის წერის პროცესთან დაკავშირებული მოქმედებები (სამოძრაო აქტი) სრულდება ავტომატურად, თავისუფლად, სწორად, სტერეოტიპულად, სწრაფად და ადვილად, ყურადღებისა და ნებისყოფის ნაკლები დაძაბვით, წესის გახსენების, აზროვნების აქტიურად ჩარევის გარეშე, ცნობიერების კონტროლის გაუწევლად, ზედმეტ მოძრაობათა გაუკეთებლად, ნაკლები დროისა და ენერგიის დახარჯვით.

წიგნიერი ადამიანი ჩვეულებრივ არ ფიქრობს იმაზე, თუ რამდენი მარცვლისა ან ბგერა-ასოსაგან შედგება დასაწერი სიტყვა, არც მის აფიქსებზე უხდება ყურადღების გამახვილება, არ სჭირდება წესის გახსენება, არც იმაზე ფიქრობს, თუ როგორ შეასრულოს ამა თუ იმ ასოს დაწერასთან ან ასოების ერთმანეთთან გადაბმასთან დაკავშირებული მოძრაობანი. ყველაფერი ეს ავტომატურად ხელის საშუალებით და თითქმის მისივე კონტროლით სრულდება. ამგვარი რამ სწავლების პირველ ეტაპზე ცნობიერების საგანი იყო, ახლა არ საჭიროებს გახსენებას, ყურადღების კონცენტრაციას. მოქმედების ცალკეულმა ელემენტებმა მრავალგზის განმეორების შედეგად დაკარგეს დამოუკიდებლობა და მთლიანობაში გადაიზარდნენ, შეერთდნენ, შეერწყნენ ერთმანეთს, რის შედეგად ყველა მოძრაობა, მოქმედება სრულდება ყოყმანის გარეშე, თითქმის გონების ჩაურევლად, უცვლელად მეორდება საჭირო მოქმედებანი.

ცნობილია, რომ ჩვევაც დავიწყებას ეძლევა, ანუ როგორც ფსიქოლოგები იტყვიან, იშლება, ხდება მისი დეავტომატიზაცია. თუ მის შესანარჩუნებლად პერიოდულად ვარჯიშობებს არ ჩავატარებო. დავიწყების რეციდივის, დეავტომატიზაციის თავიდან ასაცილებლად, ანუ „ფორმაში ყოფნისათვის“ დროდადრო საჭიროა ვარჯიშობანი. უნდა დავსძინოთ, რომ, საერთოდ, განმეორება გავლილის მექანიკურად ხელახალი აღდგენის პროცესი როდია. იგი ცოდნის, შესწავლილი მასალის გაგების, გაღრმავების, საკითხის ახალი კუთხით, ახალი ასპექტით დანახვა-დაუფლებაცაა. ამიტომ განმეორების დროს აუცილებელია ახლის ელემენტების შეტანა მუშაობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში განმეორება მომაბეზრებელი და უეფექტო იქნება. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ მოსწავლემ ძველში, გავლილში რაიმე ახალი არ შენიშნა, თუ შეთვისებულში, დამახსოვრებულში რაიმე განსხვავებული არ დაინახა და წინსვლა არ იგრძნო, მუშაობის ხალისი არ იქნება და ვარჯიში უნაყო-

ფოდ ჩაივლის. ახლის ელემენტები მრავალგვარად შეიძლება განხორციელდეს: საკითხისადმი სხვა ასპექტით მიდგომა, ვარჯიშობანი სხვაგვარ სიტუაციაში, „ახალ კომბინაციაში“, მუშაობა ახალ მაგალითებზე, წინათ გამოყენებულ მასალებზე, სადაც საჭიროა და შესაძლებელია ახალი, დამატებითი ცნობის მიწოდება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და სხვ. აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენს სკოლებში ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ ჩვევათა გამომუშავებისა და შენარჩუნებისათვის ნაკლებად ზრუნავენ. სწავლება ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვარჯიშობა მოწოდების სიმაღლეზე არ დგას. სწორედ ამით აისხნება, რომ მოსწავლეებმა წესები. კანონები ზეპირად თითქოს კარგად იციან, მაგრამ ეს ცოდნა ქმედითი არ არის. მათ ნაწერებში ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები მაინც ბლომად შეინიშნება.

11. ქართული ენის სწავლების პროცესში სასწავლო ტექნიკური ხელსაწყოების (ეპიდიასკოპის, კოდოსკოპის...) მოხმარებაზე ვარჯიშობა.

12. გააანალიზეთ „თანდებულიანი მიცემითის სწავლებასთან დაკავშირებით გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშოები“.

ვარჯიშობანი ზედსართავი სახელის სწავლებაში

13. დააჯგუფეთ მოცემული სიტყვები არსებითი და ზედსართავი სახელების მიხედვით: შავი, მოშავო, წითელი, სიწითლე, მოკლე, მზიანი, ტყე. მზე, ტყიანი, ბავშვი, სირაქლემა, ბავშვური, ლურჯი, ნიჭიერი, ნიჭი, წყალი, წყლიანი, ღონიერი, უღონო, ღონე, სიგრძე, მწვანე. სიყვითლე, ბუჩქი, ბუჩქნარი, მთიანი, ქვა, მთა, ქვიანი, ლრუბელი, ლრუბლიანი, ახალი, ცივი, უახლესი, სიცივე. მაღალი, სიმაღლე, მშშარა, გულადი.

14. მოცემული სიუჟეტით — თეთრწვერა ზამთარი, მშიერი ბეღურები, ტყუილის მთქმელს მართალსაც არ დაუჯერებენო, მერცხლები მოფრინდნენ — შეადგინეთ პატარა მოთხრობა ზედსართავი სახელების გამოყენებით.

15. როგორი? რომელი? როდინდელი? — კითხვებზე მოიფიქრეთ ზედსართავი სახელები და გამოიყენეთ წინადადებაში.

16. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვებიდან შეარჩიეთ რომელიმე: კოლმეურნეობამ სიმინდის (მაღალი, უხვი, დიდი, ბარაქიანი) მოსავალი მიიღო. ირაკლი (წამყვანი, მოწინავე) მოსწავლეა. ა. ბედოიძემ (წმინდა, სუფთა) გამარჯვება მოიპოვა ჭიდაობაში. ელისოს

მუდამ (სუფთა, წმინდა) ტანისამოსი აცვია. (ბებერი, მოხუცი, ხნიერი, ხანდაზმული) ხარისა რქებიც კი ხნავსო. (კარგი, კეთილი) კაცს პურმარილი ზღვაზე ხიდად გაიდებაო. (ბრმა, უსინათლო) ხარსა სხვისი მოხნული თავისი ეგონაო. (ძველი, ნახმარი) ჩოხა და ნაბადი ზამთარში მოგეწონებაო. (მუქთი. უფასო, ტყუილად ნაშოვნი) ძმარი შაქარზე უტკბესიაო.

17. მოცემული ზედსართავი სახელები დააჯგუფეთ სინონიმების მიხედვით: მკაცრი, ბეჩავი, თანაბარი, ნორჩი, ცუდი, წრესგადასული. მატყუარა. საბრალო, ტოლფასიანი, ბოროტი, საცოდავი, აჯამი, ზარმაცი. სასტიკი, თავშეუკავებელი, ზანტი, ავი, უდრეკი, გაიძვერა. მრისხანე, თანასწორი, თავდაჭერილი, მძინარე, ერთნაირი, უქნარა. უმწეო. უკულმართი, მედგარი. ბადალი, მედიდური, ჯიუტი, ქორფა, ამპარტავანი, ხელოვნური, უხმარი, მხეცური, ეშმაკი, ერთგული, ცბიერი. ნაძალადევი, მოჩვენებითი, არაბუნებრივი.

18. შეურჩიეთ სინონიმები გამოთქმებს: კარგი მოსავალი, კარგი მოსწავლე. კარგი ტყე. კარგი ამინდი, კარგი ექიმი, ღრმა მდინარე. ღრმა მწუხარება, ღრმა ძილი, ღრმა ცოდნა, ცარიელი ხელით, ცარიელი სიტყვა. ცარიელი თავი, ცარიელი სახლი, რბილი ხასიათი, რბილი ჰაერი, რბილი ვაგონი, მაგარი გული, მაგარი სასმელი, მაგარი ჯებირი... ნიმუშისათვის: მძიმე ტვირთი (დიდი, უზარმაზარი, ძნელი). მძიმე ფიქრები (ძნელი. აუტანელი).

19. გაარჩიეთ მ. რეხვიაშვილის წიგნი — ზედსართავი სახელის სწავლება სკოლაში, 1975.

20. ბეჯითი, გონიერი, მაძღარი, ღონიერი, ამხანაგური, ჩვეულებრივი, ლამაზი, ძველი, ბნელი, მდიდარი, მართალი, ცარიელი, ტყუილი, მაგარი, ვარეული, უბრალო, ჭუჭყიანი, ცრუ. ტკბილი, გულადი, რბილი. სველი, შინაური, უღონო, უმი, ჭკვიანი, მშიშარა, ფიცხი, ძუნწი, ბედნიერი. ნიჭიერი. მოხარშული, დინჯი, უსრული, ძნელი, კეთილი, სუფთა. სავსე, მწარე, ცუდი. ძვირი. კარგი, უჭკუო. არაამხანაგური. უშნო. ახალი. აღვილი, მშიერი, მშვიდი. ღარიბი. უნიჭო. ცელქი, იაფი — სიტყვები დააწყვილეთ ანტონიმების მიხედვით.

21. სწორი ხაზი. სწორი შეხედულება, სწორი პასუხი, სწორი მინდორი. სწორი კაცი, მოკლე გზა, მოკლე სიტყვა, მოკლე ხაზი, ბნელი ღამე. ბნელი საქმე. ბნელი აზრი, მკაცრი ზამთარი. მკაცრი ადამიანი. მკაცრი განაჩენი. ცივი გული. ცივი ამინდი, ცივი სიტყვა — გამოთქმებისათვის ანტონიმების შერჩევა.

22. შავი გული, შავი სამუშაო, შავი დღე, შავი საქმე, ტკბილი ჩაი, ტკბილი საღამო, ტკბილი საუბარი, ტკბილი ცხოვრება, მძიმე

დანაშაული, მძიმე დღეები, მსუბუქი ავტომობილი, მსუბუქი სამუშაო, მსუბუქი ჭკუა — გამოთქმების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები.

23. დიდს კაცთან პატარა კაცს როდის გასვლია მართალი. დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელი ქათამსო. კარგი ხარ, კარგი ყოფაო, კარგი ცხვარო და ძროსაო. იაფფასიანი ხარს უღელი არ დაედგმევაო. უკუნური მეგობარს გონიერი მტერი სჯობიაო. დიდ გვალვას დიდი ავდარი მოსდევსო. ცარიელ ქოთანში თითს არავინ ჩაჰყოფს. ავ მოვალემ რაც მოგცეს, გამოართვიო. შურიანი კაცსა მეზობლის ვარდი თვალში ეკლად ეჩხირებოდაო. კარგი ამხანაგობა კარგი ძმობის დარიაო — სადაც საჭიროა, შეცდომები გაასწორეთ.

24. თვალსაჩინოება დაამზადეთ თემებზე: „ზედსართავი სახელის შინაარსობრივი ჯგუფები“. „ზედსართავი სახელის ხარისხები“, „ზედსართავი სახელის ბრუნება“.

25. მოცემული წინადადებები გამართეთ სტილისტიკურად: გუშინდელი ღამე ავადმყოფს შავად გაუთენდა. მდინარეში შავი კამეჩები ჩაწოლილიყვნენ. იქვე ბარდნარში შავი შაშვი ჭახჭახებდა. ეასომ დაგვიანებისათვის მაგარი საყვედური მიიღო. იანვარში დიდი თეთრი თოვლი მოვიდა. მდინარეები ცივი ყინულით დაიფარა. ბრიყვი სულელი სხვას ჭკუას ასწავლიდაო. მაღაზიაში ბლომად აქვთ ტკბილი შაქარი და თაფლი...

ვარჯიშობანი რიცხვითი სახელის სწავლებაში

26. მოცემული რიცხვითი სახელების დაჯგუფება შინაარსის მიხედვით (მეორე, ათი, მეოთხედი, ნახევარი, მეექვსე...).

27. გაარკვიეთ, თუ რომელია სწორი: ას ოცი — ასოცი, სამას სამოცი — სამასსამოცი, ათას ორასი — ათასორასი, სამი ათას ორმოცი — სამიათასორმოცი, ას ათი — ასათი, 5-ე — მე-5, 24-ე — მე-24, მე-III — III-ე — III, ათი საათია თუ — მეათე საათია? მერვე თვეა თუ — რვა თვეა? რამდენი საათია? თუ — მერამდენე საათია? თუ — რომელი საათია? რომელ კლასშია? თუ — მერამდენე კლასშია?

28. მოცემული არსებითი სახელები დააჯგუფეთ იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი შეიწყობს (დაირთავს) რიცხვით სახელს, რომელი არა: სპილო, სიმაღლე, ბავშვი, ბავშვობა, ნისლი, კალმახი, ტყე, ფეხბურთელი, ზუგდიდი, სიცოცხლე, ხე, მთა, წყალი, ცხენი, კამეჩი, გზა, ახალგაზრდა, ახალგაზრდობა, ჩიქოვანი, ჭკუა, რეეუ-

ლი, წვიმა, სეტყვა, ტრაქტორი, აგრონომი, სიმინდი, მონადირე, გმირობა.

29. ნაკარნახევიდან ჩაიწერეთ მხოლოდ რაოდენობითი რიცხვითი სახელები: ოცი, მეათე, მესამედი, ასე, მესამოცე, მეოთხედი... (ასევე შეიძლება კარნახით წერა ჩატარდეს რიგობით რიცხვით სახელებზეც. ტექსტს სტუდენტები შეადგენენ).

30. მიეცით სათანადო ფორმა ფრჩხილებში წარმოდგენილ რიცხვით სახელს: (ერთი) აკენის ბავშვის სტუმრობას (თხუთმეტი) ცხენოსნის სტუმრობა სჯობიაო. (ათი) ოქტომბერს ზოგან რთველი დაიწყო. (შვიდი) სადილზე რომ შეესწრო, (შვიდი) ლუკმა აიღეო. (ერთი) თხილის გული (ცხრა) ძმამ გაიყოო. (ერთი) ხელით (ორი) საზამთროს ვერ დაიჭერო. (ასი) კაცმა (ასი კაცი დაიტიაო. (ორი) კურდღლის მდევარმა ვერც (ერთი) დაიჭირაო. ოცდან (სამი) მოჭიდავემ პირველობა მოიპოვა. (ორი) ყოჩის თავი (ერთი) ქვაბში არ მოიხარშაო. (ათასი) უგულო მემამრს გულადი (ორი) სჯობიაო. (სამი) დღემდე (სამი) იცის. (სამი) დღის შემდეგ თემმა იცისო. ვაგონის ზოგიერთი ნაწილი (ასი) და (ორასი) კი არა, (სამასი) და (ოთხასი) კილოგრამს იწონის.

31. შეადგინეთ რაიმე თემაზე პატარა მოთხრობა მასში რიცხვითი სახელების გამოყენებით.

32. ს-ზე დაბოლოებული რიცხვითი სახელი დასვით მიცემით ბრუნვაში და წინადადებაში გამოიყენეთ. შესრულება: ექვსს რომ თოთხმეტი მივუმატოთ, იქნება ოცი. ოცდაექვსს თუ ექვსზე გავამრავლებთ, გვექნება ას ორმოცდათექვსმეტი. ორასს თუ ასს მივუმატებთ, მივიღებთ სამასს. ათასს თუ ექვსას მივუმატებთ, გვექნება ათას ექვსასი (შენიშვნა: ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს არა არითმეტიკული ხასიათის ეარჯიშობანი, არამედ რიცხვით სახელთა მართლწერის დაუფლება. თუმცა, გამოანგარიშების სისწორესაც უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ). 32. 33, 23, 43, 83, 103 რიცხვების სიტყვებად გამოხატვა და მოთხრობით ბრუნვაში დასმით წინადადებაში გამოყენება.

33. დაამუშავეთ მეთოდურად „რიგობითი რიცხვითი სახელი“.
34. გაასწორეთ შეცდომები: მარიამმა სამნახევარი კილო შაქარი იყიდა, ასმათმა კი — სამკილო ნახევარი. ფაბრიკაში გურამმა ხუთწელნახევარი იმუშავა, კომლეურნეობაში ორნახევარი თვეა უკვე მუშაობს. ონოფრე მე-4-ე კლასში სწავლობს, ნინო კი მე-6 კლასშია. ანიკო V-ე კლასში გადავიდა, ლილი კი მე-VI კლასში დარჩა. სამ ჩვენმა კლასელმა ქების სიგელი მიიღო.

ვარჯიშობანი ნაცვალსახელის სწავლებაში

35. გამოსახეთ სქემატურად „ნაცვალსახელის შინაარსობრივი ჯგუფები“.

36. ფრჩხილები გახსენით და ნაცვალსახელს სათანადო ფორმა მიეცით: (ამდენი) აღმართს თავდაღმართიც ექნებაო. (ამდენი) მგლის ღმუილი უომოდ არ ჩაივლისო. (სხვა) ორმოს ნუ უთხრი, შენ თვითონ არ გადავარდეო. (რომელი) ქვეყანაშიც მიხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო. (ისეთი) ფურმა დამწყისლოს, (რომელიც) ჩემზე მეტს იწველებაო. (რომელი) თითსაც მოვიჭრი, ყველა მეტკინებაო. (ყოველი) ფრინველის ხორცი როდი იჭმევაო. (ის) მეზობლის ჭირიმე. (რომელიც) კვერცხზე მარილს მომიყრისო. (ყველა) ბედნიერი ისაა, ვისაც გაჭირვების არ ეშინიაო. ქვევრს (რა) ჩასძახებ, (ის) ამოგძახებსო. (სხვა) სხვისი მზე არ ეთმობაო. (ეს) ძვალი (ის) ძვალსა ვერც ხრავს და ვერც ეშვებაო. (ის) რკინა სჯობს (ის) რკინასა. რა რკინაც გასჭრის რკინასა.

37. მოცემული ნაცვალსახელები დაალაგეთ ჯგუფების მიხედვით: მე, არავინ, ეს, ვიღაც, ჩემი, ვინ? ვინც, თვით (თვითონ), ვერავინ, შენ, ის, შენი, რა? რაც, ყოველი, რაღაც, ვიღაც, ნურავინ (ნუვინ), ასეთი, მისი (იმისი), ჩვენი, რომელი, როგორიც, ყველა, ვინმე, რომელიმე, არაფერი.

38. დაამუშავეთ მეთოდურად „პირთა ნაცვალსახელის ბრუნება“.

39. წერტილების ადგილას საჭიროების მიხედვით ჩაუმატეთ თავისი (თვისი) და მისი (იმისი) ნაცვალსახელი: ყვავსაც... ბახალა მოსწონსო. ვისაც სხვისი ბედნიერება შურს, ვერც... მოესწრებაო. ასი ურტყი დავითასა, მაინც იტყვის... ბრმა ხარს სხვისი მოხნული... ჰგონიაო. ყველაზე მთაღარი კაცისთვის... თავის ცნობაა. არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი... ყველა... ჩოდა, მეგახირე ბუზანკალსო. ... თვალში ძელს ვერ ამჩნევს. სხვისაში ბეწვსა ხედავსო. ... ნათქვამი ყოველთვის გიემახსოვრება. ...კარებზე ძაღლსაც დიდი გული აქვსო. ...დროზედ დალეული შხამიც კი ტკბილი არისო.

40. მათ, ამათ ნაცვალსახელებს დაურთეთ „თან“ თანდებულის დართვა და წინადადებაში გამოიყენეთ.

41. გააანალიზეთ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ბრუნებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საგარჯიშოები.

42. ფრჩხილებში მოცემული ნაცვალსახელებიდან შეარჩიეთ შესაფერისი: ძაღლი (თავისი, მისი) პატრონს არ შორღება. ლევანი

(თავისი, მისი) ბინაში დაგვხვდა. კაცი (თავისი, მისი) ბედს ვერ გაექცევაო. შოთა (თავისი, მისი) წარმატებით კმაყოფილია. სხვისი გული სასაცილოა, (თავისი, მისი) კი სამარცხვინო. ბრიგადირმა (მათ, იმათ) სამუშაო მიუჩინა. (მათ, იმათ, იმათმა) დარგულმა ყვავილებმა უკვე გაიხარეს. ამოცანა (იმაშია, იმაში მდგომარეობს, ის არის), რომ (მათ, იმათ) შემდეგშიც არ მოაკლონ ზრუნვა და პატრონობა.

43. მოცემული წინადადებები ისე გადააკეთეთ, რომ აზრი ნათელი გახდეს: ლეილამ მელია დაინახა. ის შეშინდა და გაიქცა (რომელი შეშინდა: ლეილა თუ მელია?). ანიკო შეხვდა თამარს. ის მას მიესალმა. ეკამ ბაბუას მოუსმინა. ის კმაყოფილი დარჩა. პიონერები ტურისტებს შეხვდნენ. ისინი ამ შეხვედრით ნასიამოვნები დარჩნენ. ელისოს თამარი ესტუმრა. მან მას უამბო თავისი გასაჭირი. ერმინე და ვახტანგი მზვერავად წავიდნენ. მტრის ტყვიამ ის დაჭრა. ათანასე და არკადი კრებას ესწრებოდნენ. ის მალე წავიდა. მაიკო და ტატიანა ჩაის კრეფდნენ. მან 80 კილოგრამი მოკრიფა.

44. მოცემულ წინადადებებში საჭიროების მიხედვით შეცვალეთ არსებითი სახელი ნაცვალსახელით: 1) თეიმურაზი ტყეში წავიდა. თეიმურაზმა ხის გამხმარი ტოტები შეაგროვა და შინ წასვლა დააპირა. ამ დროს თეიმურაზმა შაშვის ბუდე დაინახა. თენგიზი ხეზე აცოცდა. ბუდეში სამი ბარტყი იყო და თენგიზმა ბარტყებს ხელი არ ახლო. შეეცოდა. 2) მგელი ცხვრებს გამოეკიდა, მგელი მალე დაეწია ცხვრებს. მგელმა სამი ცხვარი დაგლიჯა. მგელს მწყემსმა მიუსწრო, ესროლა და სული გააცხებინა მგელს. 3) პიონერებმა გადაწყვიტეს, მოხუც თედოს დახმარებოდნენ საკარმიდამოს დამუშავებაში. დილით ადრე პიონერები თედოს ეზოში შეგროვდნენ და მუშაობას შეუდგნენ. პიონერებმა დაბარეს ვენახი და ბოსტანი. თედომ მადლობა გამოუცხადა პიონერებს. პიონერები შინ კმაყოფილნი დაბრუნდნენ.

45. გაასწორეთ შეცდომები: იგინმა მითხრეს. რიღათი იკვებებიან ჩიტები ზამთარში. არავინმა არ გამოიარა...

46. მოცემულ ტექსტში საჭიროების მიხედვით ნაცვალსახელი შეცვალეთ არსებითი სახელით: მერი ბებიას გაეპარა. იგი სადგურისკენ მიმავალ ქუჩას დაადგა. მას მანქანების არ ეშინოდა. ამიტომ ის მოძრაობის წესებს არ იცავდა. მანქანა გამოჩნდა, მაგრამ მან შუა ქუჩაში განაგრძნო სიარული.

47. საკონტროლო კარნახი (საკარნახო ტექსტში შეიტანება ყველა ის ორთოგრამა, რაც ნაცვალსახელთან დაკავშირებით საშუალო სკოლის პროგრამითაა გათვალისწინებული).

ვარჯიშობანი წარმოქმნილ სახელთა სწავლებაში

48. უდროო, უუნარო, საანალიზო, საადრეო, საავიაციო, საარქივო, ცხრაასი, საანბანო — სიტყვებში გარკვევა იმისა, თუ რატომ იყრის თავს ერთიმეორის მიყოლებით ორი ერთნაირი ხმოვანი.

49. დაამუშავეთ მეთოდურად „სადაურობის სახელები“.

50. გაარკვიეთ, თუ რატომ იყრის ერთიმეორის მიყოლებით ორი ერთნაირი თანხმოვანი მოცემულ რთულ სახელებში: ათთვიანი, ერთთვიანი, ახლადდაბედებული, ბეჭედდასმული, შვიდდღიანი, მედდა, შინაარსი, რიგგარეშე, სამმანეთიანი, ოცდაათთუმნიანი, სამმილიონიანი, ექვსსართულიანი, ოთხხაზიანი, კალამმომარჯვებული, ორრიცხვიანი, ღირსსახსოვარი, ვირუსსაწინააღმდეგო (პრეპარატი), ექვსსულიანი.

51. დააჯგუფეთ მოცემული სახელები ერთნაირი ძირების მიხედვით: წყალი, ცხენი, სახელი, სვანი, საწიგნე, ძროხა, ცხენოსანი, წყლიანი, ღორი, დასახლებული, სვანური, საძროხე, ცოცხალი, კაცი, წუთი, ქორი, მუშური, გონება, ბიჭი, უწიგნური, მეღორე, კაცობა, მუშაობა, ქორობა, გონიერი, წიგნიერი, მუშა, ბიჭური, საღორე, უსიცოცხლო, მწიგნობარი, კაცური, საწუთრო, სიცოცხლე, ბიჭობა, წიგნი, წუთიერი, უგონო.

52. გახსენით ფრჩხილები და შეადგინეთ რთული სახელები: (დედა) ენა, (წერა) კითხვა, (ჯარი) კაცი, (დედა) კაცი, (დედა) ნაცვალი, (მთა) ბარი, (ახალი) ახალი, (ტოლი) ამხანაგი, (დევი) გმირი, (ვალი) მოხდილი, (ცხვირი) პირი, (რკინა) გზა, (ტანი) ვარჯიში, (ბედი) ღობალი, (სახლი) კარი, (ქედი) მოუხრელი (ამ შემთხვევაში შეიძლება ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოყენება).

53. დააჯგუფეთ სახელები მარტივ, ნაწარმოებ და რთულ ფუძეთა მიხედვით: ბავშვი, სატყეო, ბავშვური, მონადირე, ნადირი, ჭრელ-ჭრელი, სიგრძე, ქორი, მერცხალი, ქარბუქი, მარტოხელა, ციცინათელა, ავდარი, მზე, ცისკარი, მეღორე, ბოლოსართი, ბეპელა, სასოფლო, ფეხბურთი, შავი, ღრუბლიანი, მეხუთე, ხე, დისშვილი, ჩხეიძე, კიკნაძე, ღვინიაშვილი, ერისთავი.

54. მოცემული არსებითი სახელები გადააკეთეთ მიმართებით ზედსართავ სახელად და გამოიყენეთ წინადადებაში: ღრუბელი, ტყე, გმირი, ფესი, კახეთი, გონება (ნიმუშისათვის: ჭკუა — ჭკვიანი კაცი რომ შეცდება, ბრიყვზე უარესიაო).

55. დაამზადეთ თეალსაჩინო მასალა თემებზე: „ბოლოსართიანი წარმოქმნა“, „თავსართ-ბოლოსართიანი წარმოქმნა“.

56. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ რთული სახელები: ქარი,

ერთი, სამი, ტანი, მრავალი, ხილი, ავი, შიშველი, ჭირი, მტერი, გონება, ბუქი, ხელი, სართულიანი, გული, სამოსი, წლიანი, ბოსტანი, დარი, ტიტველი, ვარამი, მოყვარე, მახვილი, პირი.

57. ნაკარნახევიდან მხოლოდ რთული სახელები ჩაიწერეთ (დევგმირი, სასაუზმე...)

58. დააჯგუფეთ მოცემული სახელები არსებითის, ზედსართავის, რიცხვითისა და ნაცვალსახელის მიხედვით (ტექსტში მიმობნეულად თანაბარი რაოდენობით იქნება თითოეული მათგანი).

59. გაშალეთ შემოკლებული სახელები: პედინსტიტუტი, სახელგამი, ფიზკულტურა, რაიკომი და მისთ. (ნიმუშისათვის: აღმასკომი — აღმასრულებელი კომიტეტი).

ზმნის სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მუშაობა

1. დააჯგუფეთ მოქმედებითისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნები: ასხია, ამჩნევია, აქებს, აბია, დგას, ტირის, ჭედავს, ჰგონია, ჭრის, ანათებს, აცვია, არტყია, ენთო, ბარავს, ურევია, შეკრიბა, ხერხავს, აწერია, ყვირის, გდია, დაადგო, მოაბა, დუმს, აჩუქა, ხატავს, აფენია, აბნევია, მოაბნია, მირბის, ბარავს, სძინავს, ღვიძავს, თვლემს, ზის, გაჩერებულია, ავიდა, წუხს, ფიქრობს, წევს, აწვენს, დაასხა, დალია.

2. მოცემული სახელები ზმნებად გადააკეთეთ: ბარი, ბალახი, მთა, ნათელი, წითელი, ერთი, ქარი, ყვირილი, ნისლი, ირემი, ყვავილი, დიდი, წიგნი, ფანქარი, ორი, ნადირი, სადილი, თხა, ღორი, მარცხი, ავდარი, ზღვა, ჩიტი, ფრინველი, ღამე, საუზმე. მელანი, ჭერი, სახლი (შენიშვნა: აქა-იქ ურევია ისეთი სიტყვები, რომელთაგან ზმნა არ წარმოიქმნება. მისი მიზანია, სტუდენტი დაუფიქრებლად, მექანიკურად არ მიუდგეს დავალების შესრულებას).

3. მოცემული ზმნები დააჯგუფეთ პირთა რაოდენობის მიხედვით: დგას, უგზავნის, აუთოებს...

4. დაამზადეთ თვალსაჩინო მასალები თემებზე: „ზმნა პირთა რაოდენობის მიხედვით“, „ზმნა პირთა რომელობის მიხედვით“, „ზმნა პირთა როგორობის მიხედვით“.

5. ნაკარნახევიდან მხოლოდ ზმნათა ჩაწერა (იგულისხმება, რომ საკარნახო ტექსტში წარმოდგენილი იქნება სახელებიც: კითხულობს, ამხანაგი და მისთ.).

6. შეადგინეთ პატარა მოთხრობა ერთპირიან ზმნათა შერევით (ასევე ორპირიანი და სამპირიანი ზმნების შერევითაც).

7. დააჯგუფეთ ზმნები სინონიმების მიხედვით: დახოცა, ბრწყი-

ნავს. აქვს. მისცა, ჩააგონა, გათენდა, შეაკავა. ემუდარება, ააფორიაქა. ყვირის, აღრიალდა, წავიდა, გაჟღერტა, ანათებს, ჰყავს, უბოძა. შეაგვებინა, შეაჩერა, ააწიოკა, მიართვა, ხელი გაუწოდა, მოარჩინა, გადაწყვიტა, დაამშვენა, ელვარებს, გაიჩინა, მიართვა, დაარწმუნა, დააცხრო, აურია, გაატიტვლა. განკურნა, მუსრი გაავლო, ეხვეწება. ასლუკუნდა, კიაფობს, აბადია, მიაწოდა, ჩაუნერგა, მოხუცდა, დააშოშმინა, არევ-დარევა შეიტანა, გაანადგურა, კაშკაშებს, მოეპოვება, შესთავაზა, თვალები აუხილა. წაჩანჩალდა. დაარიგა, გამოჯანსაღდა, დაჩაჩანაკდა, მოსპო, ბრეყვიალებს, მიეშველა, ფლობს. შეაძლია, ალაგმა, დაამშვიდა, ფეხზე დადგა, ირეყრაყა, დაბერდა, გააშიშვლა, გაალამაზა, თხოვს, დაეხმარა, ატირდა, ციმციმებს, გამოუდგა, უჭირავს, აკეთებს, მის განკარგულებაშია, ეშურება, მიახალა, წივის, გამოეკიდა, სიკვდილს გადაურჩა. ჯანზე მოვიდა, მიემართება, პრიალებს, ეკუთვნის, შვრება, მიუგდო. გამოედევნა, მომჯობინდა, მიისწრაფის, მოღონიერდა, კივის, სჩადის, წაბრძანდა. იზამს. ღრიალებს. წაეთრია, მიიჩქარის, ხმაურობს, გზას გაუდგა, გუდა-ნაბადი აიკრა.

8. გაბრაზდა, სურს, აზროვნებს — ზმნებს შეურჩიეთ სინონიმები.

9. ამშვიდებს, წითლდება, იზრდება. ადნობს — ზმნები გამოიყენეთ სხვადასხვა კონტექსტში. ნიმუშისათვის: დგას — მატარებელი დგას (არ მიდის). ქარი ჩადგა (მიწყნარდა). შემოდგომა დადგა (დაიწყო). სტუმრებთან განშორების წუთი დადგა (მოვიდა). საქმეს თავი ვერ დაადგა (ვერ მოაბა). ენას კბილები დაადგი! (დააჭირე!). ბავშვმა ენა აიდგა (ალაპარაკდა). წინ დაუდგა (გადაეღობა). დაუხვედა. თხრილში წყალი ჩადგა (დაგუბდა). აეადმყოფი უკვე ადგა (გამოკეთდა, გამოჯანსაღდა).

10. ასუფთავებს, აშენებს, აჩუქა, გაიმარჯვა. სძინავს. კეტავს. აქებს, ანაგვიანებს, ანგრევს, წაართვა, თავი შეირცხვინა, დაიჭირეს, თავი ისახელა. გაავსო, შეაშინა, წიგნი გაშალა. მოძებნა. შეანელა. დასწყევლა, დამარცხდა, აქრობს, უარყო, დასცალა, დგას, დაეთანხმა, გაათავისუფლეს, დაკარგა, ღვიძავს — ზმნები დააჯგუფეთ ანტონიმების მიხედვით.

11. გააანალიზეთ „ობიექტური პირების სწავლებასთან დაკავშირებით სასელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშოები“.

12. ფრჩხილებში წარმოდგენილი ზმნებიდან შეარჩიეთ მართებული: ვინც ქარს (დათესავს. დასთესავს) ქარიშხალს მოიმკისო. მწიფეს (ესროდენ, ესროდნენ). მკვახე (სცვივოდაო ცვივოდაო). სხვისი ხელით ნარს (ნუ მოჰგლეჯ! ნუ მოგლეჯ!). შევნებულთან ჭირი (სჯობია, ჯობია) შეუგნებელთან ლხინსაო. ჯერ მწარე (ქამე, სქამე),

კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა. ჯერ ფონს (იკითხვენ, იკითხავენ და მერე წყალში (შეტოპავენო, შესტოპავენო). მთელი ჩვენი ხალხი (აღდგა, ადგა) ფაშისტების წინააღმდეგ. ავადმყოფი უკვე (აღდგა, ადგა). ავარიის შედეგად მგზავრმა (დაზიანება მიიღო, დაშავდა). ავარიის შედეგად მანქანა (დაზიანდა, დაშავდა). მუცლის არეში (ჭრილობა მიიღო, დაიჭრა). ხანძრის შედეგად ბავშვმა (ხელის დამწვრობა მიიღო, ხელი დაიწვა). მე სოფელში (გამანაწილეს, გამამწესეს, გამგზავნეს). შეცდომა (მოუვიდა, ჩაიდინა).

13. ახსენით მოცემულ წინადადებათა შინაარსი: ენა უჭრის. ენა უსწრებს. ენამ უყივლა, ენა ამოიღო. ენა გატეხა. ენა ჩაუვარდა. დათვური სამსახური გაუწია. თავს მაღლა იწევს. თავი მოაქვს. თავიც უტეხია. თავში აუვარდა. ბეწვზე ჰკიდია. ფეხის სმას აჰყვა. ყური ჩამოყარა, ხელი ჩაიქნია.

14. გამოიყენეთ ზმნები გადატანითი მნიშვნელობით. ნიმუშისათვის: ცა განრისხდა. შუბლი შეიკრა. ამინდი გაბრაზდა. აგრუხუნდა. ქარი გაცოფდა. სეტყვა წამოვიდა. ფრინველები დაღონდნენ. ბაჭიები აქვითინდნენ. მდინარეები ნათესებს დაემუქრნენ. დათვს მოშიოდა. მოიწყინა. შემდეგ პანტას ესტუმრა. იგი ისე გაძარცვა, რომ ტოტებიც აღარ შეარჩინა. დათვი ტყეზე გაბუტულიყო, ტყემ არ იცოდაო. ძნა იწვოდა, ულო იცინოდაო.

15. ნაკარნახევიდან ჩაიწერეთ (ჩადგება, ჭრის, დაჯდა, მარგლის, მოხნა, მოხნის, რწყავს, მორწყა...) მხოლოდ წარსული დროის ზმნები. მოცემული ზმნები დააჯგუფეთ საშუალმოქმედებითის (მედიოაქტივის) და საშუალვნებითის (მედიოპასივის) მიხედვით: ცხოვრობს, თვლემს, გრიალებს, დუმს, სძულს, ჰყავს, ცურავს, ტირის, ღრიალებს, შურს, ტრიალებს, უყვარს, ყვირის, მოსწონს, სრიალებს, წუხს, აქვს, ელავს, შრიალებს, სწადია, სწამს.

16. იდუღებს, აგორებს, ახურებს, ზრდის, აბრაზებს, აშენებს, აყვირებს, დუღს, გორდება, ხურდება, იზრდება, ბრაზდება, შენდება, აჩქარებს, დუღდება, გორავს, ხურს, წევს, ბრაზობს, ყვირის, ჩქარობს, იმალება, ასსამს, რწყავს, ბარავს, იბარება, მალავს, ბანაობს, ეგუება, ჩქარობს, თეთრდება, ცურავს, დაფრინავს — ზმნები დააჯგუფეთ გვარების მიხედვით.

17. ყიდდა, გაბრუნდა, დაინვალიდდა, დაავადდა, სწადდა, გამოცხადდნენ, სპედდა, უქადდა, გათავხედდნენ, შებინდდა — ზმნები გამოიყენეთ წინადადებათა შედგენაში.

18. იპარები, იკლაკნება, იმალება, იჭყლიტება, იწევი — ინიან ენებითებს „მი“ ზმნისწინი დაურთეთ და გამოიყენეთ წინადადებაში.

19. ეხლეწები. ეჯავრება. ედავები, ეგუება, ეჩვევა, ეჯახება, ვებრალები. ეცდები — ენიან ვნებითებს „შე“ ზმნისწინი დაურთეთ და გამოიყენეთ წინადადებაში.

20. გვარის მართლწერასთან დაკავშირებით შეადგინეთ საკარნახო ტექსტი.

21. შეადგინეთ ტექსტი თემისათვის: „მოცემული ზმნების დაჯგუფება ქცევათა მიხედვით“.

22. აუქმებს, აუმჯობესებს, აუარესებს, აუთოებს, აუღლებს, აუგემურებს, აუხეშებს. აუშნოებს — ზმნები გადაიყვანეთ სასხვისო ქცევაში და გამოიყენეთ წინადადებაში.

23. შეადგინეთ ტექსტი თემისათვის: „კარნახი: წერა ქცევასთან დაკავშირებით მართლწერის ცოდნა-ჩვევის შესამოწმებლად“.

24. დაამზადეთ თვალსაჩინო მასალა თემებზე: „ქცევა“, „კონტაქტი“.

15. ადვილი. მოკლე. ახალგაზრდა. ლამაზი, ნადირი, ავდარი. სუფთა. ბინა. ტყავი — სახელებისაგან მიიღეთ ზმნები და სახელზმნები. ნიმუშებისათვის:

სახელი	ზმნა	საწყისი	მიმღეობა
წითელი	გაწითლდა	გაწითლება	გაწითლებული
ერთი	გააერთიანა	გაერთიანება	გაერთიანებული
აზრი	გაიაზრა	გააზრება	გააზრებული
სახლი	დასახლდა	დასახლება	დასახლებული
ჯამი	შეაჯამა	შეჯამება	შეჯამებული

26. დაამუშავეთ მეთოდურად „მოქმედებითი გვარის მიმღეობა“.

27. შეარჩიეთ მაგალითები დავალებისათვის: „მოცემული ზმნების გადაკეთება საწყისად და მოქმედებითი გვარის მიმღეობად“. ნიმუშისათვის: მარგლავს, ამღვრევს, ამართლებს, განმარტავს, მიჯნავს. ამარაგებს, მურავს, მუსრავს, ამტვრევს, მალავს, ამარცხებს, მატებს, ამახინჯებს, იმორჩილებს. ამუშავებს, ამხობს (შესრულების ნიმუში: მართავს, მართვა. მმართველი).

28. დაამზადეთ თვალსაჩინოება თემაზე „სახელზმნა“.

29. მოიფიქრეთ მაგალითები დავალებისათვის: „მოცემული საწყისების გადაკეთება ვნებითი გვარის მიმღეობად“. ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი: დაბარვა. გაკიცხვა, მოზიდვა, აღება, გაპარსვა, ნახვა. დამალვა. დახატვა. მოტანა, შეკერვა, დაბნევა, მოწვევა, წასვლა, დაბარვა, დაწერა, აშენება, გარეცხვა.

30. შეადგინეთ ტექსტი დავალებისათვის: „მოცემული მიმღეობების დაჯგუფება, გვარების მიხედვით“. ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი: მშენებელი, შეკერილი, მძინარე, მკერავი, დანგრეული, მჭედელი, მნგრეველი, გაზრდილი, მტირალი, მკითხველი, გასუქებული, მწონავი, მოკამათე, მფრინავი, შეწუხებული, მოკრივე, მღებავი, გამარჯვებული, გამტეხი, შემდგენი, გასაგზავნი, მომღერალი, გამყიდველი, ნაწერი, გამამხნევებელი, დაკლული, მოჭიკჭიკე, მჯდომარე, დამარცხებული, მოსული, მომთაბარე, დაძინებული, მოელვარე, გაოცებული, მოვაჭრე.

31. მოიფიქრეთ მაგალითები დავალებისათვის: „მოცემული მიმღეობების დაჯგუფება სინონიმების მიხედვით“. ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი: მღელვარე, შემცირებული, ნავარაუდევი, გააკეთებული, გაეშმაკებული, დაფარებული, გამმარტივებელი, გაუბედურებული, შეპყრობილი, გაბედული, დაძლეული, მოკრეფილი, დამხსნელი, გაპრიალებული, მოციმციმე, გაბოროტებული, გაცბიერებული, გაადვილებული, დაპატარავებული, გაწამებული, დაჭერილი, გაჩანაგებული, მოგერიებული, გალამაზებული, მოიერიშე, მოწყვეტილი, გაბრჭყვიალებული, განადგურებული, მოკამკამე, გაველურებული, გაკოსტავებული, გაუბრალოებული, გაწვალებული, დაჩითული, გამხნევებული, გაჭირვებული, ნაანგარიშევი, გამოზომილი, წამოზრდილი, დათვალიერებული, დაკავებული, შეუდრეკელი, გამშვენიერებული, შემტევი, შეგროვილი, გაკრიალებული, გაბედული.

32. შეარჩიეთ მაგალითები დავალებისათვის: „მოცემულ მიმღეობათა დაჯგუფება ანტონიმების მიხედვით“. შესრულების ერთი ვარიანტი: გაუმჯობესებული, მომცემი, დამშეული, გაბედული, გახარებული, განათლებული, გაღებული, გაჭუჭყიანებული, გართულებული, დამძიმებული, ამოძრავებული, მომპოვებელი, აჩქარებული, განმათავისუფლებელი, დამმონებელი, მომმარაგებელი, გაშავებული, დაპატარავებული, დაავადებული, გაბოროტებული, ნაადრევი, გაჩუმებული, დახსომებული, გაღარიბებული, მაახლოებელი, ამშენებელი, გაუარესებული, წამგლეჯი, გამაძღარი, დაშინებული, დაბნეული, დაკეტილი, დასუფთავებული, დადარდიანებული, გამარტივებული, გამღვიძებელი, დამდგარი, დამკარგველი, დამწუხრებული, შენელებული, ჩაცმული, დამპყრობი, დამარცხებული, დამხსნელი, წამრთმევი, მათეთრებელი, გადადებული, დასვენდიანებული, გამოჯანსაღებული, გაკეთილშობილებული; მოწყენილი, ნაგვიანევი, აყვირებული, დავიწყებული, გამდიდრებული, მოღუშული, მაშორებელი, მნგრეველი.

33. რაიმე საგნის ან თემის მიხედვით შეადგინეთ წინადადებე-

ბი მათში მიმღეობათა გამოყენებით. მაგალითად: ზამთარში ტყე არის ფოთლებშემოცვენილი, გატიტვლებული, დაღვრემილი, დასვენებული. სუდარაგადაფარებული, თეთრად შეღებილი, ბამბით შემოსილი... გაზაფხულზე ტყე არის გაცოცხლებული, მწვანით შემოსილი, აყვავებული. გამხიარულებული, გამოფხიზლებული, თვალწარმტაცი, სიამოვნების მომგვრელი...

მეტყველების ფორმაუცვლელ ნაწილთა სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მუშაობა

1. შეადგინეთ ტექსტი დავალებისათვის: „მოცემულ წინადადებათა გავრცობა ზმნიზედის გამოყენებით“. ტექსტის ერთი ვარიანტი: მატარებელი მიდის. თოვლი მოსულა. ეკა ცეკავდა. მძღოლი გაჯავრდა. სტუმრები გვეწვივნენ. კატა შაშეს ეპარებოდა. მგზავრები ავტობუსიდან გადმოვიდნენ.

2. მოცემული კითხვების (სად? საიდან? საითკენ? როდის? როგორ?) საფუძველზე შეადგინეთ წინადადებები მათში სათანადო ზმნიზედების გამოყენებით.

3. თეთრი, შავი, ძლიერი, ძველი, ლამაზი, მძიმე, ფართო — სიტყვები გამოიყენეთ წინადადებაში ზმნიზედისა და ზედსართავი სახელის ფუნქციით.

4. ერთი, ხუთი, რვა, ორი, მესამე, პირველი, მრავალი — სიტყვები გამოიყენეთ წინადადებაში რიცხვითი სახელისა და ზმნიზედის ფუნქციით. ნიმუშისათვის: ათი დღე თოვდა. ათჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი. ათეულებად დადექით!

5. დაამზადეთ თვალსაჩინოება თემაზე: „ზმნიზედის ჯგუფები“.

6. წერტილების ადგილას ჩაუმატეთ სათანადო ზმნიზედა: მწვადი (... შეწვი, რომ არც მწვადი დასწვა და არც შამფურიო. (...) სჯობია სიკვდილი ნიადაგ შეღონებასა. (...) შენი თქვა (...) ჩემიც ოქვიო. შორი გზა მოიარე და (..) მშვიდობით მიდიო. (შესარჩევი ზმნიზედები: შინ, იქ, ისე, ერთხელ, სადაც).

7. მოიფიქრეთ მაგალითები დავალებისათვის: „მოცემული ზმნიზედების დაჯგუფება სინონიმების მიხედვით“. შესრულების ერთი ვარიანტი: ახლა, განთიადისას, ბევრჯერ, სწრაფად, ასე, ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, ცხვირწინ, ფრიად, მედგრად, მრავალჯერ, გათენებისას, მეტად, მრავალგზის, ალიონზე, ჩქარა, წინათ, წარსულში, მაგვრად, პირველ ყოვლისა, ამნაირად, დღეს, მაგიერ, მალე, ძველად, პირველად, მეტისმეტად, ღონივრად, წინდაუხედავად, არაერთხელ, დილაადრიანად, მარდად, ამ წუთში, ოდესღაც, თავდაპი-

რველად. ძალიან, ძალაუნებურად, მოუფიქრებლად, ცისკარზე, ელვისებურად, იმთავითვე, ძლიერ. მოუაზრებლად, არაერთგზის, ამ სახით. სისხამ დილაზე, ფიცხლავ. დიდად, განუსჯელად, ამისათვის, ვარიკრაჟზე. შურდულივით, უაღრესად, ცხელ გულზე, ამის გამო, დილით ადრე. ტყვიასავით, ამგვარად, გვერდით, მკვირცხლად, მახლობლად. ახლო-მახლო, ასეთნაირად, კარწინ, ორიოდ ნაბიჯზე, ნაცვლად, სამუდამოდ.

8. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვებიდან შეარჩიეთ სათანადო: ტურისტები მდინარის (ნაპირას, ნაპირზე, პირას) დასხდნენ. მაყვალა (სახლში, შინ) წავიდა. დიმიტრი (შორშან, გასულ წელს) ჩვენთან მუშაობდა. ის (მიმდინარე წელს, წლეულს) მივლინებულია კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, (მომავალ წელს, გაისად) ისევ ჩვენთან დაბრუნდება. ლევანმა (მეხუთედ, მეხუთჯერ, ხუთჯერ) მოიპოვა ჩემპიონობა ჭიდაობაში. თქვენი შეხედულება (ძირითადში, ძირითადად) სწორია. (პასპორტის გარეშე, უპასპორტოდ) სასტუმროში არ მიგიღებენ.

9. შეარჩიეთ მაგალითები დავალებისათვის: მოცემული ზმნიზედების დაჯგუფება ანტონიმების მიხედვით. შესრულების ერთ-ერთი ვარიანტი: კეთილშობილურად, მარჯვნივ, ზევით, დაბლა, სამხრეთით, ცოცხლად, შიგნიდან, დინჯად, კარგად, ხმამაღლა, მოდუნებულად, თბილად, წინ, შეცდომით, ტკბილად, ადრე სწრაფად. ჩუმად, მარცხნივ, გარედან. თავაზიანად, თეთრად. უკან. ცუდად, ნელა, მწარედ, ქვევით, მაღლა, უშეცდომოდ, შავად, უხეშად, ცივად, ზლაზვნით, გულგრილად. მოგვიანებით.

10. შეადგინეთ ტექსტი დავალებისათვის: „ნაკარნახევიდან მხოლოდ ზმნიზედის ჩაწერა“ (ადრე, ტყე, მაღალი, მაღლა, წითელი, წითლად, ვარდი, ნელა. ტკბილი, ტკბილად...).

11. ძვირი, გული, მონდომება, ობლობა, მწუხარება — სიტყვები გამოიყენება არსებითი სახელისა და ზმნიზედის ფუნქციით წინადადებაში. ნიმუშისათვის: წუთს წუთები, დღეს დღეები, წელს კი წლები მისდევდა. ერთ წუთს დამიცადე! დღეს გამოიდარა. წელს ხილის უხვი მოსავალი იყო. ტყეს ცეცხლი გაუჩნდა. კვამლი უცეცხლოდ არ იქნება.

12. შეადგინეთ რაიმე თემაზე პატარა მოთხრობა ზმნიზედების გამოყენებით. ნიმუშისათვის: „მზე და ბავშვები“. მზემ სიცილით გადმოიხედა, ეშმაკურად ჩაიცინა, ყურადღებით მოისმინა თოვლმონატრებული ბავშვების ხვეწნა-მუდარა. გულით შეიბრალა ისინი. თავისი სხივები უკან აკრიფა. ამ დროს სიცივემ მრისხანებით გადაუქროლა მთა-ბარს. თოვლის ფიფქები მხიარულად, თამაშ-თა-

მაშით წამოვიდნენ. მთელი დღე ლამაზად და შეუწყვეტლივ ბარდნიდა. საღამომდე ცარცისფრად შეიფიფქა ყველაფერი.

13. შეადგინეთ ტექსტი დავალებისათვის: ნაკარნახევიდან მხოლოდ თანდებულიან სიტყვათა ჩაწერა და დალაგება ბრუნვათა მიხედვით. ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი: თაგვს ბუმბულში აწვენდნენ და ის სოროში მიძვრებოდაო. ერთი ცხვრისკენ, მეორე მგლისკენ. მე მისკენაო, ის კი ეშმაკისკენაო. სხვისთვის მამაცი, თავისთვის ზარმაცი. ჯამაში მამაცი, შრომაში ზარმაციო. ძმა ძმისთვისა, შავი დღისთვისა. ქვიდან ქვაზე გარდამავალს წყალსაც ფერი შეეცვლებაო. ცეცხლიდან გაქცეული წყალში დაიხრჩოო. სიბერემდე სიქაჩლეს მოელოდეო. სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსჭარბდებაო. მტყუანს ტყუილის კარამდის უნდა მიჰყვეო. გზა ხეებს შუა გადიოდა. ამხანაგებს შორის თეიმურაზი ყველაზე უფროსია. მდინარის გაღმა მზვერავები გამოჩნდნენ. დათვმა ტყისკენ გასწია. თოფი კედელზე ეკიდა. მგზავრებმა ნაძვის ქვეშ შეისვენეს. ავი შვილი მშობლებს ჭკუიდან შეშლისო. ასმათი მზისგან გაშავდა. სიმწრისაგან გიჟივით დარბოდა, ყორანმა ლეშში ნისკარტი ისარივით ჩაასო. დილიდანვე ქარი ქროდა. მელამ ბუნაგიდან თავი გამოყო. მთიდან ზეავი წამოვიდა. სახლის უკან ვენახი გააშენეს. ნავთთან ცეცხლი არ მიიტანება. იალბუზზე მუდამ თოვლი ძევს. ავთანდილი ლომებრ იბრძოდა.

14. წერტილების ადგილას ჩაუმატეთ სათანადო (თუ, მაგრამ, არამედ. სადაც, სანამ, როცა, რომ) კავშირი: ტყეში ბევრია არა მარტო წიფელი, (...) წაბლიც. (...) კაცსა კაცი არ უნდა, მიზეზი არ დაელევაო. ბატონის ნახვა (...) გინდა, ჯერ ჯარისკაცი ნახეო. დათვი არა მხოლოდ ყანას აოხრებდა, (...) პირუტყესაც ეტანებოდა. ეშმაკები ტიკებს ალბობდნენ, (...) ღვინო არ ჩანდაო. კურდღელი პატარაა. (...) გაქცევა დიდი იცისო. (...) მასპინძელი არ ლხინობს, სტუმარსაც მოეწყინება. (...) პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო. ღორმა თავი იქით იბრუნა, (...) დიდი ლაფი ნახაო. (...) თონე ცხელია, ლავაში ჩააკარიო. (...) ხეს თლიან, ნაფოტიც იქ დაცვივა. მგელი ისე არ მოკვდება, (...) თხის დასამარხი გახდესო. კურდღელს (...) დაეჭერდნენ, შიშმა უფრო დალიაო. (...) სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო.

15. რადგანაც. როგორც კი, ვინაიდან, იმიტომ, რომ, ვიდრე — კავშირები გამოიყენეთ წინადადებაში.

16. წერტილების ადგილას ჩაუმატეთ საჭირო ნაწილაკი: ავი ძალი (...) თვითონ ჭამს, (...) სხვას აჭმევსო. ისე (...) წვიმს, (...) ქუხს. (...) ზღვას დავუხრჩივარ, (...) ცვარსაო. (...) დაკარგავ ძველსა

გზასა, (...) ძველსა მეგობარსა. ვისაც გული (...) სტკივა, იმას ცრემლი (...) სცვივა. ღორი ლაფში ვორაობას (...) მოიშლისო. ეშმაკს (...) სძინავსო. ასი ურტყი დავითასა (...) იტყვის თავისასა. (...) დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო. (შესარჩევი ნაწილაკები: ვერ, როგორც არა (არ), როდი, კიდეც, ნუ, ნურც, ნურცა, არც, მაინც).

17. ყოჩაღ, ვაი, ვაიმე, ბიჭოს, უჰ — შორისდებულები გამოიყენეთ წინადადებაში.

18. „შორისდებულთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშოები“ გაანალიზეთ.

წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით და მათ სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მუშაობა

1. გააანალიზეთ ქართული ენის VII კლასის პროგრამა და სახელმძღვანელო.

2. წვიმა დაიწყო. თოვლი მოვიდა. ღამე დადგა. ზამთარი დაიწყო. შემოდგომა დადგა. ზაფხული დაიწყო. მატარებელი გაჩერდა. სიცივემ იმძლავრა — ორსიტყვიანი წინადადებები ერთსიტყვიანად გადააკეთეთ (ნიმუშისათვის: დილა დაიწყო — გათენდა).

შენიშვნა: ისეთი წინადადებებიც გვხვდება, რომელთა ერთსიტყვიანად გადაკეთება არ ხერხდება. ეს კი სტუდენტს აიძულებს იფიქროს, კარგად გაიაზროს თითოეული წინადადება და ისე შეასრულოს დავალება. საჭიროა იმასაც დავაკვირდეთ, რომ ამ მაგალითებში (ზოგიერთის გამოკლებით) აზრის ერთი სიტყვის საშუალებით გამოხატვა სტილისტიკურად უფრო მიზანშეწონილია.

3. მოცემული არსებითი სახელები (არწივი, ლომი, ვეფხვი, ჯიხვი, მუზეუმი) გამოიყენეთ წინადადებათა შესადგენად.

4. გამოიყენეთ მოცემული ზმნები (სთხოვა, სძულს, სჯერა, მისცა, დასცა, ასცდა) თხრობით წინადადებათა შესადგენად.

5. გავიდა კარგა ხანი. ამირანს ბევრი რამ გადახდა — ამ წინადადებებში შემავალ წევრებს დაუსვით კითხვები (ნიმუშისათვის: ამირანმა ბევრ დევს დაუბნელა წუთისოფელი. ვინ დაუბნელა დევებს წუთისოფელი? რას დაუბნელა ამირანმა წუთისოფელი? რა დაუბნელა ამირანმა დევებს?).

6. დაიზარდნენ ობლები. ამირანი და მისი ძმები სანადიროდ წავიდნენ. ბაყბაყდევი სამთავა იყო — ეს თხრობითი წინადადებები კითხვით წინადადებებად გადააკეთეთ.

7. ამირანი დევებს დაერია? გაქცეულა ისინი? ამირანი ძმებს

მკვდრებში ეძებდა? იპოვა მან ბადრი და უსუპი? — გადააკეთეთ ეს კითხვითი წინადადებები თხრობითად.

8. შეადგინეთ მოცემული არსებითი სახელების (ქორი, მელა, მონადირე, სოფელი, წიგნის მაღაზია) გამოყენებით კითხვითი წინადადებები.

9. გამოიყენეთ მოცემული ზმნები (სძინავს, დააფრთხო, დასწვია, შესძლებია, მიჰყვება (კითხვით წინადადებათა შესადგენად.

10. სადაც შესაძლებელია, კითხვით წინადადებებს გაეცით სრული პასუხი (რას წერთ? ვინ მოვიდა? რა მოფრინდა? წასვლას აპირებთ? ეს ვინ არ იცის? ვის ეპარება ამაში ეჭვი? რა წიგნი იყიდეთ?

11. რაიმე თემის (ტელეფონით ლაპარაკი, საუბარი ომის ვეტერანებთან, ექიმი და ავადმყოფი, შაშვი და მელა, ბულბული და ყვავი და სხვ.) მიხედვით შეადგინეთ დიალოგი.

12. შეადგინეთ ისეთი კითხვითი წინადადებები, რომელთა პასუხი იქნება: — დამაგვიანდა. — აცად გახდა. — უკვე გაფრინდნენ. — დიახ, მოვიდნენ. — ფეხსაცმელები მაღაზიაში მოიტანეს. — თოვლის სისქემ ერთ მეტრს მიაღწია.

13. რაიმე თემაზე (მთვარიანი ღამე, მზის ამოსვლა, რთველი, ფოთოლცვენა, მონადირე და მეზობელი, ბეღურა და სკვინჩა, კამეჩი და ძროხა, თინა და ვანო, თევზაობა და სხვა.) შეადგინეთ პატარა მოთხრობა კითხვითი და თხრობითი წინადადებების გამოყენებით.

14. დასვით მოცემულ ტექსტში სასვენი ნიშნები: — რა გქვია შენ — ელისაბედი რომელ კლასში სწავლობ — მეხუთე კლასში თქვენს კლასში რამდენი მოსწავლეა — კლასში 35 მოსწავლე ვართ რადიო თუ გაქვთ — როგორ არა — რამდენი არხი აქვს თქვენს ტელევიზორს — ჩემს ტელევიზორს ცხრა არხი აქვს — როდის იწყება ტელეგადაცემები — დილის გადაცემები იწყება ცხრა (ათ თერთმეტ...) საათზე საღამოს კი ჩვიდმეტ საათზე.

15. ნაკარნახევიდან ჩაიწერეთ მხოლოდ თხრობითი წინადადებები (საკარნახო ტექსტში წარმოდგენილი იქნება როგორც თხრობითი, ისე კითხვითი წინადადებებიც).

16. ნაკარნახევი ტექსტი ჩაიწერეთ მთლიანად, მასში შემავალი თხრობითი და კითხვითი წინადადებების ბოლოს დასვით სათანადო ნიშნები.

როგორც ცნობილია, ზეპირ მეტყველებაში წინადადებაში შემავალ სიტყვათა ერთ ენობრივ გამთლიანებაში ინტონაციას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. სწორი, მკაფიო და ემოციური ლაპა-

რაკი, აზრიანი და სათანადო ინტონაციით ტექსტის კითხვა სასიამოვნოც არის და სასარგებლოც. ინტონაციის ერთ-ერთი ძირითადი მხარეა მახვილი. წინადადების კონკრეტული შინაარსის ზუსტად, ნათლად გამოხატვისა და მსმენელის მიერ აზრის სწორად გაგებისათვის სხვადასხვა მახვილიდან მთავარ როლს ე. წ. ლოგიკური მახვილი ასრულებს. ამ მახვილის მატარებელი სიტყვა დანარჩენებთან შედარებით გაძლიერებულად წარმოითქმის და სხვადასხვა აზრობრივ ელფერს აძლევს წინადადებას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ლოგიკური მახვილი გავლენას ახდენს სიტყვათა რიგზეც წინადადებაში. ზეპირ მეტყველებაში ლოგიკური მახვილის საქმე გაადვილებულია. იგი მხოლოდ და მხოლოდ მთქმელის მიზანდასახულებაზე, სურვილზე არის დამოკიდებული. ამიტომ ლოგიკური მახვილი შეიძლება წინადადების სხვადასხვა სიტყვაზე მოდიოდეს. წერით მეტყველებაში ლოგიკური მახვილის გადმოცემა გართულებულია. მიმართავენ სხვადასხვა საშუალებას: პოზიციურს, ლექსიკურსა და გრაფიკულს.

„წინადადებაში „ქორმა წიწილა წაიღო“ სიტყვათა სხვადასხვა რიგი გვექნება იმის შესაბამისად, თუ რომელ სიტყვაზეა ლოგიკური მახვილი. მაგ.: ქორმა წ ი წ ი ლ ა წაიღო, წიწილა ქ ო რ მ ა წაიღო, წ ა ი ღ ო ქორმა წიწილა“.[1]

საერთოდ, ლოგიკური მახვილის გადმოცემის პოზიციური ხერხი შედარებით სუსტია, უფრო ზუსტად ამ მოვლენას ლექსიკური და გრაფიკული საშუალებანი გამოხატავენ.

როგორც ცნობილია, კითხვითსიტყვიან კითხვით წინადადებაში ლოგიკური მახვილი კითხვით სიტყვებზე მოდის. მაგალითისათვის ავიღოთ ასეთი წინადადება: ხანგრძლივმა გვალვამ ბალახი გაახმო. მივუყენოთ კითხვები: რა გაახმო გვალვამ? (ბ ა ლ ა ხ ი გაახმო). რ ა მ გაახმო ბალახი? (— ხანგრძლივმა გ ვ ა ლ ვ ა მ). რ ო გ ო რ მ ა გვალვამ გაახმო ბალახი? (— ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ მ ა გვალვამ გაახმო). ლოგიკური მახვილი ხაზგასმულ სიტყვებზე მოდის.

ფართო გამოყენება აქვს ამა თუ იმ სიტყვაზე ყურადღების გამახვილებისათვის ე. წ. გაძლიერებით ნაწილაკებს (ც (ა), ც-კი, კიდეც, უკვე, მაინც...), აგრეთვე გამორჩევით ნაწილაკებსაც (— ღა, მხოლოდ, მარტო). მაგალითები: შინ ბავშვებიღა დარჩენილიყვნენ. ზეიმს სტუმრებიც დაესწრნენ. კრებას მხოლოდ გიორგი აკლდა...

ლოგიკური მახვილის გადმოსაცემად მიმართავენ სინონიმებს (ლაჩარი, მხდალი სამშობლოს არ გამოადგება). სწავლას შრომა, გა-

---

1. ლ. კ ვ ა ჭ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 14.

რჯა უყვარს.), სიტყვათა განმეორებას (მეგობრებო, წინ, წინ, გასწით!). ლოგიკური მახვილის მატარებელი სიტყვა ზოგჯერ დაყოფით ან განსხვავებული შრიფტით არის დაბეჭდილი, ხელნაწერში კი ჩვეულებრივ ხაზგასმას მივმართავთ".[1] „წერის პროცესში ლოგიკური მახვილის აღსანიშნავად სხვადასხვა საშუალებებს იყენებენ, როგორიცაა, მაგალითად, სხვა ზომის ასოები... მეჩხერად წერა და მისთ".[2]

17. სიველურე: — როგორ ინადირეთ? — თხა მოვკალი. — ჩვენ მხარეში, ველური თხა? — არა, არც ისე ველური. უფრო ველური თხის პატრონი გამოდგა (უცხოური იუმორი) — მოცემული ტექსტი გააანალიზეთ ლოგიკური მახვილის თვალსაზრისით (ზეპირად და წერილობით).

18. გამოიყენეთ მოცემული ნაცვალსახელები (ვინ? რა? რომელი? როგორი? სადაური? როდინდელი? რამდენი? მერამდენე?) წინადადებაში.

19. მოცემული ზმნიზედები (სად? საიდან? საითკენ? როდის? როგორ? რატომ? რისთვის?) გამოიყენეთ წინადადებების შესადგენად.

20. მოცემულ კითხვითსიტყვიან წინადადებებს (როდის დაბრუნდა გიორგი ჯარიდან? სად აწყობთ ექსკურსიას? როგორ მიმდინარეობს ჯართის შეგროვება? რა და რა ფრინველები ნახეთ ზოოპარკში?) გაეცით სრული პასუხი მათში ლოგიკური მახვილის მატარებელი სიტყვისათვის ხაზის გასმით.

21. მოცემული ზმნებით შეადგინეთ ბრძანებითი წინადადებები (მოემზადეთ, წადით, შეისვენეთ, დადექით, გააღეთ, სწორდით).

22. ხელები მაღლა! არ გაინძრეთ! გთხოვთ ზარი დარეკოთ! შინ მობრძანდით! ფანჯარა დახურეთ! წადი, მეგობარო! დაისვენეთ! ბავშვებო, მომყევით! მედგრად შეუტიეთ, არ შედრკეთ! მეზობელს გაუმარჯოს! მიირთვით ყურძენი! არ მოსწიოთ! წყეულიმც იყავ! ექიმს მიმართეთ! საღამო მშვიდობისა, ჩემო ძმაო! შეგირცხვეს სინდის-ნამუსი! არ გაუშვა, დაიჭირეთ! — ეს ბრძანებითი წინადადებები დააჯგუფეთ შინაარსის მიხედვით (განკარგულებით-ბრძანებითი, დარიგებითი, თხოვნა-ხვეწნითი, მოწოდებითი, მიპატიჟებითი, მისალმებითი, წყევლითი და აკრძალვითი).

23. ხედავთ, მერცხლები მოფრენილან! დახე, როგორ გათამამდა! ეჰ, ამას აწი არაფერი ეშველება!

რა საამური დილაა! შე კაი კაცო, ასეთი რამ გაგონილა! ეს რა

---

1. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 14.
2. შ. კეკელია, აკ. დავითიანი, ქართული ენა, თბ., 1973, გვ. 252.

უბედურებაა! ყოჩაღ, ასი კილო ჩაი მოგიკრეფია! ოჰ, ოჰ, როგორ გაუოხრებიათ თხებს ეს ახალი ნარგავები! ეჰე, რამდენი დრო გასულა! ბარაქალა თქვენს მარჯვენას, მწველავო ქალებო! ფუი, შენს ვაჟკაცობას, შენს კაცობას! ახ, ნეტავი მოთავდებოდეს! აფსუს, რა ტყუილუბრალოდ კარგავ ძვირფას დროს! ეხ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ბავშვობის დროის სიხარული! — ძახილის (ემოციური) წინადადებები დააჯგუფეთ შინაარსის მიხედვით (აღტაცებითი, გაკვირვებითი, მწუხარებითი, მოწოდებითი, ზიზღისა და აღშფოთებითი, დანანებითი და ნატვრითი).

24. დავიღუპეთ, მგელი დარევია ცხვრებს! ნეტავი ერთი დამანახვა! ტურისტებს გაუმარჯოს! ოჰ, მეტის ატანა არ შემიძლია! ნუ დამტუქსავ, მაპატიეთ, ნუ ღელავთ, დამშვიდდით! წარმატებამ თავბრუ არ დაგახვიოს! ერიჰა, შენ, არ ხუმრობ! პატივისცემაც ასეთი უნდა!

აბა, მარჯვედ იყავით! არც ერთი ნაბიჯი უკან, მაშ, შენც დამცინი! ბიჭოს, გაწვიმებულა! რა კარგია, ახლა თესვა გაჩაღდება! ოჰ, რა მშვენიერი ბუნებაა! წინ სამშობლოსათვის, თავისუფლებისათვის! აბა. თავი არ შეირცხვინოთ! ბიჭოს, რა ყოჩაღი ყოფილხარ! ვახტანგ. ხვალ დამეხმარეთ ხეხილის გასხვლაში! იყავ ბედნიერი, მუდამ წარმატებით გევლოთ. — წინადადებები დააჯგუფეთ ბრძანებითი და ძახილის (ემოციური) წინადადებათა მიხედვით.

25. მოცემულ ტექსტში დასვით სასვენი ნიშნები (სადაც აკლია) და წინადადებები დაალაგეთ შინაარსობრივი ტიპების მიხედვით: — დღესაც ორიანი მიგიღია, შვილო იქნებ მასწავლებლის შეკითხვებს ვერ იგებ — არა, მამიკო, ის ვერ იგებს ჩემს პასუხს. რა კარგია, მზე ამოვიდა ვინ ააშენა ეს სკოლა მიზიდული წყლით წისქვილის ქვა არ დატრიალდებაო რკინა ტენიან ჰაერზე ჟანგება რას ამბობ, რა დაგემართა ნუ სტირით მეგობრებო, უარს ნუ იტყვით შეამოწმეთ ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს წვიმები ვინც არაფერი იცის, მას არაფერი სჯერა ჟანგბადი ყველაზე უფრო გავრცელებული ელემენტია დედამიწაზე ოჰ, რა კარგად გალობს ვაიმე, რა კაცი დაიღუპა ქიმიური ელემენტების სამყარო მრავალფეროვანია წყალბადი უფერული გაზია როცა ადამიანს შიში შეიპყრობს, ის რას გააკეთებს როგორ გაბედა სიტყვის შემობრუნება 200 გაყავით 7-ზე ეს რა ჩაგიდენია ასე რამ დაგაბნიათ ნუთუ ეს თქვენ ბრძანდებით ნუ შედრკება თქვენი გული რამ დაგიბნელათ თვალები გახსოვს აქ რომ ჭაობი იყო ბიჭოს, შენ აქ ხარ გაზეთები მოიტანეს ძლივს არ ვეღირსეთ ავტობუსის მოსვლას გაუმარჯოს მშვიდობას ვაჰ, ეს რა გიქნია ტურისტები მოვიდნენ ამ მდინარეში

თევზი იცის როგორ გაფითრებულხარ, რა მოგვიდა არ დაიბნე რატომ სცემე, შვილო, რა დაგიშავა დახე, როგორ აბიბინებულა ჯეჯილი წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო. რატომ დაიგვიანეთ ფუი, მაგისთანა დახმარებას საით მიიჩქარით ცოდნა განძია, რომელიც თან დაჰყვება მის მქონეს.

26. დაამზადეთ დიდაქტიკური მასალები (სქემები, ტაბულები...) თემაზე: „წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით“.

27. მოიფიქრეთ შეთანხმების, მართვისა და მირთვის მაგალითები შემდეგი სიტყვების გამოყენებით: ყურძნის კრეფა, ცბიერმა მელიამ, შარშან, თოვლით, შვიდნი ძმანი, ექიმები, ცხვრის ფარა, მწყემსები, მგლის ლეკვი, ერთხელ, ბეღურები, ძლიერი ქარი, ხეებით მდიდარი.

28. მოცემულ წინადადებებს (გათენდა. მზე ამოვიდა, მთვარემ გაანათა. მგელი მშიერი დაბრუნდა. მონადირემ მელა მოკლა) მიეცით ემოციური იერი (ელფერი). ნიმუშისათვის: დაღამდა — თალხის ფარდა ჩამოეფარა ქვეყანას. ღამე მოთოვა — თეთრად გადაიპენტა გარემო, თეთრი სუდარა გადაეფარა გარემოს. ბევრი ხალხი მოგროვდა — ხალხი მოაწყდა, მოზღვავდა; ხალხის ტევა არ იყო. ერთ საათზე მეტი გავიდა — საათმა სამოც წუთზე მეტი მოცელა.

29. სასწავლო ტექნიკური ხელსაწყოების (ეპიდიასკოპი, კოდოსკოპი...) მოხმარებაზე ვარჯიშობა.

მოსწავლეთა ნაწერების გასწორების საკითხისათვის

წერითი ნაშრომების გასწორებაზე მუშაობა მნიშვნელოვანი საშუალებაა მოსწავლეთა წიგნიერების ამაღლების საქმეში.

მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორება მეტად აქტუალური საკითხია. ის ყოველთვის იყო და არის გაცხოველებული ინტერესის, დავისა და აზრთა სხვადასხვაობის საგანი.

ნაწერები მრავალმხრივ საყურადღებო ფაქტია. იგი მოსწავლის მუშაობის ღირსების თუ ნაკლოვანებების, ასე ვთქვათ, ერთგვარი სარკეა. საკლასო-საშინაო თუ საკონტროლო რვეულის თითოეული გვერდი, თითოეული სტრიქონი ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ მისი ავტორი, შემსრულებელი რამდენად საფუძვლიანად და ღრმად ფლობს გავლილ ენობრივ მასალას. რამდენად შესწევს უნარი თავისი აზრი, განცდა და სურვილები სწორ სიტყვიერ ფორმაში ჩამოაყალიბოს. რამდენად აქვს შემუშავებული ორთოგრაფიული და

პუნქტუაციური ჩვევები, რა უჭირს, რა ეძნელება და სხვ.

მოსწავლეთა ნაწერები თვით მასწავლებლის მუშაობის შემოწმებისა და შეფასების საუკეთესო საშუალებაცაა. მასში აშკარად, ნათლად მჟღავნდება მასწავლებლის მუშაობის როგორც დადებითი, პოზიტიური, ისე უარყოფითი მხარეები, წუნი, მარცხი, მისი მომზადება, გამოცდილება, პასუხისმგებლობა, საქმისადმი სიყვარული და სხვ. მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეთა ნამუშევრებზე დაკვირვებათა და საფუძვლიანი ანალიზით მიაგნოს წინსვლის უკეთეს გზებსა და მეთოდებს, განჭვრიტოს და დასახოს მომავალში მუშაობის სრულყოფის, გაუმჯობესების ღონისძიებანი.

შორეული წარსულიდანვე შემუშავებულია მეტად სასარგებლო აზრი, რომ საჭიროა არა მარტო გასწორება, შეცდომებზე რეაგირება, არამედ ამასთანავე აუცილებელია მოსალოდნელი შეცდომების წინასწარ გათვალისწინება და გამაფრთხილებელი ზომების მიღება. პირობების შექმნა შეცდომების მთლიანად აღსაკვეთად, ყოველ შემთხვევაში მინიმუმამდე მის დასაყვანად. იაკობ გოგებაშვილი გვასწავლის: „ერთი ძირითადი კანონი პედაგოგიკისა ამბობს: ერიდე შეცდომას, ისე საჭირო არასდროს არ არის ამ კანონის დაცვა, როგორც სწავლის დასაწყისში. თუ ბავშვმა რამდენჯერმე უშნო, უკანონო ასოები დასვა, მისი ხელი დაეჩვევა მათ ცუდად წერასა და შემდეგ ძნელად გადაეჩვევა“.[1] კ. უშინსკი წერდა: „საერთოდ წერითი ამოცანები ისეთი უნდა იყოს, რომ მათ შესრულებისას მოსწავლემ ან სულ არა, ან ძალიან ცოტა შეცდომა დაუშვას. მრავალრიცხოვანი შეცდომის გასწორება ბევრ დროს მოითხოვს და სარგებლობა ნაკლებია. ხშირად ის მხოლოდ მასწავლებლისა და მოსწავლის გაღიზიანებას იწვევს. საქმე ისე უნდა წარმართოს, რომ შეცდომები შესაძლებლობის ფარგლებში თავიდან იქნეს აცილებული და არა გასწორებული“.[2]

ეს გარემოება მასწავლებელს ავალებს, რომ შეგნებულად და მტკიცედ შეათვისებინოს მოსწავლეებს გრამატიკის კურსი, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური წესები, სწორად შეარჩიოს წერითი მუშაობის სახეები და მართებულად შეახამოს ისინი ერთმანეთს, კარგად შეისწავლოს კლასი და თითოეული მოსწავლე.

მოსწავლეთა წერით ნაშრომებში ნეობრივ-სტილისტიკურ, ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ და სხვა ხასიათის შეცდომებს მრავალი ფაქტორი განაპირობებს. შეცდომათა გამომწვევი შინაგანი და

---

1. ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები, II, თბ., 1940, გვ. 222.

2. კ. უ შ ი ნ ს კ ი, თხზულებათა კრებული, ტ. VI (რუსულად), 1949, გვ. 316.

გარეგანი მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს: ა) სწავლების ხარისხის დაბალი დონე; ბ) პროგრამისა და სახელმძღვანელოს გადატვირთულობა; გ) ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ ჩვევათა შესანარჩუნებლად განმეორების ჩაუტარებლობა, ჩვევათა დეავტომატიზაცია; დ) სიტყვის ლექსიკის მნიშნელობასა და ფორმაზე ნათელი წარმოდგენის უქონლობა; ე) დიალექტიზმების გავლენა; ვ) გრამატიკული ფორმების ერთმანეთში აღრევა; ზ) წერითი მუშაობის სიძნელის ხარისხი; თ) თხზულების უხარისხოდ შესრულება (ფაქტიური შეცდომები, კონკრეტული მასალის სიმცირე, თემიდან გადახვევა, ლოგიკური თანამიმდევრობის დარღვევა და სხვა.); ი) წერითი მუშაობის დანიშნულება (მაგალითად, სასწავლო ხასიათის წერით ნაშრომში შეცდომა მეტია მოსალოდნელი, ვიდრე საკონტროლოში, რადგანაც ამ უკანასკნელს წინ უსწრებს მოსამზადებელი მუშაობა); კ) ლექსიკური მარაგის სიღარიბე და სხვ. ლოგიკური ხასიათის შეცდომას ძირითადად განაპირობებს გადმოსაცემი მასალის შინაარსის ზუსტად ცოდნა და აგრეთვე ისიც, რომ ხშირად მოსწავლე ნაკლებად ითვალისწინებს მკითხველის მოთხოვნებს, ე. ი. იმას, თუ რამდენად გასაგები იქნება მისი ნაწერი მკითხველისათვის. საკუთარ პოზიციაზე დგას და მკითხველისას აღარ უწევს ანგარიშს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ შეცდომათა აღმოცენების სხვა გარემოებანიც. როგორიცაა წერით ნაშრომთა გასწორების არადამაკმაყოფილებლად დაყენება (თუ ძველი შეცდომა არ გასწორდა, არ აღმოიფხვრა, ის ანალოგიურსა და სხვაგვარ შეცდომებსაც წარმოქმნის), დაღლილობა, აჩქარება, უგუნურობა, აღელვება, გაფანტულობა, დაუდევრობა, გაკვეთილების ხშირად გაცდენა, არახელსაყრელი სამუშაო პირობები (ცუდი განათება, მაღალი ან, პირიქით, დაბალი ტემპერატურა, ოთახის გაუნიავებლობა და მისთ.), სკოლაში ერთიანი ენობრივი რეჟიმის უქონლობა, წერის ჰიგიენის წესების დარღვევა, რვეულის, მელნის, საშრობის, კალმის ცუდი ხარისხი და, საერთოდ, ყველა ის, რაც სამუშაო განწყობას ხელს უშლის („ის, რაც უგუნებოდ არის დაწერილი, უვარგისია“, — ვოლტერი). როგორც ვხედავთ, „ათას გზას მივყავართ მცდარობისაკენ, ჭეშმარიტებისაკენ კი მხოლოდ ერთს“ (ჟ. ჟ. რუსო).

შეცდომათა მიზეზებისა და ხასიათის შესაბამისად, ბუნებრივია, გასწორების ხერხები და ორგანიზაციაც სხვადასხვა იქნება. ცხადია, გაითვალისწინება კლასი, მოსწავლეთა მომზადება და გამოცდილება, წერითი მუშაობის სახე, კონკრეტული ამოცანა და მიზანი.

მოსწავლეთა ნაწერებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკონტროლო წერით ნაშრომთა გასწორება.

საკონტროლო ნაწერს მასწავლებელი ჯერ თავიდან ბოლომდე კითხულობს და შემდეგ ახდენს გულდასმით კითხვას, შეცდომების კლასიფიკაციას და მიზეზების დადგენას, პირობითი ნიშნებით მათ აღნიშვნას, ნამუშევრის შეფასებას, რეცენზირებას და სხვ.

გასწორებისას მთავარია, მასწავლებელმა არ წაართვას მოსწავლეს ინიციატივა, აქტივობა, ყოველი საშუალებით შეეცადოს, რათა მოსწავლე თვითონ გაერკვეს თავის შეცდომაში და შეგნებულად გაასწოროს ის დამოუკიდებლად. შეცდომათა მექანიკურად, შეგნებულად გასწორება გაუსწორებლობის ფარდია, დროის უნაყოფოდ დაკარგვაა.

შეცდომა, როგორც წესი, პირობითი (სიმბოლური) ნიშნით აღინიშნება. ნიშანი მოსწავლეს აიძულებს, ძალა დაატანოს თავის თავს, კარგად დააკვირდეს შეცდომას, გაერკვეს მის არსში და გაასწოროს. შესაძლებელია, უხეშ შეცდომებზე პირობით ნიშანთან ერთად მოსწავლეს მიეცეს ერთგვარი მითითება, დამხმარე კითხვა (ჩვეულებრივ, ის რვეულის მინდორზე დაიწერება), რომელიც მიახვედრებს მას, თუ რა როგორ გაასწოროს (შედარებით ძლიერ მოსწავლეს ასეთი კითხვა არ დასჭირდება). თუ შეცდომა ტიპურია, მაშინ ასეთი მითითების საჭიროება გამორიცხულია, რადგანაც იგი გაანალიზებული იქნება მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით გაკვეთილზე.

უხეში შეცდომა, ე. ი. ისეთი შეცდომა, რომელიც დაკავშირებულია ჯერ შეუსწავლელ წესთან ან ისეთთან, რომლის შესწავლა მთლიანად არ არის დამთავრებული. ჩვეულებრივ, ასე სწორდება: „უმართებულოდ დაწერილს ხაზი უნდა გადაესვას და მის ზემოთ დაიწეროს მართებული ფორმა“.[1] იმ შემთხვევაში, თუ სტრიქონებს შუა ადგილი ცოტაა და ჩაწერა გამოიწვევს სხვა სიტყვების შეხებას და ნაწერის დამახინჯებას, მაშინ უმჯობესია საჭირო სიტყვა რვეულის მინდორზე დაიწეროს. შეიძლება მთელი სიტყვა არ გადავხაზოთ, არამედ — ის ასო, რომელიც შეცდომას შეიცავს და ზევით საჭირო ასო დავწეროთ, ან კიდევ, თუ გამოტოვებულია ასო, იგი ჩავუმატოთ.

დაახლოებით ასევე გასწორდება არაუხეში ხასიათის პუნქტუაციური შეცდომებიც: თუ აკლია ნიშანი, დასვამს მასწავლებელი, თუ ზედმეტია, წაშლის ხოლმე (არ შეიძლება აქვე არ დავსძინოთ:

---

1. მ. ჩ ი ნ ჩ ა ლ ა ძ ე, წერითი მუშაობის საკითხები V-VII კლასებში, თბ., 1960, გვ. 43.

უხეშ და არაუხეშ შეცდომათა არსი მეცნიერულად ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გარკვეული და განხილული).

თავისებურ მიდგომას მოითხოვს შემთხვევითი, უნებლიე ხასიათის შეცდომები: ენისა და კალმის ცდომილები, ანუ, როგორც იტყვიან, ლაფსუსები. ლაფსუსი, მართალია, შეცდომაა, მაგრამ ის მაინც უნდა განვასხვაოთ ნამდვილი შეცდომისაგან. ლაფსუსი ყურადღების შესუსტების, დაუკვირვებლობის, ზედმეტი აჩქარების, ხელის არასწორი მოძრაობის შეუმჩნევლობის შედეგია. დამწერს სწორიც ჰგონია. რადგანაც ცნობიერების კონტროლი შეანელა. ყურადღება ვერ გაამახვილა, მხედველობიდან გამოეპარა მართებული ფორმა და მის ადგილას არასწორი ფორმა იხმარა. ასეთ შეცდომებს — ასოს დაკლებაა ეს თუ ზედმეტი ასოს ხმარება სიტყვაში, ერთი ასოს მაგიერ მეორის გამოყენება, სიტყვის ან მთელი წინადადების განმეორებით წერა და მისთ. — ხაზი უნდა გაუსვათ ისინი მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა მიაკვლიოს და გაასწოროს. ახსნა-განმარტებას ასეთი შეცდომები არ საჭიროებენ.

საერთოდ, ენის სწავლებასთან დაკავშირებული წერითი მუშაობის თემების მეტი ნაწილი ისეთია, რომ აქ ნაკლებად არის მოსალოდნელი სტილისტიკური, ფაქტობრივი და ლოგიკური შეცდომები (მთავარი ფაქტების გამოტოვება, გეგმიდან გადახვევა, აზრთა თანამიმდევრობის დარღვევა, ზედმეტი ლაკონიზმი ან, პირიქით, მრავალსიტყვაობა, ტავტოლოგია, სიტყვათა უმართებლოდ დალაგება, სიტყვათა და წინადადების ტიპთა არასწორად შერჩევა, ფაქტის დამახინჯება, შინაარსობრივად შეუსაბამო ცნებათა ერთმანეთთან დაკავშირება, არასწორი, პარადოქსული, გულუბრყვილო მსჯელობანი და სხვ.), მაგრამ თუ გვხვდება, აუცილებლად უნდა გასწორდეს. ასეთ შეცდომებს პირობით ნიშანთან ერთად შესაძლებელია მითითებანიც გავუკეთოთ: „აზრი დამახინჯებულია“, „აზრობრივი თანამიმდევრობა დარღვეულია“, „ფაქტები არასწორადაა წარმოდგენილი“, „წინადადებაში სიტყვები უმართებულოდ არის დალაგებული“, „სიტყვები არასწორად არის შერჩეული“ და სხვ.

როგორც წესი, უშეცდომო და გამართულ წერასთან ერთად მოსწავლეს მოეთხოვება სუფთა წერის წესების მტკიცედ დაცვა. კალიგრაფიულად, ლამაზად წერა წერითი მეტყველების თავარი მხარეა (ჩვენი წინაპრები ამას უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საწერი მასალა, მელანი და იარაღი დღევანდელთან შედარებით დაბალი ხარისხისა იყო, მათ ლამაზი წერის, ნორმების ზუსტად დაცვის იშვიათი ტრადიცია, ნიმუში დაგვიტოვეს). იგი მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი ძლიერი საშუალე-

ბაც არის. ცნობილია, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლები, როგორც იტყვიან, თან ჰყვებიან კალიგრაფიაზე მუშაობას და მოსწავლეებს უმუშავებენ კარგ ხელს, აჩვევენ ლამაზად წერას, მაგრამ, სამწუხაროდ, შემდგომ კლასებში კალიგრაფია არათუ უმჯობესდება, არამედ, პირიქით, თანდათანობით უარესდება, მრუდდება და მახინჯდება, ასოთა არასწორი მოხაზულობა, ასოთა უმართებულო გადაბმა, ასოებსა და სიტყვებს შორის სათანადო ინტერვალის დარღვევა. ნაწერის გაჭუჭყიანება, დაჯღაბნა, ამოფხეკვა, გადახაზვა და სხვა უმსგავსოებანი არც ისე იშვიათი მოვლენაა უფროსი კლასის მოსწავლეთა ნაწერებში. მასწავლებელი ვალდებულია შეუნარჩუნოს მათ დაწყებითში შეძენილი კალიგრაფიული ჩვევები, უყურადღებოდ არ დატოვოს უსუფთაოდ, ულამაზოდ წერის ფაქტები და ნაწერის შეფასებისას გაითვალისწინოს იგი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის ხელსაც. იგი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, მის მიერ მოსწავლის რვეულში დაწერილი რეცენზია, შენიშვნა, ხელის მოწერა იყოს ლამაზი, სანიმუშო, მისაბაძი, საჭიროა, დაფაზედაც ყოველგვარი წერა სრულდებოდეს კალიგრაფიულად, კარგი ხელით.

მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლეთა მიერ შეცდომის გასწორებასაც. სიჩქარის, უპასუხისმგებლობის თუ სხვა მიზეზით ზოგი მოსწავლე შეცდომების გასწორებაშიც უშვებს იმავე ან სხვა ახალ შეცდომას. შეცდომების ზერელედ, დაუდევრად გასწორებას ან, უარეს შემთხვევაში, გაუსწორებლად მის დატოვებას სასტიკად უნდა ვებრძოლოთ.

სასკოლო პრაქტიკაში დიდი ხანია, რაც მოსწავლეთა ნაწერების რეცენზირება დამკვიდრდა. იგი მოსწავლის ყურადღებას ამახვილებს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებზე, აძლევს მას კონკრეტულ მითითებებს მათ გადასალახავად. უფრო გავრცელებულია ნაშრომთა ზეპირი შეფასება, თუ შეიძლება ითქვას, ზეპირი რეცენზია. ამ შემთხვევაში მასწავლებელს საშუალება ეძლევა ვრცლად, დეტალურად შეჩერდეს ნაწერის ავ-კარგზე.

საკონტროლო ნაშრომთა (საერთოდ, მოსწავლის ყოველგვარ ნაწერთა) გასწორება უნდა ხდებოდეს დროულად, ე. ი. სამუშაოს შესრულებასა და მის გასწორებას შორის არ უნდა იყოს დიდი ინტერვალი. დაგვიანების შემთხვევაში, ჯერ ერთი, ინტერესი შენელდება და, მეორე, შეცდომა ღრმად გაიდგამს ფესვებს მოსწავლეთა ცნობიერებაში.

მასწავლებელი, როგორც წესი, აუცილებლად გულდასმით ამოწმებს მოსწავლეთა საკლასო-საშინაო ნაწერებსაც. ამ ნაწერების

გასწორებისადმი ნაკლები ყურადღების დათმობა, რაც, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია ზოგიერთი მასწავლებლის პრაქტიკაში, მოსწავლეებში ქმნის წარმოდგენას, რომ საკლასო, განსაკუთრებით საშინაო დავალება თითქოს რაღაც ზედმეტი და ნაკლებად საპასუხისმგებლო სამუშაოა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ზოგიერთი მოსწავლე საშინაო წერით დავალებას ან სულ არ ასრულებს, ანდა ასრულებს მხოლოდ ნაწილობრივ, ე. ი. ბოლომდე არ მიჰყავს დაწყებული საქმე, ან კიდევ ასრულებს, მაგრამ ნაჩქარევად, დაუდევრად, რის გამო უშვებს მოსალოდნელზე მეტ შეცდომას.

მოსწავლეთა საკლასო-საშინაო რვეულების გასწორება მეტად შრომატევადია. თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა ნორმაზე მეტია (40-45), მაშინ რვეულების გასწორება მასწავლებლისაგან კოლოსალურ შრომას მოითხოვს. ამიტომ ზოგიერთ მეთოდისტსა და მასწავლებელს დასაშვებად მიაჩნია ამ საქმეში თვით მოსწავლეთა ჩაბმა, ე. ი. ურთიერთგასწორების შემოღება (როგორც ეს რევოლუციამდელ სკოლაშიც გვხვდებოდა). მართალია, ეს ნაწილობრივ შეუმსუბუქებდა მასწავლებელს მუშაობას და თანაც ხელს შეუწყობდა მოსწავლეებს შეცდომის მიგნების, აღმოჩენის უნარის შეძენაში. ისეთ კლასში, სადაც წერითი მეტყველების კულტურა მაღალ დონეზეა დაყენებული და მის შედეგად შეცდომების დაშვება მინიმუმამდეა დაყვანილი, შესაძლებელია მასწავლებლის ხელმძღვანელობითა და მითითების მიხედვით მოსწავლეებმა ერთმანეთის რვეულები გაასწორონ. თუმცა ზომიერება და სიფრთხილე მაინც საჭიროა. მოსწავლეებს ხშირად შეცდომა გამორჩებათ, ისიც შესაძლებელია, რომ სწორი არასწორად მიიჩნიონ. არც ის არის გამორიცხული, რომ ყალბად გაგებული ამხანაგობისა და მეგობრობის გავლენით შეიძლება მოსწავლეებმა დაფარონ ნაკლოვანებანი. ჩაასწორონ ნაწერი და ამით სიყალბეს მეჩვიონ. სიცრუე გაუტკბეთ და მახინჯ გზას დაადგნენ. საკლასო-საშინაო ნაწერების გასწორება სერიოზული საქმეა. ამიტომ უნდა ვერიდოთ ურთიერთგასწორების პრაქტიკას, ნუ დავაკისრებთ მოსწავლეებს იმას, რაც მათ ცოდნას და გამოცდილებას აღემატება.

საკონტროლო ნაწერებს, როგორც წესი, ერთდროულად ასწორებს მასწავლებელი. ასე არ ითქმის საკლასო და საშინაო რვეულების გასწორებაზე. ერთბაშად მათი გასწორება მასწავლებლის ფიზიკურ შესაძლებლობას აღემატება. ამიტომ იგი მათ ასწორებს თანდათანობით. მასწავლებელთა მუშაობაში ასეთი პრაქტიკაა დანერგილი: წერაში ჩამორჩენილი მოსწავლის ნაწერი სწორდება ყო-

ველდღიურად და ეძლევა სავარჯიშო შეცდომათა აღსაკვეთად, საშუალოსანთა ნაწერები სწორდება კვირაში ერთხელ.

ყურადღებას იქცევს საკლასო და საშინაო წერითი ნამუშევრების შეფასების საკითხიც. მართალია, ეს ვარჯიშობანი სასწავლო დანიშნულებისაა და წარამარა ნიშნით მათი შეფასება არ იქნება გამართლებული. ზოგიერთი დავალება სიძნელის ხარისხით მარტივია და მოცულობითაც პატარაა, მისი შეფასება მართლაც არ ღირს. თუ საკლასო და საშინაო დავალება ნახევრად საკონტროლო ხასიათისაა, რთულია და მოცულობითაც საკმაოდ მოზრდილი, მაშინ ნიშნის დაწერა არათუ სასურველია, არამედ აუცილებელიც (ეს შეფასებანი მასწავლებელს შეაქვს სპეციალურ რვეულში). უდაოა, ეს ხელს შეუწყობს საერთო წიგნიერების დონის ამაღლებას და, რაც მთავარია, გააძლიერებს მოსწავლეთა პასუხისმგებლობას ყოველი სახის წერითი მუშაობისადმი. საერთოდ, მოსწავლის საკლასო და საშინაო ნაწერებს (ნიშნით შეფასებული თუ შეუფასებელი) მხედველობაში მივიღებთ მეოთხედური და წლიური ნიშნების გამოყვანის დროს. მათ გარკვეული წვლილი შეაქვთ თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების სწორად დადგენისა და ობიექტურად შეფასების საქმეში.

მართალია, მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გულდასმით შესწავლას, დაკვირვებულად გასწორებასა და ობიექტურად შეფასებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია, პირველი ეტაპია. მთავარი მაინც მოსწავლეთა მიერ შეცდომების გასწორებაზე სერიოზული და დამოუკიდებელი მუშაობა ნაკლოვანებათა აღმოფხვრაა. ამიტომ მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, აქტიურად ჩააბას მოსწავლეები შეცდომათა გასწორებაზე მუშაობაში. სისტემატური და შეგნებული ხასიათი მისცეს მას. მომთხოვნელობის ოდნავ შესუსტება და დათმობაზე წასვლა შეუწყნარებელია.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ყველაზე ნაკლები ინტერესითა და მონდომებით მოსწავლე სწორედ შეცდომების გასწორებას ეკიდება, ეს მუშაობა აღარ იზიდავს, ხალისს არ იწვევს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა შეცდომები და მასთან ერთად ცუდი ნიშანიც ხშირი მოვლენა გახდა მისთვის. თუ მოსწავლეს აღარ აღეძრა შეცდომათა დაძლევისა და აღმოფხვრის სურვილი, თუ პასუხისმგებლობა არ გამოიჩინა და აქტიურად არ ჩაება ნაკლოვანებებთან ბრძოლაში — შეცდომები განმეორდება, უფრო გამრავლდება. რომ იტყვიან: „თუ პატარა ნაკლს არ გაასწორებ, დიდი გაიზრდებაო“, წერით მეტყველებასაც ეხება ხოლმე. ბევრჯერ სულ უბრალო, თავიდან

ოლად ასაცილებელი მიზეზი ეღობება ბავშვის წარმატებას და საკმარისია, მასწავლებელმა დროზე აუღოს ალღო ამ მდგომარეობას. სულ მცირედი ღონისძიება იხმაროს, რომ წერაში მოსწავლის ჩამორჩენა არ დაუშვას. გამოცდილი, თავისი საქმით დაინტერესებული მასწავლებლები სასწავლო წლის დაწყებისთანავე გამოავლენენ მოსწავლეთა ცოდნაში ხარეზებს და თავიდანვე ცდილობენ მათ გამოსწორებას.

შეცდომებზე მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პირობა მათში გარკვევა. მათი გააზრებაა. შესაძლებელია, მოსწავლემ ცნობიერების აქტიური ჩარევის გარეშე, გაუაზრებლად მექანიკურად გასწოროს და დაიმახსოვროს ცალკეული სიტყვის მართლწერა, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში სასვენი ნიშნის სწორად დასმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მის ცნობიერებაში მოიშალა ის პირობები, რომლებიც შეცდომებს იწვევენ. ამიტომ შეცდომის არსში გარკვევას და სათანადო წესის გახსენებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შეცდომათა გასწორებაზე შეგნებული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

როგორც ცნობილია, გავრცელებულობის მიხედვით შეცდომა შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ტიპობრივი. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ მთელ კლასთან იქნება გაანალიზებული. რვეულების დარიგებამდე მასწავლებელი შესავალ სიტყვაში მოკლედ შეჩერდება მთელი კლასის საერთო შედეგებზე, წარმატებათა თუ წარუმატებლობათა მიზეზებზე და შემდეგ ახდენს ტიპობრივ შეცდომათა ანალიზს მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით. განხილვის დროს აღდგენილი იქნება სათანადო თეორიული მასალა, წესი, ზოგ შემთხვევაში შეიძლება სახელმძღვანელოს წაკითხვაც დაგჭირდეს და სხვ.

ტიპობრივი შეცდომების ანალიზისა და სათანადო კონსულტაციის, მითითების მიცემის შემდეგ იწყება შეცდომათა დამოუკიდებლად გასწორება. ცხადია, სწორდება როგორც ტიპობრივი, ისე ინდივიდუალური შეცდომებიც.

შეცდომათა ხასიათის და მოსწავლეთა მომზადების შესაბამისად გასწორება სხვადასხვაგვარად წარიმართება. შევეხებით მხოლოდ ორთოგრაფიულ შეცდომათა გასწორების საკითხს. თეორიასა და პრაქტიკაში ეს დიდ დავას, აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. „სასარგებლოა, — წერდა ცნობილი რუსი მეთოდისტი ფ. ი. ბუსლაევი, — ათჯერ ან ოცჯერ დაწეროთ ის სიტყვა, რომელშიც შეცდომას უშვებ“.[1] ცხადია, ამას ვერ გავიზიარებთ, რადგანაც ასეთი

1. ფ. ი. ბ უ ს ლ ა ე ვ ი. მშობლიური ენის სწავლებაზე (რუსულად), 1941, გვ. 116.

მუშაობა მომაბეზრებელია და ნაკლებეფექტური. ამაზე საკითხზე მეთოდისტი და მასწავლებელი ფ. რურუა წერდა: „მოწაფე უმართებულოდ დაწერილ თითოეულ სიტყვას ხუთჯერ ამოწერს ცალკე და მერე ორჯერ იმ წინადადებაში, რომელშიც ის სიტყვა იყო ნახმარი“.[1] შეიძლება ასეთი გასწორება ზოგჯერ მართლაც ნაყოფიერი აღმოჩნდეს, განსაკუთრებით ისეთ სიტყვათა მართლწერის შეფასებაში, რომელნიც რაიმე გარკვეულ წესს არ ექვემდებარებიან და არსებითად მხედველობის საშუალებით უნდა იქნენ დამახსოვრებული. მაგრამ ყველა შემთხვევისათვის ამგვარი გასწორების რეკომენდება, ეჭვგარეშეა, უმართებულო იქნებოდა. რაიმე სტანდარტით ხელმძღვანელობა როგორც საერთოდ, ისე ამ შემთხვევაშიც საზიანოა. შესაძლებელია, ზოგ მოსწავლეს სიტყვა, რომლის წერაშიც მან ორთოგრაფიული შეცდომა დაუშვა სამჯერ, ოთხჯერ დავაწერინოთ ცალკე თუ წინადადებაში, ზოგიერთს კი — ერთხელ ან ორჯერ, გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება ამგვარი გასწორებანი მიზანშეწონილად აღარ მივიჩნიოთ და უფრო სწორად ვცნოთ დაშვებული შეცდომების შემცველი სიტყვების გამოყენებით წინადადებათა შედგენა (ჩაწერა) და სხვ. ყველაფერი ეს დამოკიდებულია მოსწავლის მომზადებაზე, შეცდომის ხასიათზე, მის სიძნელესა თუ სიადვილეზე.

ორთოგრაფიული შეცდომის გასწორებისას რა შემთხვევაში უნდა დაიწეროს ცალკე სიტყვა ან მთელი წინადადება, ეს შეცდომაზეა დამოკიდებული. თუ შეცდომიანი სიტყვა წინადადების სხვა წევრით არაა გაპირობებული, მასთან კავშირში არ არის, მაშინ უმჯობესია ცალკე სიტყვის წერაზე ვავარჯიშოთ მოსწავლე (3—4-ჯერ გაიმეორებს მას). მაგალითად, თუ ირემის, მელანით, მამწვანილე, ბედნიერობა, მევიდა, მაიტანა, მეოცდახუთე, მე-V რკინისგზა, დედმამა და მისთ. შემთხვევებში ცალკე სიტყვის წერაზე ვარჯიშია საჭირო, მთელი წინადადების წერა, სადაც ასეთი სიტყვები ურევია, ზედმეტად უნდა მივიჩნიოთ, თუ შეცდომა ისეთია, რომ ის კავშირშია წინადადებაში შემავალ სიტყვასთან („ხეს ფოთლები ვარდება“, „ხალხი დაჯდა“, „ბავშვები სამუშაოდ მოვიდა“ და მისთ.), მაშინ აუცილებელია მთელი წინადადების დაწერა. იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა მსაზღვრელზე („დიდ თოვლმა მანქანები გააჩერა“, „ბეღურები მაღალი ხეზე ისხდნენ“ და მისთ.), შეიძლება დავკმაყოფილდეთ მსაზღვრელისა და საზღვრულის ამოწერით (2—3-ჯერ).

უნდა დავსძინოთ, რომ, მართალია, შეცდომიან სიტყვათა თუ

1. ფ. რ უ რ უ ა, მართლწერის სავარჯიშოთა კრებული, თბ., 1938, გვ. 10.

წინადადებათა ამოწერა პრაქტიკაში დანერგილია და მას გარკვეული ნაყოფიც მოაქვს, მაგრამ, საერთოდ, ხელახლა წერა მაინც უხალისო სამუშაოა, რამდენადმე მექანიკურიც არის და ნაკლებეფექტური. ამიტომ მოწინავე მასწავლებლები ამჯობინებენ ისეთ წინადადებათა შედგენასა და ჩაწერას, რომელშიც გასასწორებელი სიტყვები და სასვენი ნიშნები იქნება გამოყენებული. ასეთი გასწორება მოსწავლეთა აქტივიზაციასაც იწვევს და თან მობეზრების განცდაც (ერთი და იმავეს წერით გამოწვეული) თავიდან იქნება აცილებული.

თუ მოსწავლეს დიდი რაოდენობით აქვს დაშვებული როგორც ინდივიდუალური, ისე ტიპობრივი შეცდომები, მაშინ შესაძლებელია მას ეს უკანასკნელი კლასში გავასწორებინოთ, ხოლო ინდივიდუალური კი შინ გაასწოროს (შინ ვატანთ საკონტროლო რვეულს და დანიშნულ დღეს უკან ვაბრუნებინებთ).

თუ მოსწავლეს შემოქმედებითი ხასიათის წერით ნაშრომში ბევრი შეცდომა აქვს დაშვებული, მაშინ შეიძლება მისი გადაკეთება, შევსება, გაუმჯობესება დავავალოთ, ე. ი. ხელახლა დავაწერინოთ (უფრო საშინაო დავალების სახით).

არ უნდა ვიფიქროთ, რომ გაასწორა მასწავლებელმა. გაასწორა მოსწავლემაც და ამით დამთავრდა ყველაფერი, შეცდომებს უკვე ბოლო მოეღო. ცნობილია, რომ ერთბაშად შეცდომათა აღმოფხვრა ვერ ხერხდება, ერთი დაკვრით ისინი არ ისპობიან. წერაში ხარვეზების ლიკვიდაცია ხანგრძლივ და სისტემატურ მუშაობას მოითხოვს. ამიტომ ერთხელ ჩატარებული გასწორებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. ამასთან ერთად აუცილებელია, „დაშვებულ შეცდომათა კვალობაზე“ დამატებით ვავარჯიშოთ მოსწავლეები. ამ სავარჯიშოებში გაითვალისწინება როგორც საკონტროლო, ისე საკლასო და საშინაო ნაწერებში დაშვებული შეცდომები.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ხარვეზის ლიკვიდაცია, ჩვევის გამომუშავება მოსწავლეებში ერთნაირად აღარ მიმდინარეობს. ზოგს ცოტა ვარჯიში ყოფნის, ზოგს მეტი ესაჭიროება. ყოველი ბავშვის ბუნება ინდივიდუალურია. შეცდომათა მეტი ნაწილიც ინდივიდუალურობაზე მოდის. ამიტომ, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალური ხასიათის დავალებათა ფართოდ გამოყენებას. ამ მიზნისათვის შემოღებულია ე. წ. ბარათების სისტემა.

ვარჯიშობები შემასმენლის სწავლებაში

1. შეადგინეთ მდგომარეობის გამომხატველი შემასმენლიანი წინადადებები (ქვა აგდია, ბავშვს სძინავს...).

2. შეადგინეთ წინადადებები შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით: რას შვრება საგანი? რას იზამს საგანი? რა მოსდის საგანს? რა ქნა საგანმა? როგორია საგანი? ვინ არის საგანი? რამდენია საგანი?

3. წერტილების ადგილას ჩაუმატეთ სათანადო შემასმენელი გაძღობას ძროხაც (...). ადამიანის პანღური ვირის წიხლზე (...). ვალს გადახდა (...). არა შეჯდა მწყერი ხესა, არა (...) გვარი მისი. ზღვაც (...) კოვზითაო. ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი (...) პამასა. ვინც მოითმენს, ის (...). კაცმა ცხენს ვერ დააკლო რა და უნაგირს (...). მაძღარს მშიერიც მაძღარი (...). ტყუილს მოკლე ფეხები (...). ქარის მოტანილს ქარივე (...). ნუ დასცინი სხვასაო, (...) თავსაო. დროზე მთესველი დროზე (...). ორი ქაჩალი სავარცხლისათვის (...). კოკა წყალს ყოველთვის არ (...). ერთი თხილის გული ცხრა ძმამ (...). ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს (...).

4. შემასმენლებს შეურჩიეთ სინონიმები: კრება შედგა (ჩატარდა, გაიმართა). საკითხს მეცნიერულად მიუდგა (განიხილა). ძეგლი დაუდგეს (აუგეს, გაუკეთეს). წინ არაფერი დაუდგება (შეაჩერებს). სასაცილოდ იგდებს (ამასხარავებს, დასცინის). აბუჩად იგდებს (ანგარიშს არ უწევს და ამით ამცირებს), თავს იგდებს (უწესოდ იქცევა, თავხედობს). თავს განსაცდელში იგდებს (თავისავე მიზეზით გასაჭირში ვარდება). ხმები დადის (გავრცელდა). ჯარში მიდის (საბჭოთა არმიის რიგებში დგება). გამოცდები მიდის (მიმდინარეობს, ტარდება).

5. ფრჩხილებში ჩასმული შემასმენლიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი, ე. ი. უფრო შესაფერისი, უფრო მართებული: მცხოვრებლები (საყვედურობენ, საყვედურს გამოთქვამენ). ანდრო შეჯიბრებაში (მონაწილეობას იღებდა, მონაწილეობდა). ტელეფონი (არ პასუხობს, პასუხს არ იძლევა, არ მუშაობს). დღეს მეტად (დასცხა, დაცხა). ბავშვს (დასცხა, დაცხა). ციალას ტკივილები (მოეხსნა, გაუყუჩდა, დაუდუმდა). ბავშვის აღზრდაში ოჯახი დიდ როლს (ასრულებს, თამაშობს). სტუმარმა პალტო (გაიხადა, გაიძრო). მონადირემ კვერნას ტყავი (გააძრო, გახადა). ყველა (სახეზეა, ადგილზეა, აქ არის). ვასოს შეცდომა (მოუვიდა, დაუშვა, შეცდა). ბეჭედი (მოიძრო, მოიხადა). ცხვარი ბალახს ძოვს, ჭამს). მგელი ძვალს (ჭამს, ხრავს). ლეკვი რძეს (სვლეპს, სვამს). ნიკო შეჯიბრებიდან (მოხსნეს, განდევნეს, შეჯიბრებას ჩამოაშორეს). მავრას წყალი იატაკზე (დაეღ-

ვარა. დაექცა). მტერმა ხანჯალი (იძრო, იშიშვლა, მოიმარჯვა). ავარიის გამო მძღოლი (დაზიანება მიიღო, დაშავდა). ციტატი (მოიტანა. მოიყვანა).

6. დაადგინეთ მოცემულ წინადადებებში გამოყენებული შემასმენლების მსგავსება-განსხვავებანი. შემოდგომაზე დღე საგრძნობლად იკლებს. ბავშვი ტირილით აქაურობას იკლებს. ესმა ჩაის ისხამს. მტერი იარაღს ისხამს. ვინც ძლიერია, ის იმარჯვებს. მზვერავი იარაღს იმარჯვებს. კრებაზე მანანა თავის ადგილს იჭერს. კრების თავმჯდომარე თადარიგს იჭერს. კატა თაგვს იჭერს. გაკრიტიკებული ამხანაგი თავს იჭერს. დედა შვილს არიგებს. წყალი წისქვილის ბორბალს აბრუნებს. გამყიდველი ხურდას აბრუნებს. მოსახლეობას გრიპი მოედო. ყანას კალია მოედო. ეს ამბავი ქვეყანას მოედო. გულნარას სახეზე ალმური მოედო. ტყეს ცეცხლი მოედო. ავადმყოფი გონზე მოდის. ანასტასიას გული მოსდის. თამარს მეზობელთან ჩხუბი მოსდის.

7. ფრჩხილებში ჩასმული შემასმენლებიდან შეარჩიეთ მართებული ფორმის მქონენი: ვისაც ჭირი უნახავს. წამალიც იმას (კითხეო, ჰკითხეო). გუშინ არავინ (მოსულა, არ მოსულა). კაცი რომ დაბერდება, შვილდ-ისარი უნდა (დასდოს. დადოს). ბრაზიანი ძაღლი პატრონსაც (ჰკბენს, კბენს). გაგონილს ნანახი (სჯობიანო, ჯობიანო). ბეერი ოსტატი (აღვზარდე. ავღზარდე). ვინც აკლდა. ყველა (ავღნიშნე, აღვნიშნე). დარგული ხეები (ავღწერე. აღვწერე). კარგი მუშაობისათვის ჩვენს აგრონომს მთავრობა ლენინის ორდენით (აჯილდოებს, აჯილდოვებს). ნატო კაბას (აუთოებს. აუთოვებს).

8. მოცემული გამონათქვამები შეცვალეთ სინონიმებით: წელებზე ფეხს იდგამს. ბავშვი ფეხს იდგამს. უარზე იდგა. მუხლმოდრეკით იდგა. საკუთარ ფეხზე დგას. გულს იკეთებს. ნემსებს იკეთებს. ღანე თეთრად გაათია. თავისი ხუთი თითივით იცის. ორი ბოთლი დალია და იქვე სული დალია. ვერავინ ვერ ერევა. თვალებზე ცრემლი ერევა. ტკივილი მოსვენებას არ აძლევს. ვაჭრობა ხელს არ აძლევს. ბეღურა მახეში გაება. სპეკულანტი მახეში გაება. ცუდი დღე დაადგება. დიდი ჯაფა დაადგება...

9. მარტივი შემასმენელი გადააკეთეთ შედგენილ შემასმენელად. ცეცხლი ანთია. ქვები აწყვია. ატამი აყვავილდა. გზა თოვლით დაიფარა. მოძრაობა შეწყდა...

10. მოცემული გამოთქმები გამოიყენეთ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით წინადადებაში: წერილი წაიღო. ცეცხლში ჩავარდა. ხელი დაიბანა. ხელი მოითბო. ხელი ჩაიქნია. ხელი გაუწოდა. კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ძვირად დაუჯდა. ფეხზე დააყენა.

11. ᲨᲘᲔᲪᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ: ᲛᲝᲡᲐᲦᲐᲛᲝᲕᲓᲐ. ᲛᲖᲔ ᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲫᲐᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲕᲓᲜᲔᲜ. ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲐᲛᲐᲧᲐᲓ ᲔᲬᲘᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ. ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲐᲛ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲐ. ᲢᲧᲔᲔ ᲒᲐᲛᲝᲔᲞᲐᲠᲐᲗ. ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲨᲔᲔᲨᲘᲜᲓᲐ. ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ: ᲒᲖᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲘᲧᲝ. ᲪᲮᲠᲐᲗᲕᲐᲚᲐ ᲛᲖᲔ ᲐᲛᲝᲑᲠᲬᲧᲘᲜᲓᲐ. ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ ᲜᲐᲫᲘᲠᲐᲚᲐᲗᲐ ᲗᲠᲝᲕᲐ ᲓᲐᲮᲕᲓᲐ. ᲣᲤᲠᲝᲚᲘ ᲘᲑᲔᲠᲔᲑᲝᲓᲐ (ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲪᲮᲕᲘᲠᲘ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲘᲬᲔᲕᲓᲐ). ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲐᲛ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲛᲖᲔᲣᲠᲐ (ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲔᲑᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲰᲤᲘᲜᲐ). ᲢᲧᲔᲔ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲣᲡᲚᲢᲓᲐᲗ.

12. ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲡᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲕᲘᲗ. ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ: ᲜᲣᲜᲣ ᲛᲝᲘᲦᲠᲣᲑᲚᲐ. ᲛᲗᲔᲑᲛᲐ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲣᲭᲔᲡ. ᲓᲘᲚᲐ ᲘᲪᲘᲜᲝᲓᲐ. ᲪᲐ ᲒᲐᲜᲠᲘᲡᲮᲓᲐ. ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲘᲬᲧᲘᲜᲔᲡ. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲛᲝᲘᲙᲐᲖᲛᲐ. ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲦᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ. ᲪᲐᲛ ᲨᲣᲑᲚᲘ ᲨᲔᲙᲠᲐ.

13. ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓ: Ა) ᲖᲐᲭᲠᲝ ᲧᲐᲩᲐᲦᲐᲓ ᲒᲐᲘᲥᲪᲐ. ᲓᲐᲗᲝᲛ ᲪᲣᲓᲘ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ. ᲗᲔᲓᲝᲠᲔ ᲜᲔᲚᲐ ᲛᲘᲠᲑᲝᲓᲐ. ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲨᲣᲠᲓᲣᲚᲘᲕᲘᲗ ᲛᲘᲑᲐᲯᲑᲐᲯᲔᲑᲓᲐ. ᲩᲮᲘᲙᲕᲘ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲭᲐᲮᲭᲐᲮᲔᲑᲓᲐ. ᲕᲘᲠᲘ ᲭᲘᲮᲕᲘᲜᲔᲑᲓᲐ. Ბ) ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲬᲕᲘᲛᲐ ᲘᲧᲝ. ᲙᲠᲣᲮᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲘᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲑᲣᲩᲘᲥᲔᲑᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲛᲐᲚᲣᲚᲘ. ᲘᲛ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲘᲠᲒᲔᲚᲘᲗ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘ ᲢᲧᲔ ᲘᲧᲝ. ᲢᲧᲔᲨᲘ ᲜᲐᲓᲘᲠᲘ ᲑᲚᲝᲛᲐᲓ ᲘᲧᲝ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲚᲘᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲨᲘᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲢᲐᲪᲔᲑᲐᲨᲘ. ᲜᲔᲚᲐ ᲬᲐᲛᲝᲪᲣᲜᲪᲣᲚᲓᲐ ᲘᲥᲘᲗᲙᲔᲜ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲙᲠᲣᲮᲘ ᲘᲧᲝ. ᲛᲣᲠᲘᲐᲪ ᲘᲥᲕᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲧᲣᲤᲐ. ᲛᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲘᲥᲪᲐ. Გ) „ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲐᲓ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ“ (ᲐᲠᲐᲝᲠᲒᲐᲜᲣᲚᲘ ᲥᲘᲛᲘᲐ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲛᲔ-7-8 ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, 1974, ᲒᲕ. 108). Დ) ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲠᲔᲕᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲝᲓᲐ. ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲡ, ᲐᲠ ᲐᲦᲔᲚᲦᲔ, ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲪᲓᲔᲜᲘᲐ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲛᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲬᲐᲙᲘᲚᲘ ᲫᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ.

14. ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ. ᲒᲒᲝᲜᲘᲐ. ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲓᲐ. ᲛᲘᲘᲛᲐᲚᲐ. ᲨᲔᲔᲙᲘᲗᲮᲐ. ᲒᲐᲐᲐᲓᲕᲘᲚᲐ, ᲛᲘᲘᲑᲐᲠᲐ, ᲓᲐᲐᲬᲔᲠᲘᲜᲐ — ᲖᲛᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲗ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲨᲘ.

ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲐᲜᲘ ᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲨᲘ

15. ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘ, ᲐᲥᲚᲔᲛᲘ. ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ. ᲣᲠᲔᲛᲘ. ᲖᲔᲛᲘ, ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ, ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲘ, ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲘ — ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲕᲘᲗ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲘᲗ ᲑᲠᲣᲜᲕᲐᲨᲘ (ᲛᲮ. ᲠᲘᲪᲮᲕᲨᲘ) ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲗ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲨᲘ.

16. ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲣᲡᲘ. ᲒᲚᲝᲑᲣᲡᲘ, ᲑᲝᲠᲘᲡᲘ, ᲜᲔᲛᲡᲘ. ᲡᲐᲮᲜᲘᲡᲘ, ᲡᲐᲓᲒᲘᲡᲘ — ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲕᲘᲗ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲗ ᲑᲠᲣᲜᲕᲐᲨᲘ (ᲛᲮ. ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗᲨᲘ) ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲗ.

17. სახედარი აყროყინდა. სასწავლებელი აშენდა. დარაჯმა **არ** შეგვიშვა. ხვეწნამ არ გასჭრა. ქარიშხალი ატყდა. კამათი შეწყდა. კარგი ამინდი ყ.დგა. მთისკენ დაიძრა თეთრი ქარავანი. დარდმა იმსხვერპლა, მშობლიური ენა წამყვანია ჩვენს სკოლებში. ჯამაგირი დარიგდება. მძღოლმა მანქანა გააჩერა — წინადადებებში შეცვალეთ ქვემდებარე სინონიმით.

18. ხე, მონადირე, ექიმი, პიონერი, სოფელი, ბრიგადირი — არსებითი სახელები გამოიყენეთ ქვემდებარედ და შემასმენლის სახელად ნაწილად წინადადებაში. ნიმუშისათვის: **მ ო ნ ა დ ი რ ე** მ ვეფხვი დაჭრა. თედორე **კარგი მ ო ნ ა დ ი რ ე ა.**

19. ბავშვი თამაშობს, ძაღლი ყეფს. კრებას მშობლებიც ესწრებოდნენ. მიმოზა კერავს. მზე ანათებს. ატამი უკვე ყვავილობს. ქარი სახურავს ააგლეჯს. მელა თავის სოროში შეძვრა. ლეკვებს ხშირად ჩხუბი მოსდით. თემას ვწერ. მეზობელი სახლს იშენებს — წინადადებებში I სერიის ზმნის ფორმით გამოხატული შემასმენლები II და III სერიის ფორმებში გადაიყვანეთ და საჭიროების მიხედვით შეცვალეთ ქვემდებარის ბრუნვა (ნიმუშისათვის: თეო სათამაშოს ყიდულობს. თეომ სათამაშო იყიდა. თეოს სათამაშო უყიდია. თოვლი დნება. თოვლი დადნა. თოვლი დამდნარა).

20. წერტილების ადგილას ჩაუმატეთ შესაფერისი ქვემდებარე: (...) ზღვაში დაცურავს. (...) გაინავარდა. ხიდი (...) წაიღო. ტყეში ბინადრობს (...). შემოდგომაზე მწიფდება (...). მგლისა (...) არ შეეშინდა. (...) ცხვარი კარგად გამოაზამთრეს. (...) მოიტაცა. (...) ხე წააქცია. (...) თესვას შეუდგნენ.

21. მატარებელი გაჩერდა. სირაქლემა მირბის. ავტობუსი მოვიდა. წვიმა დაიწყო. ბატი სისინებს. სტუმარი გვეწვია. ბელი დედას ჩამორჩა. ნაძვი გახმა. ტყემალი დამწიფდა. მწყემსი ბატკანს კარგად უვლიდა. მეზღვაური ნაპირზე გადმოვიდა. ჭა გაშრა. გზა ატალახდა — წინადადებებში შემავალი ქვემდებარე გადაიყვანეთ მრავლობით რიცხვში და საჭირო შემთხვევაში შემასმენლის რიცხვიც შეცვალეთ.

22. „გარდამავალი ზმნის ქვემდებარესთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშოები“ გააანალიზეთ.

23. მოცემულ წინადადებებში წერტილების ადგილას ჩაუმატეთ სათანადო შემასმენელი: მზიანი დღეები (...). მევენახეებმა ქვევრები (...). მთები თოვლით (...). ბრიგადირებმა ახლად მოსული მუშები (...). წვიმებმა (...). კოლმეურნეებმა წელს ყურძნის უხვი მოსავალი (...). მეძებრებმა კურდღელი (...). წელს დარგულმა კაკლის ხეებმა (...). მებოსტნეებმა მუშაობა (...). მკერავებმა ამ თვის გეგმა

გადაჭარბებით (...). ნათესებს კარგი პირი (...). ფერმის მუშაკებმა მადლობა (...).

24. კლდენი, მთანი, მთები, აგრონომები, ქვანი, ქვები, ბევრი თევზი, ხუთი სახლი, სახლნი, ქვიშანი, წყალნი, მდინარეები, ყურძენნი. მეფოლადეები, პიონერები, ტყენი — სიტყვები გამოიყენეთ ქვემდებარედ წინადადებაში.

25. გახსენით ფრჩხილები და ქვემდებარესთან შეათანხმეთ შემასმენელი რიცხვში: შოშიები (მოფრინდა...). დღეს გაზეთები (არ გამოდ...). კლდენი ბანს (ეუბნებ...). ირმები (გაიქც...). დედ-მამამ (დაარიგ...). ყველანი (მოვიდ...). გლეხები ბატონ- ყმობის წინააღმდეგ (იბრძოდ...). გლეხობა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ (იბრძოდ...). მოწაფეები (შეიკრიბ...). მოწაფეობა (შეიკრიბ...). კლდეები (ჩამოინგრა)... ღრუბლები (მიმოიფანტ...). ავტობუსები (დაიძრ...). მინერალური წყლები (იყიდებ...). ორნი (მოვიდ...). კრებაზე ორი (გამოცხად...). უბნის მეჩაიეები (შეიკრიბ...). ისინი გეგმის შესრულებას (ზეიმობ...). ახალგაზრდები (იმარჯვებ...). ახალგაზრდობა იმარჯვებ...).

26. ფრჩხილებში მოცემული შედგენილი შემასმენლებიდან შეარჩიეთ სათანადო: ლომები (განრისხებული იყვნენ, განრისხებულნი არიან). ფოთლები (გაყვითლებულია, გაყვითლებულნი არიან), პიონერები ექსკურსიაზე (იყვნენ წასული, იყვნენ წასულნი), ისინი ჩვენი (მეზობლებია, მეზობლები არიან). ტურისტები (დაბინავებულია, დაბინავებული არიან, დაბინავებულები არიან, დაბინავებულნი არიან). ოთახებს კედლები (გათეთრებული აქვს, გათეთრებული აქვთ, გათეთრებულნი არიან).

ვარჯიშობანი დამატების სწავლებაში

27. ახსენით იდიომთა შინაარსი: გული ერჩის, ამ სოფელს აღარ არის. გრძელი დღე არა აქვს. გრძელი ენა აქვს. გული ეუბნება. გულს იყოლებს. დრო იხელთა. ენა წინ უსწრებს. დრო მოუნახა. ცალი ფეხი სამარეში აქვს. ზღვაში წვეთია. თავში აუვარდა. თვალს არ დაახამხამებს. კბილებს ილესავს. კიდეც ჭრის და კიდეც კერავს. მიწამ ჩაყლაპა. მიაყარე კედელს ცერცვი! ნახშირი კედელს! სიტყვა გატეხა. ტყავი გააძრო. შური იძია. ფეხზე დააყენა. პატრონს ჩაბარდა. ცამდე აიყვანა. ციცმა ოფლმა დაასხა. ცუდი თვალით უყურებენ. წრეს გადასულია. ხმა გავარდა. ჯორზე შეჯდა. ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად.

28. სადაც საჭიროა, შეცდომები გაასწორეთ: ბავშვები თევზა-

ობდნენ. ვარდნი გაიფურჩქნენ. ატმები აყვავილდნენ. ტყენი გაიფოთლა. ხალხი შეგროვდნენ. ჩვენი მიწები კარგ მოსავალს იძლევიან. აგრონომის სიტყვებმა კამათი გამოიწვიეს. ნაკლოვანებანი ზომების მიღებას მოითხოვენ. ფუტკრები ყვავილიდან ყვავილამდე დაფრინავს. მგლები გაუმაძღარია. მეზობლები ერთმანეთს პატივს სცემს. დაღამდა და მნათობნი აკიაფდა. გათენდა და მამლებმაც იყივლა. მდინარენი ადიდნენ. ყველა მოვიდა. ყველანი დასხდნენ. აბიბინდა მინდორ-ველნი. მსმენელები მერხზე ზიან. მოხუცს ხელებმა ცახცახი დაუწყო. ქვებიც ყინვისაგან სკდებიან და იმტვრევიან. თოვლის ფიფქები მიწამდე ვერ აღწევდა, ისე დნებოდნენ. ბავშვები ყივილ-ხივილით მოედო ქუჩას.

29. გამართეთ მოცემული ტექსტი სტილისტიკურად: ბავშვები შეშის მოსატანად ტყეში წავიდნენ. ბავშვებმა ტყეში ბევრი ხმელი ტოტი შეაგროვეს. ბავშვებმა ტოტები შეკრეს და შინისკენ გაეშურნენ ისინი. ზაფხულის ცხელი დღე იყო. ბავშვებმა მდინარის პირას შეისვენეს. ბავშვებს ბანაობა მოუნდათ. ბავშვები მორევში ჩახტნენ. ბავშვებმა საკმაო ხანს დაჰყვეს წყალში. შემდეგ ბავშვები ჩქარი ნაბიჯით გაუდგნენ გზას.

მონადირემ დათვის კვალი ნახა. იგი გაჰყვა კვალს. ბევრი იარა. მას კვალი დაეკარგა. მაგრამ მან ისევ მონახა. იგი დაიღალა. იგი ცოტახანს ქვაზე ჩამოჯდა. ამ დროს მან შენიშნა მისკენ მომავალი დათვი. მან დათვი ახლო მოუშვა. მან ორჯერ ზედიზედ ესროლა დათვს. დათვი სასიკვდილოდ დაიჭრა. რამდენიმე წუთი და დათვი უსულოდ დავარდა მიწაზე.

ეს სახლი რვასართულიანი სახლია. ეს მდინარე წყალუხვი მდინარეა. აქაური ხილი გემრიელი ხილია. ის ამხანაგი ჩემი ამხანაგია.

სერგო ტყეში წავიდა. სერგომ სოკო შეაგროვა და შინ წამოსვლა დააპირა. ამ დროს სერგომ მგელი დაინახა. სერგოს შეეშინდა. სერგო ხეზე აცოცდა. სერგო ხეზე დიდხანს იჯდა. შემდეგ ძირს ჩამოვიდა სერგო და შინისკენ გამოიქცა. სერგოს დაავიწყდა სოკოს წამოღება.

30. მოცემულ წინადადებებს კითხვების მიხედვით შეურჩიეთ პირდაპირი დამატებები: მართამ დააუთოვა (რა?). ტარასიმ დახატა (ვინ?). მარინე აცილებს (ვის?). გზის მშენებლებმა ააფეთქეს (რა?). ინესამ იყიდა (რა?). ბავშვმა აიღო (რა?). ინჟინერი ადგენს (რას?). მერცხალმა გააკეთა (რა?). დედა გაახარა (ვინ?). ძაღლმა დაინახა (რა?).

31. კითხვების მიხედვით შეარჩიეთ ირიბი დამატებები: რუსუდანი დახვდა (ვის?). ნათელა ელაპარაკა (ვის?). ექთანი უვლის

(ვის?). ენგრევა სახლი (ვის?). მწყემსი ერეკება (რას?). გაბრო ეწევა (რას?). ძაღლი ელაქუცება (ვის?). ბავშვი ეფერება (რას?). შალვა ეზიდება (რას?). ირა ემალება (ვის?).

32. მალავს, გააჩერა, არღვევს, აღებს, მოამზადეს, ცრის. გაახმო, მორწყავს, დაიჭირეს, მოძებნეს, გაანათა — ზმნებს შეურჩიეთ ქვემდებარე და პირდაპირი დამატება.

33. აუშენდა, ემალება, ეზრდება, შეეგება, გაუკეთდა, ემხრობა, უდგას, ეფარებოდა, ამოეფარა, უქადდა, ეგებებოდა — ზმნებს შეურჩიეთ ქვემდებარე და ირიბი დამატება.

34. მასპინძლებმა (...) ყვავილები მიართვეს. ექთანმა საბანი გადააფარა (...). დიმიტრიმ (...) ჯოხი დაარტყა. ლევანმა სიხარულით ჩამოართვა ხელი (...). ბეღურებმა (...) ბუდე დაუნგრიეს. მეთაურმა (...) ცნობები მოსთხოვა. მამამ (...) სურათებიანი წიგნი უყიდა. მერი (...) ოთახს ალაგებს — წერტილების ადგილას ჩასვით სათანადო ირიბი დამატება.

35. ლუიზამ ნორას (...) დაალაგებინა. გუგულმა შაშვს (...) გააზრდევინა. ალექსიმ მეზობელს (...) გაალესვინა. თავმჯდომარემ კოლმეურნეებს (...) მისცა. მარინემ მკერავს (...) შეაკერვინა. მასწავლებელმა პირველკლასელებს (...) დააწყებინა. მამალმა ბავშვს (...) წაართვა. ირაკლიმ მოხუცს (...) აატანინა. გივი დედას (...) ალევინებს — წინადადებებში წერტილების ადგილას ჩაუმატეთ შესაფერისი პირდაპირი დამატება.

36. წაიღეს, ატრიალებს, გაუშვეს, არხევს. გამოიყვანეს, გააყრუა. დაიგეს, აჯილდოებს — ზმნებისათვის არსებითი სახელის საშუალებით შეუწყეთ ქვემდებარე და პირდაპირი დამატება და შეადგინეთ წინადადებები.

37. შემოეჩვია, აგდია, ჰყრია, ეკავათ, ესტუმრა, დაედევნენ, ჰკიდია, აცვიათ — ზმნებს არსებითი სახელის საშუალებით შეუწყეთ ქვემდებარე და ირიბი დამატება.

38. მოუსპო, დაუმიზნა, გაუყარა. უკლავს. მიაყენეს. მიუყვანეს, ჰკითხეს, მობანა, მოსჭრა, შემოჰკრა — ზმნებისათვის არსებითი სახელის საშუალებით შეუწყეთ ქვემდებარე, პირდაპირი და ირიბი დამატებები.

39. მხატვარი, აგრონომი, ექიმი, ზღვა, ქარი — არსებითი სახელები გამოიყენეთ წინადადებაში ქვემდებარედ, პირდაპირ და ირიბ დამატებად. (ნიმუშისათვის: მდინარე ნელა მიედინება. წვიმებმა მდინარე აადიდა. მდინარეს კალაპოტი შეუცვალეს).

40. პატარა, ავი, კარგი, ზარმაცი, შურიანი, მშიშარა, გულადი —

ზედსართავი სახელები გამოიყენეთ წინადადებებში პირდაპირ და ირიბ დამატებად.

41. მე, შენ, ჩვენ, თქვენ — პირის ნაცვალსახელები გამოიყენეთ ქვემდებარედ, პირდაპირ და ირიბ დამატებად.

42. ორივეს, სამივეს, ხუთივეს — რიცხვითი სახელები გამოიყენეთ წინადადებაში პირდაპირ და ირიბ დამატებად.

43. ნახვა, დამალვა, განმარტება, გარჩევა, წასვლა, თესვა — საწყისები გამოიყენეთ წინადადებაში პირდაპირ და ირიბ დამატებად.

44. მწონავი, დამშეული, გაბოროტებული, დამრბევი, მომტანი, დამწყები — მიმღეობები გამოიყენეთ წინადადებაში ქვემდებარედ, პირდაპირ და ირიბ დამატებად.

45. კორნელი, გიორგი, ევგენი, დომენტი, ლეონტი, ტანისამოსი, არკადი, სილოსი, შინაარსი, ლილი, მწყემსი, ლექსი, ბადრი, უფროსი, ანკესი — არსებითი სახელები დასვით მიცემითში და გამოიყენეთ წინადადებაში პირდაპირ და ირიბ დამატებად.

46. მოცემულ წინადადებებში პირდაპირი დამატება გადააკეთეთ ქვემდებარედ და ამის შესაბამისად ზმნა-შემასმენელი მოქმედებითი გვარიდან გადაიყვანეთ ვნებით ან საშუალო გვარში: სიკო ყანას მარგლავს. მთვარე არემარეს ანათებს. ქარმა ღრუბლები გაფანტა. დიასახლისი კარს აღებს. კოლმეურნეებმა სიმინდი დათესეს. სალომე სადილს ამზადებს. გურამმა თემა დაწერა. კრუხმა წიწილები გამოჩეკა. სოფიომ ბურთი დაკარგა. გვალვამ ჭები გააშრო.

47. მოცემული ერთნაირი სიტყვები გამოიყენეთ პირდაპირ და ირიბ დამატებად წინადადებაში: ხმალი ხმალს, ფეხი ფეხს, ჯოხი ჯოხს, ფული ფულს, მტერს მტერი, ძმა ძმას. ნიმუში: „ფრთას ფრთას შემოჰკრავს, ფრთა ფრთას შემოჰკრა, ფრთას ფრთა შემოკრა“ (შ. კეკელია, აკ. დავითიანი, ქართული ენა, თბ., 1973, გვ. 286)

48. ფრჩხილებში ჩასმული ზმნა-შემასმენლებიდან შეარჩიეთ სათანადო: მუშებს სახლი (უშენდებათ, უშენდება). ცხვრებს თივა (ეძლევათ, ეძლევა). დათვი თხებს (დაერიათ, დაერია). ავადმყოფებს ყურძენი (ეპმევა, ეპმევათ). ირმებს (მიუახლოვდა, მიუახლოვდათ) დათვი. ირმებს (სუნი ეცა, ეცათ) და გაიქცნენ. მგზავრებს ოფლი წურწურით (ჩამოსდიოდა, ჩამოსდიოდათ). მგზავრებს შიშის ჟრუანტელმა (დაუარა, დაუარათ). დედამ შვილებს საუზმე (მოუმზადა, მოუმზადათ). ქორმა კრუხს წიწილები (მოსტაცათ, მოსტაცა). არსენამ სალდათები (დაინახა, დაინახათ).

49. ფრჩხილებში ჩასმულიდან შეარჩიეთ შესაფერისი: მენახი-

რემ (ჯოგი ნახირი) მორეკა. მეჯოგემ (ჯოგი, ნახირი) საძოვარზე გარეკა. ფარა ჩააბარეს გამოცდილ (მეჯოგეებს, მენახირეებს, მეცხვარეებს). ავადმყოფმა (თვალები, თვალი) გაახილა. მიმოზამ შეიძინა ოქროსა და ვერცხლის (ნივთები, სამკაულები). სტუმრებმა და მასპინძლებმა სპორტული (თამაშობები, თამაშები, თამაშობანი) გამართეს. წარმოებამ (ხარისხის სახელმწიფო ნიშანი, სახელმწიფო ხარისხის ნიშანი) მიიღო. გადაშალეთ წიგნის (25-ე, 25 გვერდი; გვერდი 25-ე, 25).

50. ამირანი ხოცავდა დევებს. ვეფხვი სოფელს აწიოკებდა. არწივი კურდღელს იტერს. სპილოები ყანას ანადგურებს. იასონი ბატკნებს აძოვებს, მურმანი ტრაქტორს არემონტებს — წინადადებებში გამოყენებული ზმნა-შემასმენლები გადაიყვანეთ II და III სერიის ფორმებში და შესაბამისად შეცვალეთ ზოგიერთი წევრის ბრუნვა.

51. დამტარებელმა გაზეთები მომიტანა. ამირანი დევებს თავს სჭრიდა — წინადადებები გაარჩიეთ სინტაქსურად და მორფოლოგიურად.

52. მოცემულ წინადადებებში გაეცით კითხვებზე პასუხები: დაჭრილი (რას?) მიეყრდნო. ავადმყოფი ბავშვი (ვისთან?) მიიყვანეს. გულნარამ ბარტყი (რაზე?) აიყვანა. (ვისგან?) დამფრთხალი კურდღელი გარბოდა. ჯარისკაცი ბრძოლის ველზე დაეცა (რისთვის?). (რის?) ყეფა მიწყნარდა. (რის?) ღმუილიც შეწყდა. ანზორს მაგრად ჩაევლო ხელი (რისთვის?). მეთევზემ (რით?) ბევრი თევზი დაიჭირა. ვარლამი დანიშნეს (რად?).

53. „მეგობარი“ და „ცხვარი“ — არსებითი სახელები — გამოიყენეთ წინადადებებში შემდეგი კითხვების მიხედვით: ვისთან? ვისთან ერთად? რასთან? რასთან ერთად? ვისზე? რაზე? რაში?

54. „მკერავი“ და „ხოხობი“ — არსებითი სახელები — გამოიყენეთ წინადადებაში შემდეგი კითხვების მიხედვით: ვისგან? რისგან? ვისთვის? ვის მიერ? ვის შესახებ? ვისკენ? რისკენ? რის შესახებ? ვის მიმართ?

55. „ნათესავი“, „ფეხი“ — არსებითი სახელები — გამოიყენეთ წინადადებაში შემდეგი კითხვების მიხედვით: რით? (ან რის საშუალებით?). ვისთან ერთად? რასთან ერთად?

56. ნაკვეთი, ყუთი, ზვირთი, თათი, ნავთი, მათ. ზეთი, ტვირთი, სურათი, გაზეთი — არსებით სახელებს დაურთეთ თ ა ნ თანდებული და წინადადებაში უბრალო დამატებად გამოიყენეთ.

57. ბალიში, ქიშმიში, ვარჯიში, შიში, ლავაში, თამაში, ანგარიში, ფელამუში — არსებით სახელებს დაურთეთ შ ე თანდებული

და გამოიყენეთ წინადადებაში უბრალო დამატებად.

58. ნახაზი, ბუზი, კოვზი, თევზი, გაზი, ხაზი, ვაზი, კალატოზი, თეიმურაზი, ანთიმოზი, რომანოზი — არსებით სახელებს დაურთეთ ზე თანდებული და გამოიყენეთ წინადადებაში უბრალო დამატებად.

59. თავმჯდომარე, ბრიგადირი, პიონერხელმძღვანელი, მასწავლებელი, ყინული, წყალი — არსებითი სახელები დასვით ვითარებით ბრუნვაში და წინადადებაში უბრალო დამატებად გამოიყენეთ.

60. აბრეშუმის ჭია, სია, ექსკურსია, ტრადიცია, დემონსტრაცია, ისტორია, ქიმია, გეოგრაფია — არსებითი სახელების ნათესაობითში ან მოქმედებითში დასმა და წინადადებაში უბრალო დამატებად გამოყენება, ნიმუშისათვის: სიის წაკითხვა დამთავრდა, ტყვეთ განგმირული დათვი უსულოდ ეგდო.

61. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვებიდან შეარჩიეთ შესაფერისი: ავადმყოფი (გონს, გონზე) მოვიდა. ნოდარი მშობლებს (მხარში, მხარზე) ამოუდგა. მეკარე (ბრაზისაგან, ბრაზის გამო, გულზე, გულში) სკდებოდა. ანზორი ამხანაგის (ქორწილში, ქორწილზე) წავიდა. მედეას (ტკბილები, ტკბილეული) უყვარს. ფილმმა (ბავშვთა, ბავშვების) მოწონება დაიმსახურა. პოეტი (სამშობლოს, სამშობლოზე) უსაზღვროდ შეყვარებულია. სოფლის მეურნეობაში (მოწინავეების, მოწინავეთა) გამოცდილება სწრაფად ინერგება. კუტხმა (წიწილებითურთ, წიწილებიანად, წიწილებთან ერთად, წიწილებით) თავს უშველა.

62. „აგრონომი“, „ტრაქტორი“, „ჩხიკვი“ — არსებითი სახელები გამოიყენეთ ქვემდებარედ, პირდაპირ, ირიბ და უბრალო დამატებად წინადადებაში. ნიმუშისათვის: გზაზე კაცი მიდიოდა. კაცს სწავლა სიბერემდის არ მოსჭარბდებაო. ანტონმა მისკენ მომავალი კაცი დაინახა. კლიმენტი კაცად არ ივარგებს.

63. გაარკვიეთ მოცემულ წინადადებებში ერთი და იმავე სიტყვის წევრობის საკითხი: კატას ძაღლისა ეშინია. კატამ თევზი მოიპარა. თაგვმა კატა დაინახა. კატის დაშინებულმა თაგვმა ცხრა მთა გადაიარაო. ია ლამაზი ყვავილია. იას ბავშვები ძალიან ეტანებიან. ითი გალამაზდა ბუჩქის ძირი. მთამსველელი თოკს თოკს აბამს. ლუიზამ სადილი ჭამა. ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო. ზაქრომ თავისებურად სიმღერა ჭექა. შორიდან ჭექა მოისმა. ხემწრელი შეშას შეშას უმატებს. თხა თხას მისდევს. ცხვარი — ცხვარს.

64. მოცემულ ტექსტში თავიდან აიცილეთ ორაზროვნება: 1) კურდღელი და ზღარბი დაძმობილდნენ. მან მას თავისი გასაჭირი უამბო. 2) ირაკლი და ვახტანგი ბილიკით მთაზე ადიოდნენ. მას

ფეხი დაუსხლტა და თავი ძლიეს შეიკავა. 3) საზეიმო საღამოს ვალოდია და ანა ხელმძღვანელობდა. მან ვრცელი სიტყვით მიმართა დამსწრეთ. 4) მელა და მგელი სანადიროდ წავიდნენ. მან ის მოატყუა. 5) ხარი და კამეჩი ერთმანეთს შეეჯიდნენ. მან მას აჯობა.

65. იდიომები შეცვალეთ სინონიმებით: ზღვაში წვეთი, ზურგს უკან, ზურგის გამაგრება, თავზე გადახტომა, თავში დაკრული, თმების ყალყზე დადგომა, კრიჭაში ჩადგომა, ლაფში ამოსვრა, მიწასთან გასწორება, მღვრიე წყალში თევზის ჭერა, დღე და ღამის გასწორება, ორივე მხარეზე კერვა, პირზე კლიტის დადება, პირში ლაგამის ამოდება, სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, ჭურში ჯდომა, ყირამალა დაყენება, ყინულზე გაცურება, დედამიწას არ ასცილებია, შუაზე გასკდომა. ჩიხში მომწყვდევა. ცამდე აყვანა. ცეცხლში ჩაგდება, წრეს გადასვლა. ჭკუაში დაჯდომა, ხელიდან წასვლა, ჰაერში დაკიდება. ნიმუშისათვის: ორ წყალს შუა დარჩენა — მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნა. გულში ისრის გაყრა — გამწარება, დატანჯვა. ყბად აღება — მუდმივი ლაპარაკის, გაკილვის საგნად გახდომა (ვისიმე). გუნდრუკის კმევა — ქება-დიდება, ხოტბის შესხმა, პირფერობა. გულში ტყვიის ჩადუღება — სიმტკიცის, პრინციპულობის გამოჩენა, გაკერპება.

66. გაარკვიეთ მოცემულ წინადადებებში სიტყვათა თავისუფალი შეხამებანი და იდიომები: 1) ჩიტი მახეში გაება. მოლარე მახეში გაება. 2) ამხანაგებმა ფასო გზაზე დააყენეს. დაბნეული მგზავრი ბავშვმა სწორ გზაზე დააყენა. 3) მწყემსმა გუდას პირი მოუხსნა და მაწონი ყელას გადაუსხა. ქეთევანი ტრიბუნაზე ავიდა და გუდას პირი მოუხსნა. 4) დაღლილმა შალვამ გულზე ხელი დაიდო. გულზე ხელი დაიდე და ისე ილაპარაკე. 5) წყალი დუღს და გადმოდუღს. ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. 6) ბავშვმა საბნიდან თავი გამოაჩინა. არსენამ სწავლაში თავი გამოიჩინა. 7) შეცივებულმა მგზავრმა ცეცხლთან ხელი მოითბო. გამყიდველმა ხელი მოითბო. 8) ავადმყოფმა თვალი გაახილა. ოქტომბრის რევოლუციამ ჩაგრულ ერებს თვალი გაუხილა. 9) მაყვალამ ფოსტაში წერილი წაიღო. მტერმა უკვე წერილი წაიღო.

67. მოცემულ წინადადებებში წარმოდგენილ დამატებებს შეურჩიეთ სინონიმები: მხედარი ცხენს მოახტა. ბავშვს ძაღლი ძალიან უყვარს. თაგვმა კატა შენიშნა. ნიანგმა ქალი და კაცი დაინახა. ექსკურსანტები გზას გაუდგნენ (შესარჩევი სიტყვები: მამაკაცი, ჭაბუკი, ბიჭი, ბიჭუნა, ვაჟი. ყმაწვილი; ვაჟკაცი, დედაკაცი, დიაცი, ქალბატონი, გოგო, გოგონა, ქალიშვილი, ყმაწვილი ქალი, შარა,

შარაგზა, თემშარა, გზატკეცილი, ორღობე, ბილიკი, ფინია, მურა, მურია, ციცა, ფისო, რაში, ბედაური, მერანი, ტაიჭი, პუნე).

ვარჯიშობანი გარემოების სწავლებაში

68. შორიდან, შინისკენ, უკან, ზევით, იქ, გარეთ, წინიდან — ზმნიზედები გამოიყენება წინადადებაში ადგილის გარემოებად.

69. სოფელში, სკოლისაკენ, გზაზე, ყანის ირგვლივ, წყაროსთან, ჯიხაიშში ქალაქს, თბილისიდან, ჩრდილოეთით, ამხანაგისას, სახლამდის (სახლამდე), მიქაძისას, ჩემსას, თქვენსას — სიტყვები გამოიყენეთ ადგილის გარემოებად წინადადებაში.

70. სად? საიდან? საითკენ? სადამდე? — კითხვების მიხედვით შეადგინეთ ადგილის გარემოებიანი წინადადებები.

71. გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ, საღამოს, დილას, დილით, დილამდე, გვიან — ზმნიზედების გამოყენებით შეადგინეთ დროის გარემოებიანი წინადადებები.

72. კვირას, ახალწელს, გათენებისას, გაზაფხულზე, პატარაობისას, თებერვალში, სამი საათის შემდეგ, გაკვეთილის დაწყების წინ, ზაფხულობით, შემოდგომით, 8 მარტამდე, ზარის დარეკვამდე — სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ დროისგარემოებიანი წინადადებები.

73. როდის? რა დროიდან? რა დრომდე? (სანამდის?), რამდენ ხანს? — კითხვების საფუძველზე შეადგინეთ დროისგარემოებიანი წინადადებები.

74. სწრაფად, ნელა, ჩქარა, ძალიან, უცბად, ერთბაშად, მეტად, ხმამაღლა ოდნავ, ბეჯითად, მედგრად, გმირულად, თეთრად, საცოდავად, ციკანივით, ხალიჩასავით, მდინარესავით, შავი (როგორც), მშიშარა (როგორც), მოხერხებული (როგორც), ქარვასავით, მრისხანედ, ხელმეორედ, ხმაურით, სამად, გულდასმით, ორჯერ, ღრიალით, ნიაღვარივით, გულიანად, ბავშვისავით — სიტყვები გამოიყენეთ ვითარების გარემოებად წინადადებაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ვით თანდებულიანი სახელი გამოიყენეთ ვითარების გარემოებად წინადადებაში. მაშასადამე, სახელ. ბრუნვა გარემოების ბრუნვაც არის ხოლმე.

75. როგორ? (რანაირად?), რამდენად, რამდენჯერ? მერამდენედ? — კითხვების საფუძველზე შეადგინეთ წინადადებები.

76. ამიტომ, იმიტომ, ამის გამო, იმის გამო — ზმნიზედები გამოიყენეთ მიზეზის გარემოებად წინადადებაში.

77. რატომ? რის მიზეზით? რის გამო? — კითხვების საფუძველზე შეადგინეთ წინადადებები.

78. სიცივისაგან, შიშისაგან, წვიმების გამო, ამხანაგების წყალობით, დანაშაულისათვის, ჯავრისაგან, სამშობლოს გულისთვის — სიტყვები გამოიყენეთ წინადადებებში.

79. წერტილების ადგილას ჩაუმატეთ ზმნიზედით გადმოცემული გარემოება: (...) ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, (...) ამდგარი თვალებს იფშვნეტს, (...) სიკვდილი სჯობია ნიადაგ დაღონებასა, (... არ წვიმს, როგორც ქუხს). მგელი (...) არ მოკვდება, რომ თხის დასამარხი გახდეს. (...ჯოჯოხეთსაც მიადგება მზე). შესარჩევი ზმნიზედები: ისე, ერთხელ, ადრე, უძრავად).

80. სურათი, სურსათი, ბილეთი, შოთი, წვეთი, ბურთი, საათი, თათი, კალათი, ხალათი, ხევსურეთი, იმერეთი, სვანეთი — არსებით სახელებს დაურთეთ თ ა ნ თანდებული და წინადადებაში გამოიყენეთ ან გარემოებად, ან უბრალო დამატებად, ან კიდევ ორივე ფუნქციით.

81. გაიოზი, ნაზი, ანთიმოზი, ბუზი, ნაზი, ასპარეზი, მიზეზი, ნიგოზი, მალხაზი — სახელებს დაურთეთ ზ ე თანდებული და გამოიყენეთ უბრალო დამატებად ან გარემოებად წინადადებაში, სადაც მოსახერხებელი იქნება ორივე ფუნქციითაც (ნიმუშისათვის: ნიკო იალბუზზე ავიდა, აქ „იალბუზზე" ადგილის გარემოებაა. ნიკომ იალბუზზე ფეხი დადგა. ამაში კი „იალბუზზე" უბრალო დამატებაა).

82. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვებიდან შეარჩიეთ სათანადო: ლაურამ ამხანაგი (სახლში, შინ) მიიპატიჟა. მარინე ზოოპარკში (ბილეთის გარეშე, უბილეთოდ) შევიდა, მანქანას (დიდხანს, დიდი ხანი) უცდიდნენ მგზავრები. ქარმა (ორი დღე, ორ დღეს) გასტანა. ექთანი ავადმყოფს ერთი (წუთით, წუთითაც, წუთითაც კი) არ შორდებოდა. გუშინ (ჩრდილშიც, ჩრდილშიც კი) ცხელოდა. თოვლმა ბავშვები (მეტად, დიდად, ძალიან, უაღრესად, ძლიერ, ერთობ) გაახარა. მანანა (ბავშვივით, როგორც ბავშვი, ვით ბავშვი. ბავშვსავით, ბავშის მსგავსად) ატირდა. ტყეში ბღაჭიაშვილი (მარტო, მარტოდ, განმარტოებით, განდეგილად) ცხოვრობდა. რაიონში (ახლო მომავალში, არც ისე შორეულ მომავალში) ტექნიკუმი გაიხსნება. გუშინ (ვასოს სასტუმროში, სასტუმროში ვასოს) მივაკითხე. სტუმრებმა (ძალზე, ძალიან) გაგვახარეს.

83. „ირემი" არსებითი სახელი აბრუნეთ წინადადებაში და გაარკვიეთ მისი წევრობის საკითხი.

სახ. ირემი ნახეს

მოთხ. ირემმა თავს უშველა.
მიც. ირემს ვერ დაეწიენ
ნათ. ირმის ნაკვალევს მისდევდნენ
ვით. ირმად მიიჩნიეს ბავშვებმა ჯიხვი.
წოდ. ირემო, მთასა მყვირალო, რად ჩამოვარდი ბარადა!

შენიშვნა: წოდებითში დასმული სახელი წინადადების წევრი არ არის, ის მიმართვაა. ეს საკითხი სწავლების ამ ეტაპზე მოსწავლეებს გავლილი არა აქვთ.

84. გუნდი, ვაჟკაცი, არწივი — არსებითი სახელები გამოიყენეთ წინადადებებში სხვადასხვა წევრად.

ნიმუშისათვის: ბ ა ვ შ ვ ი იცინის (ქვემდებარე). ექიმმა ბ ა ვ შ ვ ი გასინჯა (პირდაპირი დამატება). დედა ბ ა ვ შ ვ ს საჭმელს აძლევს (ირიბი დამატება). ბ ა ვ შ ვ ი ს მოსვლა გაუხარდათ (უბრალო დამატება). ნინო ბ ა ვ შ ვ ი ვ ი თ ატირდა (ვითარების გარემოება). რას ბავშვობ! (შემასმენელი).

85. სადაც საჭიროა, შეცდომები გაასწორეთ: მხედარმა ცხენი ხესთან მიაბა. პატარა მურია ჯერ შენკენ გარბოდა. შემდეგ ჩემკენ მობრუნდა. მტყუანს ბოლომდისინ უნდა სდიო. მშობლებმა ფრონტზე მყოფი შვილისაგან არაფერი იცოდნენ. ტატიანა მზიდან გაშავდა. ამხანაგებს შორის გიგლა ყველასაგან უფროსია. თაგვს ბუმბულში აწვენდნენ და ის სოროსკენ მიძვრებოდაო. თოფი კედელში ეკიდა. ელისომ სარკეში ჩაიხედა. მსახიობი სცენაში გამოვიდა. ავი შვილი მშობლებს ჭკუისაგან შეშლისო. ავთანდილი ღომებრ იბრძოდა. ბატკანი დედასთან გარბოდა. ამხანაგის გულიზა გიორგი თავს არ დაზოგავს. შენს მიერ დაწერილი თემა ყველას მოეწონა. მერცხალი თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ. არსენა ქედს არ იხრიდა ბატონების მიმართ. ქების ღირსია საშშობლოსადმი თავდადებული ადამიანი. მზიამ ძმიდან წერილი მიიღო. მთისგან ზვავი წამოვიდა. ადრე რომ ძროხა დაიბღავლებს, გვიან გამოიწველისო.

86. შეადგინეთ ტექსტი დავალებისათვის: მოცემულ წინადადებათა დალაგება გარემოების სახეთა მიხედვით. ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი. ავ კაცს შორიდან შემოუარე და გზა დაულოცე. ავადმყოფმა ქიშმიშს ცხრაჯერ უნდა უკბინოსო. აქლემის კუნტრუში აღმართში გამოჩნდებაო. გლახა მუშას შემოდგომაზე მოუკვდება გულიო. დარში ნაბადს ნუ ააგდებ, ავდარში ქალაბანსაო. კოკა წყალზე გატყდებაო. ორი ქაჩალი სავარცხლისათვის წაიკიდა. ცხენიდან გადმოვარდნა სჯობს — ვირიდან გადმოვარდნასაო. მადა ჭამის დროს მოდის. ძაღლი სამჭედლოდან რას გაიტანსო! მსხვილად დამრთავს და წვრილად ამრთავს ერთი ფასი ჰქონდაო. როგორც და-

იგებ, ისე დაისვენებო, სიმართლისათვის მოჭრილი ხელი არ მეტ-კინებაო. სიცილით დაკარგული ტირილით ვეღარ დაიბრუნებსო. ტყეში ტურა არ გამოილევა. უფულოდ ვიცხოვრებ, უმეგობროდ — ვერა. შენ რომ სასწავლად მიდიოდი, მე ნასწავლი მოვდიოდი. ციხე შიგნიდან გატყდებაო. ძალად გატანებული ძაღლი ცხვარს არ გამოადგებაო. ძაღლი სადაც სალაფავს სვლეპავს, იქვე ჰყეფსო. ჭკვიანი ჩიტი ორთავე ფეხებით გაება მახეშიო. მთვარე აღმოსავლეთით ამოიწვერა. სარეცხი გასაშრობად გაფინეს. სირცხვილით მთვრალი ყველას თვალს არიდებდა. კურდღელს შიშისაგან გული გაუსკდა. უამინდობის გამო რთველი დაგვიანდა. სტუმრების შესახვედრად პიონერები მოვიდნენ. მოხუცი ბუხართან იჯდა. კოლმეურნეობები პროდუქტების სიუხვისათვის იბრძვიან.

87. შეადგინეთ მოთხრობა, სადაც წარმოდგენილი იქნება ადგილის, დროისა და ვითარების ზმნიზედები (ნიმუშისათვის: „პირველი სექტემბერი“, აგვისტოს ბოლოს სოფლიდან ქალაქში დავბრუნდი. იმ ღამეს ნახევრად არ მეძინა. მეორე დღეს, ე. ი. პირველ სექტემბერს, სწრაფად ჩავიცვი. ვისაუზმე და სკოლისკენ გავეშურე. შორიდანვე მესმის ბავშვების მხიარული სიცილ-კისკისი. სირბილ-სირბილით გავიარე გზა. სიხარულით შევდივარ სკოლის ეზოში. ჩანს, რომ მზრუნველობით შეუკეთებიათ შენობა, ლამაზად მოურთავთ ოთახები, კარგად დაუსუფთაებიათ სკოლის მიდამო. გულთბილად და სიყვარულით ვესალმებით ერთმანეთს ამხანაგები. დაიწკრიალა ზარმა. სკოლის წინ ვგროვდებით. მიტინგის შემდეგ სრული წესრიგით შევდივართ საკლასო ოთახებში. მალე მასწავლებელიც მობრძანდება. დაიწყო პირველი გაკვეთილი).

88. ჩვენს უფროსს ძალიან უყვარს სიტყვა „ხვალე“. დღევანდელ საქმეს აუცილებლად „ხვალისთვის“ გადასდებს. „ხვალეს“ სიყვარულმა იგი დააბრმავა. შემთხვევით — კაფეში „შეფრინდა გუგული და „კაფე, კაფეს!“ იძახდა. — წინადადებებში გაარკვიეთ ბრჭყალებში მოქცეულ სიტყვათა წევრობის საკითხი.

89. შეადგინეთ ტექსტი დავალებისათვის — გარემოებათა შეცვლა სინონიმებით. ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი: განთიადისას გაემგზავრა, ცხვირწინ გაურბინა. წარუმატებლად ითამაშა. არხეინად ეძინა. მზვერავი გაფაციცებით იცქირებოდა. მარდად მოკურცხლა სკოლისკენ. ორიოდ ნაბიჯზე სოფელს მდინარე ჩამოუდიოდა. დაუფიქრებლად ლაპარაკობდა. წარსულში მოხდა. სხვის მაგიერ მუშაობდა. მტერს ფეხდაფეხ მისდევდა. ზეიმით ვხვდებით პირველ მაისს. შურდულივით გარბოდა. ფირცხლავ წამოდგა. მადლიერების გრძნობით ვაცილებთ მიმავალ წელს. სიმღერას სიამოვნებით უს-

მენდა. გაკვირვებით შეხედა. წარმოდგენა გვიან დამთავრდა. შინისკენ მოკურცხლა. აგარაკზე დიდხანს დავრჩით, ძველად კავით ხნავდნენ. ხანდახან ქარი ქროდა. სტუმარი პირველად იყო ჩვენს ქალაქში. სირცხვილით ვერაფერი თქვა. დაღლილობისაგან ძილი მოერია. დასახმარებლად მოვიდა. უსირცხვილოდ მუშაობდა. უსიტყვოდ დაემორჩილა. გულგრილად შეხვდა. ღირსეულად ეჭირა თავი. ყველაფერი უთავბოლოდ ელაგა. მარდად დადიოდა. ბეჯითი შრომის წყალობით გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. სიხარულით ფეხზე წამოვარდა. შიშით ენა დაება. ლეგიონი მზად იყო სალაშქროდ.

90. მოცემულ წინადადებებში გაარკვიეთ სიტყვათა თავისუფალი შეხამებანი და იდიომები: 1) უხეირო შვილი დედას ამაგს წყალში გადაუყრის. მერი ძმას კენჭებს წყალში გადაუყრის. 2) რომ არ ჩაქრეს, გივი ცეცხლზე ნავთს ასხამს. დაშოშმინების ნაცვლად დიმიტრი ცეცხლზე ნავთს ასხამს. 3) ბავშვმა ყურმილი ყურთან კი არა, გულთან ახლოს მიიტანა. ამხანაგის დანარცხება ანატოლიმ გულთან ახლოს მიიტანა. 4) ძაღლებმა კურდღელი ჩიხში მოამწყვდიეს. გურამმა მოკამათე ჩიხში მოამწყვდია. 5) პატარა თეოს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ელისოს გამოცდებზე კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. 6) ხბო დედას კუდში მისდევს. ანა იზოლდას ყველაფერში კუდში მისდევს. 7) წარმოდგენა დამთავრდა და მსახიობმა ნიღაბი მოიხსნა. გამყიდველს ნიღაბი ჩამოხსნეს. 8) მწყემსი დაცემულ პირუტყვს ორმოს უთხრის. აბრამი ამხანაგს ორმოს უთხრის. 9) ნანოლი დაეცა და ფეხი მოიტეხა. სპეკულანტმა ფეხი მოიტეხა.

91. შეადგინეთ ტექსტი დავალებისათვის: მოცემულ წინადადებიბში თანდებულიან სიტყვათა წევრობის გარკვევა. ტექსტის ერთერთი ვარიანტი: ტყისკენ გასწია. სიზმარში ნახა. გზაზე იპოვა. ჭიშკრისკენ იხედებოდა. მხარზე შეისვა. ფიქრებში გაერთო. გული სოფლისკენ მიუწევდა. ერთ ეზოში ცხოვრობდნენ. თავზე ხელები დაიდო. მეზობლისკენ იწევდა. ზოოპარკში იყვნენ. ჯიხზე იყო დაყრდნობილი. შეჯიბრებაში გაიმარჯვა. სამრეთისკენ გაფრინდნენ. ფაფარში ჩასჭიდა ხელები. მზის სხივებზე ბრწყინავდა. საფრანგეთთან ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს. წიგნში ჰქონდა თავი ჩარგული. სარკეში ჩაიხედა. იატაკზე გაწვა. სურათთან ეკიდა. კუთხეში მიიმალა. უჩინარი მტერი გამოჩენილზე უარესიაო. მათთან დარჩა. ყურებში ჩასჩურჩულებდა. კარგ გუნებაზე იყო. თავისთვის ჩაილაპარაკა. ტყეში ნახეს. სცენაზე გამოვიდა. მდინარესთან იდგა. შიშში ჩავარდა. წამალი კოვზზე დაასხა. ჰაერში გაინავარდა. ბალიშში თავი ჩარგო და მიიძინა. ულვაშში თეთრი გამოერია. გულზე ხელი მიიდო. თითზე იკბინა. ასმათთან დაჯდა. თევზზე გაცვალა.

წყალში ჩავარდა. ხიდთან შეგროვდნენ. ნახაზზე მუშაობს. იალბუზზე მუდმივი თოვლია. კულაშში ცხოვრობს.

92. დაამზადეთ თვალსაჩინოება თემაზე: „გარემოება“.

93. ფრჩხილებში ჩასმულიდან შეარჩიეთ შესაფერისი. ანიკომ (მეორედ, მეორეჯერ) გააცდინა სკოლა. ლექსო (ყოველდღიურად, ყოველდღე) დადის სამეცადინოდ. ტარიელ გოლუა (საკმაოდ გამოჩენილი, გამოჩენილ) კაცად ითვლებოდა.

94. გაანალიზეთ „ვითარების გარემოების სწავლებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშო“.

ვარჯიშობანი განსაზღვრების სწავლებაში

95. როგორი? რომელი? რანაირი? მერამდენე? სადაური? როდინდელი? ვისი? რისა? — კითხვებით შეადგინეთ წინადადებები. საორიენტაციო სიტყვები: მარცხენა, მოკლე, ცერი თითი, ბეჯითი მარიამი, დასავლეთ საქართველო (ან აღმოსავლეთ საქართველო), მორიგე ექიმი, მესამეკლასელი ელგუჯა. ჩრდილოეთ (ან სამხრეთ) პოლუსი, გორული ვაშლი, კახური ღვინო, ახლანდელი, გუშინდელი, სვანური ენა. ქართული ჩაი, ნიმუშისათვის: წითელი დროშა აფრიალდა (როგორი?). მერიმ მარჯვენა ფეხი იტკინა (რომელი?).

96. მაღალი, მზიანი, დიდი, ხვალინდელი, ღრუბლიანი, შრომისმოყვარე, ადგილობრივი, უშიშარი — ზედსართავების წინადადებაში განსაზღვრებად გამოყენება.

97. მეგობრის, მეთევზის, ტყის, აგრონომის, მინდვრის, მუხის, ცხვრის, ოქროს — არსებითი სახელები განსაზღვრებად გამოიყენეთ წინადადებაში.

98. მოცემული სიტყვები (ურემი, ბოთლი, ექიმი, მზვერავი, კახელი, კახური, მეჩაიე) ატრიბუტულ განსაზღვრებად გამოიყენება წინადადებაში.

99. მოცემული სიტყვები (მეშვიდე, ორი, ყოველი, ცოტა, სამი კილოგრამი, ბევრი, ჩემი, მეოთხედი, შენი, ჩვენი, ორი მანქანა, სხვისი) განსაზღვრებად გემოიყენეთ წინადადებაში.

100. მოცემულ არსებით სახელებს (სოფელი, ეზო, ქუჩა, ფიჭვი, მელა, დილა, ლომი, სპილო, ნიანგი) შეურჩიეთ განსაზღვრება და გამოიყენეთ წინადადებაში.

101. ქ ა ლ ე ბ ი აქტიურად მუშაობენ ყველა უბანზე. მ ზ ე მ გამოანათა. ძაღლები ცხვრის ფარას ფხიზლად უვლიან. ზ ა მ თ ა რ ი მიიწურა. დ ა თ ვ ი ბუნაგიდან გამოძვრა. მ ა ნ ქ ა ნ ა გაჩერდა. წ ვ ი მ ა მოვიდა. ნ ი ა ვ მ ა დაუქროლა. ბ ა ვ შ ვ ებ მ ა ცეკვა-სიმ-

ღერა გამართეს. მელამ მოატყუა მგელი. ქ ო რ ი წიწილებს დაეცა. კალმახს მთის მდინარე უყვარს. ს ო ფ ე ლ ს მ დ ი ნ ა რ ე შუაზე ყოფს. ფ უ ტ კ რ ე ბ ი ერთი წუთითაც არ ისვენებენ. ე ქ ი მ ი ყველას უყვარს. თ ო ვ ლ ი თ დაიფარა არემარე. ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ს გასაჭირი დაადგათ. მათ ადამიანები მიეშველნენ — ხაზგასმულ სიტყვებს შეურჩიეთ განსაზღვრება.

102. შეადგინეთ ტექსტი დავალებისათვის: „სადაც შესაძლებელია, განსაზღვრებები შეცვალეთ სინონიმებით“. ტექსტის შესაძლო ვარიანტი: კარგი შემნახავი სჯობია კარგ მომტანსაო. კარგ მოსავალს კარგი გამრიგე უნდაო. კარგი მოთამაშე კამეჩის ცოხნასაც აჭყეებაო. დიდ ზამთარს დიდი მოსავალი მოსდევს. ერთგული ძაღლი მტერს უყეფს, ორგული შინაურებსა. მაღალი ხე მისი ჩრდილით გაიზომებაო. მარტოხელა კაცი ჭამაშიც ბრალია. მოცლილი კაცი კურდღელს დაუწყებს დევნასო. ბევრი ბოდიშის მოხდას ბევრი თავის დაკვრა უნდაო. სულელი მეგობარი მტერზე უარესიაო. პურადი კაცის სასწორი მუდამ წონაში მეტია. გაბრაზებული კაცი ქვას დააფრინდებაო. უსწავლელი ადამიანი ბლაგვი ნაჯახის დარია. დაჭრილი ფრინველი შორს ვერ გაფრინდება. აღგზნებული ადამიანის ნათქვამი მართალი არ იქნებაო. გულმოსულ ადამიანს მოფიქრებული ლაპარაკი ეძნელება. მაღაზიაში მაღალი ხარისხის საქონელი მოიტანეს. ზეიმი მაღალ დონეზე ჩატარდა. ნატოს მაღალ საზოგადოებაში აქვს საქმე. ონისეს მაღალი განათლება აქვს. ტრაქტორისტმა გიორგიმ მაღალი ჯილდო მიიღო. ირინე სულით მაღალი ადამიანია. მას მაღალი თანამდებობა უჭირავს. თედორემ მაღალი ხმით წამოიწყო სიმღერა. მონადირეს მახვილი დანა აქვს. მას მახვილი სმენა და მხედველობაც გააჩნია. გივი მახვილი გონების პატრონია. ელისაბედი მახვილი სიტყვის ოსტატია. გიორგი მახვილი კალმის მფლობელია. ნიმუშისათვის: მეტი (ზედმეტი) სიტყვა თავს ატკენს, მეტი (უზომო) ჭამა კუჭსაო.

103. გაარკვიეთ მოცემულ წინადადებებში, როდის არის ნათესაობითში დასმული სახელი უბრალო დამატება და როდის განსაზღვრება: ვირის ზურგს ვირის კურტანი მოუხდებაო. ვირის მდევარი მის ტლანკებსაც უნდა უძლებდესო. ზამთრის მზე ყვავილს ვერ მოიყვანსო. ზამთრის დადგომა ბავშვებს უხარიათ. თავის აგდებას, ტანის აგდება სჯობია. თავის ბედს კაცი ვერსად დაემალება. თავის გატეხა სჯობია სახელის გატეხასაო. თავის დროზე დალეული შხამიც კი ტკბილიაო. თავის ეზოში ძაღლსაც დიდი გული აქვსო. თავის სიმჩატე ფეხების სიმძიმეა. თავის ქება კიტრად ღირს, სხვისი აუგი კი არც იმადაო. კაცის დაქცევა თუ გინდოდეს, ნურაფერს

დაუკავებო. კაცის თვალი ხარბიაო. მგლის დაკბენილსაც მოუვა ძილი, მშიერ კაცს მგლის შიშით ცხვარი ვერ გაუწყვეტიაო. ნემსის მყიდველი ბათმან რკინას კითხულობდაო. ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდიაო. სამოთხის გზაზე დამდგარ ცხვარს დუმა ამძიმებდაო. სამოთხის მონატრულსა ჯოჯოხეთშიც არ უშვებდნენო. სიმართლის მკარგველი კაცი სიცოცხლეს იდღემოკლებსო. სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა. ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდნენო. ყურძნის ქურდი იანვარში გამოტყდებაო. ცხენის სიკვდილი ძაღლების ქორწილია. ცხენის მოლოდინით კაცი სიარულით არ დაიღლებაო. ქარის მოტანილს ქარიევე წაიღებსო. ქარის წისქვილი ამუშავდა.

104. შეარჩიეთ მაგალითები დავალებისათვის: მოცემული მსაზღვრელ-საზღვრულის გამოყენებით წინადადებათა შედგენა. საკარაუდო მაგალითები. მძიმე უღელი. მძიმე ტვირთი, მძიმე ღრუბელი, მძიმე ჰაერი, მძიმე ხასიათი, მძიმე სურათი, მძიმე დანაშაული, მძიმე ნაბიჯი, მძიმე ჯაფა, მძიმე გადასახადი, მძიმე მდგომარეობა, მძიმე აღდგმყოფობა, მძიმე ჭრილობა, მძიმე ფიქრები, მძიმე ვალდებულება. მძიმე დანაკლისი, ფართო გზა, ფართო მინდორი, ფართო შუბლი, ფართო თვალები, ფრთხილი ფრინველი, ფრთხილი ადამიანი, ფრთხილი ძილი, ფრთხილი ნაბიჯი, ფრთხილი ლაპარაკი, ფრთხილი მიდგომა, ფხიზელი გონება, ფხიზელი თვალი, ფხიზელი მზვერავი, ფხიზელი მაყარი, შავი სამუშაო, შავი საქმე, შავი დღე, შავი ბედი, შავი ბაზარი, შავი ტყე, ავი ზნე, ავი თვალი, ავი თვისება, ავი ენა, ავი ძაღლი, ავი კაცი, ახალი ბოსტნეული, ახალი ამბავი, ახალი მთვარე, ახალი ცოცხი, რბილი მატყლი, რბილი ხასიათი, რბილი ხმა, რბილი ფანქარი, სუსტი ქარი, სუსტი ხასიათი, სუსტი ცოდნა, სუსტი ორგანიზმი, ოქროს საათი, ოქროს კბილები, ოქროს გული, ოქროს ხელი, ოქროს თავი, რკინის კარი, რკინის ნებისყოფა, ქვის შენობა, ქვის გული.

105. მოცემულ წინადადებებში ფრჩხილებში მოქცეული განსაზღვრებას მიეცით სათანადო ფორმა: (სხვისი) გიჟი სასაცილოა, თავისი კი სამარცხვინო. (სხვისი) შვილს აჭამე და (შენი) შვილს შეერგებაო. (სხვისი) სანეხვეზე (ორი) ბეღურა იბრძოდა. (ბევრი გამზღელი) ხელში ბავშვი უზრდელი გამოვაო. ორი (ყოჩი) თავი (ერთი) ქვაბში არ მოიხარშებაო. (ზოგი) ჭირი მარგებელიაო. (თავი) სიმჩატე (ფეხები) სიმძიმეა. (სხვისი) იმედით (ფართე) ლოგინს ნუ დაიგებ. (ყველა) კაცი (სიკვდილი) შვილია. (ჩემი) ენამ პანღური ამომკრაო. (სხვისი) გაკეთებულმა გული მატკინაო, (ჩემი) კი წელიო. (სხვისი) ცხენზე შემჯდომი მალე ჩამოჯდებაო. (მზე) სისტემა-

ში ყველაზე (დიდი) პლანეტა იუპიტერია. (ჩემი) დაჭედილმა ჯორმა წიხლი ისევ მე მკრაო. (შინაური) მღვდელს შენდობა არ აქვსო. (უგულო) კაცი (გულიანი) ხეს ჭრიდაო. (ზოგი) კაცს ანგარიშისა რცხვენია და ჩხუბისა არაო. (ავი) კაცი აქე და ერიდე. (ავი) კაცს შორიდან მოუარე და გზა დაულოცე, (ჩრდილოეთი) პოლუსი ყინულითაა დაფარული. (ამღვრეული) წყალში თევზი ადვილად დაიჭირება. (განუსინჯავი) სიტყვას ტურის ჩხავილი სჯობიაო. (ერთი) დღეს ქეყანა არ აშენებულა. (დასავლეთი) საქართველო მდიდარია ციტრუსებით. (ერთი) თაგვმა (ცხრა) ქვევრი წაბილწაო. (ავი) კაცი აღდგომა დღესაც ავიაო. (გარეული) თაგვი (შინაური) თაგვს არ აყენებდაო. (დაკარგული) ძროხა ბევრს იწველისო. (დამჭკნარი) ვარდი (ახალი) ჭინჭარს მაინც სჯობია. (კარგი) საქონელს მუშტარი არ გამოელევა. (ადამიანი) პანღური (ვირი) წიხლზე უარესიაო. (აგორებული) ქვა ხავსს არ მოკიდებს. (სტუმარი) საბაბით მასპინძელი გაძღაო. (ჭინჭარი) ძირში ჭინჭარი ამოვაო. (ხარბი) თვალს მიწა გააძღებსო. (ჯიხვი) მკვლელი (ჯიხვი) რქით საქართველოს სადღეგრძელოს სვამდაო.

106. მოცემულ სიტყვებს შეურჩიეთ სინონიმები გულშემოყრილი, გზა-კვალაბნეული, გულაჩუყებული. კუდამოძუებული, თავლაფდასხმული, თავზე ხელაღებული, თვალებში სევდაჩაბუდებული, კოვზი ნაცარში ჩავარდნილი, ნაცრის მქექავი, პირის გამტესი, პირში ჩალაგამოვლებული, სამარცხვინო ბოძზე გაკრული, საღერღელაშლილი, სახელმოხვეჭილი, სიტყვის ბანზე ამგდები, სოროში შემძვრალი, ყელში სულმობჯენილი, უკუღმა დაბადებული, უფსკრულის პირას მდგომი, ფეხებგაფშეკილი, ფეხის ხმას აყოლილი, ფრთებშეკვეცილი, ფრთებშესხმული, ქედმოუხრელი, ქვიშაზე აშენებული, ქვევრში მჯდომი, ყურებჩამოყრილი, ყურით მოთრეული, შუბლშეკრული, ცოცხლად დამარხული, ცით მოწყვეტილი ვარსკვლავი, ცხრა-თოკში გამომძვრალი, ძირის გამომთხრელი, წელში გამართული, წელში გაწყვეტილი, წრეს გადასული, ხელიდან წასული, ჯორზე შემჯდარი, ჰაერში ჩამოკიდებული.

107. ხაზი გაუსვით ირონიული შინაარსიის შესიტყვებებს: აქტიური ზარმაცი, მზიანი დღე, კოკისპირული წვიმა, უზარმაზარი ბულბული, გონებაჩლუნგი ბრძენი, მაღალი მთა, დიდი მდინარე, ნაგვით დამშვენებული ეზო, ლამაზ ძონძებში გახვეული მათხოვარი, გარეული ფრინველი, სასიამოვნო გაკიცხვა, დამშეული მგელი, სახელგანთქმული მონადირე, სახელმგანთქმული სულელი, გოლიათი გოშია, უზარმაზარი სპილო, გავლენიანი აგიტატორი, ავტორიტე-

ტიანი უქნარა, ავტორიტეტიანი ექიმი, უჭმელობით გასუქებული ღორები.

108. შეადგინეთ პატარა მოთხრობა მოცემული მსაზღვრელ-საზღვრულის გამოყენებით: ა) თეთრწვერა ზამთარი, მხიარული ბავშვები, თეთრი სუდარგადაფარებული მინდორ-ველი, მშიერი ბეღურები, მწარე დღეები, საცოდავი, გულკეთილი ადამიანები; ბ) მზის სხივები, გამთბარი მიწა, ლამაზი ყვავილები, კუდმაკრატელა მერცხლები, ძველი ბუდე, გამოღვიძებული ბუნება.

109. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვებიდან შეარჩიეთ მართებული: (ბრმა, უსინათლო) ყვავს ღმერთი აუგებს ბუდესო. (გამრჯე, მშრომელ) ხარს ალო არ მოაკლდებაო. (გამრჯე, მშრომელი) კაცისათვის უსაქმობა (დიდი, აუტანელი) სასჯელია. (დაუპატიჟებელ, თავისით მოსულ) სტუმარს აბუჩი ჰქვიანო. (დაყვედრებული, დამადლებული) ყელს არ გადივლისო. (კარგ, უხვ) მოსავალს (კარგი, ჭკვიანი) გამრიგე უნდაო. (პატარა, მცირე) სიტყვა ლაპარაკში გაიზრდებაო. (პურძვირი, ძუნწი) კაცის მარილი მეტი იხარჯებაო. მრავალჯერ გამოსცეს (ილიასა და ვაჟას, ილიასი და ვაჟას) ნაწარმოებები. გულიკომ იყიდა (ოქროსა და ვერცხლის, ოქროსი და ვერცხლის) ბეჭდები. ოთარი (პიონერების, პიონერთა) ბანაკში გაგზავნეს. 8 მარტი (ქალთა, ქალების) საერთაშორისო დღეა. მოსწავლეები ზეპირად სწავლობენ გრიგოლ აბაშიძის (ლექსს „ოქროს ვენახს“, ლექსს „ოქროს ვენახი“). დათიკომ ზეპირად იცის ადგილები (პოემიდან „თორნიკე ერისთავი“, პოემა „თორნიკე ერისთავიდან“).

ზოგიერთი მოსწავლის ნაწერში დაშვებულია (პუნქტუაციური ხასიათის შეცდომა, პუნქტუაციური შეცდომა). გიორგი სააკაძე (ძლიერი, ჭტკიცე) ნებისყოფისა და (მტკიცე, ძლიერი) ხასიათის მამაცი ადამიანი იყო. არწივი (ფრინველების, ფრინველთა) მეფეა. ბავშვი (მალე, ჩქარა, გაბედულად, სწრაფად, ცოცხლად, მკვირცხლად) მირბოდა. (მგლების, მგელთა) ხროვა გამოჩნდა. (ბავშვების, ბავშვთა ნახატები) გამოაფინეს. მელას (დიდი, გრძელი) კუდი აქვს. ვირს (დიდი, გრძელი) ყურები აქვს. მოხუცი (ნელა, ზოზინით, აუჩქარებლად, კუსნაბიჯით) მიდიოდა. იპოდრომში (ბევრი, ათასი, ათასობით) ხალხი მოვიდა. მედეას (შრომის სიყვარული, შრომისადმი სიყვარული) პატარაობიდანვე ჰქონდა ჩანერგილი. ჩვენს მინდვრებში (ბევრგვარი ბევრნაირი, მრავალგვარი, მრავალნაირი) ყვავილი ხარობს. „ევხისტყაოსნის“ XII საუკუნის (ყველაზე საუკეთესო, ყველაზე უკეთესი, ყველაზე კარგი) ნაწარმოებია. კოლმეურნეობამ ჩაისაგან (მაღალი, დიდი) მოგება მიიღო. მან სიმინდის (მაღალი, უხვი, ბარაქიანი) მოსავალიც მიიღო. VII კლასს აკადე-

მიური წარმატების (მაღალი, საუკეთესო) მაჩვენებლები აქვს. ზემოდან (გადმოგორებულმა, წამოსულმა) ქვამ ძროხას რქა მოსტეხა. ჯუმბერი (ნელი, დინჯი, აუჩქარებელი, წყნარი, მშვიდი) ბავშვია. ელისაბედმა (საპატიო, დიდი, მაღალი, ღირსეული, დამსახურებული) ჯილდო მიიღო. დაე, (მუდამ, ყოველთვის, მარად, სამუდამოდ, სამარადისოდ, მარადჟამს) იყოს მზე! (სწრაფი, საჩქარო, სასწრაფო) დახმარების მანქანა დროზე მოვიდა.

110. ფრჩხილებში მოცემული სიტყვებით აღნიშნული საგნებისათვის აქვე ფრჩხილებსგარეთ წარმოდგენილი სიტყვებიდან შეადგინეთ განსაზღვრება და მათი გარეკვით შეადგინეთ წინადადებები: დიდი, უზარმაზარი (პოეტი, მუხა), ძველი, ბებერი (ხელნაწერი, კაცი), ბნელი, უწესო (საქმე, ქცევა), გულადი, გამბედავი, უშიშარი (მონადირე, კრუხი, ძაღლი), მტკიცე, მყარი, საფუძვლიანი (ცოდნა, ხასიათი), ჩქარი, სწრაფი, მოუსვენარი (მდინარე, ბავშვი). პატარა, მცირე, ცეროდენა (დრო, ბავშვი), საზღვარგარეთელი, უცხოური (მოდა, სტუმრები), ლამაზი, მშვენიერი (ქალი, ტყე), მკაცრი, სასტიკი (ზამთარი, ზომები).

111. შეადგინეთ წინადადებები დავალებისათვის: სადაც საჭიროა, შეცდომები გაასწორეთ. საეარაუდო ტექსტი: ბავშვებმა ბევრი სოკოები მოაგროვეს. შაბათობაზე ყველა მეოთხეკლასელებიც მოვიდნენ. გაზაფხულზე კოლმეურნეებს მრავალი საქმე გაუჩნდათ. მსმენელებმა მომხსენებლის ყველა სიტყვა ჩაიწერეს. ყველა ეს სოკოები საჭმელი სოკო არ იყო. ჩვენს ბანაკში ლიტველი, ესტონელი, უზბეკეთელი, თურქმენელი, ტაჯიკეთელი, რუსი, მოლდაველი, ყაზახი, ბელორუსი და უკრაინელი პიონერები იყვნენ. ხვალ მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა იქნებაო (თითქოს მოღრუბლულობას რაიმე მნიშვნელოვანი რამ გააჩნდეს). ქუთაისი ხანდაზმული ქალაქია. არსებული ნაკლოვანებები განიხილეს (არსებული ზედმეტია). ჩატარებულმა თათბირმა განიხილა ბევრი აქტუალური საკითხები. თორნიკე ერისთავი პატრიოტი და სამშობლოს მოყვარულია. ჭეშმარიტი საბჭოთა მოქალაქე პირად საქმეზე უფრო მაღლა აყენებს საზოგადოებრივს. ასეთი დიდი ღონისძიებები დიდი წარმატების საწინდარია. ჩვენი ფალავნები ემზადებიან მომავალი წლის მომავალი დიდი შეჯიბრებისათვის. ჩვენ ლამაზ ქალაქში ბევრი ლამაზი სახლები ააშენეს. იუბილარს კარგი ჯანმრთელობა უსურვეს. ყანას მტაცებელი ვირთაგვები მიესივნენ. ვარდოს აუსრულდა ნანატრი საწადელი. მთავარი მოქმედი როლი ტარიელს ეკუთვნის. ჩვენი საბჭოთა არმია იცავს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს. გულადმა მწყემსმა მგელი ხანჯლით განგმირა. „გულადმა“ ნა-

ცარქექიამ დევს აჯობა. ვარიას ხორცი გემრიელია. მელიას ტყავი გააძვრეს, მელიას ტყავი გაყიდეს.

112. გამართეთ მოცემული წინადადებები სტილისტურად: აღნიშვნის ღირსია ჩვენი სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეების აქტიური მონაწილეობა მთის წყაროს წყლის გადმოყვანის შესრულების საქმეში (უმჯობესია ასე: აღნიშვნის ღირსია, რომ ჩვენი სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მთის წყაროს წყლის გამოყვანის სამუშაოთა შესრულებაში).

113. შეარჩიეთ წინადადებები დავალებისათვის: მოცემულ წინადადებებში განსაზღვრებებს მიუყენეთ კითხვები. სავარაუდო წინადადებები: ბედაურ ცხენს გაკრეჭილ კვიცს არ შეაჯიბრებენო. ახალი მეზობელი გაიჩინე, ძველს ნუ დაკარგავ. ბევრი ხელი ჯაფაშიო, ცოტა პირი ჭამაშიო. ბრიყვი კაცისა სიცოცხლე სიკვდილზე უარესია. ბრმა ქათამს ასე ჰგონია, ყველგან ხორბალი ყრიაო. მარჯვენა ხელი მარცხენა ხელის ამარად ღმერთმა ნუ დასტოვოსო. გატეხილი პური არ გამთელდებაო. ის ხუმრობა შევარცხვინე, რომელიც ნახევარი მართალი არ იქნებაო. დიდი კაცის ნაჩუქარი სუფრაზე არ დაიდება. დიდი ძვლიდან დიდი ტვინი გამოვაო. დღევანდელ სიკვდილს ხვალინდელი სიკვდილი მირჩევნიაო. თურაშაულის პატრონი ტყეში ასკილს დაეძებდაო. იმნაირი ნადირი გამორბოდა, როგორიც ტყე იყო. ასეთი მაღალი ხე არსად მინახავს, რომელზედაც ფრინველი არ ჯდებოდეს. მეტისმეტის მაძიებელი მოკვდა გაუხარებელი. მეძებრის შვილს დაგეშა უნდაო. ლეჩხუმურ ლობიოს ლეჩხუმურივე წყალი მოხარშავსო. ჭკვიანურ სიტყვას რეგვენის ყურში სძინავს. ათას უგულო მეომარს გულადი ორი სჯობია. ორი კაცი ერთ კაცზე ლაშქარიაო. სამ დღემდის სამმა იცის, სამ დღეს იქით თემმა იცის.

114. შეარჩიეთ ტექსტი დავალებისათვის: მოცემულ ტექსტში ერთნაირი სიტყვების წევრობის გარკვევა. სავარაუდო მაგალითები: გაჭირვებამ ფარჩის კაბა მაცვეთინაო. გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. გაჭირვებული კაცი ზღვაში გავაო. ზარს დაჰკრა. ზარმა დაჰკრა. ზარი დაჰკრეს. გიჟი მოზვერი კარგი ხარი დადგებაო. გიჟი დასაქმე და შენც უკან გაუდექ. გლახა აეკიდა და ორივე წყალში ჩავარდაო. გლახა მოყვარეს კაი მტერი სჯობიაო. გემი ისე როგორ დაიღუპება, რომ ერთი ნაფოტი არ დარჩესო. გემის მკეთებელს ფეხსაცმლის შეკერვა გაუკვირდაო. დათვი დათვს პატიჟობდა, სხვის ვენახში მიჰყავდაო. დათვის ტყავი ბანჯგვლით ფასობს. ერთი აკლდა რვასაო, მიემატა ცხრასაო. ერთი დრო ჩიტსაც კი აქვს. კარგ ამინდში კარგია ნაოსნობა. ბევრი ცემითა რკი-

ნაც გაიდრიკება. ბევრს ნუ იჯავრებ, მალე დაბერდები. ბოროტი შვილის დედასა რა მოაშორებს სევდასა. ბოროტსა სძლია კეთილმან. ბრიყვის საგზალი მალე გათავდებაო. ბრმა საქონელს ბრმა მუშტარი არ დაელევაო. ბრმა თვალმა ერთი ცრემლიც რომ ჩამოაგდოს, ისიც ტირილში ჩაეთვლებაო. ზარმაც ცხენს დეზი უნდაო. ზარმაცისთვის ნიადაგ უქმეა. თხას თხის ფეხით დაჰკიდებენ, ცხვარს ცხვრის ფეხითაო. თხის პატრონს თხის კუდიც არ ერგოო. მაძღარ მღვდელს მშიერი დიაკონიც მაძღარი ეგონაო. მაძღარს მშიერი მაძღარი ეგონაო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სინტაქსში ზოგჯერ არის ისეთი შემთხვევა, რომლის დახასიათება არ ხერხდება ერთჯერადი პასუხის გაცემით. ასეთ შემთხვევათა ანალიზისას არ შეიძლება კატეგორიულად ვთქვათ: „სწორია“, „არასწორია“.

115. მაღალი, ჩვენი, ორი, მწერალი, მომღერალი — სიტყვები სხვადასხვა წევრის ფუნქციით გამოიყენეთ წინადადებაში. ნიმუშისათვის: მ ე გ ო ბ ა რ მ ა წიგნი მომიტანა (ქვემდ.). ჩვენს მ ე გ ო ბ ა რ ს ომის ვეტერანები ესტუმრნენ (ირ. დამ.). მ ე გ ო ბ ა რ ი ვინახულე (პირ. დამ.). მ ე გ ო ბ ა რ თ ა ნ ორი საათი დავყავი (უბრ. დამ.). მ ე გ ო ბ რ ი ს ა თ ვ ი ს არაფერს დავიშურებ (გარ.). მ ე გ ო ბ რ ი ს წიგნი წავიკითხე (განსაზ.). თინა და ნინო დიდიხანია ერთმანეთს მეგობრობენ (შემასმ.).

116. რაიმე თემაზე დაწერეთ თხზულება და მასში გამოიყენეთ განსაზღვრებები. ერთსა და იმავე თემაზე შეიძლება თხზულება მრავალი ვარიანტით დაიწეროს. მაგალითად: „გაზაფხული“. ა) დადგა გამაცოცხლებელი, გამაღვიძებელი წელიწადის დრო — გაზაფხული. გატიტვლებული ხეები ფოთლებით შეიმოსა, ფრინველთა ჟივილ-ხივილს, ბოსტანში, ბაღებსა და მინდვრად სამუშაოდ გასულ ადამიანთა ყიჟინაც შეეხმიანა... ბ) ბებერი ზამთარი მხიარულმა გაზაფხულმა შეცვალა. გრილმა, სასიამოვნო ნიავმაც დაუქროლა. კუდმაკრატელა მერცხლების ჭიკჭიკმა სიხარული მოგვარა ადამიანებს. ყველაზე მეტად მაინც ბულბულის ტკბილი გალობა იტაცებს ყველას. შრომისმოყვარე ფუტკრები ნაირნაირ ყვავილებს მიესივნენ. გამრჯე კოლმეურნეები საგაზაფხულო სამუშაოების თადარიგს შეუდგნენ... გ) გავიდა მოსაწყენი ზამთარი. დადგა სანატრელი გაზაფხული. ჩიტებმა მორთეს მხიარული სიმღერა, ჭიკჭიკი. დიდებული სანახავია გამოცოცხლებული ბუნება, ყვავილებით მოქარგული მინდორ-ველი, თეთრად გადაპენტილი ტყემლები, წითლად შეღებილი ატმები... დ) გათბა. უკვე იფეთქა ნუშმა, თეთრი სუდარით შეიმოსა. ატამსაც კვირტები დაებერა. იის სურნელი უკვე საკმაოდ

იგრძნობა. ჰაერში მიწის სუნი ტრიალებს. გზებზე ყვავილების ფიფქი ცვივა და ცვივა. პეპლებმა ბუჩქისა და ხის ყვავილების გულში დაიბუდეს. ნაზამთრი ფუტკრები უკვე თაფლს აგროვებენ. ყველაფერს გამოცოცხლება ეტყობა, ცხოვრება თავიდან იწყება... ე) წელიწადის დროებს შორის ყველაზე დიდი ხალისი მოაქვს გაზაფხულს. ნამდვილი გაზაფხული მაშინ იწყება, როცა კუდმაკრატელა მერცხლები გამოჩნდებიან ხოლმე. მოფრენისთანავე ისინი ძველ ბუდეს მიაშურებენ, შეასწორებენ, შეალამაზებენ, თუ დანგრეული დახვდათ, ახალ ბუდეს გააკეთებენ. წარმტაცი სანახავია მინდორველი, მთელი არემარე, როცა მრავალნაირი ყვავილებით შეიმოსება ხეები და მოიქარგება მინდვრები...

117. დაამზადეთ თვალსაჩინოება თემებზე: ა) განსაზღვრება; ბ) წინადადების წევრები; გ) წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები.

118. მოცემულ წინადადებებში წარმოდგენილ სიტყვებს მიეცით უფრო მართებული რიგი: სიბერისაგან თმა ვასოს გაუთეთრდა. მუშებისათვის აშენებს საცხოვრებელ სახლს ქარხანა. შეუკვეთა დარიკომ პალტო ატელიეს. წელს თოვლი დიდი მოვიდა. ნახატები ნუგზარისა გამოფენაზე წაიღეს. დედამ ბავშვი მტირალი დაამშვიდა. გაძლება უნდა ჭირსაც. კატა ჩხავანა თაგვს ვერ დაიჭერს. ფეხი მოკლე აქვს ტყუილს. წლეულს საშუალო ძროხის წველადობამ საგრძნობლად იმატა. ჯემალმა მაიას ლამაზი ვარდის კონა მიართვა. რაფიელმა იყიდა ახალი ქალის პალტო. მთელი სოფელი შეხვდა ახალ წელს მხიარულად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. როგორც ცნობილია, წინადადების წევრები ერთმანეთს გარკვეული წესის მიხედვით უკავშირდება. ამის გამოსახატავად ენაში ძირითადად გამოყენებულია შემდეგი საშუალებები: სიტყვის ფორმა (ბრუნება, უღლება), დამხმარე სიტყვები (თანდებულები და კავშირები), ს ი ტ ყ ვ ა თ ა რ ი გ ი დ ა ი ნ ტ ო ნ ა ც ი ა. ქართული აფიქსებით მდიდარი ენაა და, ბუნებრივია, სიტყვათა რიგი ქართულ წინადადებაში შედარებით თავისუფალია. მკაცრად ფიქსირებული ადგილი არც ერთ წევრს არა აქვს. მაგრამ ეს არ ნიშნავს მთლად შეუზღუდველი, სრული თავისუფლების არსებობას. სიტყვათა რიგი აბსოლუტურად თავისუფალი ან აბსოლუტურად მყარი არც ერთ ენაშია და, ცხადია, არც ქართულშია იგი. გარკვეული შეზღუდვა უდავოდ არსებობს. ქართულ წინადადებაში სიტყვათა დალაგების ყველა შესაძლო ვარიანტი ერთნაირი მნიშვნელობის, თანაბარი ღირებულებისა როდია. მაგალითად, თანამედროვე ქართულში განსაზღვრება ჩვეულებრივად საზღვრულის წინ დაისმის, ასევე პირველ ადგილზე დგას უბრალო დამატება და გარემოება სახელზმნით გამოხატულ წევრთან დაკავშირებული. ჩვეულებრივი და დამახასიათებელია აგრეთვე ქართული სალიტერატურო ენისათვის ჯერ ქვემდებარე და შემდეგ შემასმენელი ალბათ იმიტომ, რომ, როგორც

ცნობილია, შემასმენელი წინადადების აზრის გადმოცემის ძირითადი სემანტიკური ღერძია, უმთავრესი წევრია და ამიტომაც მიისწრაფვის პოლოკიდური პოზიციისაკენ).

ვარჯიშობანი მარტივი წინადადების სწავლებაში

1. მოცემულ წინადადებებში ნაცვალსახელები შეცვალეთ არსებითი სახელებით: მან მას ის გამოუწერა. იგი წამოდგა. მათ ის წაიღეს. მან დაიძინა. მან ის გაისტუმრა, იგი მას მისდევდა. ისინი მათ დახვდათ. მას ის უკვირს. სხლავს იგი მას.

2. მოცემული ზმნებით შეადგინეთ გაუვრცობელი წინადადებები: მღეროდნენ, ზის, გარბის, გაფრინდა, გახმა, დაეცა, დგას, იყო. წასულან, გაჩერდა, გაიყინა, მოჩანს, აშრიალებდნენ. დნება, დაბერდა, საუზმობდა, ატირდა, ჩადგა, აყვავილდა, იცინოდა, იგრიალა.

3. მოცემული სახელების გამოყენებით შეადგინეთ გაუვრცობელი წინადადებები: ქორი, მგელი, მონადირე, ლეკვები, მდინარე, მწყემსები, ცხვრის ფარა, ბებია, ბავშვები, ზღაპარი.

4. გაავრცეთ მოცემული წინადადებები შემასმენელისათვის რომელიმე სიტყვის შეწყვილებით შესრულება: ბავშვი დედას მისდევდა. ლევანი ათვალიერებდა სურათებს. მერიმ მოხსენება გააკეთა. მამუკა სოფელში წავიდა. მზემ არემარე გამოანათა. ნაადრევად გაზაფხულდა, მგზავრები უცდიდნენ მატარებელს. ზამთარი მალე გავიდა. გივი მასწავლებელმა შეაქო. მხედარმა ცხენი მიაბა. არწივი მაღლა აფრინდა. კრუხი ქორს ებრძოდა.

5. გაავრცეთ მოცემული წინადადებები ქვემდებარისათვის განსაზღვრების შერჩევით: წვიმა მოვიდა. ლიამ ძროხები მოწველა. ექიმმა ბავშვი გადაარჩინა. ნანას შეეშინდა. თოფმა იქექა. მგელი დაეცა. ელიზბარი გლეხებს ესაუბრა. ქარი ამოვარდა. ხვნა დაიწყო. დათვს მელა შემოეყარა.

6. გაავრცეთ მოცემული წინადადებები უბრალო დამატების მიმატებით: ელისაბედი ნაწყენი დარჩა. მანქანამ დაიგვიანა. მზარეულს შენახვა დააავიწყდა. მზიამ წერა დაამთავრა. ანიკო გაჯავრდა. დამტარებელმა მოიტანა. ძაღლს მოეგლიჯა კუდი. ტარიელი თავს გასწირავს. ირმამ დავალება შეასრულა.

7. მოცემული გაუვრცობელი წინადადებები გადააკეთეთ გავრცობილად დამხმარე კითხვებზე დაყრდნობით:

წერილი მივიღე (როდის? სად?). მერცხალი დაფრინავს (სად? როგორი?). მე ნაცნობი მყავს (სად? რამდენი?). გიზო ვენახს ბარავს (ვის ვენახს? რით?). ბავშვი ტირის (როგორი? სად? რატომ?). აცი-

ვდა (სად? როგორ?). ელისომ ქათმებს საკენკი დაუყარა (რომელ-მა? ვის ქათმებს? სად?). ალექსიმ სტუმრები მიიპატიჟა (სადაური? სად?). თენგიზი სწავლობს (როგორ? რომელ კურსზე? სად?). ანიკო თამაშობს (ვისი? ვისთან? რას?). კურდღელი გაიქცა (როდის? როგორ?).

8. გაუვრცობელი წინადადებები გავრცობილად გადააკეთეთ დამხმარე კითხვების გარეშე: ზურიკო დაბრუნდა. აცივდა. ზარი დაირეკა. დედამ აბაზანა გაასუფთავა. ზეინაბმა დაიბანა. გივიმ ლოქო დაიჭირა. დადგა იანვარი. არემარეს თოვლი დაეფინა. ჩიტები საკენკს ვერ შოულობდნენ. ისინი ბავშვებმა შეიბრალეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გავრცობისას ზომიერებაა საჭირო. ძალიან გავრცობა მიზანშეწონილი არ იქნება. ჯერ ერთი, შესვენება, პაუზა არ ხერხდება და წარმოთქმა ძნელდება, მეორე, გაგებასაც ხელი ეშლება, მრავალსიტყვიანი წინადადებების შინაარსის სრულად, ნათლად გაგება ბრკოლდება, ნაკლებად მოსახერხებელი ხდება.

9. მოცემული გავრცობილი წინადადებები გადააკეთეთ გაუვრცობლად: გუშინ გადაუღებლად წვიმდა. დაობლებულ ბელებს ცბიერი მელია შეპირდა მოვლა-პატრონობას. ჭა წყლით გაივსო. მაღაზიაში ფეხსაცმელები მოიტანეს. სახლი ყავრით გადახურეს. ფაშისტები სასტიკად დამარცხდნენ. გიული გიტარაზე კარგად უკრავს. ტბის წყალი გაიყინა. სოფელში კლუბი აშენდა. ოქტომბერში რთველი გაჩაღდა. მარიამმა დილით ჩაი აადუღა. უზარმაზარ ტყეს ხანძარი მოედო. აქ მობინადრეებს თავზარი დაეცათ. მეხანძრეებმა სამ საათში ჩააქრეს ცეცხლი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გავრცობილის გაუვრცობლად გადაკეთებისას მოსწავლეებმა ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ შემოკლების დროს წინადადების შინაარსი გაუგებარი, ბუნდოვანი, სინათლეს მოკლებული არ გახდეს. საერთოდ, გადაკეთებას ვერ იგუებს ანდაზები, გამოცანები და ფრაზეოლოგიური შენაერთები.

10. მოცემული ზმნებით შეადგინეთ გავრცობილი წინადადებები: ამშვენებს, მიაწოდა, მისცა, გადააკეთებინა, მონახა, დააკავა, განაგრძო, ამხნევებს, აირია, ციმციმებს, დაელოდება, უზის, შეხედა...

11. შეარჩიეთ ტექსტი დავალებისათვის: მოცემული წინადადებების დალაგება გავრცობილთა და გაუვრცობელთა მიხედვით. საკარაუდო ტექსტი: გაძღომას ძროხაც მიხვდებაო. გულწრფელად შენანებული ცოდვა კაცს მიეტევება. ფათერაკს თვალი არ უჩანს. კვიცი გვარზე ხტისო. ზღვაც დაილევა კოვზითაო. კვერნაც თავის ტყავისთვის ისჯებაო. ეშმაკს არ სძინავსო. ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს დაიჭერსო. შუბი ხალთაში არ დაიმალება, თაგვი

წისქვილში შიმშილით არ მოკვდებაო. ცოდვა გამომქღავნებული სჯობიაო. გონიერი მეტს მოითმენსო. ციხე შიგნიდან გატყდებაო. ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო. ბევრი ცემით რკინაც გატყდებაო. გოჭი ღრუტუნს ღორისაგან სწავლობს. გულს გული იცნობს. სიმართლე კაცს არ დაეკარგებაო. ხუმრობა ნახევრად მართალიაო. ძალა აღმართსა ხნავსო. ჭკუა საქმით გამოჩნდებაო. ძილს სასთუმალი არ უნდაო. მტყუანს კარამდის მიჰყევიო. თოხი მიწას არ ასცდება. ფონი გასავალს შეაქეო. ყველა დაბალ ღობეზე გადადისო. სათქმელი დროზე თქვიო. ღონესაც მოხმარება უნდაო. დამწვარს მდუღარე დაასხესო. ბრიყვისათვის კანონი არ არსებობსო. ბავშვის ენა დედამ იცისო. ქვეითი ცხენოსანს დასცინოდაო.

12. მოცემულ წინადადებებში შემასმენლად გამოყენებული სამპირიანი ზმნები გადააკეთეთ ორპირიანად, ხოლო ორპირიანი — ერთპირიანად და ამის შესაბამისად შეამოკლეთ წინადადებები: კოდალა ბარტყებს საკვებს უზიდავს. გულნარა ძროხას წველის. იგი რძეს მაღაზიას აბარებს. ამალია სადილს ამზადებს. ელნათურებმა გააჩახჩახა საამქრო. ექთანმა ავადმყოფს წამალი დაალევინა.

13. მოცემულ წინადადებებში შემასმენლად გამოყენებული ერთპირიანი ზმნები გადააკეთეთ ორპირიანად, ორპირიანები — სამპირიანად და ამის შესაბამისად წინადადებებს შემატეთ სათანადო წევრები: სურათი იხატება. ბოსტანი ითოხნება. თმა თეთრდება. ხიდი შენდება. ბავშვი იზრდება. სკოლას რემონტი გაუკეთდა. კრუხი იმალება. ბორბალი ბრუნავს. ძაღლი ყეფს. სოფელი განახლდა. მჭადი ცხვება. ავადმყოფს ღვინო არ დაელევა. გამყიდველი პურს წონის. ზღვა ღელავდა.

14. მოცემული ორსიტყვიანი შენაერთი გადმოეცით ერთი სიტყვით: თოვლი მოდის, თეთრად შეღებეს, დახმარება გაუწია, პირობა მისცა, მშენებლობა დამთავრდა, საუზმე მიართვეს, სიზარმაცე მოერია, გადაწყვეტილება მიიღო, შეცდომა დაუშვა, მეხსიერებაში შეინახა, მტრობას უწევს, მეგობრად გაიხადა, შეტევაზე გადავიდა, სროლა დაუწყო, ფიქრებს მიეცა, გული მოუვიდა, დამარცხება აგემა, სიცილი მორთო, ზიანი მიაყენა, ნაწყენი დარჩა, ზეიმი ჩაატარეს, ტირილი მორთო, ბრაზი მოუვიდა, გზას გაუდგნენ, ქება დაუწყო, მოთხოვნა წაუყენა, დაკითხვა აწარმოა, პასუხი გასცა. გამარჯვება მოიპოვა (ნიმუშისათვის: ინტერესი გამოიჩინა — დაინტერესდა, ჯანმრთელობა გაუუმჯობესდა — გამოჯანმრთელდა, კითხვა დაუსვა — შეეკითხა, კონტროლს უწევს — აკონტროლებს, გამოცდას იღებს — ცდის, თანხმობა მისცა — შეუთანხმდა.

15. რომელიმე ნაწარმოების ან მისი ნაწილის შინაარსის შემოკ-

ლება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადებების შესწავლამ საგრძნობლად ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს სასწავლო მასალის სწორად, მართებულად შემოკლების საქმეში. ტექსტის შემოკლების რაციონალური ხერხების ცოდნას მათთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს მათ მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა საგანში სჭირდებათ. სასწავლო მასალის შინაარსის მოკლედ გადმოცემაზე მუშაობა II კლასიდან იწყება, მაგრამ, როგორც ფაქტები მოწმობენ, მას უფროსი კლასის მოსწავლეებიც არ არიან სათანადოდ დაუფლებული. ვარჯიშის გარეშე, თვითდინებით ტექსტის შემოკლებაში ისინი ვერ დახელოვნდებიან. ზოგიერთ მასწავლებელს ეს არა აქვს შეგნებული და ამიტომ ამაზე ვარჯიშს ნაკლებად ან სულ არ მიმართავს ხოლმე. სასწავლო მასალის შინაარსის შემოკლებისათვის საჭიროა: ტექსტის გულდასმით წაკითხვა და შინაარსის ღრმად გააზრება, ტექსტის დაყოფა ძირითად ნაწილებად და გეგმის შედგენა, ნაწილებში მთავარი, არსებითი მნიშვნელობის და მეორეხარისხოვანი აზრების, ფაქტების დადგენა, მეორეხარისხოვანი დეტალების გამოტოვება და მთავარი აზრების სისტემაში მოყვანა, გამთლიანება და შესწავლა, შესწავლილის მოყოლა, გარკვეულ შემთხვევაში ზოგიერთ საგანში წერილობითაც გადმოცემა.

16. დაამუშავეთ მეთოდურად „სრული და უსრული წინადადებები“.

17. მოცემული მაგალითები დაალაგეთ სრული და უსრული წინადადებების მიხედვით: ჩაის კრეფა მალე დაიწყება. ექიმმა გულდასმით გასინჯა. ირემმა თავი მაღლა ასწია. გიორგი ცხენიდან ჩამოვარდა. გათენებისთანავე წავიდა. მეგობრებმა გულთბილად მიუღოცეს. შემოდგომაა. წყაროსთან შეისვენეს, ნათელამ საკაბე იყიდა. გაზეთები იტყობინებიან. ლენინგრადში ჩავიდნენ. ყველა კითხვაზე უპასუხა. მატარებელი უკვე ჩამოდგა. ქარმა ღრუბლები გაფანტა. საბჭოთა არმიამ გაიმარჯვა. ძალიან ცივა. 9 მაისი გამარჯვების დღეა. ბრაკონიერები დასაჯეს. წელს თოვლი უხვად მოვიდა.

18. მოცემულ დიალოგში პასუხები შეამოკლეთ: კოდალა მავნე მწერებს ანადგურებს. რა ანადგურებს მავნე მწერებს? — მავნე მწერებს კოდალა ანადგურებს. რას შვრება კოდალა? — კოდალა მავნე მწერებს ანადგურებს. როგორ მწერებს ანადგურებს კოდალა? კოდალა მავნე მწერებს ანადგურებს.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: 1. სრული და არასრული წინადადებების ხმარება სიტუაციითაა გაპირობებული. თუ გარემო, სადაც მეტყველება მიმდინარეობს, თუ მოსაუბრეთათვის გარკვეულია, ხერხდება სიტყვათა გამოტოვება, რადგანაც სიტუაცია თა-

ვისთავად გასაგებს, ცხადს ხდის აზრს, გამოტოვებული სიტყვების მქონე წინადადების შინაარსს, უსრული წინადადება შემოკლების თვალსაზრისით მაქსიმუმს აღწევს, როცა გამოყენებულია მხოლოდ დადასტურებითი ან უარყოფითი სიტყვები („დიახ", „არა").

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 2. გასათვალისწინებელია, რომ ტერმინმა „არასრულმა" მოსწავლეებს არასწორი წარმოდგენა არ გამოუმუშაოს არასრული წინადადების შინაარსის შესახებ. „არასრული" ტერმინია. იგი როდი ნიშნავს აზრის უსრულოდ, დაუმთავრებად გამოხატვას. იგი სრულად, დამთავრებულად აცნობს მსმენელს აზრს, გადმოსაცემის შინაარსს. მხოლოდ აკლია ზოგიერთი სიტყვა, რომელიც არ უშლის ხელს გაგებას, აზრის დასრულებულად გამოხატვას. უსრული წინადადება დროისა და ენერგიის ეკონომიას იძლევა. ამიტომ სადაც მოსახერხებელია, მას ფართო გამოყენება აქვს.

19. მოსწავლეთა მიერ შედგენილი დიალოგის ზოგიერთი ნიმუში.

ა) — ალო, გისმენთ!
— ლეილა ბრძანდებით?
— დიახ.
— ვერ მიცანით?
— ვერა.
— მარგო გელაპარაკებით!
— გამარჯობა, როგორ ბრძანდებით?
— არაგვიშავს, მხოლოდ სახლი დაგვეწვა.
— რას ამბობთ? როგორ?
— ცეცხლი პატარა ბავშვების სიცელქით გაჩნდა.

ბ) „პაპა და შვილიშვილი".
— პაპა, საიდან მოდის წვიმა?
— ციდან.
— ცა ვინ გააჩინა?
— ღმერთმა.
— ღმერთი ვინ გააჩინა?
— ბუნებამ.
ბუნება ვინ გააჩინა?
— ეს კი არ ვიცი, უპასუხა პაპამ.

როგორც ვხედავთ, აქ ბევრი სიტყვაა გამოტოვებული, მაგრამ ამ არასრულ წინადადებათა აზრი დიალოგის საერთო ფონზე მაინც გასაგებია, გამოკლებულ სიტყვათა აღდგენა ადვილად ხერხდება, თუმცა ეს საჭირო არ არის.

20. გადაიწერეთ დიალოგი სათანადო სასვენი ნიშნების დასმით:
— რა წაბლი შეაგროვე — იკითხა ციცინომ,
— დიახ წაბლი — უპასუხა თინამ.
— ბევრი შეაგროვე?
— ბევრი.
— რაშია საქმე რატომ ხარ შეწუხებული?

— მამაჩემს მივწერე წიგნების საყიდლად ფული გამოეგზავნა.
— მერე
— მან წიგნები გამომიგზავნა.

21. კარნახით წერა დიალოგის გადმოცემასთან დაკავშირებული სასვენი ნიშნების შესწავლის მიზნით. დაახლოებით ასეთი ტექსტი შეიძლება გამოვიყენოთ:

ა) — მამიკო, აღარ გინდა კიდევ ტორტის ნაჭერი? — ეკითხება შვილი მამას.
— არა, შვილო. — უპასუხა მამამ.
— აბა, ახლა მე შემეკითხე.

ბ) — შენ რატომ მოხვდი ციხეში? — ჰკითხა ერთმა პატიმარმა მეორეს.
— თამბაქოს წევის გამო.
— ეგ როგორ?
— დამახველა და ყარაულს გაეღვიძა.

გ) — ფეხბურთის რომელი გუნდის გულშემატკივარი ხართ? — ჰკითხა დალაქმა კლიენტს.
— რომლისაც თქვენ ბრძანდებით.
— თქვენ ხომ არ იცით, რომლის გულშემატკივარი ვარ?
— კი მაგრამ, თქვენ ხომ სამართებელი გაჭირავთ.

დ) — ჰანს, რატომ დღეს კინოში არ იყავი?
— დრო არ მქონდა. მამას ვეხმარებოდი ჩემი საშინაო დავალების შესრულებაში.

(მასალა ამოღებულია წიგნიდან: ასეც ხდება, უცხოური იუმორი, 1969) გაკვრით კარნახით წერის შესახებ. ენის სწავლებაში კარნახს ფართო გამოყენება აქვს. იგი შეიძლება იყოს სასწავლო, სასწავლო-საკონტროლო, საკონტროლო. კარნახი მრავალი სახისაა. სახელდობრ: ჩვეულებრივი სრული კარნახი, თავისუფალი კარნახი, შემოქმედებითი კარნახი, საკონტროლო ანუ შემოწმებითი კარნახი და სხვ.

22. მოცემულ ტექსტში დაადგინეთ უქვემდებარო და ქვემდებარიანი წინადადებები: სანდრო პაპამ ამ სოფლის წარსული კარგად იცის. ბათუმში ხშირი წვიმები იცის. ორპირმა ქარმა გააცივა მარინე. მას ხშირად აცივებს. დღეს საღამოს აცივდება. შეიძლება გაწვიმდეს კიდევაც. წელს აპრილში ცუდი დარები დაიჭირა. ხშირად ელავს. მელას უკან ურმით არ სდევენო. ორგული წყალში გადააგდესო. ქურდი თხლეზე დაიჭირესო. მელამ კურდღელი დიჭირა. პური მეპურეს გამოაცხობინეო! (აკლია ქვ. „შენ“) კატას თავში ძეხვი დაჰკრესო. თოფმა დაიქუხა. გააღდარდა. დაიქუხა. სადღაც მეხი გავარდა. წელს გაზაფხულმა დაიგვიანა. ახლა 7 საათზე თენდება. გუშინ მთაზე თოვა დაიწყო. დღეს ბარშიც თოვს. მალე გაზაფხულიც კარს მოგვადგება. გაზაფხულზე გათბება, გამოიდარებს.

მოიღრუბლა. ჩამობნელდა, გაიელვა. ფრინველები მიიმალნენ. ცა ისევ მოიწმინდა. განათდა.

23. იცის, მაცივებს, მაცხელებს, ყინავს, მახველებს, მტეხს, მაჟრჟოლებს, მზარავს, მასლოკინებს — ზმნები გამოიყენეთ უქვემდებარო და ქვემდებარიან შემასმენლად წინადადებაში.

24. მოცემული მარტივი წინადადებები შინაარსის რამდენადმე სხვა სიტყვებით გადმოეცით: ცხრა ძიძის ხელში ყმაწვილი დამახინჯდაო. ჭირისა განაცადს ჭკითხეო. სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო. ნემსში მახათს გამოიყვანსო. ნიმუშისათვის: „ძაღლს ძაღლი არ დაჰყეფსო — პატიოსანი ძაღლი ქალს არ შეუყეფსო. ქალის პატივი ძაღლმაც იცისო“ (ხალხური სიბრძნე, ტ. V, 1965, გვ. 173).

25. დაამზადეთ თვალსაჩინოება თემაზე: „მარტივი წინადადების სახეები“.

26. მარტივი წინადადებების გამოყენებით თხზულების შედგენა თემაზე: „პირველი თოვლი“. დილიდანვე მოიღრუბლა. ქარმა გაიქროლა. წყლიანი თოვლი წამოვიდა. სიცივემ იმატა. მშრალად დაიწყო თოვა. საღამომდე თოვლის სიმაღლემ ნახევარ მეტრს მიაღწია. ღამე თოვა შეწყდა. ყინვამ 12 გრადუსს მიაღწია. დილით ისევ განახლდა თოვა. ჩიტები გასაჭირში ჩავარდნენ. განსაკუთრებით ბეღურები გამწარდნენ. ისინი შინ შემოსვლასაც არ ერიდებოდნენ. ასეთ დროს ფრინველებს ადამიანები ეხმარებოდნენ. მათ უყრიან საჭმლის ნარჩენებს. ისინიც სიამოვნებით მიირთმევენ.

*

* *

საუკუნეთა მანძილზე ქართული სალიტერატურო ენა იხვეწება, მდიდრდება და სრულყოფილი ხდება, ამიტომ მას აზრთა, განცდათა სწორად, გასაგებად და მიმზიდველად გადმოსაცემად ამოუწურავი მარაგი და საშუალებანი აქვს. მხოლოდ საჭიროა სიტყვებისა და გრამატიკულ ფორმათა გულდასმით შერჩევა და გონივრულად გამოყენება.

ენობრივ მასალათა შერჩევისა და სათანადოდ გამოყენების, მეტყველებისათვის ექსპრესიული, ემოციური ელფერის მიცემის საკითხები სტილისტიკის საგანია. გამოირჩევა ენათმეცნიერული გრამატიკული და პოეტური (მხატვრული) სტილისტიკა (სხვაგვარი დაყოფაც არსებობს). პირველი გრამატიკის სწავლებას უკავშირდება, მეორე კი — ლიტერატურისა და პოეტიკის სწავლებას.

მართალია, ბოლო წლებში სამეცნიერო ლიტერატურაში სტილისტიკაზე ბევრი წიგნი, ნაშრომი, მეთოდური ბროშურა და წერი-

ლი გამოქვეყნდა, მაგრამ სტილისტიკისა და მისი სწავლების საკითხი მაინც გადაჭრილი არ არის.

გარესინამდვილის, საზოგადოებრივი და ბუნებრივი მოვლენების შესახებ აზრის გადმოსაცემად, მათდამი საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატავად ენობრივ მასალებს ძებნა, შერჩევა და რაციონალურად გამოიყენება ესაჭიროება (უსარგებლო, გაცვეთილი სიტყვა არ არსებობს. შეარჩიეთ და მოათავსეთ სიტყვა იქ, სადაც საჭიროა და ის გამოცოცხლდება, სუნთქვას დაიწყებს). ცნობილი ფაქტია, რომ ერთი და იგივე აზრი შეიძლება სხვადასხვაგვარად გადმოვცეთ, სხვადასხვანაირად გამოვხატოთ სიტყვების, გამოთქმების, ფორმების, წინადადებათა კონსტრუქციებისა და ინტონაციის საშუალებით და ამით ჩვენი აზრი ნათელი, ცხადი, დამაჯერებელი და ემოციური გავხადოთ, თავიდან ავიცილოთ ერთფეროვნება, გაზეპირებული ფორმულებით, მზამზარეული ფრაზებით ლაპარაკი, ზედმეტი სიტყვები და გამოთქმები („ყოველი სიტყვა უსაქმოდ არარაობა და ფუჭია“ — დამოსთენე).

ყოველ ადამიანს სურს, თავისი ნათქვამი თუ დაწერილი იყოს მიმზიდველი, შთამაგონებელი, ზემოქმედების ძალის მქონე. ამიტომ აზრის, განცდის და გრძნობის უბრალოდ გადმოცემას იგი არ სჯერდება. შეგნებული, დაინტერესებული მთქმელი საგანგებოდ ეძებს ისეთ საშუალებებს (სიტყვებს, ფორმებს, პაუზას, ინტონაციას და სხვ.), რომ ნათქვამს ექსპრესიული, ემოციური იერი მისცეს, რათა იგი შეიჭრას მსმენელისა თუ მკითხველის გულში და ჩააფიქროს, გაიტაცოს იგი. („ია აყვავილებულა“ — უბრალოდ გადმოგვცემს ფაქტს. ემოციური იქნებოდა: იას თვალები გაუჭყეტია, იას თვალები გაუხელია, საცაა ია თავს ამოყოფს, იას მოუქარგავს ბუჩქის ძირი და სხვ.). განსაკუთრებით ეს იგრძნობა მხატვრულ ლიტერატურაში. ხელოვნების ეს დარგი თავისი შინაარსითა და ენობრივ-სტილისტიკურად საგრძნობლად განსხვავდება მეცნიერული გადმოცემისაგან. ეს უკანასკნელი გარესინამდვილეს ასახავს თეორიებში, ჰიპოთეზებში, სტატისტიკურ ცხრილებში, წესებში, კანონებში და მისთ. იგი ვერ იგუებს და არც საჭიროებს გამომსახველობით საშუალებებს, ფრთოვან სიტყვებს, იდიომებს, მეტაფორებს, მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულს და საერთოდ ემოციურ-ექსპრესიულ ლექსიკას, მხატვრულ-ემოციურ ენობრივ მასალებს (თუმცა მცირე დოზით მათი გამოყენება მეცნიერული ინფორმაციის გადმოცემის დროსაც მთლად გამორიცხული როდია). სამაგიეროდ, მეცნიერული ენა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზუსტი ცნებების, ტერმინების სიუხვე, რომლის მთავარ დანიშნულებას შეადგენს წესე-

ბის, კანონების, დებულებებისა და სხვა თეორიული მასალის შინაარსის სწორად გადმოცემა, არსებული ობიექტის ადექვატურად ასახვა. გარესინამდვილის მართებულად, გასაგებად ახსნა, ნაკლებად გამოსაყენებელია მხატვრულ ნაწარმოებში. აქ სიტყვა ფასდება იმდენად, რამდენადაც ის ემოციური ძალის მქონეა და გავლენას ახდენს ადამიანის გრძნობებზე, ემოციებზე, ვიდრე გონებაზე. ეს გასაგებია. მხატვრულ ლიტერატურას სწორედ ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკა ქმნის. მხატვრულ თხზულებაში მთავარია არა ახსნა, არა განმარტება, არამედ სინამდვილის ჩვენება, სახეებით მისი გადმოცემა და სწორედ ამაში ემოციური შეფერილობის მქონე სიტყვები ასრულებს მთავარ როლს (უნდა შევნიშნოთ, რომ შეიძლება გრძნობით იერს სიტყვაში თვით საგანი იწვევდეს. მაგალითად. ვირი, ქურდი, მექრთამე, კუბო, საფლავი, ჯალათი, გველი, ჯაშუში და მისთ. უარყოფით გრძნობას აღძრავს ადამიანში, ხოლო ვარდი, იასამანი, ია, მტრედი, ირემი, ბავშვი, ჩურჩხელა და მისთ. სიტყვები დადებით ემოციას იწვევს მსმენელსა თუ მკითხველში).

მიზანშეუწონელია ემოციური სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენება ე. წ. საქმიან ქაღალდებში (მოწმობა, ოქმი, განცხადება, ანკეტა, ხელწერილი და ა. შ.). მათი შინაარსი უნდა გამოიცეს კანცელარიული (სტანდარტული) სტილით. აქ ინდივიდუალობას და ამდენად სიტყვების საკუთარი სურვილის მიხედვით შერჩევას ნაკლები გასაქანი ეძლევა.

ენობრივ მასალათა და ფორმათა შერჩევის რაიმე წესების, კანონების შემუშავება და დანერგვა შეუძლებელია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამას თვით მთქმელი, დამწერი გადაწყვეტს. სტილისტიკაში რაიმე მოდელის შექმნა და სავალდებულოდ გახდომა მიზანშეუწონელია. მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ენობრივ შესაძლებლობათა არჩევანს ძირითადად განაპირობებს გამოსაცემი ობიექტის შინაარსი, მისი თავისებურება, მეტყველების ფორმა, შინაარსისადმი მთქმელის დამოკიდებულება, ამ უკანასკნელის განვითარების დონე, განსწავლულობა, ნიჭი, დახელოვნება, მომზადება, ცხოვრებისეული გამოცდილება, განცდები, განწყობა (გულისწყრომას, გაჯავრებას დათაფლული სიტყვებით ვერ გამოხატავ და პირიქით, სიხარულის, აღფრთოვანების დროს მკვახედ, მკაცრად, სევდის გამომხატველი სიტყვებით და გამოთქმებით ვერ ილაპარაკებ. გემოვნება, მიზანდასახულობა და მსოფლმხედველობა, გადასაცემი შინაარსის ცოდნის ხარისხი. სიტყვათა მარაგი, აგრეთვე ისიც, თუ ვისზეა მისაწოდებელი ამბავი. ფაქტი, ინფორმაცია (ადრესატი) და რა სიტუაციაში, რა ვითარებაში ხდება ეს გადაცემა.

ამიტომ სტილის თვალსაზრისით მეტყველებაში სუბიექტივიზმი მეტ-ნაკლებად გამოვლინებას პოულობს ხოლმე. მაგრამ ამასთანავე აუცილებელია ობიექტური მოთხოვნების ზუსტად დაცვა. საყოველთაოდ მიღებული და პრაქტიკაში დანერგილი გრამატიკული კანონების, ფორმების ყველგან და ყველას მიერ ერთნაირად გამოყენების გარეშე ორთოგრაფიის, პუნქტუაციისა და ორთოეპიის წესების დაუცველად აზრთა გაცვლა, ნააზრევის სწორად, ზუსტად გადმოცემა და გაგება შეუძლებელია. ენა სისტემაა, ერთიანი და მთლიანია, სოციალური მოვლენაა, იგი შექმნილია საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობისათვის, აზრთა ურთიერთგაგებისათვის, მისი სტრუქტურის ყოველი ელემენტი კოლექტივის, ხალხის კუთვნილებაა. ენა ყოველთვის იყო, არის და იქნება სოციალური, სოციალურობა იყო მისი დასაბამის წყარო და საფუძველი. „ე. ი. ენა განკუთვნილი მარტოოდენ ინდივიდისათვის, ფაქტობრივ შეუძლებელი რამაა: ყოველი ენა მომსახურეობას უწევს ადამიანთა ჯგუფს, რაღაც კოლექტივს".[1] და თუ მთქმელი, დამწერი ენის კანონებს, ნორმებს, მოთხოვნებს არ იცავს, მისი მეტყველება გაუგებარი დარჩება და ვერ შეასრულებს თავის საზოგადოებრივ ფუნქციას, კომუნიკაციის დანიშნულებას. ეს სავსებით ბუნებრივია. ენის კანონები, ნორმები, წესები დეტერმინაციას უკეთებს, განსაზღვრავს მეტყველების აქტს. შეგნებულად, განზრახ მისგან გადახვევის სურვილი ჭკუათმყოფელ ადამიანს თავში არასოდეს მოუვა. დაკანონებული ნორმებისადმი სუბიექტური მიდგომა, საკუთარი თვალსაზრისით ხელმძღვანელობა შეუწყნარებელია. მართალია, ობიექტური ვითარება (ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენები, საგნები) ყველასათვის ერთნაირია, მაგრამ ენობრივ შესაძლებლობათა შერჩევასა და გამოყენებაში ერთგვარი თავისებურება მაინც იჩენს თავს, რამდენადაც ცალკეული პიროვნება, სუბიექტი საგნებსა და მოვლენებს შეფასებას აძლევს. მათდამი სხვადასხვა დამოკიდებულებას აღვენს (ნეიტრალურს, დადებითს ან უარყოფითს). როგორც აღვნიშნეთ, აზრი, მსჯელობა დამოკიდებულია ადამიანთა ინტერესებზე, მათს განათლებაზე, კონკრეტულ მოთხოვნილებებზე, მისწრაფებებსა და სურვილებზე. არ შეიძლება მეტყველება რამდენადმე არ იყოს სუბიექტური, თავისებური. ამრიგად, ენას შეუძლია ფაქტების ზუსტად, ობიექტურად და სწორად გადმოცემასთან ერთად ამ ფაქტებისადმი სუბიექტის სიმპათია და ანტიპათიაც ასა-

---

1. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენაძიეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, 1945, გვ. 139.

ხოს, გამოხატოს. მართალია, სუბიექტი თავისი შეხედულებისა და მოთხოვნის მიხედვით არჩევს სტილისტიკური ელფერის მქონე სიტყვებსა და გამოთქმებს, მაგრამ იგი ამით არ ქმნის რაიმე ახალს, არ არღვევს მოცემული ენის ნორმებს, არ სცილდება მის კანონებს, ტრადიციით დაკანონებულ წესებს. ეს მას არ სჭირდება. ენას სტილისტურად ნეიტრალურ სიტყვებთან (აქ შედის ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები: მთა, ბარი, თავი, სახელი, კარგი, სიხარული, სოფელი და ა. შ.) ერთად საკმაოდ მოეპოვება სტილისტური ელფერის მქონე ლექსიკაც, რაც ფართო არჩევანის საშუალებას იძლევა. „მეტყველების სხვადასხვა სტილი ურთიერთმიმართებაში იმყოფება ნეიტრალურ სტილთან. ერთმანეთს უპირისპირდება ნეიტრალური „ჭამა“, მაღალი — მ ი რ თ მ ე ვ ა, დაბალი — ხ ე თ ქ ვ ა. შ ე ს ა ნ ს ვ ლ ა“ (ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, გ. ახვლედიანის რედაქციის 1972, გვ. 169).

როცა სტილზეა ლაპარაკი, არ შეიძლება მასწავლებლის მეტყველებასაც არ შევეხოთ. როგორც წესი, მასწავლებლის მეტყველება სტილისტურად უნდა იყოს გამართული, მისი თხრობა თუ საუბარი უნდა იყოს ცოცხალი, სურათოვანი, ემოციური, რათა გავლენა მოახდინოს მოსწავლეთა გრძნობებზე. გამოიწვიოს მათში ემოცია, განცდები. მაგრამ გაკვეთილზე მაინც უნდა ჭარბობდეს რაციონალური მომენტი (ანალიზი, სინთეზი, არგუმენტაცია, ლოგიკურობა და სხვ.). ემოციებით გატაცებას შეუძლია გადმოსაცემი მასალის შინაარსისადმი მოსწავლეთა ყურადღების შენელება გამოიწვიოს. აქედან დასკვნა: საჭიროა ემოციური და რაციონალური ფაქტორების სწორად შეხამება.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს სკოლებში მეტყველების სტილზე მუშაობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაყენებული. როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, მოსწავლეთა მეტყველებაში ძირითადად შეინიშნება შემდეგი სახის სტილისტური შეცდომები: სიტყვათა გამოყენება არაზუსტი მნიშვნელობით, ცალკეულ სიტყვათა თუ წინადადებათა უმართებულო განმეორებანი (უმთავრესად ზეპირ მეტყველებაში), ზედმეტი სიტყვები და გამოთქმები, ერთგვარდაბოლოებიანი სიტყვების ერთიმეორის მიყოლებით ხმარება, უხეიროდ შერჩეული შედარების, მეტაფორის გამოყენება, წინადადებაში სიტყვათა რიგის დარღვევა, თანდებულთა არასწორად ხმარება, ჩართული სიტყვების უადგილოდ. ზედმეტად ხმარება, ბარბარიზმების. დიალექტიზმების, გაზეპირებული სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენება, ე. წ. პარაზიტი სიტყვების ხმარება, სასვენი ნიშნების გამოტოვება ან არასწორად დასმა, ირიბი ნათქვამის არასწორად

გაფორმება და სხვ. ამგვარ შეცდომებს ძირითადად განაპირობებს გადმოსაცემი შინაარსის სუსტად ცოდნა, ლექსიკური მარაგის სიღარიბე, გრამატიკის ცოდნის დაბალი დონე, სტილისტიკის სწავლების სუსტად დაყენება და სხვ.

მართალია, ზეპირი და წერითი მეტყველება ერთი ფუნქციის — კომუნიკაციის ფუნქციის მატარებელია, ორივე ვალდებულია დაიცვას ენის უნიფიცირებული ნორმები, გავრცელებული კანონები და წესები, მაგრამ მათ შორის მაინც საგრძნობი განსხვავებაც არსებობს. სტილისტიკური თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის, რომ ზეპირი მეტყველების პროცესში ადამიანი დროის მხრივ მეტად შეზღუდულია, მოფიქრებისათვის, სიტყვათა შერჩევისათვის მას გაცილებით ნაკლები წუთები რჩება, ვიდრე იმავე მასალის წერილობით გადმოცემის შემთხვევაში. ამჟამად მოქმედი პროგრამით სტილზე მუშაობა იწყება თვით მოსამზადებელი კლასიდან და გრძელდება X კლასის ჩათვლით.

საჭიროა, სტილზე მუშაობას მიეცეს გეგმიანი, სისტემატური ხასიათი. კამპანიურობა, შემთხვევიდან შემთხვევამდე მუშაობა, როგორც ეს ზოგიერთ სკოლაში შეინიშნება, შეუწყნარებელია. გასათვალისწინებელია სიძნელეც. როგორც აღვნიშნეთ, სტილისტიკა რაიმე ზუსტად ჩამოყალიბებულ წესს ნაკლებად ექვემდებარება, როგორც ეს დამახასიათებელია ფონეტიკისათვის, მორფოლოგიისა და სინტაქსისათვის, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციისათვის.

სტილურ ნიუანსებში წვდომისა და ლექსიკური მრავალფეროვნების გასაცნობად მთავარი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ნაწარმოებთა ენობრივ ანალიზს. ეს გასაგებია. როგორც ცნობილია, მეცნიერულ-პოპულარულ ნაწარმოებთან შედარებით მხატვრული ნაწარმოები მდიდარია ლექსიკით, მხატვრული მეტყველების სახეებით, აქ მრავლად გვხვდება სინონიმები, ანტონიმები, ფრაზეოლოგიზმები, არქაიზმები, დიალექტიზმები (ადგილობრივი კოლორიტის დასაცავად), მხატვრული სიტყვა-თქმანი, მეტაფორები, ეპითეტები, შედარებები და სხვ. ცხადია, ყველა ამათი გაცნობა, შესწავლა ერთ-ერთი მთავარი პირობაა სტილისტიკის საკითხების გასარკვევად. ემოციური შეფერილობის გარეშე, მშრალად მეტყველებასთან შედარებით სურათოვნად, ემოციურად აზრის გადმოცემის უპირატესობა ნათლად ჩანს შემდეგ მაგალითებში: მფრინავმა თავისი მანქანა ასაფრენი ზოლისაკენ წაიყვანა და რამდენიმე წუთში ცაში აფრინდა // მფრინავმა თავისი მანაქნა დაძრა, წინ გაიჭრა, გაირბინა მობეტონებული ზედაპირი, რამდენიმე წამში ფრთებით გაკვეთა ჰაერი და ელვის სისწრაფით აიჭრა ცაში. ირმები ბალახს ძოვდნენ

// ყელმოღერებული ირმები ხასხასა მობიბინე ბალახს შეექცეოდნენ. მთვარე ამოვიდა // თვალებბრიალა მთვარე ამოცურდა. მელია ვარიას მიეპარა, დაიჭირა და გაიქცა // ცბიერი მელია საცოდავ ვარიას მიეპარა და დაიჭირა, დაიჭირა და მოკურცხლა. ამ პარალელურ წინადადებებში შინაარსი, აზრი ერთნაირია, ლოგიკურად, გრამატიკულად ყველა სწორია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველ წინადადებაში აზრი უბრალოდ, მშრალად, ემოციური შეფერილობის გარეშე, ნეიტრალურად არის გადმოცემული, ვიდრე მეორე წყების წინადადებებში. ეს უკანასკნელნი უფრო მიმზიდველნი და შთამბეჭდავნი არიან, ბუნებრივია, აქტიურად მოქმედებენ მსმენელის თუ მკითხველის გონებასა და გრძობებზე.

სტილისათვის, თავისთავად იგულისხმება, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გრამატიკას, განსაკუთრებით — სინტაქსს. მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებების შესწავლა საშუალებას იძლევა სინტაქსური კონსტრუქციებიდან ამოვირჩიოთ წინადადების ის ტიპი, რომელიც შეესაბამება გადმოსაცემი აზრის ზუსტად, ნათლად, მრავალფეროვნად და მიმზიდველად გამოსახატავად.

აღსანიშნავია, რომ სტილისტიკას მჭიდრო კავშირი აქვს აგრეთვე ორთოგრაფიასა და პუნქტუაციასთანაც, რომელთა საფუძველსაც სწორედ გრამატიკა წარმოადგენს.

უნდა დავსძინოთ, რომ როგორც წერით, ისე ზეპირი მეტყველების სტილზე მუშაობა ერთდროულად, პარალელურად წარმოებს. ერთის მაღალ დონეზე დაყენება მეორეს უწყობს ხელს და პირიქით. ისიც არის აღსანიშნავი, რომ დღეს ზეპირად მეტყველებას უფრო მეტ შემთხვევაში მიმართავენ (ყრილობებზე, კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე, პლენუმებზე, თათბირებზე, იუბილეებზე, ზეიმებზე და სხვ.). ვიდრე ეს უწინ ხდებოდა.

ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ სტილისტური ვარჯიშობანი თითქმის უკლებლივ ყველა შემოქმედებითი ხასიათისაა და ამდენად რთულია. აქ არ ხერხდება სტანდარტებით, სქემებით ხელმძღვანელობა, და სადაც შემოქმედებაა, ძიებაა, იქ სიძნელე გარდუვალია (შემოქმედებას სიძნელე ყოველთვის ახლავს).

სასურველია სტილისტიკაზე არსებული წიგნებიდან პრაქტიკულ მეცადინეობაზე გაირჩეს: ვ. რამიშვილი, სტილისტიკის სწავლება და მეტყველების სტილზე მუშაობის საკითხები, 1966.

ვარჯიშობანი შერწყმული წინადადების სწავლებაში

1. გაარჩიეთ ლ. წულაძის წიგნი „შერწყმული წინადადების სწავლება სკოლაში“ (1963).

2. მოცემული არსებითი სახელები ერთგვარ ქვემდებარეებად გამოიყენეთ წინადადებაში: ანზორ, იაგო და სოსო; მე და შენ; ავთანდილ და კესო; ენგური და რიონი; ლუარსაბი და დარეჯანი; მელა და მამალი; ექიმმა და ექთანმა; ნუში, ატამი და ტყემალი; ვერც მოხუცმა და ვერც ახალგაზრდამ; კალმახი, წვერა და ღორჯო; შველი, ირემი და ჯიხვი; მთა და ბარი; რუსები, ქართველები, უკრაინელები, სომხები და სხვა ერის წარმომადგენლები; კაცი თუ ქალი; ბატი თუ იხვი.

3. მოცემული ზმნების შემასმენლად გამოიყენებით შეადგინეთ ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებები: წავიდნენ, ინახულეს. გაემგზავრებიან. გამოეკიდნენ. არიან, ცხოვრობენ, აყვავილდა. ცეკვავენ, დამწიფდა.

4. მოცემულ ერთგვარ შემასმენლებს შეურჩიეთ ქვემდებარე: ყურს უგდებდა, უკვირდა და იღიმებოდა. წამოიშალნენ. ცხენებს შეახტნენ და მოქუსლეს. ყვავილები მოკრიფა და გვირგვინი დაწნა. ნანადირევი მიჰქონდა და თან ღიღინებდა. ძაღლები აუშვეს და კარავში დაიძინეს.

5. მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინეთ ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადებები: წერს და კითხულობს; მოვიდა და მოიტანა; გაჰხედა და დაინახა; აცოცდა და შეამჩნია; ვინდ წადი, გინდ დარჩი; ან მოიტანს, ან დაკარგავს; შეისვენეს და წყალი დალიეს; გააჩერა და უსაყვედურა; კიდეც ჭრის, კიდეც კერავს; ხან ტიროდა, ხან იცინოდა; ან დაიმალებოდა, ან გამოჩნდებოდა; დაუმიზნა, მაგრამ არ ესროლა; შეუძლია, მაგრამ არ აკეთებს; მუშაობს, თუმცა... არ შესწევს; არც იყო და არც იქნება; კი არ გაკიცხა, არამედ მოუწონა; წამოხტა, მიესალმა და მიუპატიჟა.

6. ვინ და ვინ? რა და რა? რამ და რამ? ვის და ვის? რას და რას? — კითხვების საფუძველზე შეადგინეთ ერთგვარქვემდებარიანი წინადადებები.

7. მოცემულ წინადადებებში ფრჩხილებში ჩასმულ ქვემდებარეს მიეცით სათანადო ბრუნვის ფორმა: (მერცხალი) მოფრინდა, ბუდე შეაკეთა და შიგ კვერცხები დადო. მოფრინდა, ბუდე შეაკეთა და შიგ კვერცხები დადო (მერცხალი). (ატამი) კვირტი გამოიღო, გაშალა და თეთრად შეიმოსა. კვირტი გამოიღო. გაშალა და თეთრად შეიმოსა (ატამი). (მონადირე) დათვს წააწყდა, ესროლა და ძირს დასცა. დათვს წააწყდა. ესროლა და ძირს დასცა (მონადირე).

8. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ ერთგვარპირდაპირდამატებიანი წინადადებები: სიმღერას, ცეკვასა და დაკვ-

რას; არა მარტო ონისე, არამედ ემზარიც; იამზესა და ქეთევანს; ცხვარი, ძროხა და ღორი; მოხუციც და ახალგაზრდაც; ყველი, კარაქი, რძე და არაყანი; პამდორს, ვაშლს, კომშს და მსხალს; ნურც მეზობელს, ნურც მეგობრებს; წერილი და სურათი; ნამცხვარსა და შოკოლადს; შენ და მას; ფანქარს, სახაზავს, რვეულსა და საშლელს; პალტო და კოსტიუმი; ზღვა და ხმელეთი; სიმინდსა და ლობიოს; კაკოსა და თენგიზს; ხან ბატს, ხან წიწილს, ხან კიდევ კრუხს; სითბო და სიცივე; ხვნასა და თესვას.

8. ვინ და ვინ? ვის და ვის? რა და რა? რას და რას? კითხვების საფუძველზე შეადგინეთ ერთგვარპირდაპირდამატებიანი შერწყმული წინადადებები.

9. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ ერთგვარირიბდამატებიანი წინადადებები: წვიმასა და თოვლს; ზღვასა და ხმელეთს; ცხვარსა და თხებს; ჩონგურს, დოლს და ზურნას; ქუჩებსა და ეზოებს; სიცივესა და შიმშილს; ჩვენ და თქვენ; კრუხსა და წიწილებს; დარსა და ავდარს; სტუმარსა და მასპინძელს; მტერსა და მოყვარეს; შენ და დავითს.

10. ვის და ვის? რას და რას? კითხვების საფუძველზე შეადგინეთ ერთგვარირიბდამატებიანი შერწყმული წინადადებები.

11. მოცემული ზმნების შემასმენლად გამოყენებით შეადგინეთ ერთგვარპირდაპირდამატებიანი შერწყმული წინადადებები: კერავს, შეიტანა, შეაგროვეს, ყიდის, ასწავლის, არიგებს, გადაიკითხა, მიგვიპატიჟა, შეაწყვეტინე, გაიხსენა.

12. მოცემული ზმნების შემასმენლად გამოყენებით შეადგინეთ ერთგვარირიბდამატებიანი წინადადებები: ეხვევა, უზის, მოგვეგება, გაეცნო, ემსახურება; გადაეღობა, მოეფარა, დაუბრუნდა, მიართვეს, პირდება, ასუფთავებინებს.

13. მოცემული არსებითი სახელების გამოყენებით შეადგინეთ ერთგვარუბრალოდამატებიანი წინადადებები: თოვლითა და ყინულით; თეიმურაზზე, ანთიმოზზე, ლევანსა და ლონგინოზზე; ქიშმიშში, კომშში, მსხალსა და ქლიავში; გაჭირვებასა და საგონებელში; სიკოხტავითა და სისუფთავით; ეედროებით, კოკებითა და ტაშტებით; დირექტორად და მასწავლებლად; ამხანაგებისა და მეგობრებისაგან; ძვალსა და რბილში; ნაჯახით, წალდითა და ჯოხით; სევდასა და მწუხარებაში; გიტარისა და ჩონგურის დაკვრა...

14. ვის და ვისზე? რას და რაზე? ვის და ვისგან? რისა და რისგან? რას და რაში? კითხვების საფუძველზე შეადგინეთ ერთგვარუბრალოდამატებიანი შერწყმული წინადადებები.

15. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ ერთგვარ-

გარემოებიანი შერწყმული წინადადებები: სოფლებიდან და ქალაქებიდან: მარჯვნივ და მარცხნივ; შინ და გარეთ; ზაფხულსა და შემოდგომაზე; ხან დილასა, ხან საღამოს; აპრილსა თუ მაისში; შემოდგომით და ზამთრობით; კულაშში, გოჩაჯიხაიშში, სამტრედიასა და წულუკიძეში; დღისითა და ღამით, პირნათლად და აკურატულად; კვნესით და ოხვრით; ხვეწნითა და მუდარით; წერილობით ან ზეპირად; უსაქმურობისა და უმოქმედობის გამო; დარდისა და ჯავრისაგან; დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის მიზეზით; გუშინ და დღეს.

16. სად და სად? საიდან და სადამდე? საიდან და საითკენ? როდის და როდის? რა ხნიდან რა ხნამდე? როგორ და როგორ? — კითხვების საფუძველზე შეადგინეთ ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადებები.

17. მოცემული სახელების გამოყენებით შეადგინეთ ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადებები: მარდი, ცქვიტი, ცოცხალი; თბილი და მშვიდი; უხვი, ბარაქიანი; მოსიყვარულე, პატარა, ლამაზი და სუნიანი; თამარისა და სალომეს; პირდაპირი, მართალი, უშიშარი; ბეჯითი, დაუღალავი, და გამრჯე; ყორნის, არწივის, ყვავისა და ჯორის; წიფლისა და მუხის.

18. „რამდენიმე ერთგვარგანსაზღვრებიანი წინადადების სწავლებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშოები“ გააანალიზეთ.

19. როგორი და როგორი? რომელი და რომელი? ვის და ვისი? რის და რისი? — კითხვების საფუძველზე შეადგინეთ ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადებები.

20. მოცემული განმაზოგადებელი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ შერწყმული წინადადებები: (ყველამ:). (ყველანი:), (— ყველაფერი). (— ყველანი), (მტაცებელი ფრინველები:). (მტაცებელი ცხოველები), (ამხანაგები:). (ხუთნი:), (მეზობლებმა:), (სამნივე:), (— ოთხივე). (აქ მოზამთრე ფრინველები:). (სხვადასხვა ნადირი:), (წელიწადის დროებია:), (ძმები:), (—ჩემი მეგობრებია), (ჩვენი მდინარეები:), (საქართველოს დიდი ქალაქები:).

21. მასწავლებლის შემოსვლისთანავე კლასში სრული სიწყნარე დამყარდა. დაღლილმა მგზავრმა ცოტა ხნით შეისვენა. ზარის დარეკვისთანავე მოსწავლეები ეზოში გაცვივდნენ. მოფრენისთანავე მერცხლებმა მხიარულება მოიტანეს. ტურისტებმა ქართლ-კახეთი მოიარეს. ყვავ-ყორნები დათვის ლეშს მიესივნენ. თოვლით დაიფარა მთა-ბარი. შეშინებულმა ბავშვმა ტირილი მორთო. თედომ თავის ნაკვეთში მოკრეფილი ყურძენი დამზადებას ჩააბარა. გაბრაზე-

ბულმა ძაღლმა სტუმარს უკბინა — მარტივი წინადადებები შერწყმულად გადააკეთეთ.

22. შერწყმული წინადადებები მარტივ წინადადებებად გადააკეთეთ: ილიკო გაბრაზდა და კრება დატოვა. ბათლომემ რკინა გაახურა და ჭედვა დაუწყო. ნიკომ ბელი დაიჭირა და ზოოპარკს აჩუქა. მასწავლებელმა რვეულები გაასწორა და მოსწავლეებს დაუბრუნა. თოვლი მოვიდა და ბავშვები გაახარა (ნიმუშისათვის: სონამ ფარანი აანთო და სარდაფში ჩავიდა — სონა ანთებული ფარნით სარდაფში ჩავიდა).

23. და, თუ, ც...ც, კიდეც... კიდეც — მაჯგუფებელი კავშირების გამოყენებით შეადგინეთ შერწყმული წინადადებები.

24. როგორც... ისე, არა მარტო... არამედ, არა თუ... არამედ კიდეც, არა თუ... კიდეც — გამოიყენეთ მაჯგუფებელი კავშირების ნნიშვნელობით წინადადებებში.

25. ხან... ხან (ხან... ხანაც, ხან... ხან... კი, ხან... ხან კიდევ), ან (ან... ან, ან... ან კიდევ), გინდ (გინდა), თუნდ (თუნდა) — მაცალკევებელი კავშირების გამოყენებით შეადგინეთ შერწყმული წინადადებები.

26. მაგრამ, ოღონდ, ხოლო, თუმცა, თორემ, არა... არამედ — მაპირისპირებელი კავშირების გამოყენებით შეადგინეთ შერწყმული წინადადებები.

27. შეარჩიეთ ტექსტი დავალებისათვის: ერთმანეთში შერეულად მოცემული შერწყმული და მარტივი წინადადებების დალაგება. წინადადებათა ერთ-ერთი ვარიანტი: ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო. ოქროს ტარი ჰქონდაო. მზე ამოვიდა, არემარე გაანათა. ამოსვლისთანავე მზემ არემარე გაანათა. მეზღვაურები არც ცუდ ამინდს შეეშინდნენ და არც ზღვის ღელვას. ქარმა დაუქროლა, კაკალი ჩამოყარა. სიმართლე ბრძენს ჰკითხეო. მშვენიერი ამინდი, კარგი პირობები შრომის შედეგს ახვავებდა. კვიცი გვარზე ხტისო. უძაღლო ქვეყანაში კატებს აჩხავლებდნენო. არავინ, არავინ დააკლდება შეგებათობას. მაძლევ თუ მართმევ. დომენტი დარჩა თუ წამოვიდა. შინ შემობრძანდით. შემობრძანდით! რა ვუთხრა, რა შევუთვალო? ვინ მოვიდა, ვინ გააღო კარი? ლეო წლისა და სამი თვისაა. ყველაფერი, ყველაფერი კარგად ჩაივლის. სერგო ხელს გიშლის თუ გეხმარება. დიდი რუსი მეცნიერი ლომონოსოვი იყო ისტორიკოსი, რიტორი, მექანისოკი, ქიმიკოსი, მინერალოგი, ენათმეცნიერი, მხატვარი და პოეტი. ჭეშმარიტ ღირსებას ყვირილი არ უნდა (ილია). ან რად გატეხე, ან რად გადააგდე? რას აკეთებ? საიდან მოდიხარ? ქიმიური ელემენტების სამყარო მრავალფეროვანია. ბალახებმა და

ფოთლებმა სიმწრის ცრემლი ღვარეს. საწყობში ჩექმებიც. ფეხსაცმელებიც. კალოშებიც ბლომად აქვთ. სიმართლე მუდამ თავისას გაიტანს (აკაკი). ბავშვი ხან ტირის, ხან იცინის. ყველგან მადლობას სწირავენ მარჯვენას კაი ყმისასა (ვაჟა). ბავშვმა ლამაზი წერა არ იცოდა და რვეულის ფურცელს აბრალებდაო. ვიწრო, დაკლაკნილი ბილიკი მიდიოდა ტყეში. ბევრი ზღვა გადმოიარა, ბევრი მანძილი დაფარა. ძალით მოსული სტუმარი ჭირზედაც უარესია(აკაკი). ფერდობზე მორბის, მორაკრაკებს პატარა ნაკადული. ბევრად სჯობს სიკვდილი მშობელი დედის წყენასა (ვაჟა). სხვისი გამკითხველი საკუთარ შეცდომასაც უნდა ამჩნევდეს. ჭკვიანურ სამყაროში ჭკუას მოაგროვებ. სულელურში კი დაფანტავ. ჩვენს მაღაზიაში ნაზად მორთული ხალიანი შავი ფერის იაფფასიანი თხელი საზაფხულო ქსოვილები იყიდება.

28. ხაზგასმულ სიტყვებს შეურჩიეთ სინონიმები და მარტივი წინადადებები გადააკეთეთ შერწყმულ წინადადებებად: ქართველი ხალხი ვ ა ჟ კ ა ც უ რ ა დ ხედებოდა მომხდურ მტერს. ჰ ი ტ ლ ე რ ე ლ ე ბ ი ყველგან ვ ე ლ უ რ ო ბ ა ს იჩენდნენ. სეტყვამ დიდი ზ ა რ ა ლ ი მოუტანა მეენახეობას. ჯალათთან ხ ვ ე წ ნ ა არ გადის. თამაზი მსაჯს შ ე ე დ ა ვ ა. ს ი ზ ა რ მ ა ც ე ს მათხოვრობა მოსდევს. მონადირეებმა მგლები ერთიანად დ ა ხ ო ც ე ს. დაუპატიჟებელი სტუმარი წ ა ვ ი დ ა. ბავშვი მეზობელს გ ა მ ო ე კ ი დ ა. ავადმყოფი ფ ე ხ ზ ე დ ა დ გ ა. ძაღლი ა ყ ე ფ დ ა. მტერმა გუდა-ნაბადი აიკრა. მურმანი ა რ ე ულ ა დ ლაპარაკობდა. თამარამ მ ო უ ფ ი ქ რ ე ბ ე ლ ი ნაბიჯი გადადგა. მოხუცი ნ ე ლ ა მიდიოდა. მზეერავი მტერს ხელიდან დ ა უ ს ხ ლ ტ დ ა (შესარჩევი სიტყვები: რთველი, აუჩქარებლად, მედგრად, უაზრო, ზიანი, საწყალი, საცოდავი, სევდა, დაბნეულად, წაეთრა, გაედევნა, ფაშისტები, მწუხარება, აურაცხელმა, მოქუსლა, მხეცობას, ამოყლიტეს, შემუსრეს, ნაღველი, გამოკეთდა, აღრინდა, უქნარობას, უამრავმა, გაიქცა, თხოვნა, შეეკამათა, გაექცა, მუდარა, ვედრება, გამოკეთდა).

29. მოცემული შერწყმული წინადადებები მარტივად გადააკეთეთ: პაპანაქება სიცხე იყო და კამეჩები მდინარეში ჩაწვნენ. ზარი დაირეკა. გაკვეთილი დაიწყო. საათის რვამ დაჰკრა, ფაბრიკაში მუშაობა გაჩაღდა. შუადამემ მოაღწია, ქუჩებში მოძრაობა შენელდა, ცამ დაიჭექა და სეტყვაც წამოვიდა. სიკო ხანში შევიდა, მაგრამ მუშაობას თავს მაინც არ ანებებდა. ქათამი ერთ კვერცხს დადებს და ას მეზობელს შეატყობინებსო. დათვს ხბო შეეჭამა და გაქცეულიყო. მწყერმა ბალახების ძირში ბუდე გაიკეთა და კვერცხები დადო. ელისაბედი დაწვა და დაიძინა. ღორი გაიღა და ტალახში

ჩაწვა. დესანტმა მდინარე გადალახა და პლაცდარმი დაიკავა.

30. გამაფრთხილებელი კარნახით წერა პუნქტუაციაში:

მე ვადიდებ სასვენ ნიშნებს,
ვიცი მათი ფასი,
წერტილიდან წერტილამდე
ისევ მიმაქვს აზრი.
    სასვენ ნიშნებს ახლა ყველა
    ყურადღებას აქცევს,
    ზოგი კარგად, ზოგი ცუდად,
    ზოგი სულაც არ წერს.
მე კი ისევ ერთგული ვარ
ძველი მონაპოვრის,
სიტყვებს ვეძებ, რომ ჩავწერო
სასვენ ნიშნებს შორის.

(ვახტანგ ჯავახაძე)

31. მოცემულ ტექსტში გაასწორეთ შეცდომები: კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა: ბევრი ბოსტნეული, ვაშლი, ატამი, ხილეული, კომბოსტო. კიტრი, პამიდორი. დღეები, კვირეები შეუმჩნევლად გაფრინდნენ. მატარებელმა გაჩერდა და დაიყვირა. ნაფოტები და ფიჩხები კარავში ბლომად ეყარნენ. ჯარმა მოვარდა და მოსახლეობას ზიანი მიაყენა. დედამ გარეცხა მთელი ტურველი: თეფშები, ჩანგლები, კოვზები, ჭიქები. მარიამმა აღგა. ჩაიცვა, ისაუზმა და ჩაის საკრეფად წავიდა. მთვარე ამოვიდა და დედამიწას ანათებს. წვიმამ და თოვლ-ტყაპმა გზები აატალახეს. წიგნები, რეეულები, ფანქრები მაღაზიაში იყიდებიან. ნოდარი და გაიოზი მდინარის პირას დაჯდა. იონა არ მუშაობს არც კოლექტივში, არც შინ. სკოლის ეზოში შეიკრიბნენ: მოსწავლეები, ბავშვები, მასწავლებლები, კომკავშირლები, პიონერები, მამალმა იყივლა და ბავშვები გამოაღვიძა. დათვმა ბუნაგიდან გამოძვრა და არხეინად გაიარა, მაგრამ მონადირეს მაინც ვერ გაეპარა. მაღაზიაში იყიდება ყველი, სმეტანა. პესოკი. ხაჭო, კალბასი. მოროჟნი, პივო და ბულკი. არქეოლოგებმა სამარხებში ადამიანთა ჩონჩხებთან ერთად საომარი იარაღიც აღმოაჩინეს. ჭურჭლეულის ნაშთებიც აღმოაჩინეს, ცხენის ჩონჩხიც აღმოაჩინეს. საუბარი იყო შინაურზე და გარეულ ცხოველებზე. თბილისსა და სოხუმში ბევრი უმაღლესი სასწავლებელია. ამხანაგებში და მეგობრებში ესმა კარგი აეტორიტეტით სარგებლობს. მწყემსებმა, მეცხვარეებმა და მეღორეებმა დიდი შრომა გასწიეს ნამატთა შენარჩუნებისათვის. მურყანი, ანუ თხმელა, სწრა-

ფად იზრდება. მიყიდე ან კალოში, ანუ ფეხსაცმელი. ან სიღნაღში წავიდეთ, გინდ თელავში. ქვევრი, ან ჭური, ბლომად მოიტანეს. ქუჩები და ეზოები ხალხს ვეღარ იტევდნენ.

32. სასვენი ნიშნების ცოდნის შესამოწმებლად საკონტროლო კარნახის ჩატარება. საჭირო ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი: გიჟს ნურც ჰკითხავ. ნურც დაუჯერებო. გინდ გახიე, გინდ გაფხრიწე! არც აცვა, არც აცხელა. არც გავიქცევი, არც წავიქცევი. ნანგრევებიდან. ფერფლიდან ადგა ვოლგოგრადი. მაჩვი წყნარად, ფრთხილად მიიპარებოდა სიმინდის ყანისკენ. ზეიმზე არა მარტო მასპინძლები, სტუმრებიც ბევრნი იყვნენ. ლამარა კიდეც ცეკვავს, კიდეც მღერის. იუზა თან წერს, თან კითხულობს. არწივი ხან კლდის წვეროზე დაჯდებოდა, ხან თავის მსხვერპლს დააფრინდებოდა ხოლმე. ბავშვი ხან შინ დარბის, ხან ეზოში გავარდება. ჩვენს ტყეში ბევრი მტაცებელი ცხოველი ბინადრობს: მგელი, დათვი, მელა, კვერნა, ფოცხვერი და გარეული კატა. ჩვენი კოლმეურნეობა მისდევს მეცენახეობას, მესაქონლეობას, მებოსტნეობას და მეხილეობას. არჩილი სუფრასთან დაჯდა, მაგრამ არაფერი უჭამია. შეხედე. ოღონდ ახლა ხმა არ ამოიღო. საშა თემის წერას შეუდგა. მაგრამ ვერ დაამთავრა. არც ნიკი, არც ცოდნა. არც გამოცდილება აკლდა ხარიტონს. მარჯვნივ და მარცხნივ მტრის ნაწილი იყო განლაგებული. ბავშვი ხან კნუტებს დასდევდა; ხან წიწილებს. ტურისტები დღეს თბილისში დარჩებიან. ხოლო ხვალ მცხეთას ესტუმრებიან. ამხანაგს ან ხვალ ვეწვევი. ან ზეგ მაინც ვინახულებ. ერთი დღით ადრე დათესავ. ერთი კვირით ადრე მოიმკიო. გინდაც ერთი თვე იჯდე ზღვაში, თევზად არ გადაიქცევი. მეცნიერებამ ქიმიურ რეაქციებს ახადა საიდუმლოების საფარველი. ახსნა ისინი და მათი მართვაც შეგვასწავლა. თავის თავზე იზრუნე, მაგრამ ამხანაგიც არ დაივიწყო. არ შეშინდე, წინ იარე! მატერია და მისი ცვლილებები განუყოფელ კავშირშია სივრცესა და დროსთან. ანდრო ტყეს მიადგა. გაჰხედა თვალწარმტაც მიდამოებს, ერთხანს ათვალიერა, მერე ნელ-ნელა შევიდა ტყის სოლრმეში, აკვირდებოდა ხეთა ძირებს, სოკოებს ეძებდა. მთელი დღე მძლავრობდა ქარი. ბრაზობდა, ამტვრევდა ხის ტოტებს, გაშმაგებით ეხეთქებოდა სახლებს. მიწაზე აწვენდა ღობეებს.

33. გაარჩიეთ მოცემული წინადადებები სინტაქსურ-პუნქტუაციურად: მოხუცი სიზმარში ხედავს საოცნებო მთებს, მოჭარგულ ველებს, მოჩუხჩუხე წყაროს. ყირაფი არასოდეს წვება, მთელი ცხოვრება — დღისით და ღამით ფეხზე დგას. მამლის ყივილით და ძაღლის ყეფით ქვეყანა არ აშენდებაო.

34. შერწყმული წინადადების სწავლებასთან დაკავშირებით შე-

მოქმედებითი ხასიათის დავალების შესრულების ზოგიერთი ნიმუშები, რომელიც აღებულია სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა ნაწერებიდან:

ა) „ტყე“. ადამიანისათვის ტყის მნიშვნელობა მეტად დიდია, განუზომელია. იგი მას აძლევს სამშენებლო და სამრეწველო მასალას, შეშას, ხილს, ამრავლებს ფრინველებსა და ნადირს, იძლევა ნაყოფს. ავბედობის დროს ტყეს ეშურებოდნენ ადამიანები და იმალებოდნენ. პარტია და მთავრობა ტყეს უძვირფასეს განძად თვლის და დიდი მზრუნველობით ეკიდება მის მოვლა-პატრონობას.

ტყე ასაზრდოებს მდინარეებსა და აწესრიგებს კლიმატს. ტყე თავისი სილამაზით იზიდავს ადამიანს და სიამოვნებას გვრის მას. ტყე დამამშვიდებლად მოქმედებს ადამიანის ნერვულ სისტემაზე, ასვენებს მის გონებას. დღეს დიდი მუშაობა მიმდინარეობს არსებული ტყეების შენარჩუნებისა, აღდგენისა და გაფართოების საქმეში. ჩვენი ვალია ძალა და ენერგია არ დავიშუროთ და წელილი შევიტანოთ ქუჩების, პარკებისა და ეზოების გამწვანებაში.

ბ) „ტყე“. ტყეები, ბაღ-პარკები ადამიანის უდიდესი გამაჯანსაღებელი საშუალებაა. მცენარეები, კერძოდ ხეები ფილტრავენ, წმენდენ გამტვერიანებულ ჰაერს. ხე, ბუჩქი, ბალახი, ყვავილი მოსახლეობის ჯანსაღი და ზომიერი ჰავის, სისუფთავის, სიგრილის და საერთოდ სიკეთის ულეველი წყაროა.

გ) „ხობისწყალი“. ხობისწყალი ჩქარმავალი, ცივი და ძალიან სუფთა მდინარეა. ზაფხულობით მასში ბანაობა სიამოვნებას და სიხარულს გვრის ადამიანს. ბავშვები ხტებიან მორევში და თევზივით დასრიალებენ მასში. წვიმიან ამინდში იგი ადიდდება და აბობოქრდება. მაშინ ბევრი ხე და ფიჩხი მოაქვს ხობისწყალს. ადგილობრივი მცხოვრებლები ხეებს იჭერენ და ზამთრისათვის შეშას იმარაგებენ.

ხობისწყალში კალმახი და სხვა თევზი ბლომად იცის. კალმახი ლამაზი და გემრიელი თევზია. თევზის დაჭერა მხოლოდ ანკესით არის ნებადართული. მოწამლვა და დინამიტის გამოყენება სასტიკად აკრძალულია.

დ) „ჩვენი ძაღლი“. ჩვენი ძაღლი ფერითა და სიდიდით მგელსა გავს. იგი ჭკვიანი და კეთილია. ბავშვებსა და ქალებს არ უყეფს. მას ძალიან უყვარს თამაში. სირბილი. მიუხედავად იმისა, რომ დიდია, შურდულივით დარბის და დახტის. ჩვენი ძაღლი ერთგული და მეტად ფრთხილია. ყოველთვის სახლის წინ წვება და გვყარაულობს.

ე) „მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა“. რამდენი ფარული, თვალით უხილავი რამეებია ამ სიტყვაში. ოცნებაში გესახება დათოვლილი მთები, აზუ-

რმუჭტებული ველები, ხეები, ოდნავ შესამჩნევი ტყის ბილიკები, ისტორიული ძეგლები — წარსულის ეს უტყვი მოწმენი.

ე) „მაისი". მოდის, მოჰქრის ვარდ-ყვავილების დღესასწაული მაისი და თან მოაქვს შესანიშნავი ფერები, სილამაზე, სიხარული, მშვიდობა, მეგობრობა და სიყვარული. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვარდი, ანუ ყვავილთა სამყაროს დედოფალი. იგი დასაბამიდან სიხარულის, სიყვარულის, თაყვანისცემის და სილამაზის ნიშნად არის აღიარებული. თეთრი ვარდი ბავშვური სიწმინდისა და სილამაზის სინონიმია. ვარდით ამშვენებენ ეზოებს, პარკებს, გზებს, ქუჩებს, სასაფლაოს და სხვ.

35. დაამზადეთ თვალსაჩინოება თემაზე: „შერწყმული წინადადება".

36. გამოხატეთ მოცემული შერწყმული წინადადებები სქემის საშუალებით: აპრილის პირველი დღეებიდანვე აყვავდა ენძელა, ყოჩივარდა და ია. ყვავილებით შეიმოსა ნუში, ტყემალი ატამი და ჭერამი.

ვარჯიშობანი განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სწავლებაში

1. წერტილების ადგილას ჩაუმატეთ განკერძოებული განსაზღვრება: მელა... საქათმეში შემძვრალიყო. ღორი... არ ისვენებდა. ნუში... მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. მონადირე... ბუჩქებში მიმალულიყო. მოხუცმა... ბველებური სიმღერა წამოიწყო. მართა და ანიკო... ყვირილსაც ვერ ახერხებდნენ. ვენახს... ბლომად მოუბამს მტევნები. ბეღურები... ეკალ-ბარდებში მიიმალნენ. ბავშვები... აქეთ-იქით გარბოდნენ. დიმიტრი... მტრის ტანკს მიეპარა. ქორი... საბსნერპლოს უთვალთვალებდა. ჯარისკაცი... ამხანაგებმა საველე ჰოსპიტალში მიიყვანეს. გზა... ჯარისკაცებმა მალე გაწმინდეს. არჩილი... მტერს მარტოდ შეება. მებადური... შინისკენ გახარებული მიბრუნდა. ტყეს... მეჩხერიანობა დაეტყო. ზუგდიდში... მდიდარი ისტორიული მუზეუმი არსებობს. მგელი... ჩვენში ახლა ცოტაა. ტრაქტორისტს... ტრაქტორში ჩასძინებოდა. ჯიხვები... შურდულივით გარბოდნენ ცრცაბო კლდეზე. მთები... სოფელს ჯარისგან იცავდა. მწყემსი... ცხვრებს წინ მიუძღოდა (შესარჩევი სიტყვები: თევზის ჭერით კმაყოფილი, ნაბადწამოსხმული, ხეებით მდიდარს, ცისკენ ატყორცნილი, სამეგრელოს ერთ-ერთ მთავარ ქალაქს, დაღლილ-დაქანცულს, ცხვრის დაუნდობელი მტერი, მგლების ღმუილით შეშინებულნი, ყუმბარისაგან წაქცეული ხეებით ჩახერგილი, ცბიერე-

ბით ცნობილი, დაჭრილი და გონებადაკარგული, ხის წვეროზე შემომჯდარი, გრანატებით შეიარაღებული, თეთრად შემოსილი, სულგანაბული, სიხარულით აღტაცებულმა, შიშისგან აკანკალებულნი, გამრჯე ხელით კარგად მოვლილს, ქორისაგან დამფრთხალნი).

2. კოხტად და სუფთად ჩაცმული, ავი და ვერაგი, შიშისგან ფერწასული, ყავარჯენზე დაყრდნობილი, სიბრაზისგან გაწითლებული, თოვლით დაფარული, თავზარდაცემული, ენით აუწერელი, დამშეულნი, მუდამ მხიარულ გუნებაზე მყოფი, ფრონტზე ნამყოფი. იმედდაკარგული, საბჭოთა არმიის რიგებიდან მოსულს, საზეიმოდ მორთულს. გაჭირვებით გაზრდილს, უმწეოდ დარჩენილნი, ბევრი ჯაფა და სიმწარე გამოვლილს, იარაღმომარჯვებულნი, გონებამახვილობით განთქმულს, ხანშიშესული და წელში მოხრილი, მიუვალი, ცალბარდიანი, მცდარ გზაზე მდგარს — სიტყვები გამოიყენეთ განკერძოებულ განსაზღვრებად წინადადებაში.

3. წერტილების ადგილას ჩაუმატეთ განკერძოებული გარემოება. ერთ ადგილას... შეისვენეს ექსკურსანტებმა. სოფლის ბოლოს... დოღი გამართეს. გუშინ... ჭიდაობა გაიმართა. უდაბურ ტყეში... დათვს ბუნაგი ჰქონდა. სოფელში... მტრის მზვერავები შეჰყრეს. გაზაფხულზე... ყვავილებით მოიქარგება ველ-მინდვრები. დილით... ყველანი სადგურში ვიყავით. სტუმრებს გარეთ... გაუშალეს სუფრა. ზამთარში... თოვლით დაიფარა მთა და ბარი. გოგამ ბოლოს... ტყვეობას თავი დააღწია. მამის ბიბლიოთეკა... სკოლას გადაეცით. მგელი... ვერაგი და დაუნდობელია. (შესარჩევი სიტყვები: 8 საათზე, ფართო მინდორზე, ნაძვებს შორის, დიდი წვალების შემდეგ, წყაროსთან, ნაშუადღევს, განსაკუთრებით მაისის თვეში, დეკემბრის ბოლოს, ანდერძისამებრ, ოქტომბრის რევოლუციაზე, ერთ ორსართულიან სახლში, დიდი მუხის ძირას, სჯულისამებრ).

4. მოცემული სიტყვები გამოიყენეთ განკერძოებულ გარემოებად წინადადებაში: ჭიშკართან ახლოს, მთის გადაღმა, ტყის მხრიდან, ზურგიდან, სოფლის მარცხნივ, განსაკუთრებით დილის საათებში, მზის ამოსვლისას, ამ გაჭირვების მომენტში, სამი დღის შემდეგ თავისთავად, მოხერხებულად, საღამო ჟამს, ბევრი ყოყმანის შემდეგ, ძველებურად, ტყიდან ცოტა მოშორებით, კვირას, 5 მაისს, თუმცა უსიტყვოდ, პირობის თანახმად, ვიწრო ბილიკზე, სულ ახლოს, წესისამებრ.

5. წერტილების ადგილას ჩაუმატეთ სათანადო დანართი: ჩემი ამხანაგების მამა... ომის ვეტერანია. გიორგის... ათავისუფლებენ სამხედრო სამსახურიდან. ქერჩი... მამაცობისა და გმირობის სიმბოლო გახდა. თბილისი... 1500 წლისაა. ჩვენი სამშობლო... მეტად

ძლიერია. კოლმეურნეები... მედგრად იბრძვიან მიმდინარე წლის გეგმების შესასრულებლად. გაზაფხულის მახარობლები... უკვე მოფრინდნენ. ისინი... მანქანით მოიყვანეს... ილარიონს ყველა რჩევას თხოვს. კონსტანტინე... გამოჩენილი ტრაქტორისტია. ქუთაისი... დიდი ხნის ისტორიის მქონეა (შესარჩევი სიტყვები: გვარად ჭელიძე, საქართველოს მეორე დიდი ქალაქი, დაჭრილი მეომრები. ე. ი. ჩვენი დედაქალაქი, დიდი საბჭოთა კავშირი, ანუ მერცხლები, ანუ გლეხკაცობა, როგორც გამოცდილ აგრონომს, ეს ქალაქი გოლიათი, როგორც ინვალიდს).

6. მოცემული სიტყვები გამოიყენეთ დანართად წინადადებაში: ხელობით დარგული, მოხუცებულ დედას, ყვავილთ მეფე, ფრინველთ მეფე, ნადირთა მეფე, სახელად გვადი, პატარა გოგო-ბიჭები, ჩემი ამხანაგის შვილს.

7. მოცემულ ტექსტში წერტილების ადგილას ჩაუმატეთ სათანადო მიმართვა: ... წავიდეთ ჩქარა! ... რატომ დახიე გაზეთი? ... ცოდვას ნუ ჩამადენინებთ! ხვალისათვის მოემზადე...! გამარჯობა... როგორ ბრძანდებით? კმარა ... კმარა, რაც იძინე! ... სტუმარს ჩაი მიართვით! ... სმენა იყოს და გაგონება. კვირას შაბათობაზე მივდივართ ...! ხვალ ომის ვეტერანებს უნდა შევხვდეთ! ... ვინ წააქცია დოქი? ... საათი მომართე? ჩამორჩი ...? დასხედით ...! ფანჯარა გააღე ... ფანჯარა! ვინ მოვიდა ... ვინ? ... დაფასთან გამოდი! მობრძანდით ...! დამშვიდდი ... დამშვიდდი! ჩამორჩი ...!

8. მოცემული სიტყვები გამოიყენეთ მიმართვად წინადადებაში: ირემო, მამიკო, დედი, კურდღელი, ჩემო კარგო, თქვე დალოცვილებო, გიორგი, არსენ, ძვირფასო დაო, ჩიტუნიავ, კატავ, შენ მსუნაგო, ჩემო დავით, ჯავახიშვილო, ძმობილო, მზევ (მზეო), ჰე, მეგობარო, ჩემო პატარა მეგობარო, ჩემო სკოლავ, ექიმო, პიონერებო, არწივო, ფრინველთ მეფევ, არაგვო, ტრაქტორო, მზიურო სამშობლოვ, ჩემო სოფელო, ჩემო ჩონგურო, გულო, თავთავო.

9. მოცემული სიტყვები თუ გამოთქმები დაალაგეთ სინონიმების მიხედვით: რასაკვირველია, სამწუხაროდ, ცხადია, მგონია ეჭვს გარეშეა, ჩანს, საუბედუროდ, შესაძლებელია, ვგონებ, თავისთავად ცხადია, საბედნიეროდ, აშკარაა, ოღონდაც, მართლაც, ჩვენდა სასიხარულოდ, უდავოა, თავისთავად იგულისხმება, ნათელია, რა თქმა უნდა, ნამდვილად, უეჭველია, მართლაც, ნამდვილად, ჭეშმარიტად.

10. მოცემული წინადადებები შეავსეთ ჩართული სიტყვებით: ჩვენში ბავშვებს სწავლისა და დასვენების საუკეთესო პირობები აქვს. პავლე ხიდან ჩამოვარდა, მაგრამ არ დაზიანებულა. ხვალ კარგი დარი დადგება. გათბა და თესვა მასიურად დაიწყება. ოქტომბე-

რი ავდრიანი იქნება. ეს მოსავლის აღებას ხელს შეუშლის. ამირანი დეევებს არ შეუშინდა.

ბავშვებმაც კი იციან არსენას თავგადასავალი. ლექციას ომის ვეტერანი წაკითხავს. ეს ნაბიჯი შედეგს გამოიღებს. (შესარჩევი სიტყვები: რა თქმა უნდა, ცხადია. ჩემი აზრით, როგორც ცნობილია, ასე გასინჯეთ, ვფიქრობ, როგორც გადმომცეს. საბედნიეროდ, რასაკვიოველია, როგორც ამინდის ბიურო იტყობინება).

11. მოცემული სიტყვები და გამოთქმები ჩართულად გამოიყენება წინადადებებში: სამწუხაროდ, უთუოდ, რასაკვიოველია, რამდენადაც ვიცით, როგორც ეტყობა, როგორც იქნა, ვფიქრობ. ჩვენდა საბედნიეროდ, ეტყობა, როგორც თვითონ გვითხრა. როგორც ხედავთ. ჩანს, საერთოდ, პირიქით, სახელდობო, ჯერ ერთი, ... მეორე. ... მესამე..., უეჭველია, მგონია...

12. წინადადებები შეავსეთ სათანადო მიგებითი ნაწილაკით: თანახმა ვარ. წავიდეთ! ჩემო ძმაო. ასე იქნება. ჩვენ ამას უდავოდ გავაკეთებთ! ახლა აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი. ეს შეუძლებელი იქნება. ვერ გაიგო ჩემი ნათქვამი. აქ სჯობია დასვენება. აბავინ მინახავს. ვერ ვიცანი? დროზე დავიწყოთ! ხვალისთვის ნუ გადავდებთ! როგორ არ მახსოვს (შესარჩევი სიტყვები: დიახ. კარგი. კეთილი. არა, ვერ (ვერა). კი).

13. ამოიღეთ უმართებულოდ ხმარებული ჩართული სიტყვები: ამირანი, რასაკვირველია, დაერია დეევებს და სულ ერთნაირად ამოჟლიტა. ამირანმა, რა თქმა უნდა, საოცარი სმა-ჭამა იცოდა. თუ არ ვცდები, ხმელეთი დედამიწის ფართობის ერთ მეოთხედს შეადგენს. სამწუხაროდ, ამირანმა არ დაიჯერა ძმების რჩევა. ერთი სიტყვით. ლამაზია შემოდგომა სოფლად. ჩვენდა საბედნიეროდ. მტრის მიერ დანგრეული ქალაქები და სოფლები სწრაფად აშენდა. სახლს, უეჭველია, ორი ფანჯარა აქვს. უეჭველია ამირანს ერთი ოქროს კბილი ჰქონდა. ბუნებრივია. გაზაფხულზე ყველაფერი გამოცოცხლდება. როგორც ეტყობა. ამინდი არ ხუმრობს.

14. მოცემული წინადადებები შეავსეთ შორისდებულით: ეს რა მომხდარა! როგორ აყვავებულა აქაურობა! რა ტკბილად გალობს ეს პატარა ჩიტუნა! რა გაყვირებს შენ? რა მშვენიერი ადგილია! რა კარგი. ლამაზი ნაძვის ხეა! ხუთი საათი ყოფილა! როგორ დაცხა! რა ყინულივით ცივია! რა გამბედაობა გამოიჩინა! სად იმყოფები თუ იცი? რა გემრიელი ყოფილა! დაგიდგეს თვალები, ეს რა გექნა! როგორ გაზრდილა! ანზორ. ეს მოგიწონეთ. ერთი გამოიდარებდეს! ღორები შეპარულან ყანაში. რა საცოდავია ეს უდედო ნუკრი! ცხვრებს მგლები დასევია! ვიჩქარით! არ გააფუჭო რამე! რა

ლამაზია ზღვა ღელვის დროს! შენც გცოდნია დურგლობა! (შესარჩევი შორისდებულები: ჰე, უჰ, ოჰ, ფუჰ, ეი, ეიშ, ყოჩაღ, ჰარიქა, აბა, ბიჭოს, ვაიმე, ახ, ვაშა, უი...).

15. საკონტროლო კარნახის ჩატარება სასვენი ნიშნების ცოდნის ხარისხის შესამოწმებლად. საორიენტაციო ტექსტი: ოჰ, რა კარგია, რომ მობრძანდით! საბედნიეროდ, ჭრილობა საშიში აღარ აღმოჩნდა. მიუხედავად ყინვებისა, მდინარე მაინც გადავცურეთ. ამხანაგო ლეიტენანტო, ოცეული მზადაა სალაშქროდ. ცეცხლი მწვავს, ძმაო, ცეცხლი მწვავს, უალო, მოუდებარი (ვაჟა). ოჰ, რა საშინელებაა, დავიღუპეთ! გაუმარჯოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევ კავშირს! სითბომ იძალა, თოვლი მალე დადნება. მოგიტან ამ წიგნებს, ძმობას გეფიცები! გამხიარულდი. ბუხარო, გულჩახვეული ნუ ხარო! (აკაკი). პავლე. არ წახვიდე. აქ დარჩი! ყოჩაღ! მოუწონა მეთაურმა მებრძოლს გამბედაობა, როგორც იტყობინებიან, სექტემბერში კარგი დარები იქნება. ძმებო, ერთად ვიაროთ! ფუი, შენს ვაჟკაცობას! ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევ, სიტკბონი შენნი! (ილია). შე დალოცვილო, ასე როგორ იქნება! დამშვიდდი, დედა! ვაიმე. დედა, მამალი გამომეკიდა. რა კარგია, განათებულა. მეზობელმა შეიძინა ავეჯი: გარდეროობები. მაგიდები, სერვიზები, სავარძლები, საწოლი გარნიტურები. ერიჰა, შენ მართლა გაცივებულხარ! ბიჭოს, საუზმის დრო მოსულა! აქ, როგორც ვხედავთ, ციტრუსები კარგად ხარობს. როგორც გამოირკვა, IV საუკუნეში დასავლეთ საქართველოში აკადემია, ე. წ. კოლხეთის აკადემია არსებობდა. გასწი, გასწი, მიუსწარი როგორმე! ესოდ, როგორც გამოცდილმა მეთაურმა. მტერი ახლო მოუშვა და შემდეგ გაუხსნა ცეცხლი. ხიდი. ახლად აგებული. აღიდებულმა მდინარემ დაანგრია. მე. შეშინებული, ერთ ადგილას გაექცევიდი. ვაშა. ვაშა, ჩვენებმა გაიმარჯვეს! ოჰ, მალე ვიქნებით სოფელში! მოუვალ კლდეში. ერთ ადგილას. შევარდენს ბუდე ჰქონდა გაკეთებული. ამხანაგო მაიორო. მტრის კავალერია გამოჩნდა. მიშველე, ექიმო. მიშველე! შენვე არ მოგხვდეს, ბედკრულო. შენი ხირიმის თოფია! (ვაჟა). კარგი ხარ. კარგო ყოფაო, კარგო ცხვარო და ძროხაო (ხალხური).

16. საქმის ქაღალდების შედგენაზე ვარჯიში.

რთული თანწყობილი წინადადებების სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მუშაობა

1. მოცემული მასალებით შეადგინეთ თანწყობილი წინადადებები: მოიღრუბლა და (...). მინდორ-ველი აყვავილდა და (...) ფო-

ცხვერი კურდღელს გამოეკიდა და (...). მელამ თაგვი დაიჭირა და (...). კრუხი წიწილებს უხმობდა და (...). საუზმე მოიტანეს და (...). შინმოუსვლელის დედა მწარედ ქვითინებდა და (...). ტურამ ქვეყანა დააქცია და (...). განუწყვეტლივ ორი დღე თოვდა და (...). გიორგიმ ბადე გაისროლა და (...). ეზოში შვიდნენ და (...). კარი გაიღო და (...). მონადირემ მგელს ესროლა, მაგრამ (...). დაღამდა, მაგრამ (..). ლეონტი დაიჭრა, მაგრამ (...). გაწვიმდა, მაგრამ (...). ყველანი წავიდნენ, მაგრამ (...). ნიმუშისათვის: გაზაფხულზე იღვიძებენ კვირტები... ამას შეიძლება დაემატოს: ჰყვავიან იები და ენძელები, იღვიძებს მთელი დედა-ბუნება, იწყება ბუნების ახალი აღორძინება.

2. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ თანწყობილი წინადადებები: მეთევზე — თევზი, მზვერავი — მტერი. გაზაფხული — მერცხალი, ზამთარი — თოვლი, შემოდგომა — რთველი, ზამთრის საძოვრები — ცხვრის ფარა, კრუხი — წიწილები, მელა — საქათმე, ბრაკონიერი — შველი, ქალაქი — სოფელი, კოლმეურნეობა — გეგმები, თამარი — ქების სიგელი.

3. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ თანწყობილი წინადადებები „და“ კავშირის გამოყენებით: ა) გაიოზი, ფოცხვერი, თოფი, დამიზნება, სროლა, დავარდა; ბ) პაპა, შვილისშვილი, ზღაპარი, ყურადღებით მოსმენა; მოსმენა; გ) შემოდგომა, მოახლოება, კოლმეურნეები, რთველი, მზადება; დ) პატარა, ნიკა, ავად, ექიმი, გახდომა, გამოძახება; ე) სითბო, მატება, თოვლი, დაწყება. დნობა; ვ) მონადირე, დაჭერა, კვერნა, მონადირეთა კავშირი, წევრი; ზ) ზოია კოსმოდემიანსკაია, ფაშისტები, შეპყრობა, არ გამოტყდა, სიკვდილით დასჯა; თ) თოვლი, ბავშვები, გახარება, უსაზღვროდ; ი) დაღამება, ტურები, ჩხავილი.

4. დაამუშაეთ მეთოდურად „მაჯგუფებელკავშირიანი რთული წინადადება თანწყობილი“.

5. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები მათში „მაგრამ“ კავშირის გამოყენებით: ა) ბავშვები, ლაშქრობა, წასვლა, წვიმა, ხელი, შეშლა, ნდომება; ბ) აჩქარება, თინათინი, ძალიან, ვერ, მაინც, მატარებელი, მოსწრება; გ) სვეერიანე, კონკურსი, ტანვარჯიში, მიღება, მონაწილეობა, ადგილი უკანასკნელი, დაკავება; დ) ლევანი, სვესტი, თევზაობა, ხელცარიელი, დაბრუნება, წასვლა; ე) ნიკო, 80 წელი, მუშაობა, არის, მაინც.

6. მოცემული მასალებით შეადგინეთ უკავშირო თანწყობილი წინადადებები: მზიანი დარები დაიჭირა, მეთაურმა ნიშანი მისცა, (..). სითბომ იძალა, (...). თოვლმა დნობა დაიწყო, (...). ისმის

ფრინველთა ჭიკჭიკი, (...). მოსწავლეთა სპარტაკიადა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა, (...). თვითმფრინავი მოედანზეა, მგზავრები (...). მეზენიტეებმა ცეცხლი გაუხსნეს მტრის ბომბათმშენებს, (...). ტყე და მინდვრები მწვანეში გაეხვია, ...

7. შეარჩიეთ ტექსტი დავალებისათვის: ერთმანეთში შერეულად მოცემული თანწყობილი და შერწყმული წინადადებების ცალ-ცალკე დალაგება. საორიენტაციო მაგალითები: ნეტავი ასი დამკრან და ერთი მართალი მათქმევინონო. შიმშილმა ხმელა არ იცის და სიცივემ ძველიაო. შიმშილს საწები არ უნდა და ძილს სასთუმალიო. სწავლა გონების საზრდოა და ჭკუის წარმატებაო. ტყე უყურო ნუ გგონია და მინდორი უთვალო. ტოლმა ტოლს რითი აჯობა და ადრე ადგომითაო. ღვინომ კასრი გახეთქა და კაცს რას უზამსო. ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიკს ალბობდნენო. ძაღლი გაკრიჭეს და პატრონი გამოჩნდაო. ხვალ წვიმა მოვაო და ჭიამ თვალები დაითხარაო. ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო. ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევ ძმები დარჩნენო. არც თავისთვის უქნია ღმერთს და არც სხვისთვისაო. არც მიწა გასკდება, არც ცა ჩამოვარდება. არც ხნავდნენ, არც აცხობდნენ. ნურც მომიტეხ მჭადს, ნურც მომტეხ ყბასა. ან ღვინო უნდა იყო კაცი, ან წყალი. ეს წიგნი ან შენ წაიღე დღესვე.ან მე მოგიტან ხვალ. მარტოდ დარჩენილ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან დათვის ლუკმა გახდება. დედის წინ გამქცევ კვიცსაო. მგელი გამოჭკრავს კბილსაო. ან არის დევი, ლომ-გმირი, ან არის რკინის მკვნეტელა (ხალხ.). თივა სჯობს მთისა, პური და ღვინო — ბარისაო. ხარს რქით დააბამენ, ადამიანს — ენითაო. წისქვილს — წყალიო, გუთანს — ხარიო. ხელი ხელს ბანს, ორივე — პირსაო. კატას თევზი უყვარს, მაგრამ ფეხის დასველება ეზარებაო, ბადე ისროლა, მაგრამ თევზი ვერ დაიჭირა. ოქრო უხელოა, მაგრამ ყველაფერს აკეთებს. მედღეხვალიეს ხან უთოვს, ხან უწვიმსო. სულიკო ხან მღეროდა, ხან უკრავდა, ხან კიდევ ცეკვავდა. შენ რას იკვეხი, მამულო, ყანა ამინდის შვილია. ურემი მძიმეა, მაგრამ ტვირთს კი ამსუბუქებსო. თუ გინდა უკუღმა დაჯექი, ოღონდ სწორად თქვიო. კიდეც კერავს, კიდეც არღვევს. ერთი პირიდან კიდეც ცივა, კიდეც თბილა. გინდ დანით დაგიკლივარ, გინდ დუმითაო. გინდ შეიკერე პალტო. გინდ შეკერილს გიყიდი.

8. და, ხან-ხან, ან-ან, მაგრამ — კავშირების გამოყენებით შეადგინეთ შერწყმული და თანწყობილი წინადადებები.

9. მოცემული მარტივი წინადადებები თანწყობილად გადააკეთეთ: მდინარის მიერ ხიდის წაღების შემდეგ სოფლებს შორის ნორმალური კავშირი შეფერხდა. ზღვის ღელვამ დამსვენებელთა ბა-

ნაობა გააძნელა. ტელევიზორის ყურებით გატაცებულ მარგალიტას გაკვეთილების დამზადება დაავიწყდა. კარგად შერჩეული სიმინდის თესლი ბრიგადირებს გადასცეს. უხეში თამაშისათვის ფეხბურთელი დაისაჯა. დაგვიანებისათვის მოსწავლეს გაფრთხილება მისცეს. რთველში ყველაზე აქტიური მონაწილეობისათვის ჩვენს კლასს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა მადლობა გამოუცხადა. ინტურისტის მუშაკთა კოლექტივს გეგმის გადაჭარბებულად შესრულებისათვის ფულადი პრემია გადასცეს.

10. შერწყმული წინადადებები გადააკეთეთ თანწყობილ წინადადებებად: ქარხანაში ახალი დანადგარები მოიტანეს და ძველის შეცვლას შეუდგნენ. გზა შეაკეთეს და ავტობუსების მოძრაობაც განაახლეს. გენადი ოლიმპიადაზე კარგად გამოვიდა და პირველობა მოიპოვა. ბუჩქიდან კურდღელი გამოცანცარდა, მაგრამ შეეშინდა და ისევ უკან გაბრუნდა. სიმინდი დროზე დათესეს. დროზე გამარგლეს და მოსავალიც უხვი მიიღეს. მეკარემ ბევრჯერ აიღო მძიმედ დასაჭერი ბურთი, მაგრამ ერთხელ მაინც მოსტყუვდა. კუკურმ პატარა კალმახი დაიჭირა, მაგრამ ისევ წყალში გაუშვა.

11. მოცემული თანწყობილი წინადადებების მარტივ და შერწყმულ წინადადებებად გადაკეთება: ღამით ნიაღვარი მოვარდა და გზები დაზიანდა. ქარი მიწყნარდა და წვიმაც შეწყდა. ქროდა ძლიერი ქარი და ვაშლები ჩამოცვივდა. თოფი გავარდა და ქორი შურდულივით ძირს წამოვიდა. მტერი შეტევაზე გადმოვიდა, ჩვენ კი ძლიერი ცეცხლი დავუშინეთ. შევარდენმა გადაიფრინა და ბეღურები დაფრთხნენ. გიზომ ხაფანგი დააგო და შიგ კვერნა გაება. გაიოზმა ირემი მოკლა, მაგრამ სათანადოდაც დასაჯეს. ციტრუსების ახალმა პლანტაციამ წელს უკვე ნაყოფი გამოიღო და კოლმეურნეობის შემოსავალმაც საგრძნობლად იმატა. თოვლმა დნობა დაიწყო და მდინარეებიც ადიდდა.

12. მოცემულ თანწყობილ წინადადებებში, სადაც საჭიროა, გასწორეთ თანამიმდევრობა: ა) წვიმა დაუშვა. ცა შავი ღრუბლებით დაიფარა; 2) თოფი გავარდა, ქორიც ძირს დავარდა; 3) სახლს სახურავი გადაძვრა. ქარიშხალი ამოვარდა; 4) აკიაფდნენ ილიჩის ნათურები. ქუჩებიც განათდა; 5) ძროხები გარბიან. მგლები ღმუიან; 6) დათვმა გაიბორგა, პანტა დამწიფდა; 7) წყალი შეწყდა, წყლის მილი გატყდა; 8) ჭა გაშრა, ხანგრძლივი გვალვა იყო; 9) წიწილა გალუმპულიყო. კოკისპირულად წვიმდა; 10) აცივდა. მდინარე ყინულით დაიფარა; 11) ექიმს გამოუძახეს, ბავშვი ავად გახდა; 12) ნათესავები და ამხანაგები მოსულიყვნენ. საბჭოთა არმიაში გაწვეულებს აცილებდნენ; 13) სწავლა განახლდა, არდადეგები დამთავრ-

და; 14) ქურდი გარბოდა, მათიამ ხანჯალი იძრო; 15) ცოფიანმა ძაღლმა გოჭები დაკბინა, ისინი აჭყივლდნენ; 16) სული დალია, მძიმე ავად იყო; 17) დაღამდა და ცა ვარსკვლავებით მოიჭედა; 18) ხან მგლების ღმუილი ისმოდა, ხან კი ტურების ჩხავილი არ გვასვენებდა; 19) შეტევა დაიწყო, სიგნალი მისცეს; 20) ექსკურსანტებმა შეისვენეს და ცეკვა-სიმღერა გაიმართა.

13. მოცემული წინადადებები დააჯგუფეთ ტიპების (მარტივი, შერწყმული, თანწყობილი) მიხედვით: კოსმოსური ხომალდის მოძრაობას დედამიწის მართვის ცენტრიდან აკვირდებიან. ირემმა შეამჩნია ვეფხვი და ცხრა მთა გადაიარა. ცოდნა შრომაში მოდის. ცოდნა კლდესაც კი ანგრევს. რკინა იწრთობა ცეცხლითა, კაცი კი გაჭირვებითა. ქორს აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას ელოდაო. ქონი აიღეს და მსუქანს მიაკერესო. ან ზღვაზე უნდა იდგე კაცი, ან მთაზეო. უჰ, როგორ დამავიწყდა! დეკემბერი წელიწადს ამთავრებს. ზამთარი კი იწყებს. თოფი გავარდა და დათვიც გადაგორდა. ვინც მზრუნველობას მოაკლებს, ის თავის ბეღელს აკლებსო. ცოდნას, გარდა უვიცობისა, სხვა მოძულე არ ჰყავს. შემოდგომა პურღვინოთი არის ლამაზი, ზამთარი კი თოვლითაო. სიბრძნე და მეცნიერება უძირო ზღვა არის. სამხედროს ძალაა ხმალი და ფარი, ნასწავლის ძალა კი — ცოდნა და ენა. ბევრი დრო გავიდა, მაგრამ ავადმყოფს გაუმჯობესება არ ეტყობოდა. ბორჯომი მწვანეში ჩაფლული პატარა ქალაქია. კაცი გაზომე გაჭირვებაშიო. თეთრი სუდარა გადაეფარა მინდორ-ველს, ხეებს, სახლებს. ეზოში ბავშვები თამაშობდნენ, მურიაც მათთან დარბოდა. ფაშისტები შემოვიდნენ, ქალაქში სიცოცხლე ჩაკვდა. სიტყვა ადვილია, ქნა კი — ძნელიო.

14. წინადადებათა სინტაქსურ-პუნქტუაციური გარჩევა.

15. წინადადებათა სინტაქსურ-პუნქტუაციური და მორფოლოგიური გარჩევა.

16. დაწერეთ რაიმე თემაზე პატარა მოცულობის თხზულება და მასში გამოიყენეთ თანწყობილი წინადადებები მაქსიმალურად.

I ვარიანტი: „გაზაფხულის პირველი დღეები". გაზაფხული დადგა, მზემ სითბოს უმატა, თოვლი ყველგან დადნა. ბალახები და ყვავილებიც გამოცოცხლდნენ, ხეებმა კვირტები გამოიტანეს, მერცხლებიც მოფრინდნენ, მათ თან მოყვნენ სხვა მიმომფრენი ფრინველებიც. ჰაერი კარგად გათბა და საგაზაფხულო მუშაობაც გაჩაღდა.

II ვარიანტი: ზამთარი მიიწურა. დადნა თოვლი, დადგა გაზაფხული, გამოიღვიძა ბუნებამ, ამწვანდა მდელო.

თუმცა ხეობებში ჯერ კიდევა მიმალულა თოვლის ლაქები, მაგ-

რამ მაინც თავი ამოყო ყოჩივარდამ, იამ, ენძელამ. იკვირტებიან ვერხვი და ტირიფი, მურყანი და თხილი, ატამი და კომში. იღვიძებენ მწერები, ჰაერში დაზუზუნებენ ფუტკრები, აქა-იქ დაფარფატებენ პეპლები, ლამაზ და მსუბუქ ჩაცმულობაზე გადადიან ცხოველები და ფრინველები. აპრილი წყალდიდობის პერიოდიც არის. კალაპოტში ვეღარ ეტევიან მდინარეები და ტბები.

III ვარიანტი: ბარად ყველგან მუშაობა ჩაღდება: ვენახები იბარება და იხვნება, ვაზი ისხვლება, ახალი ვენახი ირგვება, სარი ედგმება, ჯეჯილს დამატებით საკვებს აძლევენ. გახურებულია ახალი ბაღების გაშენება, სასუქის შეტანა, ჩახვნა-ჩაბარვა, ხეებს ტანს უსუფთავებენ. ბაღში ფუტკრების ძირებს დგამენ, რათა ხეხილი რომ აყვავილდება, ფუტკარიც ჩაებას ხილის მოსავლის საძირკვლის ჩაყრაში. იქ, სადაც ფუტკარი ბაღში არ არის, ხეხილი არ ისხამს, თუ ისხამს, ძალიან ცოტას.

IV ვარიანტი: გვესტუმრა ნანატრი გაზაფხული და მზეს ძალა მოემატა. ნიადაგმა გამოიღვიძა და მინდორ-ველი მწვანე ხალიჩით მოიქარგა. კოლმეურნე გლეხობა მინდვრად გავიდა და უხვი მოსავლის მიღების სამუშაოებს შეუდგა. თეთრად გადაიპენტა ნუში, აფეთქდა ტყემლის პირველი კვირტები, ატამმაც დაიწყო აფერადება.

რთული ქვეწყობილი წინადადებების სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მუშაობანი

1. მოცემული წინადადებები დაასრულეთ: ეს რომ ვთქვი, (...). დამინახა თუ არა, (...). რაკი ბნელოდა, (...). განაცხადა, რომ (...). იმ სახლში შეასახლეს, რომელიც (...). რასაც გააკეთებ, (...). ვინც ჩაიხედავს, (...). ვისაც ვუთხარი, (...). შევნიშნე, რომ (...). რაც გირჩიეს, (...) ის დარწმუნებული იყო, რომ (...). არწივი, რომელიც მუხის წვერზე იჯდა, (....). სოფელში ისეთი გზა გაიყვანეს, რომ (...). ცეცხლი გიზგიზებდა, რომელსაც (...). სადაც ხშირი ტყეა, იქ (....). ვინც მოითმენს, ის (...). ოთარი ისე გაცხარდა, რომ (...). ურემი რომ გადაბრუნდება, (...). სანამ დაღამდებოდეს, (...). ვინც დაიზაროს. (...).ვინც ქარს დათესავს, (...). ვისაც წიწაკა უჭამია, პირიც (...). ისე არ დასრულდა, როგორ (...). ისეთი რამ არ ჩაიდინო, რომ (...). რაც ენაზე მოგადგება, (...). როგორც დაიგებ, ისე (...). როცა დაიღალო, (...). სადაც ჩიტი გაიზრდება, (...). სანამ შეხვიდოდე, (...). რომ გამოიდარებდეს, (...). ასანთი რომ არ დასველებოდა, (...). წიგნი რომ მქონოდა, (...). ტურისტულ საგზურს თუ მომცემენ, (...).

თევზსაჭერი ბადე რომ მეყიდა, (...). რაც ბრწყინავს, (...).

2. მოცემული მასალებით შეადგინეთ ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებები: ვინც მოვიდა, (...). ვინც იცის, (...). ვისაც სურს, (...). ვინც მოყვარესა არ ეძებს, (...). ვისაც სამშობლო უყვარს, (...). ვისაც გინდათ, (...). ამათ ის უხაროდათ, რომ (...). იმან უნდა აგოს პასუხი, (...). მან გააჭუჭყიანა, (...). ვინც ნახა, (...). საყვედურის ღირსია, (...). მოსაწონია, (...). ვინც ბეჯითია, (...). რაც კარგია, (...). რაც ბრწყინავს, (...). რაც იყო, (...). რაც მოხდა, (...). ის მოვიდა, (...).

3. მოცემული მასალებით შეადგინეთ პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადებები ის ურჩევნია მამულსა, რომ (...). მონადირემ შენიშნა, რომ (...). სალომე მიხვდა, რომ (...). დომენტი გაუწყრა იმათ, (...). მასწავლებელმა დაასახელა ისინი, (...). ტყვემ თქვა ის, რა (...). ამირანმა იგრძნო, რომ (...). ზაზამ მოახერხა, რომ (...). ის ყოველთვის ამბობდა, რომ (...). მზვერავმა შეიტყო, რომ (...). ტასომ ბევრი ინანა, რომ (...). სტუმარს ის მიართვეს, (...).

4. მოცემული მასალებით შეადგინეთ ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადებები მტერი არ მოელოდა, რომ (...). სერგო ვერ მიხვდა, რომ (...). ბავშვი ყურს უგდებდა, (...). სოფლელები ალმაცერად უცქეროდნენ იმას, ვისაც (...). ვერ მოესწრო, რასაც (...). საჩუქარი გადასცეს იმას, (...). საყვედური უთხრეს იმას, (...). ჰკითხეს იმას, (...). პიონერები დაეხმარნენ იმას, (...). ზეიმით დახვდნენ იმათ, (...). ნიკო ხელიდან დაუსხლტა იმას, (...). მამასახლისი ემუქრებოდა იმათ. (...) სახელი და დიდება მას, (...).

5. მოცემული წინადადებები დასრულეთ და მიიღეთ უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადებები: საბჭოთა ადამიანებს ეჭვი არ ეპარებოდათ იმაში, რომ (...). მშობლები სულ იმაზე ზრუნავდნენ, რომ (...). გმირობა და ვაჟკაცობა იმაში მდგომარეობს, რომ (...). ალექსანდრეს იმის თქმა უნდოდა, რომ (...). პიონერთა შეკრებაზე მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ (...). დედა ჩიტი იმით ხარობდა, რომ (...). პაპა იმით ცოცხლობდა, რომ (...). მეცხვარე დარწმუნებული იყო იმაში, რომ (...). იმაზე ფიქრობდნენ, (...).

6. წერტილების ადგილას ჩაუმატეთ „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელი (სხვადასხვა ბრუნვისა და რიცხვის ფორმით): კაცი, (...) წყალში ჩავარდა, შველას ითხოვდა. მერცხლები, (...) გუშინ მოფრინდნენ, უკვე ბუდის კეთებას შეუდგნენ. სერზე მიდიოდა სამი მგელი, (...) ცხენი შეეჯამეს. მგელი და მელა, (...). ერთ ტყეში ცხოვრობდნენ, ერთმანეთს მტრობდნენ. მგლები, (...). დიდი ზარალი მიაყენეს ფერმას, მონადირეებმა დახოცეს. ხეები, (...) ფოთ-

ლებით იყო შემოსილი. ახლა გატიტვლებული დგას. ხეზე იჯდა მზეერავი, (...) მტერი ვერ ამჩნევდა. ვასო დახვდა დედას, (...) სოფლიდან ჩამოვიდა. ზეინაბი, (...) შვილის ავადმყოფობის ცნობა მიიღო, სევდას მისცემოდა. ბავშვი თვალს არ აშორებდა იმ ჯარისკაცს, (...) წითელი დროშა ეჭირა.

7. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვებიდან შეარჩიეთ შესაფერისი: გულადი ის არის, (ვინც, რომელიც) დაბრკოლებას არ შეუშინდება. ყველა სამუშაო შესრულდა, (რაც, რომელიც) გეგმით იყო ნაანარაუდევი. (ვისაც, რომელსაც) სიმართლე არ უყვარს, მართლის მთქმელი ეჯავრებათ. (ვისაც, რომელსაც) გაჭირვება არ უნახავს, მან ლხინი არ იცისო. ისეთი გოდორი დაწენი, (რომ, რომელიც) თქვენს შვილსაც გამოადგეს. ისეთმა ფურმა დამწიხლოს, (რომ, რომელიც) ჩემზე მეტს იწველიდესო. მიმოსვლა შეწყდა (იმიტომ, რომ, რადგანაც, იმისათვის, რომ) გზა ნიაღვარმა ძალიან გააფუჭა.

8. დაასრულეთ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები: ქორმა დაინახა ვარია, რომელიც (...). დიდება მებრძოლებს, რომელთაც (...). გზა, რომელიც (...), ასფალტირებული იყო. ამბროსი უცდიდა ამხანაგს, რომელიც (...). ტრიფონი არ უჯერებდა აპოლონს, რომელიც (...).

9. ბელურა, რომელსაც ბუდიდან ერთი ბარტყი გადმოვარდნოდა, გულამოსკვნით ჭყიოდა. ქალმა, რომელიც ჩაის კრეფდა, სტუმრებისაკენ მიიხედა. ბავშვები, რომელნიც სოფლად ცხოვრობენ, უფრო ჯანმრთელნი არიან. მწყემსებმა, რომლებმაც ცხვარი კარგად გამოაზამთრეს, საჩუქრები მიიღეს. ძაღლმა ყეფა დაგვიწყო, რომელიც ხესთან იყო მიბმული. პალტო, რომელიც ლილამ იყიდა, ჩვენს ატელიეშია შეკერილი — მთავარი წინადადებების ქვემდებარეს შეუცვალეთ რიცხვი (თუ მხოლობითში დგას, მრავლობითში გადაიყვანეთ და, პირიქით, მრავლობითი ფორმის მქონეები გადაიყვანეთ ფორმაში).

10. მოცემული მარტივი წინადადებები რთულ ქვეწყობილ წინადადებებად გადააკეთეთ მაკავშირებლად „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენებით: სიცივით შეწუხებული გოჭები საცოდავად ჭყიოდნენ. დიდიხნის უნახავი ამხანაგი შემხვდა. ახლად გაშენებულმა ხეხილის ბაღმა საუკეთესო მოსავალი მოგვცა. ყველას დამრიგებელი მოხუცი ახლა ჩუმად იჯდა. უწინ საცალფეხო ბილიკებით მიმავალი სვანი ხშირად უფსკრულში იჩეხებოდა.. დედის მოტანილი წიგნები უკვე წავიკითხე. პირველი ადგილისათვის მებრძოლი გუნდი უკანასკნელი აღმოჩნდა. ექსკურსიაზე წასული მერვეკლასელები დღეს დაბრუნდნენ.

11. მოცემული წინადადებები დააჯგუფეთ ტიპების (ქვემდებარული დამოკიდებული, პირდაპირდამატებითი დამოკიდებული, ირიბდამატებითი დამოკიდებული, უბრალო დამატებითი დამოკიდებული და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება) მიხედვით: ვიცით, რომ ყოველი სხეული მოლეკულებისაგან შედგება. ბავშვები წაადუდნენ შველს, რომელიც ფეხში იყო დაჭრილი. ფეხბურთელების მოძრაობაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მატჩის განმავლობაში თავდამსხმელი გაირბენს დაახლოებით 12 კმ-ს. ვისაც გული არ სტკივა, იმას ცრემლი არ სცვივა. ანდრო დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა. ზაური და გია ინაწილებდნენ თევზებს, რომელნიც ბადით დაიჭირეს. კრებაზე ისაუბრეს იმაზე, ვინც უნდა წასულიყო საზღვარგარეთ საძოვრებზე მწყემსად. გალილეომ აღმოაჩინა, რომ თავისუფლად ვარდნილი სხეულები თანაბარაჩქარებულად მოძრაობენ. აგრონომი გახარებული იყო იმით, რომ ეენახს კარგი პირი უჩანდა. აუსრულდა, რაც უნდოდა. გამოჩნდა ცხვრის ფარა, რომელსაც წინ ვაცი მიუძღოდა. ვინც შრომას გაურბის, თავისთავის მტერია. მოესწრება მის ნახვას, რაც სურდა. დაეთანხმა მას, ვინც ედავებოდა. მიფრინავდა ქორი, რომელსაც წიწილი მოეტაცა. ნიუტონის მესამე კანონი ამტკიცებს, რომ სხეულზე მოქმედ ძალებს აქვს თანაბარი ხასიათი. ვინც თაფლში ხელს ჩაჰყოფს, თითსაც ის გაილოკავს.

12. გააანალიზეთ „ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სწავლებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშოები“.

13. მოცემული მასალებით შეადგინეთ ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები: მტერმა ნაღმები იქ ჩაწყო, (...). ყველანი იქ მოვიდნენ, სადაც (...). ხალხი იქით მიდიოდა, (...). სადაც ჭაობი იყო, (...). ციტრუსები იქ ხარობს, (...). სადაც საძმო საფლავებია, (...). სადაც წახვალ, (...). სადაც წყალია, (...). იქითკენ უნდა იარო, საითაც (...). ყველგან, სადაც არ უნდა მიხვიდე, (...). საითკენაც კურდღელი გარბოდა, (...). იქ სადაც მანდარინი ხარობს, (...). მონადირემ იქითკენ გასწია, (...). თავი იქ მოიყარეს, (...).

14. მოცემული მასალებისაგან შეადგინეთ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება: როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ (...). სანამ თონე ცხელია, (...). როცა თოფი არა გაქვს, (...). როცა მუშაობ, მაშინ (...). როცა საქმეს ხელს მოკიდებ, (...). სანამ იტყოდე, (...). სანამდის რთველი დაიწყებოდეს, (...). რაწამს მოვლენ, (...). რაკი გამოიდარა, (...). როგორც კი მანქანებს გამოგზავნიან, (...). სანამ ბავშვი პატარაა, (...). ოცდაათი წელი გავიდა მას აქეთ, რაც

(...). მოვედით თუ არა, (...). დილას რომ ავდექი, (...). ფრინველები დიდ გასაჭირში ჩავარდნენ, (...). ამირანი გონს მაშინ მოვიდა, (...). როცა დაიღალო, (...). სანამ ზარი დაირეკებოდეს, (...). ავადმყოფი გონს მაშინ მოვიდა, (...).

15. მოცემული წინადადებებისაგან შეადგინეთ ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები: ისე გაწვიმდა, (...). ისე იყო გახარებული, (...). მომხსენებელი ისე კარგად ლაპარაკობდა, (...). როგორც ურჩიეს, (...). ირმა ისე ცუდად გახდა, (...). შიშმა ისე შეიპყრო, (...). ისე ეჯავრება, როგორც (...). ისეთნაირად იქცეოდა, (...). იმდენად გაუხარდა, (...). მოხუცის სიკვდილი ისე ეწყინა, (...). რამდენადაც ღონე შესწევდა, (...). რაც უფრო ბრაზდებოდა, იმდენად უფრო (...). რამდენჯერ გაიელვებდა, იმდენჯერ (...). თავი ისე მოგვაჩვენა, (...).

16. მოცემული წინადადებებისაგან შეადგინეთ მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები: ავტობუსი არ წავიდა, (...). გეგმა ვერ შესრულდა, (...). მშობლები ძალიან გახარებულები იყვნენ. (...). რაკი ტალახში ჩავარდა, ამის გამო (...). რადგანაც მომხსენებელი არ გამოცხადდა, ამიტომ (...). ვინაიდან ძლიერ ბნელოდა, (...). საყვედური იმიტომ გამოუცხადეს, (...). იმის გამო რომ სითბომ იძალა, (...). გაიოზი მოცელილივით დაეცა, რადგანაც (...). ვინაიდან გაავდარდა, ამიტომ (...). რადგანაც სიცივეები დაეჭირა, (...). ლამაზად ვერ დავწერე, რადგან (...). მტერი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, (...).

17. დაასრულეთ მოცემული წინადადებები და მიიღეთ მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები: მოხუცი მალ-მალე ისვენებდა, რათა (...). სასაუზმეში შევიდნენ, რათა (...). ჯარის ნაწილები ღამით მოძრაობდნენ, რათა (...). ფიცრები მისთვის შეიძინეს, რომ (...). ყველანი შეიკრიბნენ, რომ (...). სახეს მალავდა, რათა (...). მელამ თავი მოიმკვდარუნა, რომ (...). ადრე ადგა, რათა (...). ექიმს გამოუძახეს, რომ (...). ხალხი აღდგა, რათა (...). ხეზე აცოცდა, რომ (...). მსახიობები გვესტუმრნენ, (...).

18. მოცემული წინადადებები დაალაგეთ ტიპების (მარტივი, შერწყმული, რთული) მიხედვით: კოსმოსური სივრცის გამოკვლევაში საბჭოთა კავშირს წამყვანი ადგილი უჭირავს. რაკეტის ამუშავებისას სათბობი იწვის და წარმოიშობა მაღალი წნევისა და ტემპერატურის გაზი. ერთი ნამუსი სჯობია ასიათას ქონებასაო. სჯობია ისევ მოლხენა წუხილს, ჭმუნვას, ურვასა (გურამ.). არ ვინატრებ შენს ქონებას, არ მსურს ვიყო შენისთანა (ვაჟა). გეშინოდეს სიცოცხლისა, სიკვდილისა არაო. უანგარიშოდ და უფიქრებლად საში-

ში არის ბედის მინდობა (აკაკი). მადლობელი ვარ დაურიდებლობისა და პირში თქმისათვის (ილია). მელა არ ვარ, არც ტურა, // ქათმებს ვეპარო მალულად (ვაჟა). პატივი ეცი სიბერეს, ის შენი მომავალია. ეგ შენი ფიქრი და წყრომა ტყუილ-უბრალო მარაგია (ვაჟა). ბაასი ჭკუის საზრდოა (ილია). კაცს თუ გაუჭირდა, ნემსის ყუნწში გაძვრებაო. დამალული ჭირი ძნელია (ილია). ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა ვით ქვითკირსა (შოთა). თუ წყალი სათავეში აიმღვრევა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის (ილია). სული გასუქდეს, ბევრად სჯობს, ვიდრე გასუქდეს ლეშია (ვაჟა). გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი (შოთა). წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო. კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო. მოვკვდები ნამუსიანად. ესრე სიკვდილი სჯობია (ვაჟა). რა ამბავია, რას ღრიალებ? სად იყო ეს დანა, ან რად გინდა შენ? ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა. ერთგული შრომა სიღარიბის მტერიაო. ოცნებით გეგმას ვერ შეასრულებ. სიმაღლით ნუ იამაყებ, ჭკუით იამაყე. ბედი მომეცი და სანეხვეზე გადამაგდეო.

ცა განრისხდა, ახმაურდა და სეტყვა დააყარა დედამიწას. საღამო იყო მშვიდი, თბილი და საამო. ხან ტანკები გადმოვიდოდნენ შეტევაზე, ხან კი ფეხოსანთა შენაერთები. არც გაუკვირდება და არც აღელდება.

19. წერტილების ადგილას ჩაუმატეთ სათანადო სიტყვები: (...) კაცსა კაცი არ უნდა, მიზეზი არ დაელევაო. ბატონის ნახვა (...) შინდა, ჯერ ჯარისკაცი ნახეო. ბაღდათს ვირი კიტრად ღირდა, (...) აქლემი საგზლად უნდოდაო. კურდღელი პატარაა, (...) გაქცევა დიდი იცისო. მგელი ისე არ მოკვდება, (...) თხის დასამარხი გახდესო. მელია (...) წავიდა, კუდიც იქ გაჰყვებაო. (...) კაცს არ სწადია. რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო. (...) პური არ არის, მწვადზე არ ბაასობენ. (...) სწორი ჯოხი არ იპოვო, მრუდეს ნუ გადააგდებო. (...) ხარი გახარდაო, პატრონი გათავდაო. ფეხი ისე გადადგი, (...) თვალში ჩხირი არ მოგხვდესო. კამეჩი შავია, (...) თეთრ რძეს იწველისო. ისეთი თოვლი მოვიდა, (...) გზებზე მოძრაობა გაძნელდა. ხერხი სჯობია ღონესა, (...) კაცი მოიგონებსა. (...) ვიცოდეთ, სად წავიქცევით, იქ ჩალას დავაგებდითო. მერცხლები გაფრინდნენ, (...) ძალიან აცივდა. შემოდგომა მიიწურა, (...) მაინც თბილოდა, (...) ცხენიდან არ ჩამოვარდნილა, ცხენოსნობას ვერ ისწავლისო, (...) ზამთარში ლხინი უნდა, ზაფხულში უნდა გაისარჯოსო. შესარჩევი სიტყვები: ვინც, ვისაც, თუ, როცა. სადაც, რომ, სანამ, მაგრამ.

20. მოცემული რთული წინადადებების შინაარსი რამდენადმე სხვა სიტყვებით გადმოეცით: შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუ-

დია დაღრეჯილობა (შოთა). ბავშვმა თუ არ იტირა, ძუძუს არ მოაწოვებენო. ცხენს ვერაფერი დააკლო და უნაგირი დაამტვრიაო. ვინც სხვას ორმოს უთხრის, თავისი ზომა მოთხაროსო. თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო. პური მეპურეს დააკვრევინე და ერთი პური ზედმეტი მიეციო. ურემი შეშას თუ ვერ მოიტანს, თვითონ ხომ შეშა არისო. წყალი რომ დაგუბდება, აყროლდებაო. ხარბის თვალი რამ გააძღო და მიწამაო. თავის თვალში ძელს ვერ ამჩნევს. სხვისაში ბეწვსა ხედავსო. მჭედელს დანა არ ჰქონდა, ფეიქარს — ხელსახოციო. ნიმუშისათვის: ა) ფეხი იქამდის გაჭიმე, სადამდის საბანი გაწვდესო — როგორც საბანი გაწვდეს, ფეხი ისე გაშალეო. ფეხს საბნისდაგვარ გაშლა უნდაო. საბანი ისე დაიხურე, რომ ფეხამდე გაგწვდესო. კაცმა ფეხი ისე უნდა გაჭიმოს, საბანს გარეთ არ დარჩესო.[1] ბ) „ქმარი ლაშქრიდან დაბრუნდა, ცოლი ამბავს მოუთხრობდაო — ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს უყვებოდაო. მამა ლაშქრით მოსულიყო, შვილი ამბავს უამბობდაო. ლაშქრიდან მოსულს შინ ომის ამბავს უამბობდნენო".[2]

21. „სასვენი ნიშნები უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში" — დაამუშაეთ მეთოდურად.

22. საკონტროლო კარნახი პუნქტუაციაში. საორიენტაციო ტექსტი: უმჯობესია. იყო ღარიბი და მართალი. ვიდრე მდიდარი და უსინდისო. უნარი ცოდნაშია. ცოდნა სწავლაშია. სწავლა ცხოვრებაშია, ცხოვრება ბრძოლაა. კარგის შესწავლას დღეები უნდა. ცუდისასა — წუთები. თუ ბრინჯს დააბნევ, შეგროვება შეიძლება, ნათქვამ სიტყვას კი უკან ვერ დაიბრუნებ. გაქებენ, ნუ გაამაყდები, გაკრიტიკებენ. ნუ გაბრაზდები. ცუდია ის მჭედელი. ვისაც ნაპერწკლის ეშინია. მოხუცს არ დასცინო, შენც ხომ მოხუცი იქნები. გაქცეულს ერთი გზა აქვს. მდევარს — ასიო. გინდ ქოთანი დაჰკარ ქვას. გინდ ქვა ქოთანს, მაინც ქოთანი გატყდებაო. გამარჯობა არაყო! მაშ მშვიდობით ჰკუაო! საიდანაც არ ელი, კურდღელი იქიდან გამოხდებაო. თუ სიკეთე გაგირბის, დაეწიე. თუ სიავე მოგდევს, გვერდი აუქციე. ვა. ბიჭო, ვახუშტიო, ოჰ, რა ბიჭი გაფუჭდიო. ქვეყანა ტაძარი კი არ არის, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს (ი. ჭავ.). ვისაც ზღვა უნახავს. მას ღვარისა არ ეშინია. ლიტრას ეუბნებიან და. კოკავ შენ გესმოდესო! ფეხებო, თქვენ კი ერთმანეთს ეხვევით და მე კი წყალში მაგდებთო. ის დღე, როცა არ დაგიძაბავს გონება,

1. ხალხური სიბრძნე, ტ. V, 1965, გვ. 169.

2. იქვე, 176.

არ გიაზროვნია. არ ჩაგიწერია არაფერი, ფუჭად გაელილი დღეა. ვისაც ვისი ეშინია, თვალში ორმაგად ეჩვენება. ცუდია ის ჯარისკაცი, ვინც გენერალად გახდომაზე არ ფიქრობს. ვინც ყოველთვის იცინის — სულელია, ვინც არასოდეს — უბედური. ფუჭი კაკალი არც ყვავს არგია და არც კაცსაო. ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო. ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევს. ასი ურტყი დავითასა, მაინც იტყვის თავისასა. არ გათეთრდების ყორანი, რა გინდ რომ ხეხო ქვიშითა. სჯობს ბევრჯერ ჰკითხო, ვიდრე ერთხელ წახვიდე მცდარადა. ჭკვიანს უყვარს სწავლა, სულელს სწავლება. თუ ამონასუნთქი ჰაერი მშრალსა და ცივ საგანს შეეხება, ის წყლის წვეთებით დაიფარება. ჟანგბადი მხოლოდ ადამიანებს კი არა, მთელ ცხოველთა სამყაროსაც მუდამ სჭირდება. ზოოლოგია სწავლობს ცხოველთა სახეობებს, ქიმია კი ატომთა სახეობებს ანუ ქიმიურ ელემენტებს. მითხარი, რას კითხულობ და გეტყვი, რა კაცი ხარ. ამქვეყნად სამი მასწავლებელია: ცხოვრება, წიგნი და ადამიანი. სადაც ჭაობია, იხვიც იქ ეტანება. ციტრუსების ნარგავებში ნამჯა შეიტანეს, რათა ყინვისგან დაეცვათ იგი. წაბრძანდით — მკაცრად უთხრა დირექტორმა ელგუჯას.

23. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ რთული წინადადებები: ის — ვინც. ისეთი — როგორიც. ვინც — ის. ის — ვისაც. მას — ვისაც, იმდენი — რამდენიც. იქ — სადაც. ისე — როგორც.

24. მოცემულ წინადადებათა გავრცობა და სხვადასხვა სახის ქვეწყობილი წინადადებების მიღება: მძღოლმა შენიშნა, (—). მელია ნელა მიდიოდა, (—). კურდღელმა დაინახა. (—). მგზავრმა იკითხა, (—). შველი იქითკენ მირბოდა. (—). საღამო ისეთი იყო, (—). მემანქანეს გაახსენდა, (—). იმდენი ხალხი მოგროვდა. (—). ჩვენ იმ დროს მიეედით. (—). მოსავლის აღებას ვერ მოვასწრებდით, (—). მზე ისე აცხუნებდა, (—). როცა გამოიდარებს, (—). ისე იცვალა. (—). ისეთი გაუვალი ტყე იყო, (—).

25. მოცემული მარტივი წინადადებები გადააკეთეთ რთულ ქვეწყობილ წინადადებებად: ხანგრძლივი წვიმების გამო მდინარე ადიდდა. მელიის დანახვისთანავე ძაღლმა ყეფა მორთო. რემონტის გამო საექიმო პუნქტში ავადმყოფთა მიღება შეწყდა. ერთხელ გატეხილი კვერცხი აღარ გამთელდებაო. ძროხების მჭამელი დათვის მოკვლისათვის პორფილეს საჩუქარი მიართვეს. თავდამსხმელის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მეკარემ აიღო. ხიდის ამფეთქებელ პარტიზანებს არტილერიის ცეცხლი დაუშინეს. ფრონტიდან

შვილის დაბრუნებით გახარებულ დედას სიხარულის ცრემლები წამოუვიდა. შინმოუსვლელებს ყველგან ობელისკები აუგეს. პაპას შვილიშვილი ძველი დროის ამბავს უყვებოდა. უსწავლელი კაცი ბლაგვი ნაჯახის დარია.

შენიშვნა: ცნობილია, რომ ერთი და იგივე აზრი, შინაარსი შეიძლება სხვადასხვა ტიპის წინადადებით გადმოიცეს, მაგრამ ლოგიკური და სტილისტიკური თვალსაზრისით მთლად ერთნაირი არ იქნება. ამიტომ ერთი სახის წინადადების სხვა სახედ გადაკეთების, შენაცვლების დროს აუცილებელია, მოსწავლეები დავაკვირვოთ და დავადგენინოთ, თუ რომელი მათგანი გამოხატავს აზრს უფრო ნათლად, ზუსტად, ბუნებრივად, სრულად, მისაწვდომად და ემოციურად. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ დავალების შესრულება მექანიკურ ხასიათს მიიღებს და ეფექტს ვერ მოგვცემს, სარგებლობას ვერ მოიტანს.

26. მოცემული შერწყმული წინადადებები ქვეწყობილად გადააკეთეთ: აღელდა და გონიერი განსჯის უნარი დაკარგა. დაღლილი ეგნატე დაწვა და დაიძინა. დიმიტრი ადრე ადგა და სტუმრების შესახვედრად წავიდა. სიმონი გამოკეთდა და საავადმყოფოდან გამოეწერა. თვითმფრინავები ღრუბლებში მიიმალნენ და გაუჩინარდნენ. მოხუცმა ზღაპარი დაამთავრა, ბავშვებს გამოემშვიდობა და თავის ოთახში შევიდა. ვაშლი მოკრიფეს და ყუთებში ჩააწყვეს. ცხვარმა ბევრი ახალგაზრდა გაიტაცა და მწყემსობა დააწყებინა. საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხი მომხდურ მტერს მედგრად ებრძოდა და საბოლოოდ გამარჯვებული გამოდიოდა. პარტიზანებმა ფაშისტებს სროლა აუტეხეს და ბევრი მათგანი საიქიოს გაისტუმრეს. გადამწვარი სოფლები და ქალაქები ისევ აღდგა და დამშვენდა.

27. მოცემული თანწყობილი წინადადებები გადააკეთეთ ქვეწყობილად: დავუდასტურე, გაეხარდა. განვლო სამმა დღემ და ამინდი შეიცვალა, დაიწყო წვიმები, სიცივეები დაიჭირა. ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა, ოთახში ძალიან თბილოდა. არ დასველდე, გაცივდები და საავადმყოფოში გახდები წასაყვანი! მწევარი მელას ეწეოდა, მაგრამ მან ბუნაგში ჩახტომა მოასწრო. 15 წლის კაკომ ფრონტზე წასვლა მოითხოვა, მაგრამ არ გაუშვეს. ძაღლმა შემომიტია, მაგრამ არ შევშინდი, ჯოხი დავარტყი და მოვიგერიე. საჰაერო განგაში ატყდა, ყველამ თავშესაფარს მიაშურა. თუთა დამწიფდა, ბელურებმა გაიხარეს. ურემი თანდათანობით ხმარებიდან გადავარდა, მან ბურთი და მოედანი ავტომობილს დაუთმო. აქვსენტი ერთი ჭაღარაშერეული კაცია, მაგრამ შრომა-გარჯაში მასთან ახალგაზრ-

დები ვერ მივლენ. სწორი გზა დამთავრდა, დაიწყო აღმართი, მანქანას სვლა გაუძნელდა. დრო შეუმჩნევლად გავიდა, ღამის პირველი საათი დაიწყო. ქვემეხები საბოლოოდ დადუმდნენ, დემობილიზებული აპოლონი კვლავ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და თავისი საყვარელი საქმე — მასწავლებლობა განაგრძო. მტრის ტანკები წინ მოიწევდნენ, ჩვენებმა ახლო მოუშვეს და სროლა აუტეხეს.

28. შეარჩიეთ ტექსტი დავალებისათვის: მოცემული ქვეწყობილი წინადადებების გადაკეთება მარტივ წინადადებებად. ერთ-ერთი ვარიანტი: თევზის მარაგი რომ არ შემცირდეს, მის მოვლა-მოშენებას ახლა დიდი ყურადღება ეთმობა. კაცმა რომ მოინდომოს, კლდესაც გაარღვევს (ილია). თუ კი გამგონე არა ჰყავს, რას იზამს კარგის მთქმელია (ვაჟა). იქ ვარდსა და იას ვინ მოკრეფს, სადაც ეკალი სთესია (აკაკი), მერცხალი რომ კიდეც მოჰკლა, მაინც მოვა გაზაფხული (აკაკი). რასაც ფიქრობდა, აუსრულდა. დათვმა სუნით იგრძნო, რომ მონადირე უახლოვდებოდა. ისეთი სირბილი იცის, რომ მწევარსაც გაუსწრებს. ვინც უნდა მოსულიყო, აღარ ჩანს. შავებში ჩაცმული დედაკაცი, რომელიც თავჩაღუნული იდგა უცნობი ჯარისკაცის საფლავთან, ცრემლისაგან იცლებოდა. ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი (ილია). აგრაფინამ ითხოვა, რომ გაეგზავნათ ფერმაში სამუშაოდ. იქ ბოსტანს რა ახეირებს, საცა დინგი სთხრის ღორისა! (ვაჟა). ოღონდა ვაჟკაცი ვარგოდეს, რა უშავს ჩოხას ძველასა (ვაჟა). მოშიშარს ვისი შიშიც აქვს, ის უძლეველი ჰგონია (აკაკი). არყოფნა სჯობს მაშინ ყოფნას, როცა მეფობს მრუდე ძალა (აკაკი).

29. სადაც მოსახერხებელია, მოცემული ქვეწყობილი წინადადებები გადააკეთეთ შერწყმულ წინადადებებად: იმ მოსწავლეებმა, ვინც აქტიურობა გამოიჩინა ჯართის შეგროვებაში, მადლობა დაიმსახურეს. სადაც შრომაა, ბედნიერებაც იქ არის, თუ მგელმა დაგპატიჟოს, ეწვიე, მაგრამ ძაღლი თან წაიყვანეო. გეოლოგებმა ადგილი შეარჩიეს, სადაც კარავი უნდა გაეშალათ. ფასს დასდებს ბოლოს ქვეყანა, ვისაც რა დაგვითესია (ვაჟა). ყველა მას მოიმკის საშვილიშვილოდ, რაც რომ თვითონვე დაუთესია (აკაკი). მტერი გაშმაგებით იბრძოდა, მაგრამ მდინარის გაღმა პლაცდარმი მაინც ვერ დაიკავა. მიწას თუ გაანაყოფიერებ, კარგ მოსავალს მოგცემს. ბელები, რომელიც მონადირეებმა დაიჭირეს, გაიქცნენ. მიწა მისია, ვინც მას ამუშავებს. რა გინდ ქერქი შეიძროს, გველი აგრეთვე გველია (ილია).

30. მოცემული ქვეწყობილი წინადადებები გადააკეთეთ თანწყობილად: გაკვეთილები დამთავრდა თუ არა, ბავშვებმა შინისკენ

მოკურცხლეს. ფეხბურთელმა მსაჯს უხეში სიტყვებით მიმართა, რისთვისაც ის მოედნიდან გააძევეს. წასვლა ვერ მოხერხდა, რადგანაც გაწვიმდა. წველადობამ იმატა, რადგან ძროხების მოვლა გაუმჯობესდა. ბალახი ადრე გადახმა, რადგანაც გვალვა დაიჭირა. ელინო ფიქრებში ისე იყო გართული, რომ ჩვენი ნათქვამი არც კი ესმოდა. არსენა გახარებული იყო, რადგანაც იღბლიანი თევზაობა ჰქონდა. ირინეს ძილი მოერია, რადგანაც დაღლილი იყო. რაკი ღამე იყო ბნელი. მგლები მეტად გააქტიურდნენ.

31. შესაძლებლობის მიხედვით მოცემული წინადადებები გადააკეთეთ მარტივ, შერწყმულ და ქვეწყობილ წინადადებებად: დაღამდა და მთვარემაც ამოანათა. კარი გაიღო და სტუმრებიც შინ შემოვიდნენ. მერცხლები მოფრინდნენ, დანარჩენი ფრინველებიც თან მოჰყვნენ. შემოდგომა მიიწურა, ხეზე ფოთლები გაყვითლდა, ფრინველთა ჭიკჭიკიც შეწყდა, არემარე სიჩუმემ დაისადგურა. ოთხმა საათმა დაჰკრა და შეტევაც დაიწყო. მამალმა იყივლა გათენება გვაუწყა. მოსაღამოვდა და ილიჩის ნათურები აკიაფდნენ. ზამთარი დადგა, მაგრამ თოვლი არ ჩანდა. ზღვა აღელდა. ბანაობაც შეწყდა.

32. მოცემული მარტივი წინადადებები გადააკეთეთ სხვადასხვა სახის წინადადებებად: ძროხის ბღავილზე მწყემსები კარვიდან გარეთ გამოვარდნენ. წყლის დასალევად მოსული ხბო ნიანგმა იმსხვერპლა. ლომის ღრიალის გაგონებისთანავე ჯუნგლების ბინადარნი აქეთ-იქით გაიფანტნენ. ბომბათმშენების გამოჩენისთანავე საზენიტო არტილერიამ ცეცხლი გახსნა. უხალისოდ ჩატარებულმა მოხსენებამ ბევრი მსმენელი დააძინა. ზვიგენების გამოჩენამ ზღვის ბინადართ შიშის ზარი დასცა. ტრამვაის მოძრაობის შეწყვეტის გამო ბევრს დააგვიანდა სამსახურში. მძიმე გეოლოგიური პირობების მიუხედავად გვირაბთმშენებმა მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ქორის შიშით წიწილებს გარეთ არ უშვებდნენ. გასული წლის ყინვებმა ვენახს ზიანი მიაყენა. მამლის ყივილზე გოგიას გაეღვიძა. კოლმეურნეობა უკვე შეუდგა მოსავლის დროულად აღებისათვის მზადებას. კატის კნავილის გაგონებისთანავე თაგვები გაიქცნენ. ყანას შეჩვეულმა კურდღლებმა ლობიო არ დააყენეს. სახლის წინ მდგარი დიდი ხე ქარმა წააქცია.

ნიმუშისათვის: ა) აცივებისთანავე მერცხლები გაფრინდნენ — სიცივე დადგა და მერცხლები გააფრინა. სიცივე დადგა და მერცხლები გაფრინდნენ. სიცივე დადგა თუ არა, მერცხლები გაფრინდნენ. რა რომ სიცივე დადგა, მერცხლები გაფრინდნენ, რადგანაც აცივდა, მერცხლები გაფრინდნენ. მერცხლები გაფრინდნენ, როცა

აცივდა. რაკი აცივდა. მერცხლები გაფრინდნენ; ბ) მზის ამოსვლისთანავე არემარე გათბა — მზე ამოვიდა და არემარე გაათბო. მზე ამოვიდა და არემარე გათბა. რაკი მზე ამოვიდა, არემარე გათბა. როცა მზე ამოვიდა არემარე გათბა. მზე ამოვიდა თუ არა, არემარე გათბა... გ) რემონტის გამო საავადმყოფო დაკეტილია — საავადმყოფოს რემონტს უკეთებენ და დაკეტეს. საავადმყოფო დაკეტილია, რადგან რემონტი უკეთდება. საავადმყოფოში რემონტი მიდის, ამიტომ დაკეტილია. რემონტი დაიწყეს თუ არა, საავადმყოფო დაკეტეს. საავადმყოფო, რომელსაც რემონტი უკეთდება, დაკეტილია... დ) აპრილის შუა რიცხვებში მზის დაცხუნების შედეგად თოვლს ნაკადულებად დაწურვამ ღელეები აახმაურა — აპრილის შუა რიცხვებში მზემ ისე დააცხუნა, რომ თოვლი ნაკადულებად დაწურა და ღელეები აახმაურა (ეითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება). აპრილის შუა რიცხვებში მზემ რომ დააცხუნა, თოვლი ნაკადულებად დაიწურა და ღელეები ახმაურდა (მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება). აპრილის შუა რიცხვებში მზემ დააცხუნა, თოვლი ნაკადულებად დაიწურა, ღელეები ახმაურდა (რთული თანწყობილი წინადადება). აპრილის შუა რიცხვებში მზემ დააცხუნა, თოვლი ნაკადულებად დაწურა და ღელეები აახმაურა (შერწყმული წინადადება).

33. მოცემული რთული ქვეწყობილი წინადადებები გადააკეთეთ მარტივ, თანწყობილ და შერწყმულ წინადადებებად: ცოდნა, რომელიც არ ივსება, თანდათან კლებულობს. სადაც მგელი ბინადრობს, შველი ვერ გაიხარებს. მგელი რომ ახსენეს, ბავშვს შეეშინდა. ისიდორემ მორევში ანკესი ჩაუშვა თუ არა, მაშინათვე კალმახი ამოჰყვა. გვიანი იყო, როცა მაყრები მოვიდნენ. თუ მონდომება, ინტერესი და პასუხისმგებლობა იქნება, ადამიანი თითქმის ყველაფერს გააკეთებს. თოვლი დადნა თუ არა, ბალახიც წამოვიდა. რადგან პირობა მიგიცია, უნდა შეასრულო.

34. ნაკარნახევიდან მხოლოდ ქვეწყობილი წინადადებები ჩაიწერეთ (ამოკრეფითი კარნახი): წყალნი წაღლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო. მამლის საჯდომი თუ იცის, მეტი რა უნდა მელასა (ვაჟა). ის იცინის კარგად, ვინც ბოლოს გაიცინებსო (ილია). ემჩნეოდა, რომ დაღლილი იყო. ხეს ვერ გაზრდი იმ დროზედ ადრე, რაც ბუნებას დაუნიშნავს (ილია). სადაც ვარდი ამოდის, იქ ეკალიც სთესია (აკაკი). ცხაკაია, ანუ როგორც წინათ იტყოდნენ „ახალი სენაკი“, ამჟამად დიდი ქალაქია. ტყის პირას კარავი იდგა, სადაც ხისმჭრელები ცხოვრობდნენ. სარდიონს დაესიზმრა, თითქოს ახრჩობდნენ. ნიკოლოზზე ვერც ხვეწნამ, დაყვავებამ იმოქმედა,

ვერც დაყვირებამ გამოიღო ნაყოფი. გინდ მე გავაფრთხილებ. გინდ შენ გაუარე და შეატყობინე. დაინახა, რომ კლდიდან ძროხა ჩამოვარდა. რაც უნდა პატარა იყოს სამშობლო, პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავს (ილია). გურამი მიხვდა, რომ საქმე ცუდად მიდიოდა. სასტიკ გაკიცხვას იმსახურებს ის, ვინც საზოგადოებრივ საქმეს გაურბის. ხან გამოიდარებს და მუშაობას შეუდგებიან, ხან გაწვიმდება და ყველანი კარავში შეაფარებენ თავს. რა ქნას კარგმა მონარდემა, დროზედ შაში თუ არ მოვა (ილია). კოდალა სასარგებლო ფრინველია, ჭია-ღუას ანადგურებს. ისაკი, რომელმაც ნაკრძალში ჯიხვი მოკლა, ვირის აბანოში მიაბრძანეს. დღე იყო, მაგრამ დაბურულ ტყეში მაინც ბნელოდა. ვინც გარბოდა, ძაღლიც მას გამოეკიდა. ვირმა ისე დაიყოყინა, რომ ჩიტებიც კი დაფრთხნენ. ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ ძალა აღმართის მხვნელია (ილია).

35. მოცემული წინადადებების მთავარ წინადადებებად გამოყენება და მათთვის მითითებული სახის დამოკიდებული წინადადების შერჩევა: ის მოვიდა,... (ქვემდებარული). კედლები იმათ შეელესათ... (ირიბდამატებითი). ისეთი თოვლი მოვიდა, ... (განსაზღვრებითი). რა შემთხვევაში შეიძლება წარმატების მოპოვება,... (პირობითი დამოკიდებული). ბულბულის გალობა მაინც გაგამხიარულებს, ... (დათმობითი დამოკიდებული).

36. საჭიროების მიხედვით მოცემული წინადადებები გამართეთ სტილისტიკურად მათში შეცდომათა გასწორებით: შვილიც ისეთია, როგორიც არის მამა. დამთავრდა სოფლის მასწავლებელთა სახლის მშენებლობა, რომელ სახლშიც 4 მასწავლებელი უნდა შესახლდნენ. მელა გამწარებული დარბოდა, რათა რომ საკბილო ეშოვნა. თოფი არ გავარდა იმისათვის, რომ იგი დაჟანგული იყო. ომის ვეტერანი, რომელსაც ბევრი ორდენები და მედლები უმშვენებდნენ მკერდს, საზეიმო სხდომაზე მოგონებით გამოვიდა. ბავშვები კაპიტალისტურ ქვეყნებში ისეთი მზრუნველობით არ არიან გარემოსილნი, როგორც ჩვენში. ბინდის ჩადრით შეიმოსა ტყე და ფოცხვერები და ტურები აჩხავლდნენ. პირველობას მოიპოვებს მოჭიდავე, რომელიც ფიზიკურად ძლიერი, მოქნილია და ტექნიკასაც კარგად არის დაუფლებული. როგორც ცნობილია, გაზაფხული მდიდარია მოვლენათა სიმრავლით. სანამ არ დაღამდა, მანამდინ მუშაობა არ შეუწყვეტია. ისე არეულად ლაპარაკობდა, იფიქრებდი, რომ მთვრალიაო. სანამდინ წვიმა მოვიდოდა, გვალვამ თესლის ამოსვლა შეაჩერა. ქარმა ხეს ის ტოტი მოტეხა, რომელშიც ყვავი იჯდა. მებაღე ბაღში მიწას ბარით ბარავს და ასე დაბარულ მიწაში ბოსტნეული დაითესება. მარიამმა, რომელიც მათემატიკას ასწავლის, დამსახუ-

რებული მოწონება დაიმსახურა. ვიყავით ა. წერეთლის მუზეუმში, რომელმან დიდი შთაბეჭდილება დაგვიტოვა. არ ვივიწყებთ ყველა იმათ, რომელთაც სამშობლოს თავი შესწირეს. სიმინდის ყანას გათოხნა მანამდე უნდა, სანამ სარეველა ბალახი წამოიზრდებოდეს. მოსწავლემ წარმატებას მიაღწია, რომელი წარმატებაც მას სურდა. ინგას ის წიგნები აჩუქეს, რომელი წიგნებიც მას უკვე ჰქონდა. მან უთხრა მას, რომ ის მივიდეს მასთან და დაეხმაროს. მეორე დღეს რომ გათენდა, მეცხვარეები გზას გაუდგნენ. საუბარი დიდი დრო გაგრძელდა, რომელმაც ვერაფერი შედეგი ვერ მოიტანა. მასწავლებელთა თათბირი გაიმართა, რომელშიც მოხსენება გააკეთა რაიონის ინსპექტორმა რაიონის სკოლების მუშაობის შესახებ რაიონში. გაიელვა თუ არა, მე შიშმა გამიტაცა. მთაზე რომ ავედით, ჩვენს წინ დიდებული სანახაობა გადაიშალა. მანქანებმა, რომელნიც ბოსტნეულით იყო დატვირთული, გეზი ქალაქისკენ აიღეს. მთვარეზე ყველა საგანი ექვსჯერ მსუბუქია, ვიდრე დედამიწაზე, რადგან მთვარეზე მიზიდულობის ძალა ექვსჯერ ნაკლებია, ვიდრე დედამიწაზე. ვერ შეგიყვარებ, ბოროტო, რაც უნდა მეჩვენო კარგადა (ვაჟა). ჩვენი ვალია ის, რომ ჩვენ კარგად მოვუაროთ ჩვენს ტყეს.

37. მოცემული რთული ქვეწყობილი წინადადებების სქემის მიხედვით გამოხატვა: როგორც დაიგებ, ისე დაისვენებო. სანამ შეხვიდოდე, გამოსვლაზე იფიქრეო. თუ თავი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები. ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო. სამი საათი იყო, როცა მთის მწვერვალზე ავედით.

ვარჯიშობანი პირდაპირი და ირიბი ნათქვამის სწავლებაში

1. წინადადებები დაამთავრეთ და საჭიროების მიხედვით სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკები (— — ო, —თქო // თქვა — მეთქი) გამოიყენეთ: 1) შოთამ თქვა: ... 2) ძველთაგან თქმულა: ... 3) ხალხი ამბობს: ... 4) გურამი საბჭოთა არმიის რიგებიდან იწერება: ... 5) ... — გვითხრა კლასის ხელმძღვანელმა; 6) — ... უბრძანა დედამ შვილს; 7) ...? — ჰკითხა ელისომ სტუმარს; 8) ... — დაატანა სიტყვა; 9) ჰკადრა: ...; 10) მივაძახე...; 11) ხომ გითხარი, ... 12) ხომ შეგპირდი, ...; 13) აკი შემოგითვალე, რომ ...; 14) მოგვესალმა და გვითხრა: ...; 15) მოახსენეთ, რომ ...; 16) ნახეთ და უთხარით: ...; 17) გადაეცი, რომ ...; 18) ..., დანანებით თქვა და უკან გაბრუნდა; 19) ... — დაიძახა იამზემ; 20) ... — შეეკითხა პიონერხელმძღვანელი;

21) როგორ გადაწყვიტეთ ეს საქმე? ...; 22) ექიმმა დააროგა, რომ ...; 23) შემოუთვლია, რომ ...

2. გეთანხმები-მეთქი, მოვალ-მეთქი, მოიტანე-მეთქი, დავისვენოთ-მეთქი, დაგინახე-მეთქი, მოვიდა-თქო, გაგიშვებ-თქო, იყო-თქო, დავიჭირო-მეთქი, მივიღე-თქო, ვიშოვე ეს წიგნი-თქო! კარგად არის-თქო, ტყუილია-თქო, ვერაფერს გაიგებ-მეთქი, არ შეშინდეს-მეთქი, სოფელში ჩავალ-თქო — სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები.

3. ეკითხე, შეეხვეწა, მითხრა, ეტყოდა და ხოლმე, შეჰკივლა, მართალი უთქვამთ, ამბობენ, განაცხადა, თავის შორს დაიჭირა, გუნებაში ვთქვი, ნათქვამია, ვიფიქრე, გადაეცი, თქმულა, დავიბარე, რომ..., გაჯავრდა, ბრძანა, მიმართა, სთხოვა, წარმოსთქვა — სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

4. მოცემული ირიბი ნათქვამები შეცვალეთ პირდაპირ ნათქვამებად: აქლემმა თქვა, რომ და დააჩოქებდნენ, ქვეყანას აიკიდებდა, კამეჩმა თქვა, რომ ქვეყნის დანგრევის ეშინია, თუ არა ისე გაიქცეოდა, ფრინველიც ვერ დაეწეოდა. დათვს უთქვამს, რომ, ღმერთო, ჩემს ძმას ნუ შემახვედრებ და თუნდა სხვა შვიდი შემხვდესო. ნათქვამია, რომ დროზე მთესველი, დროზე მოიმკისო. ხალხი ამბობს, რომ რასაც დათესავ, იმას მოიმკიო. თქმულა, რომ ტრაბახი უგვანო კაცის საქმეა. იტყვიან, რომ მშიშარა მეგობარი მტერზე უარესიაო. გაზეთები იტყობინებიან, რომ რესპუბლიკამ ივნისის თვის ჩაის კრეფის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. შოთას თქმით ქალი და კაცი თანასწორია. ამბობენ, რომ ტყუილის მთქმელს მართალსაც არ დაუჯერებენო. ტყუილად როდი იტყვიან, რომ კარგი წიგნი ადამიანის მეგობარიაო.

5. პირდაპირი ნათქვამი ირიბად გადააკეთეთ: კოკამ თქვა: ცხენი არ მყავს, მაგრამ ფეხით არ მივლიაო. მამალმა თქვა: მე კი ვიყივლებ და — თუნდა გათენდეს და თუნდა არაო. არწივმა ბრძანა: ყვავი დასაჯეთ! გოგიას შერცხვა და ჩუმად ჩაილაპარაკა: ეს რა მომსვლიაო! ხაფანგში გაბმული მელა იძახდა: თუ მთელი ქათამი არ მომეცით, ბარკალს არ დავჯერდებიო. ვირმა თქვა: ბედაურებში ერთი მეც გავიჩაქჩაქებო. ვალს უთქვამს: კარის ჭრუჭრუტანიდან შეძვრები და კარებში ვეღარ გამოვეტევიო. თევზმა თქვა: ცურვა კარგი ვიცოდი, მაგრამ ანკესმა ფრთა მომგლიჯაო. ურემს უთქვამს: ალმართში მომაშველეთ ხარი, დაღმართში მეც დავგორდებიო. იტყვიან ხოლმე: ზოგი ჭირიც მარგებელიაო. „ზარმაცისათვის ყოველდღე უქმეა“ — ამბობს მშრომელი ხალხი. ნიორმა თქვა: ნეტა იმ

კუჭსა, სადაც მე ჩავალ და ვაი იმ პირსა, რომელიც მე შემჭამსო.

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ პირდაპირი ნათქვამი უფრო ემოციური, ცოცხალი და ზუსტია, ვიდრე ირიბი ნათქვამი. პირდაპირ ნათქვამში ხშირად მოიპოვება მიმართვა, შორისდებული; ნაწილაკები, რასაც ჩვეულებრივ ირიბი ნათქვამი მოკლებულია. პირდაპირი ნათქვამის ეს უპირატესობა იმას როდი ნიშნავს, რომ ირიბ ნათქვამს ნაკლებად მივმართოთ. საჭიროების მიხედვით ორივე გამოიყენება, ზოგჯერ ერთს აქვს უპირატესობა, გარკვეულ შემთხვევაში კი — მეორეს. ამას მოსწავლეებს ტექსტზე დაკვირვება, მაგალითების ანალიზები დაანახვებს.

6. მოცემული წინადადებების კარნახით ჩაწერა: ისე ქუხდა, თითქოს ცა ჩამოინგრაო. სწორია-მეთქი! — შევაწიე სიტყვა. ბრმას ნასუფრალი მიუტანეს და უთხრეს: — კარგი სადილი გაქვსო. მან უპასუხა: — გავსინჯავ, სიმსხოს ხელი იცნობს და სიტკბოს ყელიო (ხალხური). ვირმა იჩივლა: თხუთმეტი მუტრუკი გავზარდე, მაგრამ ზურგიდან კურტანი მაინც არ მომცილდაო. ურემს უთხრეს: ურემო, რა გაჭრიჭინებს და — რაც მამძიმებსო. ქალმა თქვა: ნეტა ისეთ ადგილას წამიყვანა, კეთხნით გავძღეო. მელამ მგელს შესძახა: ჰაი, შე უმი ხორცის ჭამიაო. გურულს ჰკითხეს: — საქეო შორს არისო? — რა ვიცი. მამაჩემი ოცდაათი წელიწადია. რაც წასულია, ჯერაც არ დაბრუნებულაო (ხალხური). ხომ გითხარი, წვიმა მოვამეთქი. თხამ თქვა: ნეტავი, ისე გავსუქდე, მგელი დამაჭერინაო. თევზს უთქვამს: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო. ყველას აცნობე, რომ მალე ჩამოვალ-თქო. ლევანს გადაეცი, რომ შენს საქმეზე ვერაფერი გავიგე-თქო. ერთ კაცს ურემი გადაუბრუნდა და თავის თავს რომ ვერ უყო რა, ასე წამოიძახა: ახ, სადა ხარ, პატარა ბიჭო, შენ დაგაბრალებდიო! (ხალხური). ახლა ჩემი წასვლის დრო-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში. ხარმა თქვა: დასაბმელი მიშოვეთ და დასაწოლს მე ვიშოვნიო. ქათამი ჩიოდა: ცხვარი დაკლეს — მე დამაკლეს, ხარი დაკლეს — მე დამაკლეს, ძროხა დაკლეს — მე დამაკლესო. ქალმა თქვა: ზღვას ცეცხლს მოვუკიდებო. ამ ბავშვისაგან კარგი მომღერალი გამოვა-მეთქი. ჩავილაპარაკე ჩემთვის. შვილმა უთხრა დედას: — დედა, ერთი მგელი ჩვენს ხბოს ტყისკენ ეზიდებოდაო, მაგრამ მეორე კი — ჩვენკენაო. — ჩვენთვის, არც ერთი არ ზრუნავდა, შვილოო (ხალხური). იქ დამჭწრეთ ეკითხე, რომ რას გაჩუმებულხართ-მეთქი. თხამ თქვა: ერთი ხის ძირში გავძღები, მაგრამ მწყემსის ჯავრი მჭირსო. ცხვარმა განაცხადა: მე ქვეყანა რომ მოვიარო, მაინც ვერ გავძღები, მაგრამ მწყემსი მებრალებაო. ბაყაყმა ფეხი აიშვირა: მეც ნალი დამაკარითო. აქლემს უთხრეს: კისერი მრუდი გაქვსო და — სხვა რაღა

მაქვს სწორიო. ელაპარაკე რეგვენსო, უბრახუნე კედელსო. ლეჩაქის მქსოველს გოდრის დაწვნა უკვირდაო.

7. ნაკარნახევიდან პირდაპირი ნათქვამი ირიბად შეცვალეთ, ხოლო ირიბი ნათქვამი პირდაპირად გადააკეთეთ და ისე ჩაწერეთ (საკარნახო ტექსტი კოლექტიურად შეადგინეთ).

ორიოდე სიტყვა პუნქტუაციის სწავლების საკითხებზე.[1] პუნქტუაცია წერით მეტყველებას ახლავს. იგი აზრის დანაწევრებას ემსახურება და ამით აადვილებს ტექსტის სწორად წაკითხვას, მისი შინაარსის მართებულად და ნათლად გაგებას. დამწერს სასვენი ნიშნები დიდად ეხმარება აზრის ზუსტად და გასაგებად გადაცემის საქმეში. ამრიგად, პუნქტუაციის ცოდნას ტექსტის სწორად, გამომეტყველებით წაკითხვისა და გაგების, აზრის წერილობით მართებულად გადმოცემის საქმეში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.[2] სწორედ ამიტომ არის, რომ პუნქტუაციას სერიოზული ყურადღება აქვს დათმობილი საშუალო სკოლაში. მისი სწავლება იწყება თავიდანვე, ე. ი. პირველი კლასიდანვე.

როგორც ცნობილია, პუნქტუაცია სინტაქსთან არის დაკავშირებული და, ბუნებრივია, იგი მასთან ერთად ისწავლება.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სასვენ ნიშანს მხოლოდ ერთი ფუნქცია აქვს დაკისრებული, ზოგი კი რამდენიმე მნიშვნელობას გამოხატავს (მაგალითად, მძიმე, ორწერტილი, ტირე, ძახილის ნიშანი და სხვ.). ეს კი საგრძნობლად ართულებს პუნქტუაციის სწავლებას.

ქართულში სასვენი ნიშნები VI საუკუნიდან გვხვდება. XI საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩენილ ქართველ მეცნიერს — ეფრემ მცირეს სასვენი ნიშნების გარკვეული სისტემა შეუმუშავებია და უცდია მისი თეორიული კომენტარების მოცემაც. თუმცა მისივე განცხადებით, სასვენი ნიშნების სისტემა მასზე ადრე გიორგი მთაწმინდელს შეუქმნია, მაგრამ ამაზე სათანადო ფაქტები აღარ მოგვეპოვება. შემდეგში სასვენი ნიშნების ტრადიციული სისტემის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა სულხან-საბა ორბელიანმა, აღსანიშნავია ანტონ პირველის ღვაწლიც.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ქართული სასვენი ნიშნები რუსული პუნქტუაციის გავლენაში მოექცა, რამაც რამ-

---

1. დაწვრილებით ამ საკითხზე ქართულ ენაზე იხილეთ: ვ. რამიშვილი, პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა, 1954.

2. პუნქტუაციას დამატებითი მნიშვნელობაც აქვს. ესაა წინადადებათა ურთიერთდამოკიდებულების აღნიშვნა, სემანტიკური ნიუანსების შეტანა ტექსტში, წინადადებისათვის სტილისტიკური იერის მიცემა და სხვ.

დენადმე გაუარესება და დამახინჯება შეიტანა სასვენი ნიშნების ხმარებაში. ეს იმიტომ მოხდა, რომ ანგარიში არ ეწეოდა ქართული ენის სპეციფიკას. მის თავისებურებებს.

ცნობილია, რომ ს. გორგაძემ სცადა ქართული ენის პუნქტუაციის რეფორმა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგანაც მაშინდელი ენათმეცნიერების განვითარებისა და პუნქტუაციის მეცნიერულად შესწავლის დონე ამის საშუალებას არ იძლეოდა. როგორც ქართული ენის, ისე ქართული პუნქტუაციის მეცნიერულად შესწავლის საქმე ოქტომბრის რევოლუციამდე ბედის ანაბარად იყო მიტოვებული და მხოლოდ ცალკეულ ენთუზიასტთა ხელშეწყობით მიიკვლევდა გზას, საბჭოთა პერიოდში იგი სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი გახდა. ამჟამად ქართული სასვენი ნიშნების სისტემა მეცნიერულ საფუძველზეა დამყარებული, თუმცა, უნდა ითქვას, რომ საკვლევი დასაზუსტებელი და დასადგენი საკითხებიც ჯერ კიდევ საკმაოდ მოიპოვება.

როგორც წესი, პუნქტუაციაც განვითარების კანონს ექვემდებარება. იგი ცვლილებას განიცდის როგორც გრაფიკული, ისე ფუნქციის მხრივაც. თავდაპირველი სასვენი ნიშნები და მათი ფუნქციები მთლად ისეთი არ იყო, როგორიც იგი დღეს არის. მსგავსად ორთოგრაფიისა, პუნქტუაციაშიც რეფორმას დიდი ადგილი უჭირავს.

საყურადღებოა, რომ პუნქტუაციის სწავლებაში დიდ სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი. იმისდა მიხედვით, თუ რას აღიარებდნენ პუნქტუაციურ ჩვევათა საფუძვლად, ამის შესაბამისად მეთოდიკაში იქმნებოდა სხვადასხვა მიმდინარეობა. ერთნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ პუნქტუაციის საფუძველი მხოლოდ სინტაქსია. ამიტომ მისი სწავლება სწორედ სინტაქსს უნდა ეყრდნობოდეს; მეორენი აღიარებდნენ. პუნქტუაცია ინტონაციასა და პაუზაზეა დამოკიდებული, ამიტომ სასვენი ნიშნების სწავლება წარმოთქმას უნდა ეფუძნებოდეს; მესამეთა შეხედულებით, პუნქტუაცია და ინტონაცია აზრის გამოხატვის თანაბარუფლებიანი საშუალებებია, ამიტომ პუნქტუაციის საფუძველს აზრი, ე. ი. გადმოსაცემის ლოგიკური მხარე წარმოადგენს.

მართალია, „ენა აზრის უშუალო სინამდვილეა“, იგი აზროვნების იარაღია, მაგრამ ენასა და აზროვნებას თავიანთი კანონები და წესები აქვს. უფრო მეტიც. რამდენი ენაა, იმდენი სხვადასხვა გრამატიკული წყობა მოგვეპოვება. ერთი და იგივე აზრი შეიძლება სხვადასხვა ენაზე განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციით გადმოიცეს. როგორც აღვნიშნეთ, ერთი ენის ფარგლებში ერთი და იგივე შინაარსი შეიძლება სხვადასხვა ტიპის წინადადებით გამოი-

ხატოს. მაგალითად: ა) გაზაფხულის დადგომისთანავე მინდორ-ველი აყვავილდა; ბ) დადგა გაზაფხული და მინდორ-ველი ააყვავა; გ) დადგა გაზაფხული და მინდორ-ველი აყვავილდა; დ) რა რომ გაზაფხული დადგა, მინდორ-ველი აყვავილდა. როგორც ვხედავთ. ერთი და იგივე აზრი გადმოცემულია მარტივი, შერწყმული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებებით. ამიტომ მხოლოდ წინადადების შინაარსის მიხედვით სასვენი ნიშნების სწავლება გარდუვალად დიდ დაბრკოლებას შექმნის.

როგორც აღვნიშნეთ, ხშირად სასვენი ნიშანი ერთი და იგივეა, ხოლო აზრი კი — სხვადასხვა. მაგალითად, ძახილის ნიშანი დაისმის სხვადასხვა შინაარსის წინადადების ბოლოს. ასევე ითქმის მრავალწერტილზე, მძიმეზე, ორწერტილზე, ბრჭყალებზე და სხვ. ამიტომ „პუნქტუაცია ლოგიკის კატეგორიებს კი არ ემყარება. არამედ ენის აგებულების, სტრუქტურის შემსწავლელ მეცნიერებას ეყრდნობა, ვინაიდან მას (პუნქტუაციას) უშუალოდ ენასთან, წერილობითი გამონათქვამის აგებულებასთან აქვს საქმე".[1]

ინტონაცია და პაუზა ვერ დაედება საფუძვლად სასვენ ნიშნებსა და მის სწავლებას. მართალია, რიგ შემთხვევაში ისინი გვეხმარებიან. მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მათზე დაყრდნობით სასვენი ნიშნების დასმა და დანერგვა სუბიექტივიზმსა და არევ-დარევას შეიტანს პუნქტუაციასა და მის სწავლებაში. სასვენი ნიშნების სწავლების ინტონაციური თეორიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია ა. პეშკოვსკი. ამ თეორიის გამოვლენებს ვხვდებით ი. ფერაძისა და ი. სიხარულიძის ქართული ენის სახელმძღვანელოში („ენის დაკვირვება").

ინტონაცია და პაუზა ხშირად სასვენ ნიშანს რომ არ ემთხვევა, ამისი შემთხვევა უამრავია. მაგალითისათვის ავიღოთ ქართული ლირიკის საუკეთესო ქმნილება „მერანი". როგორც ვიცით. ნ. ბარათაშვილმა მწვავედ განიცადა საუკუნეთა განმავლობაში მამა-პაპათა სისხლით. გმირობით შენარჩუნებული ეროვნული თავისუფლების დაკარგვა. კოლონიზატორთა, ბიუროკრატ მოხელეთა თავგასულობა. ეროვნების ბურჯის — მშობლიური ენის აბუჩად აგდება, 1932 წლის შეთქმულების მონაწილეთა დარბევა. ერის რჩეულთა გადასახლება. ამას დაემატა პირადი ცხოვრებით გამოწვეული უკმაყოფილებაც. მაგრამ პოეტი როდი ურიგდება დროის სიავესა და უკეღმართობას, როდი იხრის ქედს და ეძლევა სასოწარკვეთილებას. არამედ სასტიკ პროტესტს უცხადებს მას, იგი ებრძვის წყდი-

---

1. ვ. რამიშვილი, პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა, 1954, გვ. 15.

ადს, სიბნელეს, ელტვის უსაზღვროებას, მთელი არსებით უპირისპირდება არსებულ ვითარებას, რათა დაამხოს ბედის ბორკილი:

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!
გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდიარე კლდენი,
და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემომოკლე მოუთმენელსა
სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა,
ნუცა ავდარსა...

სასვენი ნიშნების მიუხედავად, შინაარსი ისეთია, რომ არსად არაა პაუზა საჭირო, ტექსტი სწრაფი ტემპით, შეუჩერებლად წაკითხვას მოითხოვს.

პოეტს სწამდა, რომ მის მიერ გათელილი, მედგარი ბრძოლით გაკვალული უვალი გზა მომავალ თაობას დარჩება და გაუადვილებს სამშვიდობოს გასვლას, თავისუფლების მოპოვებას:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის
სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო,
მაინც დარჩება:
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა
გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ
გამოეკრულდეს!...

დრამატიზმი აქ შედარებით შენელებულია და ამის გამო ტექსტის წაკითხვა ნელი ტემპით უნდა წარიმართოს. თითოეულ სიტყვასთან პაუზაა საჭირო, მიუხედავად იმისა, რომ სასვენი ნიშანი ყველა სიტყვასთან როდი გვაქვს.

ამრიგად, ერთსა და იმავე ნაწარმოებში ზოგ ადგილას პაუზა სულაც არ არის საჭირო იდეური შინაარსის კარნახით იქაც. სადაც სასვენი ნიშანი გვაქვს და, პირიქით, ზოგან პაუზა ყველა სიტყვასთან გვაქვს, განურჩევლად იმისა, ახლავს სასვენი ნიშანი თუ არა. ყველაფერი ეს დამოკიდებულია ტექსტის იდეურ შინაარსზე, ავტორის განცდასა და განწყობილებაზე, მის შეხედულებაზე. აღსა-

ნიშნავია ისიც, რომ, პროზისაგან განსხვავებით, ლექსი საჭიროებს ე. წ. რიტმულ პაუზასაც. ყოველი სტრიქონის ბოლოს ვჩერდებით, განურჩევლად იმისა, დამთავრებულია თუ არა წინადადება, ახლავს თუ არა სასვენი ნიშანი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ინტონაციასა და პაუზაზე დაყრდნობით სასვენი ნიშნების საკითხი ვერ მოგვარდება. მაგრამ ხელაღებით მათი უარყოფა, უგულებელყოფა დიდი შეცდომა იქნება. ინტონაციისა და პაუზის წესების ცოდნას გარკვეული მნიშვნელობა აქვს პუნქტუაციის შესათვისებლადაც. თავის მხრივ პუნქტუაციის ცოდნაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის გამომეტყველებითი კითხვის დაუფლებისათვის.

მართალია, პუნქტუაციის საფუძველი სინტაქსია, მაგრამ თვითონაც როდი რჩება ვალში, იგი თავის მხრივ ხელს უწყობს ენობრივი მოვლენების, კერძოდ, სინტაქსური კანონების, წესების გაცნობიერებასა და შეთვისებას.

მხედველობაში უნდა მივიღოთ პუნქტუაციის შეთვისების ერთი თავისებურება. როგორც ცნობილია, ორთოგრაფიაში ჩვევის შეძენა ნიშნავს იმ მდგომარეობამდე ასვლას, როცა დამწერი არ ფიქრობს ორთოგრაფიულ წესებზე, არ სჭირდება მისი გახსენება. მოქმედებს ავტომატურად, გონების დაძაბვის გარეშე. ასე როდი ითქმის სასვენი ნიშნების სწორად დასმის ჩვევებზე. ყოველი სასვენი ნიშნის დასმისას დამწერმა უნდა გაითვალისწინოს და გააანალიზოს მასალის ლოგიკურ-სინტაქსური წყობა (წინადადება აგებულებითა და შინაარსით, მისი ელემენტები და შეხამებანი) და მის საფუძველზე გადაწყვიტოს საჭირო სასვენი ნიშნის დასმა. წერის პროცესში წინადადების ჩამოყალიბებისთანავე უნდა გაირკვეს მისი სინტაქსური კონსტრუქცია და სასვენი ნიშნის დასმის საკითხიც. სასვენი ნიშნის შეგნებულად დასმა მხოლოდ წინადადების დაწერის პროცესში (მაშინათვე) არის შესაძლებელი და არა მასალის დაწერის შემდეგ. ამრიგად, წინადადების კონსტრუქციისა და სასვენი ნიშნის გააზრება ერთდროულად უნდა წარმოებდეს. თუ წერის შემდეგ სვამს სასვენ ნიშანს დამწერი, ეს მექანიკური პროცესია და იგი მტკიცე ცოდნის უქონლობის მანიშნებელია. მაშასადამე, თუ ორთოგრაფიული ჩვევის შემთხვევაში ავტომატურ პროცესთან გვაქვს საქმე, ყოველი სასვენი ნიშნის დასმისას და აზროვნების აქტივიზაცია აუცილებელია (ამასთანავე საჭიროა დასაწერი წინადადების ჩუმად, გონებით „წაკითხვა“ შესაბამისი ინტონაციის გათვალისწინებით, აკუსტიკური გახსენებით). მაგრამ სათანადო ვარჯიშის შედეგად შესაძლებელი ხდება აზროვნების სწრაფად, თითქმის შეუმ-

ჩნევლად წარმართვის უნარ-ჩვევის შეძენა. ამრიგად, ვარჯიშობათა გზით შეძენილი ცოდნა-ჩვევანი პუნქტუაციის შემთხვევაში არ ქმნის ავტომატიზებულ მდგომარეობას, მაგრამ ძალიან აადვილებს გონებრივ მუშაობას, სასვენ ნიშანს თანმხლებ აზროვნებით პროცესს ხდის სწრაფსა და მოქნილს.

პუნქტუაციის სწავლებაში გამოიყენება: თხრობა, საუბარი, წიგნზე მუშაობა, პუნქტუაციური გარჩევა, სინტაქსურ-პუნქტუაციური გარჩევა, თვალსაჩინოება, შედარება-შეპირისპირების ხერხი, სხვადასხვა სახისა და შინაარსის ვარჯიშობანი (კარნახით წერა, უსასვენნიშნებო ტექსტის გადაწერა, ზეპირად წერა, სასვენი ნიშნები არასწორად დასმული ტექსტის გასწორება და გადაწერა, პატარა მოცულობის გაბმული ტექსტის შედგენა, მასში მითითებული ტიპის წინადადებების მაქსიმალურად გამოყენებით და სხვ.), წერითი ნამუშევრების გასწორება, სასვენი ნიშნების გამომეტყველებით წაკითხვა, ტექსტის ინტონაციური ანალიზი და სხვ.

პედაგოგიური პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი

მომავალი პედაგოგის აღზრდის საქმეში პედაგოგიურ პრაქტიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. არსებითად აქ წარმოებს ახალგაზრდა მასწავლებლის ჩამოყალიბება, საჭირო ჩვევებით მისი აღჭურვა.

როგორც ცნობილია, პედაგოგიური პრაქტიკა მრავალი სახის სამუშაოს მოიცავს. მაგრამ მათ შორის ყველაზე მთავარი მაინც საცდელი გაკვეთილისათვის მზადება, მისი გადაცემა, მისი ანალიზი და შეფასებაა. ეს გასაგებია. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ყველაზე გავრცელებულ, ყველაზე მთავარ ფორმად სწორედ გაკვეთილი ითვლება. მოსწავლეთა აღზრდა მეცნიერებათა საფუძვლებით და პრაქტიკული ჩვევებით მათი შეიარაღება არსებითად სწორედ გაკვეთილზე წყდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საცდელ გაკვეთილებს ყველაზე მეტი სარგებლობა მოაქვს პრაქტიკანტი სტუდენტებისათვის. უმთავრესად აქ იძენს იგი მისთვის საჭირო პედაგოგიურ ჩვევებს, აქვე იგებს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციალობისა და პედაგოგიური ციკლის მეცნიერებათა საფუძვლიან ცოდნას, ფართო განათლებას.

ხაბჭოთა სკოლაში ახალი ეტაპი დაიწყო. დღეს იგი ახალი — უფრო გართულებული პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობს. ცვლილება მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებამ გამოიწვია. თანამედროვე მასწავლებელი მეტად რთუ-

ლი ამოცანების წინაშე დგას. იგი ღრმა ცოდნასა და განათლებასთან ერთად შემოქმედებითი მუშაობის უნარითაც უნდა იყოს აღჭურვილი. თუ უწინ მასწავლებლისათვის შემოქმედებითად მუშაობა სასურველ. სასახელო საქმედ ითვლებოდა და ერთეულთა ხვედრს წარმოადგენდა, დღეისათვის იგი უკვე კანონად, სავალდებულო მოვლენად გადაიქცა. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ბავშვი განვითარების სულ უფრო სხვა დონეზეა, ვიდრე მისი თანატოლები 30 თუ 40 წლის წინათ იყვნენ. რადიოს, კინოს, ტელევიზიისა და ინფორმაციის გავრცელების სხვა წყაროების მიხედვით ისინი უფრო საზრიანი, გათვითცნობიერებული და განათლებული არიან. გაიზარდა მათი სულიერი მოთხოვნები, გემოვნება, გატაცება, ინტერესებიც მრავალფეროვანი გახდა. მათთან მუშაობა, მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება მასწავლებლისაგან ღრმა ცოდნას, ფართო განათლებასა და დახელოვნებას მოითხოვს.

პედაგოგიური პრაქტიკისათვის, კერძოდ, საცდელი გაკვეთილისათვის მზადებასაც ემსახურება საკურსო საგნების მაღალ დონეზე ჩაბარება. მაგრამ ეს საკმარისი როდია. უდავოდ მისასალმებელია, რომ სტუდენტი ფრიადოსანი ან კარგოსანი იყოს. გამოირჩეოდეს ბეჯითი სწავლითა და კარგი ყოფაქცევით. ამით დაკმაყოფილება მაინც არ შეიძლება. სტუდენტი — განა მხოლოდ გამუდმებით წიგნებზე მუშაობას და კარგად სწავლას ნიშნავს. იგი აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული უმაღლესი სასწავლებლის მჩქეფარე ცხოვრებაში. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეცნიერო მუშაობაში, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და სხვა მუშაობაში. შემჩნეულია, რომ დასახელებულ სამუშაოებში გაწაფული სტუდენტი ადვილად ასრულებს პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებულ დავალებებს.

პედაგოგიური პრაქტიკისათვის სტუდენტთა მომზადებას ემსახურება ე. წ. საინსტრუქტაჟო თათბირი (შესავალი კონფერენცია), რომელიც საბაზო სკოლაში წასვლის წინ ეწყობა ინსტიტუტში.

პედაგოგიური პრაქტიკის პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტის ჩაცმა-დახურვას, გარეგნული მხარის მოწესრიგებას. უცნაური მოდებით გატაცება, სამკაულებით მორთვა სტუდენტს არ შეეფერება. მაგრამ უბრალო, ლამაზად, კოხტად. მოხდენილად შეკერილი ტანისამოსის ტარება, წესიერი ვარცხნილობა მას აუცილებლად მოეთხოვება. პრაქტიკანტ სტუდენტს ნუ დაავიწყდება, რომ მას ბაძავენ მოსწავლეები და ამიტომ ჩაცმითა და ვარცხნილობით მართლაც მისაბაძი უნდა იყოს.

როგორც წესი, საცდელი გაკვეთილების გადაცემამდე ტარდება

ე. წ. დაკვირვებითი პედაგოგიური პრაქტიკა. მისი ხანგრძლივობა მეტად მოკლეა, მაგრამ გასაკეთებელი, შესასრულებელი სამუშაოები მეტად ვრცელი და მრავალფეროვანია. სტუდენტს დაძაბული მუშაობა მართებს, რომ დაძლიოს ეს სამუშაოები და წარმატება მოიპოვოს. სამწუხაროდ, ზოგიერთი სტუდენტი ვერ ახერხებს დროის რაციონალურად განაწილებას და დაკვირვებითი პრაქტიკა ისე გაივლის, რომ შეუსრულებელი სამუშაოები უფრო მეტი აღმოჩნდება. ვიდრე გაკეთებული, ვიდრე დამთავრებული...

პრაქტიკანტ სტუდენტს მართებს ერთგვარი სიფრთხილე, რათა რასაც ნახავს, რასაც მოისმენს, ყველაფერი არ მიიღოს ბრმად, ანგარიშმიუცემლად, არ მიიჩნიოს მისაბაძად, ფაქტი, მოვლენა მრავალმხრივ უნდა აწონ-დაწონოს, კითხოს მცოდნესაც და ისე გადაწყვიტოს ამა თუ იმ გამოცდილების მიღების თუ უარყოფის საკითხი.

სკოლაში მისვლის პირველი დღიდანვე სტუდენტი ვალდებულია დაიმსახუროს პედაგოგიური კოლექტივის პატივისცემა, სიყვარული და სიმპათია. ამას იგი მოიპოვებს თავაზიანობის, თავისი საქმისადმი პასუხისმგებლობისა და ინტერესის გამოჩენით, კარგი დისციპლინისა და სასკოლო რეჟიმის მოთხოვნების ზუსტად დაცვით. პრაქტიკანტი უნდა გაუფრთხილდეს სტუდენტის ღირსებას, თავისი სასწავლებლის სახელსა და აუტორიტეტს. ასევე აუცილებელია, პირველი დღიდანვე სტუდენტმა სათანადო კონტაქტი დაამყაროს მოსწავლეებთან, დაიმსახუროს მათი პატივისცემა, ნდობა და სიყვარული.

როგორც ცნობილია, ლექციის, სემინარებისა და პრაქტიკუმების გაცდენა სტუდენტს დანაშაულად ეთვლება და სჯიან ამისათვის, მიუხედავად იმისა, რომ დანაკლისი მას შეუძლია შეავსოს სახელმძღვანელოსა და დამხმარე ლიტერატურის საშუალებით. ასე არ ითქმის პედაგოგიური პრაქტიკის გაცდენის შესახებ. აქ გაცდენა მეტად საზიანოა, რადგან გაცდენილი დღის შესახებ მასალებს ვერსად იპოვით. ამრიგად, გაცდენილის შევსება აღარ ხერხდება, ხარვეზი ხარვეზად დარჩება. ამიტომ გაცდენისათვის პრაქტიკანტი სტუდენტი მკაცრად ისჯება, თვით პედაგოგიური პრაქტიკიდან მოხსნამდეც კი (სხვა დროისათვის გადაედება მას პრაქტიკა). თუ საპატიო მიზეზით ბევრი დღე გაუცდება სტუდენტს, მას პედაგოგიური პრაქტიკა სხვა დროისათვის უნდა გადაედოს. პრაქტიკანტი მტკიცედ უნდა შეურიგდეს იმ აზრს, რომ პედაგოგიური პრაქტიკის პერიოდში დაგვიანება და გაცდენა ყოვლად დაუშვებელია. სამწუხაროდ, ზოგიერთ სტუდენტს პედაგოგიური პრაქტიკა მხო-

ლოდ საცდელი გაკვეთილების გადაცემა ჰგონია, მასწავლებლებისა და ამხანაგების გაკვეთილების, კლასგარეშე და სკოლისგარეშე სამუშაოებზე დასწრებას მეორეხარისხოვან საქმედ თვლის და ამიტომ გაცდენასაც არ ერიდება. ეს უდაოდ მავნე, ყალბი აზრია. პედაგოგიური პრაქტიკის დროს „წვრილმანი“ სამუშაო არ არსებობს. ყველა სამუშაო მთავარია, ამიტომ ყველაფერს უნდა მოვეკიდოთ პასუხისმგებლობით, მონდომებითა და ინტერესით.

პრაქტიკანტს უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ იგი საბაზო სკოლისათვის ზედმეტი ტვირთია. პედაგოგიურ კოლექტივს ბევრი დრო და ენერგია სჭირდება სტუდენტებთან მუშაობისათვის. პრაქტიკანტებიც მთლად ვალში რომ არ დარჩნენ, საჭიროა რამდენადმე შეუმსუბუქონ სკოლას მუშაობა და თავიდანვე ჩაებან ისეთ სამუშაოებში, რომელთა შესრულება მათთვის რთული არ არის. მაგალითად. ასეთ სამუშაოდ შეიძლება მივიჩნიოთ: დასვენების წუთებში მოსწავლეებისათვის მეთვალყურეობა, თვითნაკეთი თვალსაჩინო მასალის დამზადება, აკადემიურად ჩამორჩენილებთან მეცადინეობა. საწრეო მუშაობაში მონაწილეობა, ექსკურსიის ორგანიზაცია, კინოსა თუ თეატრში ორგანიზაციულად მოსწავლეთა წაყვანა, კედლის გაზეთის გამოშვებაში დახმარების გაწევა და სხვ. ამ შემთხვევაში საკუთარი შესაძლებლობის კარგად ცოდნაა საჭირო. არ უნდა იკისრო ისეთი საქმე, რომლის შესრულება შენს ცოდნასა და გამოცდილებას აღემატება. მაგალითად, არც ისე იშვიათად, ზოგიერთი პრაქტიკანტი სტუდენტი თავისუფლად, თამამად შედის იმ გაკვეთილზე, რომელიც მასწავლებლის მიზეზით ცდება. ასე მოუმზადებლად გაკვეთილზე შესვლა დიდი უპასუხისმგებლობაა.

დაკვირვებითი პრაქტიკის პერიოდში სტუდენტის ერთ-ერთი ამოცანაა კლასისა და თითოეული მოსწავლის შესწავლა (ეს მუშაობა შემდეგშიც გრძელდება). პრაქტიკანტებმა უნდა იცოდენ თავისი კლასის მომზადებისა და გამოცდილების დონე, კლასის საერთო განწყობილება, მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულება, დისციპლინა, თითოეულის ინდივიდუალური თავისებურებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, რა კარგადაც არ უნდა მოემზადოს, ვერ მოახერხებს უხარვეზოდ საცდელი გაკვეთილის ჩატარებას.

უშუალო დაკვირვებისა და წერილობითი დოკუმენტების (აკადემიური მოსწრების აღრიცხვის უწყისი, მოსწავლეთა საშინაო, საკლასო და სოკონტროლო რვეულები, საკლასო ჟურნალი, კლასის ხელმძღვანელის მიერ მოსწავლეთა დახასიათებანი და სხვ.) გარდა ამ საქმეში კლასის ხელმძღვანელი და მასწავლებლები დაეხმარებიან პრაქტიკანტებს.

დაკვირვებითი პრაქტიკა ძირითადად მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრებას ეძღვნება. გაკვეთილი იმდენად რთული მოვლენაა, რომ მის ყოველ მხარეზე დაკვირვება მეტად ძნელი საქმეა. გამოუცდელი ადამიანისათვის შეიძლება აქ ბევრი რამ დარჩეს შეუნიშნავი და დაფარული. ამიტომ დაკვირვების გაადვილებისა და სწორად წარმართვისათვის პრაქტიკანტებს კითხვებს აძლევენ ხოლმე.

გაკვეთილზე დასწრებით, ბუნებრივია, სტუდენტს ახალი ფიქრები, მრავალი საინტერესო კითხვა უჩნდება, ბევრი პრობლემა ებადება. მას შეუძლია პასუხისათვის მიმართოს მასწავლებლებს, მეთოდისტებსა და სპეციალურ ლიტერატურას.

როგორც ცნობილია, სტუდენტებს ე. წ. საჩვენებელი გაკვეთილი უტარდება. საჭიროა ისინიც წინასწარ გაეცნონ ამის გეგმა-კონსპექტს. ეს ორგანიზებულს, მიზანსწრაფულსა და ნაყოფიერს გახდის მათს დაკვირვებას.

საჩვენებელი გაკვეთილი, როგორც წესი, გარჩევას ექვემდებარება. პირველი სიტყვა თვით მასწავლებელს ეკუთვნის. მას მართებს ობიექტური, გულხადილი და გაბედული თვითკრიტიკის გამოჩენა. ეს მის ავტორიტეტს, პროფესიულ პრესტიჟს უფრო აამაღლებს პრაქტიკანტთა და მეთოდისტის თვალში. სტუდენტებიც გამოდიან სიტყვით. მხოლოდ საჭიროა თავდაჭერილობა, ტაქტი, მოკრძალება, რათა არ გააკეთონ წინდაუხედავი მასწავლებლის გამღიზიანებელი შენიშვნები, არ დაიმსახურონ მისი გულისწყრომა. რა თქმა უნდა, სათქმელი გულახდილად უნდა ითქვას. მხოლოდ აუცილებელია, კატეგორიული ტონით, ჭკუის სწავლებისმაგვარ მსჯელობასა და ლაპარაკს ვერიდოთ. საბოლოო სიტყვა მეთოდისტს ეკუთვნის.

როგორც წესი, თავიდანვე პრაქტიკანტი სტუდენტი იწყებს დღიურის წერას, მასში შეაქვს სკოლაში ნანახ-მოსმენილიდან, რაც მთავარი და არსებითია.

დღიურის ჯერ შავად წერა და შემდეგ მისი გათეთრება დროის უნაყოფოდ დაკარგვა იქნება. იგი პირდაპირ თეთრად იწერება, მაგრამ წერითი მეტყველების კულტურის ყველა მოთხოვნათა დაცვით. დაუდევრად, უწიგნურად, უსუფთაოდ შედგენილი დღიური უპასუხისმგებლობისა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულების ნიშანია.

პრაქტიკანტისათვის ყველაზე რთული, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი საცდელი გაკვეთილია. იგი სამი მომენტისაგან შედგება: მზადება, ჩატარება და გარჩევა.

საცდელი გაკვეთილის თემას სტუდენტს საგნის მასწავლებელი აძლევს 4-5 დღით ადრე. თან უწევს კონსულტაციას გაკვეთილის მასალის დამუშავების ძირითად საკითხებზე (სასურველია, თემის მიცემასა და კონსულტაციას საგნის მასწავლებელი და მეთოდისტი ერთად უწევდნენ). უწინარეს ყოვლისა, პედაგოგიკისა და მეთოდიკის სახელმძღვანელოებში პრაქტიკანტი კითხულობს იმ თავებს, რომელნიც დაეხმარებიან თემის საფუძვლიანად გააზრებაში. შემდეგ გადადის სასკოლო სახელმძღვანელოზე. ჯერ ეცნობა გაცილ მასალას. ეს მას ესაჭიროება მოსწავლეთა ცოდნის სწორად გამოკითხვასა და შეფასებისათვის, აგრეთვე ძველსა და ახალს შორის კავშირის დასამყარებლად. ბუნებრივია, განსაკუთრებით შეჩერდება ახალ მასალაზე. იგი გულდასმით კითხულობს გადასაცემ მასალას. აქ მას უამრავ საკითხზე უხდება ფიქრი, დაკვირვება, პედაგოგიური განჭვრეტა, პრობლემებისადმი მოსწავლეთა თვალით. მათი გონებით შეხედვა, გააზრება, გათვალისწინება. პრაქტიკანტი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ სასკოლო გრამატიკით. იგი კითხულობს უმაღლესი სკოლის ქართული ენის გრამატიკის სათანადო თავებსაც. სასკოლო გრამატიკა მოსწავლეებისათვის არის შედგენილი. მასწავლებელმა, ცხადია, ამაზე მეტი უნდა იცოდეს, რათა თავისუფლად, ადაგებად შეძლოს სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების გაშლა, ახსნა. მართალია, მეტი უნდა იცოდეს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მასწავლებელმა გააფართოოს მოსწავლეთა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალა და მოცულობით, სიძნელის ხარისხით გაცილდეს პროგრამულ მოთხოვნებს, როგორც ეს ზოგიერთ პრაქტიკანტს ემართება ხოლმე.

გადასაცემი მასალის შინაარსის დეტალურ ანალიზთან ერთად პრაქტიკანტი ფიქრობს გაკვეთილის მეთოდებსა და ხერხებზე. კლასის, თემაზე მუშაობის ეტაპის, გაკვეთილის მიზნისა და ამოცანის, გადასაცემი მასალის სპეციფიკისა, მოსწავლეთა მომზადების დონისა და გამოცდილების, ბავშვთა ასაკობრივი პერიოდის თავისებურებების, დიდაქტიკური პრინციპების მოთხოვნათა და მუშაობის პირობების შესაბამისად პრაქტიკანტი არჩევს მეთოდებსა და ხერხებს, აზუსტებს, კონკრეტულად რა მომენტში რა მეთოდი, რა ხერხი გამოიყენოს, ე. ი. განსაზღვრავს სწავლების მეთოდების მონაცვლეობას. მათ ურთიერთკავშირს, ფიქრობს იმაზეც, რომ სხვადასხვა მეთოდისა და ხერხის ჭარბად გამოყენება ან, პირიქით, რომელიმე მათგანის უნივერსალიზაცია არ გამოუვიდეს.

გაკვეთილი ხომ თეატრალური დადგმა, სპექტაკლი არ არის, რომელშიც წინასწარ გათვალისწინებული სამუშაოები, მათი თანა-

მედროვეობა, მათთვის განკუთვნილი წუთები ზუსტად, უცვლელად ისე შესრულდეს, როგორც გეგმაშია ასახული. გაკვეთილზე ზოგჯერ თავს იჩენს მოულოდნელობანი, წამოიჭრება ისეთი საკითხი, შეიქმნება ისეთი სიტუაცია, რომელიც არ იყო ნავარაუდევი. პრაქტიკანტი უნდა განეწყოს ისე, რომ მოულოდნელმა შემთხვევამ კი არ დააბნიოს, არამედ ალღო აუღოს მას და იმოქმედოს შექმნილი ვითარების შესაბამისად, გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესშივე შეიტანოს საჭირო ცვლილებები თავის გეგმაში და მუშაობა შეუსაბამოს შექმნილ სიტუაციას.

გაკვეთილზე მოსწავლეთა შემეცნებით აქტივიზაციას, მათს შემოქმედებითად მუშაობას დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. დიდ ნაკლად ითვლება ახალი მასალის მზამზარეულად გადაცემა მაშინ, როდესაც მისი დამუშავება, გარჩევა და გაგება მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით არის შესაძლებელი და მოსახერხებელი. პრაქტიკანტმა კარგად უნდა გაითვალისწინოს კლასის მომზადების დონე. მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობანი და გადასაცემ მასალაში შეარჩიოს ისეთი საკითხები, რომელთა მიგნებაში, გადაწყვეტასა და გაანალიზებაში მოსწავლეთა ჩაბმა შეიძლება. მან გულდასმით უნდა იფიქროს იმაზე, თუ როგორ წარმართოს მათი შემოქმედებითი მუშაობა, როგორ აამოქმედოს მათი ინტელექტუალური ძალები, რათა წინა გაკვეთილზე შეძენილი ცოდნის საფუძველზე შეძლონ ახლის გაგება, გააზრება. უნდა დავსძინოთ, რომ ახალი მასალიდან გამომდინარე ყველა საკითხის მოსწავლეთა ძალებით დამუშავება ყოველთვის როდი ხერხდება. ცოდნის მზამზარეულად გადაცემა ხშირად გარდუვალია. საერთოდ, ახალი მასალის მზამზარეულად გადაცემა გაცილებით ნაკლებ შრომას მოითხოვს, ვიდრე მოსწავლეთა პოტენციალურ შესაძლებლობათა მაქსიმალურად ამოქმედება. მათი ჩაბმა ახლის დამუშავებაში (იოლი მუშაობის მოყვარული პირველს ირჩევს, ვიდრე მეორეს).

გადასაცემ მასალაზე მზადების პროცესში სტუდენტს, ბუნებრივია, კონსულტაცია, რჩევა-დარიგება დასჭირდება მისთვის ბუნდოვანი გაურკვეველი საკითხების შესახებ. ამისათვის იგი მიმართავს საგნის მასწავლებელს ან მეთოდისტს. საერთოდ, სტუდენტი ვალდებულია დაძაბულად იმუშაოს, ყოველი ღონისძიებით შეეცადოს სირთულეთა გადალახვას და, უკიდურესი შემთხვევის გარდა, არ მიმართოს სხვას კონსულტაციისა და დახმარებისათვის. ცნობილი ფაქტია, რომ სიძნელეთა გადალახვის, დაბრკოლებებთან ბრძოლის, დაკისრებული საქმის დამოუკიდებლად შესრულების პროცესში იწრთობა, იზრდება და ყალიბდება ადამიანი. მასწავლებლის პრო-

ფესიაც. სწავლებისა და აღზრდის საქმეში დახელოვნებაც დაძაბულ შრომა-გარჯას მოითხოვს.

საცდელი გაკვეთილისათვის მზადება გეგმა-კონსპექტის ან გეგმის შედგენით მთავრდება. საცდელი გაკვეთილების საერთო რაოდენობიდან რამდენი გაკვეთილი უნდა ჩაატაროს სტუდენტმა გეგმა-კონსპექტით და რამდენი მხოლოდ გეგმით — ეს დადგენილი არ არის. ჩვენი აზრით, საერთო რაოდენობის ნახევარი გეგმა-კონსპექტით უნდა ჩატარდეს, ხოლო მეორე ნახევარი უმჯობესია გეგმის მიხედვით წარიმართოს. სტუდენტი აუცილებლად ორივეს შედგენაში უნდა დახელოვნდეს.

გეგმა- კონსპექტის ან გეგმის გარეშე სტუდენტი საცდელ გაკვეთილზე არ შეიშვება. აქ რაიმე გამონაკლისი არ დაიშვება. ეს გასაგებია. ვისაც ეს არ გააჩნია, ის მზად არ არის გაკვეთილისათვის. (ყოველი მასწავლებელი, მათ შორის გამოცდილი, დახელოვნებულიც სისტემატურად ემზადება გაკვეთილისათვის და ადგენს გეგმასაც).

გეგმა-კონსპექტის თუ გეგმის შედგენა ააქტიურებს პრაქტიკანტს. აიძულებს საფუძვლიანად გაიაზროს და შეისწავლოს გაკვეთილის მასალა, სერიოზულად ჩაუფიქრდეს თითოეულ საკითხს, მრავალი ასპექტით შეხედოს ფაქტებს, მაგალითებს, საჭირო შემთხვევაში კვლავ და კვლავ დაუბრუნდეს მასალის ტექსტს. განსაკუთრებით ძნელ და მთავარ საკითხებს. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ წერის პროცესში ადამიანი ნებით თუ უნებლიეთ იმახსოვრებს მასალას, ითვისებს მას მტკიცედ და საფუძვლიანად. ამის გარეშე ხომ მასალის ზეპირად გადაცემა შეუძლებელია.

რეკომენდებულია გეგმა-კონსპექტის შავად დაწერა, გასწორება, დახვეწა და სუფთად გადაწერა.

გაკვეთილის გეგმა-კონსპექტს შესამოწმებლად პრაქტიკანტი ჯერ მასწავლებელს წარუდგენს, შემდეგ მეთოდისტს. თუ ყველაფერი რიგზე იქნება, მაშინ პირველი წააწერს: „განვიხილე“ (ხელსაც მოაწერს), მეთოდისტი კი ასეთ წარწერას გააკეთებს: „ვამტკიცებ“ (ესეც აწერს ხელს).

მეთოდისტის ნებადაურთველად პრაქტიკანტს საცდელი გაკვეთილის ჩატარების უფლება არა აქვს, თუნდაც გეგმა-კონსპექტი ყველა მოთხოვნის დაცვით ჰქონდეს შედგენილი.

სტუდენტს გაკვეთილის მასალა ისე საფუძვლიანად უნდა ჰქონდეს შეთვისებული, რომ არ დასჭირდეს გეგმა-კონსპექტსა თუ სახელმძღვანელოში ჩახედვა.

საცდელი გაკვეთილის ჩატარებას ჯგუფის წევრებთან ერთად

საგნის მასწავლებელი და მეთოდისტი აუცილებლად ესწრებიან, წინაღმდეგ შემთხვევაში, თუ მეთოდისტი მაინც არ ესწრება, იგი პრაქტიკანტს შესრულებულად არ ჩაეთვლება.

საცდელი გაკვეთილი — ჩატარების დღესვე აუცილებლად უნდა გაირჩეს, თითოეული სტუდენტი ვალდებულია თავისი ჯგუფის წევრის საცდელი გაკვეთილის გადაცემას დაესწროს და მის ანალიზში აქტიურად მონაწილეობდეს. გარჩევაში მონაწილეობა სათანადო მომზადებას, ფაქტების შეგროვებასა და გულდასმით შეფასებას მოითხოვს. გაკვეთილზე დასწრების დროს პრაქტიკანტი თავის დღიურში ინიშნავს ცნობებს, საჭირო მასალებს, ფაქტებს (დადებითსა და უარყოფითსაც). ეს კი საცდელი გაკვეთილის შესახებ მის მსჯელობას, მის აზრებს მისცემს დამაჯერებელ, კონკრეტულ და დასაბუთებულ ხასიათს.

როგორც ცნობილია, თითოეული გაკვეთილი მრავალი თავისებურებით ხასიათდება. ეს დამოკიდებულია სწავლების საფეხურზე, კლასის მომზადებაზე, გადასაცემი თუ გამოსაკითხი მასალის შინაარსზე, სწავლების მიზანდასახულობაზე, გამოყენებულ მეთოდებზე, ხერხებსა და სხვა საშუალებებზე, მასწავლებლის მომზადებასა და დახელოვნებაზე, მის უნარზე და სხვ. უფრო მეტიც, თვით პარალელურ კლასებში ერთნაირ თემაზე ერთი მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილიც არ შეიძლება ერთნაირის მსგავსი გამოვიდეს. ამიტომ გაკვეთილზე დაკვირვება არ ემორჩილება რაიმე მკაცრად და ზუსტად დადგენილ სავალდებულო ნორმებს, კანონებსა და რეცეპტებს. შეუძლებელია, ერთი „უნივერსალური“ თარგით მივუდგეთ ყველა გაკვეთილს, მაგრამ ზოგადად მაინც შეიძლება მოიხაზოს, ჩამოყალიბდეს ის საკითხები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სტუდენტმა გაკვეთილზე დაკვირვების დროს.

განვიხილოთ ქართული ენის გაკვეთილზე დაკვირვებისათვის საჭირო საორიენტაციო კითხვები, რომელთა გამოყენება მუშაობაში ნაცადია და დადებითი შედეგი მოუცია.

1. თარიღი (თვე, რიცხვი), კლასი, საგნის მასწავლებელი, მეთოდისტი (რაკი სკოლა და წელი დღიურის გარეკანზე მისი მფლობელის ვინაობასთან ერთად აღინიშნება, შემდეგ განმეორება საჭირო არ არის), ჯგუფის წევრები.

2. გაკვეთილის ტიპი, მიზანი.

3. ორგანიზაციული მომენტი: გაკვეთილის ნორმალურად წარმართვისათვის ყველაფრის მომზადება (ცარცი, ჩვარი, საკლასო ჟურნალი, დიდაქტიკური მასალები და სხვ.), მოსწავლეთა შესვლა

საკლასო ოთახში (ორგანიზებულად თუ უწესრიგოდ, დროულად თუ დაგვიანებით, ხმაურით თუ წყნარად, მშვიდად) და მათ მიერ თავიანთი ადგილის დაკავება, პრაქტიკანტებისა და სხვა დამსწრე პირთა შესვლა კლასში (დროულად თუ მოგვიანებით), მოსწავლეთა ადგომა (ყველა ადგა თუ არა) და გაკვეთილის გადამცემი პრაქტიკანტის განსაკუთრებით („დასხედით", „დაბრძანდით") მათი დასხდომა, მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა (მოსწავლეთა სახელისა და გვარის სწორად თუ დამახინჯებულად წაკითხვით), მოსწავლეთა ყურადღების მობილიზაცია და სათანადო განწყობის შექმნა კლასში გაკვეთილის მასალაზე გადასასვლელად.

ორგანიზაციულ მომენტს დასჭირდა ..... წუთი.

4. საშინაო დავალების შემოწმება: წერითი ნამუშევრების ფრონტალური (მერხებს შუა ჩამოვლით) შემოწმება, მოსწავლეთა ინდივიდუალური გამოკითხვა და მათი ცოდნის შეფასება. კლასის ცოდნის შემოწმება (ფრონტალური გამოკითხვა), კითხვების სიცხადე, სიზუსტე, სიძნელე, მოსწავლეთა პასუხების სიღრმე, სიცხადე, დამაჯერებლობა, მცდარი პასუხები, მათი გასწორება და სხვ.

საშინაო დავალების შემოწმება-შეფასება გაგრძელდა ... წუთი.

5. ახალი მასალის დამუშავება და განმტკიცება: ა) შესავალი მეცადინეობა (ახალთან ბუნებრივ კავშირში მყოფი გავლილი მასალის აღდგენა); ბ) ახალი მასალის ახსნა, გადაცემა, ახსნის სისრულე, სიღრმე, პროგრამასა და სახელმძღვანელოსთან მისი შესაბამისობა, მეცნიერული სიზუსტე, ახსნის სიცხადე, მისაწვდომობა, დამაჯერებლობა, თეორიული მასალის პრაქტიკაში გამოყენება; გ) ახალი მასალის დამუშავების მეთოდები და ხერხები. პრობლემური სწავლების ელემენტები, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალები, დიფერენცირებული სწავლების პრინციპის დაცვა, გამოყენებულ საშუალებათა შესაბამისობა გაკვეთილის მიზანთან, გადასაცემი მასალის შინაარსთან, საგნის სპეციფიკასთან, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან, მათს მომზადებასა და გამოცდილებასთან; დ) ახლად დამუშავებული მასალის გაკვეთილზეე შეთვისებაგანმტკიცებისათვის ზრუნვა (საუბრის მეთოდი, გრამატიკული გარჩევის ხერხის გამოყენება, ვარჯიშობა და სხვ.).

ახალი მასალის დამუშავება-განმტკიცებას დაეთმო ..... წუთი.

6. საშინაო დავალების მიცემა (დავალების დოზირება მოცულობისა და სიძნელის ხარისხით, მისი მიზნისა და ამოცანის გარკვევა, ნიადაგის მომზადება, რჩევა-დარიგებანი დავალების შესრულების გზებისა და მეთოდების შესახებ). დავალების მიცემის დრო (ზარის

დარეკვამდე თუ ზარის შემდეგ), დავალების ჩაწერა მოსწავლეთა მიერ და სხვ.

დავალების მიცემას დასჭირდა ..... წუთი.

7. გაკვეთილის სხვა მნიშვნელოვანი მხარეები: ა) გაკვეთილის ტემპი (ნორმალური, აჩქარებული, ნელი); ბ) პრაქტიკანტის აქტივობა, შემოქმედებითად მუშაობა (ინიციატივა, მონდომება, საქმისადმი ინტერესი და სიყვარული, სწრაფი მოსაზრებულობისა და ორიენტაციის უნარი, შექმნილი ვითარებისადმი ალღოს აღება ამის შესაბამისად მოქმედება, კლასის დაჭერა, დისციპლინის დამყარება-შენარჩუნებისათვის სათანადო ზომების მიღება, და სხვ.); გ) პრაქტიკანტის გარეგნული მხარე (ჩაცმა-დახურვა, სიფაქიზე, სიკოხტავე, ვარცხნილობა, უძრავად ერთ ადგილზე ჯდომა ან დგომა, ზედმეტი მოძრაობა, ყესტ-მიმიკის გამოყენება, სახეგაბრწყინებული, მომღიმარი, მხიარული, ხალისიანი თუ ბრაზიანი, მოღუშული, წარბშეკრული და სხვ. ტაქტი, თავის დაჭერა (სიდინჯე, მოთმინება, თავაზიანობა, სიმხნევე, სითამამე, სიმშვიდე თუ, პირიქით, ზედმეტად შეშფოთება, შიში, დაბნევა, მოუსვენრობა, წონასწორობის დაკარგვა, ზედმეტი სიმკაცრე და სხვ.), პრაქტიკანტის მეტყველება (გრამატიკულ-სტილისტიკურად გამართულობა, დიქცია, ტემპი და სხვ.); დ) მოსწავლეთა ქცევა-მოქმედება გაკვეთილზე: ყურადღება, ინტერესი, აქტივობა, მთელი კლასის ჩაბმა მუშაობაში, მონდომება, პასუხისმგებლობა, დამოკიდებულება პრაქტიკანტისადმი (პატივისცემა, მორიდება), წესრიგის დაცვა, უდისციპლინობის გამოვლინების ფორმები (კარნახი, ერთმანეთისაგან გადაწერა, გუნდური პასუხი, კერძო საუბარი, ხმაური, წამოძახილები, მოუსვენრობა და სხვ.); ე) დროის რაციონალურად გამოყენება (გეგმა-კონსპექტით გაკვეთილის მომენტებს შორის გათვალისწინებული წუთების ზუსტად დაცვა, თუ დაირღვა, რა მიზეზით); ვ) მოსწავლეთა მეტყველება (ზეპირი მეტყველების სისწორე, გამართულობა, სიწმინდე, დაფაზე წერის დროს ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და კალიგრაფიული წესების დაცვა, შემჩნეულ შეცდომათა გასწორება და სხვ.); ზ) ჰიგიენური მოთხოვნების დაცვა (სისუფთავე, განათება, ოთახის განიავება, სითბო, მოსწავლეთა სწორად ჯდომა და სხვ.); თ) წიგნებისა და რვეულების მოვლა-შენახვის მდგომარეობა (ფაქიზად ხმარება, წიგნის სწორად გადაშლა და დახურვა და სხვ.); ი) გაკვეთილის შედეგი (გეგმის შესრულება, მოსწავლეთა მიერ მასალის გაგებისა და შეთვისების ხარისხი და სხვ.).

ეს კითხვები. უდავოა, პრაქტიკანტს დაეხმარება გაკვეთილის არსში ჩაწვდომაში, მისი ძირითადი საკითხების გარკვევა-გააზრე-

ბასა და გაკვეთილის ანალიზისათვის საჭირო ფაქტების შერჩევაში.

საცდელი გაკვეთილის გარჩევისადმი მიძღვნილ სხდომას, როგორც წესი, მეთოდისტი ხელმძღვანელობს.

პირველად იგი სიტყვას აძლევს საცდელი გაკვეთილის ჩამტარებელ სტუდენტს. ეს უკანასკნელი ვალდებულია გულწრფელად, დაუფარავად გააკრიტიკოს თავისი გაკვეთილი. მან სხდომას უნდა მოუთხროს, თუ რა დაბრკოლებები შეხვდა მზადების პროცესში, როგორ დაძლია, რა წაიკითხა, ვისგან მიიღო კონსულტაცია ამა თუ იმ საკითხზე, გაკვეთილის გადაცემის დროს რა გამორჩა მხედველობიდან, რა ვერ მოასწრო, ადგილი ჰქონდა თუ არა მოულოდნელ, გაუთვალისწინებელ შემთხვევებს და როგორ გადალახა ისინი. როგორი იყო გაკვეთილის შედეგი, რამდენად მიაღწია მიზანს და სხვ.

უდავოდ ცუდია, როცა სტუდენტი ცდილობს თავისი ნაკლის, შეცდომის მიჩქმალვას, ხოლო დადებითის გაზვიადებულად წარმოდგენას. ადამიანი, რომელიც თვითკრიტიკას გაურბის, წარმატებას ვერ მოიპოვებს, დახელოვნებული მუშაკი ვერ გახდება. ასევე ითქმის პრაქტიკანტი სტუდენტის შესახებაც.

გაკვეთილის გადამცემი პრაქტიკანტის გამოსვლის შემდეგ სიტყვა ჯგუფის წევრებს ეძლევათ. ეს მხოლოდ სურვილი როდია. ეს მათი მოვალეობაა. მათ უნდა გამოიჩინონ პირდაპირობა, გაბედულობა, ობიექტურობა, გულწრფელობა, თავაზიანობა და ა. შ. ნამდვილი ჰუმანიზმი, პატივისცემა, მეგობრობა, გულშემატკივრობა არ გამორიცხავს, პირიქით, თავისთავად გულისხმობს, სიმართლეს, სისწორეს. ჯანსაღ კრიტიკას, ფაქტების ობიექტურად, მკაცრად შეფასებას, ნაკლოვანებების მოურიდებლად მხილებას. გაკვეთილის გარჩევის დროს წაყრუება, შემარიგებლობა, მაამებლობა, ფაქტების შელამაზება, დაუმსახურებელი ხოტბა და მისთ. ყოვლად დაუშვებელია.

პრაქტიკანტების შემდეგ სიტყვით გამოდიან საგნის მასწავლებელი და მეთოდისტი (საცდელი გაკვეთილის ნიშნით შეფასება ამ უკანასკნელის ფუნქციაა).

1. გაარჩიეთ გაკვეთილზე დაკვირვების კითხვარები!
2. შეადგინეთ ახალი მასალის გადაცემის ტიპის გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი თემაზე: „სახელზმნის რაობა, საწყისი“.
3. შეადგინეთ კომბინირებული ტიპის გაკვეთილის ტიპის გეგმა-კონსპექტი თემაზე: „შედგენილი შემასმენელი“!
4. შეადგინეთ განმეორების ტიპის გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი თემაზე: „წინადადების წევრთა განმეორება“!

5. შეადგინეთ გაკვეთილის გეგმა თემაზე: „თანდებულიან არსებით სახელთა მართლწერა“!

6. შეადგინეთ გაკვეთილის გეგმა თემაზე: „კონტაქტის სწავლება“.

7. შეადგინეთ გაკვეთილის გეგმა თემაზე: „სასვენი ნიშნების ხმარება განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებში“!

დანართი:

ქართული ენის საცდელი გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი[1]

საბაზო სკოლა — 75-ე საშუალო სკოლა
კლასი — VII[1]
გაკვეთილის რიგი —-III
თარიღი — 20 აპრილი, 1974 წ.

საგნის მასწავლებელი .....
მეთოდისტი .....
პრაქტიკანტი .....

I. გაკვეთილის თემა: განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები.

II. გაკვეთილის ტიპები — კომბინირებული.

III. გაკვეთილის მასალა:

1. გამოსაკითხი: ა) ერთგვარ წევრთა განმაზოგადებელი სიტყვები წინადადებაში; ბ) სასვენი ნიშნების ხმარება განმაზოგადებელ სიტყვებთან;

2. გადასაცემი: ა) განკერძოების რაობა და სახეები (ზოგადად); ბ) განკერძოებული განსაზღვრება.

IV. გაკვეთილის მიზანი: 1. შემოწმება იმისა, თუ როგორ იციან მოსწავლეებმა საშინაო დავალება — ერთგვარ წევრთა განმაზოგადებელი სიტყვები და მათთან დაკავშირებული პუნქტუაციური საკითხები:

2. განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების რაობისა და განკერძოებული განსაზღვრების გაცნობა მოსწავლეთათვის.

V. გამოყენებული გზა. მეთოდი, ხერხი:

ა) გზა — ინდუქციური:

---

[1] გაკვეთილის გეგმა-კონსპექტის ნიმუშები იხილეთ აგრეთვე ქართული ენის სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელოში (მ. თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1975).

ბ) მეთოდები — თხრობა და საუბარი;

გ) ხერხი — სინტაქსური გარჩევისა და შედარება-შეპირისპირების ხერხი:

VI. გაკვეთილის საორიენტაციო განაწილება დროში:

1. საორგანიზაციო ნაწილი — 3 წუთი;
2. საშინაო დავალების შემოწმება — 12 წუთი;
3. ახალი მასალის ახსნა — 15 წუთი;
4. ახსნილი მასალის განმტკიცება — 13 წუთი;
5. საშინაო დავალება — 3 წუთი.

VII. გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, II ნაწილი, VII — VIII კლასების სახელმძღვანელო, სინტაქსი, თბილისი, 1972 წელი, გვ. 62—66.

2. მ. თალაკვაძე. ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბილისი, 1959 წელი.

3. ლ. წულაძე, შერწყმული წინადადების სწავლება, თბ., 1963 წ.

4. რ. შამელაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა, თბ., 1958 წ.

გაკვეთილის მსვლელობა

ზარის დარეკვისთანავე შევდივარ კლასში. ვკითხულობ სიას. ვაგალებ მოსწავლეებს ამოიღონ საშინაო დავალების რვეულები. მერხებს შორის ჩამოვლით ვამოწმებ საშინაო დავალებას. შემდეგ გადავდივარ ცოდნის ინდივიდუალურ შემოწმებაზე. შესაფასებლად გამოვიძახებ: 1 . . . 2 . . . .

პირველ მოსწავლეს მოვაყოლებ წინა გაკვეთილის მასალას, გავარჩევინებ წინადადებებს: 1. შაშვი ტყეს, მთებს, ცას, დედამიწას — ყველაფერს მადლობას სწირავდა; 2. ფრინველები დიდ ჭკუას იჩენდნენ ყველა თავის მოქმედებაში: საჭმლის შოვნაში, ბუდის კეთებაში, მტრის მოგერიებასა და მოტყუებაში, შვილების დაზრდასა და იმათ დაფრენაში.

მეორე მოსწავლის თეორიულ ცოდნას კითხვებით შევამოწმებ, გასარჩევად მივცემ წინადადებებს: 1. ყველაფერი მდუმარებს: ხე, ქვა, ტყე და მინდორი; 2. ხის ტოტებზე ჩიტუნები ფრთხიალებენ, სრიალებენ, იშენებენ მაღლა ბუდეს, დაჰხარიან და გალობენ.

კლასის მომზადებას ვაკონტროლებ ფრონტალურად.

პ რ ა ქ. რას ეწოდება შერწყმული წინადადება?

მ ო ს წ. შერწყმულია წინადადება, რომელშიც მოიპოვება რამ-

დენიმე ერთნაირი წევრი.

პ რ ა ქ. ერთგვარი წევრების შეერთების რამდენი საშუალება მოგვეპოვება?

მ ო ს წ. ერთგვარ წევრთა შეერთება ორგვარია: კავშირიანი და უკავშირო.

პ რ ა ქ. რომელი კავშირებია გამოყენებული ერთგვარ წევრთა შესაერთებლად?

მ ო ს წ. ერთგვარ წევრთა შესაერთებლად გამოყენებულია მაერთებელი კავშირები (მაჯგუფებელი, მაცალკევებელი და მაპირისპირებელი).

პ რ ა ქ. რა მეტყველების ნაწილი შეიძლება მოგვეელინოს ერთგვარ წევრთა გამაერთიანებელ სიტყვებად?

მ ო ს წ. ერთგვარ წევრთა გამაერთიანებელ სიტყვად შეიძლება იყოს ნაცვალსახელი (ყველა ან ყველანი, ყველაფერი, ყოველივე), რიცხვითი სახელი (ორივე, სამივე...), ზმნიზედა (ყველგან) და გვაროვნული ცნების გამომხატველი სიტყვები (ზოგჯერ სიტყვათა შეკავშირება).

პ რ ა ქ. რა სასვენი ნიშანი დაისმის განმაზოგადებელ სიტყვებთან?

მ ო ს წ. თუ განმაზოგადებელი სიტყვა წინ არის, ერთნაირი წევრების წინ ორწერტილი დაისმის, და თუ შემდეგ, ერთნაირი წევრების ბოლოს ტირე იწერება. თუ განმაზოგადებელ სიტყვას ახლავს ისეთი სიტყვა, რომელიც ერთგვარ წევრთა ჩამოთვლაზე მიუთითებს (მაგალითად, სახელდობრ, როგორიცაა), ასეთი სიტყვის წინ მძიმე იწერება, შემდეგ კი — ორწერტილი დაისმის.

ფრონტალური გამოკითხვის შემდეგ გადავდივარ ახალი მასალის ახსნაზე.

პ რ ა ქ. ბავშვებო, თქვენ იცნობთ წინადადების წევრებს — შემასმენელს, ქვემდებარეს, დამატებას, განსაზღვრებას და გარემოებას თავიანთი სახეებით. მაშასადამე, თქვენ იცით, რომ წინადადებაში შემავალი სიტყვა განეკუთვნება ამა თუ იმ წევრს. მაგალითისათვის ავიღოთ ასეთი წინადადება: წუხელ თოვლი მოსულა. აქ შემასმენელია — მოსულა, ქვემდებარე — თოვლი, დროის გარემოება — წუხელ. თოვლის მოსვლა თითქმის ყველა ადამიანში სიხარულს იწვევს. ამიტომ მივცეთ ამ წინადადებას ასეთი ელფერი: უჰ, წუხელ თოვლი მოსულა! დაისმის კითხვა: უჰ — რა წევრია? იგი არც ერთ წევრს განეკუთვნება, სხვა სიტყვებთან იგი უშუალო კავშირში არ არის. მართალია, მან წინადადებაში აღტაცების, სიხარულის ნიუანსი შეიტანა, მაგრამ ის მაინც განკერძოებულად დგას,

ზეპირში ის პაუზით გამოიყოფა, წერითში — სასვენი ნიშნით. ამ მაგალითით ირკვევა, რომ თურმე წინადადებაში შეიძლება იყოს ისეთი სიტყვაც, რომელიც განკერძოებით დგას. ამგვარად გამოვარჩევთ წინადადებას: კოკისპირული წვიმა მოვიდა და, ცხადია, მდინარე ნაპირებიდან გადავიდა, დაპრილი დათვი, რასაკვირველია, მეტად საშიშია. მოსწავლეებს დასკვნის სახით მოვუთხრობ: ღავნახეთ, რომ წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც წინადადების უშუალო ნაწილს არ წარმოადგენენ და განკერძოებული ადგილი უჭირავთ. ასეთებია: განკერძოებული განსაზღვრება, განკერძოებული გარემოება, დანართი, მიმართვა, ჩართული, მიგებითი ნაწილაკი და შორისდებული.

ღღეს შეეჩერდებით განკერძოებულ განსაზღვრებაზე.

პ რ ა ქ. წინადადებაში „ქათმები, დაშინებულნი, ბუჩქებში მიიმალნენ“ (ეს დაფაზე იქნება დაწერილი)... ქვემდებარეა ქათმები, მიიმალნენ — შემასმენელი, ბუჩქებში — ადგილის გარემოება, დაშინებულნი — განსაზღვრავს ქვემდებარეს (ქათმები). მაგრამ არ არის წინადადების უშუალო წევრი და განკერძოებით დგას, ამიტომ ასეთ განსზაღვრებას, განკერძოებულ განსაზღვრებას უწოდებენ და ის მძიმეებით გამოიყოფა. თუ ადგილს შეეუნაცვლით, მივიღებთ: დაშინებული ქათმები ბუჩქებში მიიმალნენ. „დაშინებული“ ჩვეულებრივი განსაზღვრებაა, იგი უშუალო კავშირშია საზღვრულთან (ქათმები). მართალია, ადგილის შეცვლით განკერძოებული განსაზღვრება ჩვეულებრივ განსაზღვრებად მოგვევლინა. მაგრამ მათ შორის მაინც იგრძნობა განსხვავება. ჩვეულებრივი განსაზღვრება უფრო მკვეთრად განსაზღვრავს საგანს. ვიდრე განკერძოებული განსაზღვრება. ინტონაციით, პაუზითა და სასვენი ნიშნების თვალსაზრისითაც განსხვავება აშკარაა. ვარჩევთ სხვა მაგალითებსაც. „ბუნებამ, ხანგრძლივი ზამთრისაგან მეტად შეწუხებულმა, უკვე გამოიღვიძა“. „მერცხლები, თბილ ქვეყნებში გაფრენილნი, ისევ დაგვიბრუნდნენ“. „მას, პატიოსანი გვარისა და კაი ოჯახის შვილს, ერთი მზეთუნახავი ქალი უზის გასათხოვარი“. „ქვეშ იყო მარანი, წალმით დახურული“. ეს წინადადებები დაიწერება დაფაზე, მას მოსწავლეები გაარჩევენ. და საშინაო რვეულში ჩაიწერენ.

კლასი პასუხობს საკონტროლო კითხვებზეც.

პ რ ა ქ. წინადადების წევრების გარდა, რომელი სიტყვები და გამოთქმები მოიპოვება, რომელთაც განკერძოებული ადგილი უჭირავთ?

მ ო ს წ. წინადადების წევრების გარდა მოიპოვება განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; ესენია: განკერძოებული განსა-

ზღვრება. განკერძოებული გარემოება, დანართი, მიმართვა. ჩართული და შორისდებული.

პ რ ა ქ. რით გამოიყოფა განკერძოებული განსაზღვრება წინადადებისაგან?

მ ო ს წ. განკერძოებული განსაზღვრება თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ მძიმეებით გამოიყოფა წინადადებებისაგან.

პ რ ა ქ. რას ეწოდება განკერძოებული განსაზღვრება?

მ ო ს წ. განკერძოებულია განსაზღვრება, რომელიც თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ გამოეყოფა საზღვრულს და განკერძოებულად დგას წინადადებაში.

ს ა შ ი ნ ა ო დ ა ვ ა ლ ე ბ ა: განკერძოების რაობა და სახეები, განკერძოებული განსაზღვრება, სავარჯიშო № 2.

გაკვეთილის გეგმის ერთ-ერთი ვარიანტი

კლასი ..... თარიღი .....

გაკვეთილის თემა: დამატება.

გაკვეთილის მიზანი: ირიბი დამატების რაობის, ბრუნვის, ირიბი და პირდაპირდამატების ბრუნვაში დამთხვევის გაცნობა მოსწავლეთათვის.

სწავლების მეთოდები, ხერხები და საშუალებანი: თხრობა, საუბარი, წიგნზე მუშაობა, სინტაქსური გარჩევა, შედარება-შეპირისპირების ხერხი, ვარჯიშობანი.

გაკვეთილის გეგმა

1. ირიბი დამატების რაობა (ამხანაგმა წიგნი მაჩუქა. დღეს შენ პალტო არ გეცვა. სიის შემდგენელმა ქეთევანს მამის სახელი ჰკითხა. ცალამ დედას კინოში წასვლის ნებართვა სთხოვა).

2. ირიბი დამატების ბრუნვა (გიგლას მახვილი გონება აქვს. გიგლას მახვილი გონება ჰქონია. კუნი ქორს ემალება, კუნი ქორს დაემალა, კუნი ქორს დამალვია).

3. ირიბი დამატება გარდამავალი ზმნით გამოხატულ შემასმენელთან უბრალო დამატებად გარდაიქმნება (ბავშვი ხბოს ეფერება, ბავშვი ხბოს მოეფერა, ბავშვი ხბოს მოჰფერებია. მზია სტუმარს სკამს აწოდებს, მზიამ სტუმარს სკამი მიაწოდა, მზიას სტუმრისთვის სკამი მიუწოდებია).

4. პირდაპირი დამატებისა და ირიბი დამატების დამთხვევა ბრუნვაში (მელა კუნს წიწილებს ართმევს, აგრონომი გლეხებს მოსსენებას უკითხავს. ჯარისკაცი მშობლებს წერილს უგზავნის. ექიმი ავადმყოფს რჩევა-დარიგებას აძლევს).

5. მასალის წაკითხვა სახელმძღვანელოში და მისი ანალიზი.

6. ვარჯიშობანი: ა) აშენდა, გაუკეთდა, ეზრდება ემხრობა, უქადდა — ზმნებისათვის ქვემდებარისა და ირიბი დამატების შერჩევა: ბ) მოუსპო, დაუმიზნა, მიაყენა, მობანა, მოსჭრა, შემოჰკრა — ზმნებისათვის არსებითი სახელის საშუალებით ქვემდებარის, პირდაპირი დამატების, ირიბი დამატების შერჩევა; გ) მხატვარი, ზღვა, ქორი — არსებითი სახელების სხვადასხვა წინადადებაში გამოყენება ქვემდებარედ, პირდაპირ და ირიბ დამატებად; დ) შენ, ჩვენ, ორივეს — სიტყვების გამოყენება წინადადებაში ირიბ და პირდაპირ დამატებად.

7. საშინაო დავალება: ა) სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თეორიული მასალის (ირიბი დამატება, ირიბი დამატების ბრუნვა, პირდაპირი დამატებისა და ირიბი დამატების დამთხვევა ბრუნვაში) შესწავლა თხრობით და სამივე სავარჯიშოს შესრულება.

შ ი ნ ა ა ა რ ს ი

შესავალი 3
ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საფუძვლებისა და წყაროების გამეორება-განმტკიცება 5
ქართული ენის სწავლების გზები, მეთოდები, ხერხები, და დიდაქტიკურ საშუალებათა გარკვევა-დამუშავება 5
ვარჯიშობანი ფონეტიკის სწავლებაში 7
ვარჯიშობანი არსებით სახელთა სწავლებაში 8
ვარჯიშობანი ზედსართავი სახელის სწავლებაში 16
ვარჯიშობანი რიცხვითი სახელის სწავლებაში 18
ვარჯიშობანი ნაცვალსახელის სწავლებაში 20
ვარჯიშობანი წარმოქმნილ სახელთა სწავლებაში 22
ზმნის სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მუშაობა 23
მეტყველების ფორმაუცვლელ ნაწილთა სწავლებასთან დაკავშირებული მუშაობა 28
წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით და მათ სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მუშაობა 31
მოსწავლეთა ნაწერების გასწორების საკითხისათვის 36
ვარჯიშობანი შემასმენლის სწავლებაში 47
ვარჯიშობანი ქვემდებარის სწავლებაში 49
ვარჯიშობანი დამატების სწავლებაში 51
ვარჯიშობანი გარემოების სწავლებაში 58
ვარჯიშობანი განსაზღვრების სწავლებაში 63
ვარჯიშობანი მარტივი წინადადების სწავლებაში 72
ვარჯიშობანი შერწყმული წინადადების სწავლებაში 84
ვარჯიშობანი განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სწავლებაში . . 93
რთული თანწყობილი წინადადებების სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მუშაობანი 97
რთული ქვეწყობილი წინადადებების სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მუშაობანი 102
ვარჯიშობანი პირდაპირი და ირიბი ნათქვამის სწავლებაში 115
პედაგოგიური პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი 123
დანართი 136
გაკვეთილის მსვლელობა 137
გაკვეთილის გეგმა 140

რედაქტორი ც. კვინტრაძე
სამხატვრო რედაქტორი თ. გელაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მ. ოსიტაშვილი
უფრ. კორექტორი ლ. გაგნიძე
კორექტორი ჯ. ცაგურია
კამომშვები დ. ხუციშვილი

ИБ № 1672

გადაეცა ასაწყობად 30.12.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.04.87. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 9. პირ. ნაბეჭდი თაბახი 8,37. პირობითი საღებავგატარება 8,49. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,87.

უე 10220 ტირაჟი 3 000 შეკვ. № 896.

ფასი 25 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

1987

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, ул. Орджоникидзе, № 50.